

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

НАЦИОНАЛЬНАЯ ПАРЛАМЕНТСКАЯ
БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ

THE NATIONAL PARLIAMENTARY
LIBRARY OF GEORGIA

შრომები

ТРУДЫ

PROCEEDINGS

1 II (6 II)

თბილისი - ТБИЛИСИ – TBILISI

2006

სარედაქციო კოლეგია:

ზ. აბაშიძე (*რედაქტორი*), გ. გაბუნია (*მდივანი*), ლ. ზამბახიძე, ლ. თაქთაქიშვილი, გ. თაყნიაშვილი, ვ. კვაჭანტირაძე, ვ. კიკილაშვილი, ც. კოჭლაშვილი,
ა. ლორია, მ. ოძელი (*რედაქტორის მოადგილე*), ლ. საყვარელიძე,
მ. სულთანაშვილი, ჟ. ქვათაძე, თ. ჩხენკელი, ე. ჯგერენაია

Редакционная коллегия:

З. Абашидзе (*редактор*), Г. Габуниа (*секретарь*), Э. Джгереная, Л.Замбахидзе,
Ж. Кватадзе, Ф. Квачантирадзе, В. Кикилашвили, А. Лория, М. Одзели (*зам. редактора*), Л. Сакварелидзе,
М. Султанишвили, Г. Такниашвили, Л. Тактакишвили, Т. Чхенкели

Editorial board:

Z. Abashidze (*editor*), T. Chkhenkeli, G. Gabunia (*secretary*), E. Jgerenaia, V. Kikilashvili,
J. Kvatadze, F. Kvachantiradze, A. Loria, M. Odzeli, (*deputy editor*), L. Sakvarelidze,
M. Sultanishvili, G. Takniashvili, L. Taktakishvili, L. Zambakhidze

*კრებული იბეჭდება ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის
ფინანსური მხარსაჭერით*

ISSN-1512-2298

ედღვნება
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის 160 წლისთავს

Посвящается
160-летию Национальной Парламентской
Библиотеки Грузии

Dedicated
to the 160 Anniversary of the National Paliamentary Library of Georgia



თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების ისტორიისათვის

„ნაშრომი განმად დარჩების, ფრიადი კეთილი კაცთმო-ყუარისაგან კაცთა და მონიჭებული პირველი მისი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრება არს: მზე და მთოვარე ხორცთა ჩვენთა სახმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნნი სულთა ჩუენთა განმანათლებლად მოგუამადლნა«. (XI ს. მწიგნობარი დავით ჯიბისძე) [1: 327].

„წერილი ძეგლი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერლისად საუკუნოდ, რომელისამე საქებელყოფად, სხვსა განქიქებლად« (არსენ კათალიკოსი) [1: 326].

ბერძნული სიტყვა „ბიბლიოთეკა« წიგნის საცავს ნიშნავს, ხოლო მნიშვნელობით ყოველი ერის კულტურულ-საგანმანათლებლო დამხმარე სამეცნიერო დაწესებულებას. იგი ადგილია, სადაც ხდება სხვადასხვა ლიტერატურულ თხზულებათა თუ სამეცნიერო ნაშრომთა, პრესის, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების საზოგადოებისათვის შენახვა და ორგანიზება. ბიბლიოთეკა კრებს ნაწარმოებებს, იცავს მათ და გასცემს ადგილზე სარგებლობისათვის მკითხველებზე [2: ტ.2. 358].

ცნობილია უძველესი დროის, ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნის ასურეთის ქ. ნინევიის ბიბლიოთეკა, ეგვიპტის, ანტიკური ბიბლიოთეკები – პერგამონის, ალექსანდრიის და ა. შ. ასევე ცნობილია ადრეულ საუკუნეებში დიდ მონასტრებში და ტაძრებში მოთავსებული ბიბლიოთეკები. [2: 358].

გუტენბერგის მიერ XV საუკუნეში საბეჭდი დაზვის გამოგონების შემდეგ, შეივსო მეფეთა და იმპერატორთა სამეფო კარის წიგნადი საცავები, დაარსდა დიდებულთა და წარჩინებულთა კერძო ბიბლიოთეკები. XVI-XIX საუკუნეებში შეიქმნა საჯარო ბიბლიოთეკები, რომლებმაც შეიძინეს ეროვნული და მსოფლიო მნიშვნელობები - 1602 წელს დაარსებული ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკა; 1661 წელს დაარსებული ბერლინის სამეფო ბიბლიოთეკა; 1753 წელს დაარსებული ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკა; 1800 წელს დაარსებული ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკა; 1837 წელს დაარსებული ბრიუსელის სამეფო ბიბლიოთეკა და სხვ. [2: 359].

წიგნის ბეჭდვის გამოგონებიდან 175 წლის შემდეგ, 1629 წელს რომში გამოვიდა: «ქართული-იტალიური ლექსიკონი» და «ქართული ანბანი ლოცვებითურთ», ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნის განმავლობაში, კათოლიკე მისიონერთა მიერ ქართული ენის ცოდნის მათთვის საჭიროების გამო, სულ ხუთი წიგნი დაიბეჭდა ქართული შრიფტის გამოყენებით. დასავლეთ ევროპამ მათი წყალობით პირველად გაიცნო ქართული ენა [3: VII-VIII].

საქართველოში საბიბლიოთეკო კერები თითქმის ყველა პატარა თუ დიდ ეკლესია-მონასტერთან იყო შექმნილი. «ბრწყინავდნენ ქართველთა მონასტრები აღაშკერტს, ბანას, კარს, ფანფერტს, ოპიზას, ანჩას, კალიპოს და სხვ. თითო-ოროლას გარდა სად არის იქ გაკეთებული საქმე, სად მიეფარა იქაური ღვაწლი? ღვაწლი კი დიდი იყო, რაც გვიმტკიცებს დაშთენილი ხელნაწერი თხზულებანი», წერდა მ. ჯანაშილი [4: 4]. 1889 წელს საეკლესიო მუზეუმის დაარსების შემდეგ, მუზეუმის გამგეობა ხელნაწერი წიგნების შევსებას იღებდა ეკლესია-მონასტრების სალაროდან, სადაც თავს იყრიდა სხვადასხვა საუკუნეებში შექმნილი ორიგინალური, თუ წმინდა

მამათა თარგმნილი თხზულებები, ტყავზე დაწერილი და ხის დაფით შეკრული. «დღეს სად და სად არ არის ქართული წიგნი, სად და სად არ დაიწვა... ბევრზედ უბევრესად სთვლიან ქართულ საუნჯეს! მუზეუმში შემოიკრიბა ისეთი საუნჯეებიც, რომელთაც აშიებზე აწერიათ თუ ვინ დაიხსნა იგინი სპარსთა, ოსმალთა ტყვეობიდან!... რამდენი კიდეც სხვა იქნებოდა დატყვევებული, რომელთა შესახებ არავითარი ცნობა აღარ გვაქვს!... კახეთის სამეფო ულმოზელის მტერის მეოხებით დატყვევდა და სპარსეთში გადაინერგა, ერი ერად დაიღუპა და მასთან გაყოლილი ქართული საგალობელიცა და საუნჯეც შეიმუსრა... ავღანეთში რომ მეფე გიორგი XI და ქართველი ბატონიშვილები ამოხოცეს მათ დაშთათ წიგნებიცა... ლანგ თემური რომ საქართველოში შემოვიდა გადასწვა ორბელიანთ უმდიდრესი წიგნთსაცავი, რამდენი საუნჯე დაიღუპა? არავინ იცის» [4: 4].

ყოველი ქართველის დედის, წმინდა ქეთევან წამებულის მიერ სპარსეთში წაღებული საეკლესიო თხზულებანი, ურჯულოებმა ცეცხლს გაატანეს პატრონთან ერთად!

ეკლესიის მამების მოღვაწეობაში ერთ-ერთ უმთავრეს საქმედ წიგნსაცავების დაარსება ითვლებოდა. მრავლად სწირავდნენ წიგნებს მეფე-დედოფლები, თავადაზნაურები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივი მოსახლეობაც. ჩვენში X საუკუნიდან იკვეთება წიგნების აღნუსხვა-აღწერის, დაცვის საქმე. წიგნებით სარგებლობა მხოლოდ და მხოლოდ ტაძარში შეიძლებოდა და მათი გარეთ გატანა არ იყო დაშვებული. ცნობილია მეფეთა კარგი და დიდი წიგნადი ფონდები და სხვადასხვა დროის საშინაო საგვარეულო წიგნსაცავები, რომლებითაც ძველ დროში ადამიანების დიდი ნაწილი უფასოდ სარგებლობდა. [2: 358-360].

ერის კულტურული მნიშვნელობის მოვლენად იქცა 1708-09 წლებში სწავლული მეფის ვახტანგ VI-ის მიერ სტამბის დაარსება, სადაც პირველი ქართული წიგნის გამოსვლიდან 80 წლის შემდეგ დაისტამბა პირველი წიგნი - «სახარება», «სწავლულ კაცთა» მიერ მეცნიერულად დადგენილი «ვეფხისტყაოსნის» ტექსტი, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1712 წელს, ვახტანგ VI-ის რედაქციითა და კომენტარებით. სულ სტამბაში დაიბეჭდა 19 დასახელების წიგნი. სამწუხაროდ, 1722 წელს სტამბამ არსებობა შეწყვიტა [5: IX]. 1749 წელს მეფე ერეკლე II და კათალიკოს ანტონ I თაოსნობით, ვახტანგის სტამბის ბაზაზე კვლავ გაიხსნა სტამბა. «ტფილისის, იმერეთისა და მოსკოვის სტამბებიდან მაშინ გამოვიდა ჩინებული გამოცემები: ბიბლია, ტარიელი და სხვა მრავალი წიგნი, რომლებსაც ევროპა მაღალ შეფასებას მისცემდა, რომ გასცნობოდა მათ» (მარი ბროსე). «ტარიელს» ბროსე რუსთაველის «ვეფხისტყაოსანს» უწოდებს და გულისხმობს ვახტანგის გამოცემას [3: VII].

სტოკჰოლმში აღმოსავლეთის ქვეყნების მცოდნე მეცნიერთა შეკრებაზე (1890) პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გაგზავნილმა პროფ. ალექსანდრე ცაგარელმა საპატიო თავჯდომარეს – შვეციისა და ნორვეგიის მეფეს ოსკარ II გადასცა 1888 წელს გიორგი ქართველიშვილის საფასით დაბეჭდილი «ვეფხისტყაოსანი», მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. გადაცემამდე, ცაგარელს უჩვენებია მეცნიერთათვის და ერთ იქაურ პროფესორს გაკვირვებია: «ტფილისში ასე კარგად დაუბეჭდიათო ეგ წიგნი; მაგისტანა ყდას ჩვენს სტოკჰოლმში ვერ გააკეთებენო». ოსკარ მეფეს მთელი ოცი წუთის განმავლობაში უთვალთვლებია და როცა ბორენის მიერ ფრანგულად დაწერილ შინაარს გაეცნო, უბრძანებია: «საკვირველია, სოლომონის «ქებათა ქებათა»-სა ჰგავსო. გაადაეცით ჩემი გულითადი მადლობა «წერა-კითხვის საზოგადოებასო». მეფეს მრავალი წიგნი მიართვეს, და მასაც უბრძანებია წიგნები გადაეცით უფსალისა და ქრისტიანის უნივერსიტეტებსო. კონგრესის მდივანს უთქვამს ცაგარელისათვის:

«თქვენ «ვეფხისტყაოსანს» იშვიათი პატივი ხვდა წილად. მეფემ წიგნი თავის წიგნთ-საკითხავისათვის მოინდომა და ეხლა მის კაბინეტშიაო» [6: 1]. 1900 წელს ქ. მაინცში გუტენბერგის საიუბილეო დღეებისათვის და მუზეუმისათვის გაგზავნილი იგივე გამოცემის შესახებ ქალაქის თავი დოქტორი გასსნერი სამადლობელ წერილში აღნიშნავდა: «მშვენიერი საჩუქარი სასახელოა ქართული სტამბისათვის და სამუდამოდ დარჩება გუტენბერგის ქალაქში. ნაწარმოები ჯერ დიდ გამოფენას დაამშვენებს, შემდეგ შეიქმნება მშვენებათ გუტენბერგის მუზეუმისა»-ო. [6: 1].

სტამბის დაარსებამდე, და შემდეგშიც, ხელნაწერი ძეგლები ვრცელდებოდა გადამწერთა მიერ წიგნის მოყვარულები მრავლად იყვნენ, ხოლო გადამწერნი ნაკლებად. იყვნენ ორგვარი გადამწერნი: ფასით გადამწერნი და მწიგნობრობის მოყვარენი. „ერთნიც და მეორენიც დახელოვნებულნი იყვნენ ისეთს მშვენიერის ხელით წერაში, რომელიც მხოლოდ დიდი ხნის ვარჯიშობითა და წარმატების მეცადინეობით მოიპოვება» [1: 7]. გადაწერას დიდი შრომა სჭირდებოდა. ამას ემატებოდა მეღნის შოვნა, ქაღალდის სიძვირე, რომელიც თავრიზიდან ან სტამბოლიდან მოჰქონდათ. (თავრიზიდან მოტანილი ქაღალდი ჩინეთიდან ჩამოტანილი იყო). გადამწერებმა იცოდნენ თავისი შრომის ფასი, ის ძალიან ძვირად უღირდათ, ამიტომ უფრო ხილდებოდნენ ხელნაწერ წიგნებს. „გადაწერა იაფი არ იყო, მაგალითად, ვეფხისტყაოსნის გადაწერაში რამდენსამე პროხას აძლევდნენ» [1: 7]. გადამწერებში უპირველესი ადგილი ეჭირათ მწიგნობრობის მოყვარულთ, რომელნიც თავისი ბიბლიოთეკისა და მეგობრებისათვის უსასყიდლოდ წერდნენ იმ განზრახვით, რომ არ დაკარგულიყო და ერთი თაობიდან მეორეს გადაცემოდა მწიგნო-ბრობის სიყვარული და ამ გზით მომხდარიყო წიგნების გავრცელება, შენახვა და დაცვა. ზოგი გადამწერის გვარი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იყო ცნობილი, რადგან მათი შთამომავლობაც მისდევდა გადამწერლის ხელობას. შეიძლება ითქვას, რომ მათი შრომის შედეგია ქართული მწერლობის უამრავი ძეგლის დაცვა.

საეკლესიო-სამონასტრო და კერძო საოჯახო ბიბლიოთეკები ივსებოდა ორიგინალური და მთარგმნელობითი ძეგლებით. ყოფილა შემთხვევები, როცა ოჯახებიდან წიგნები „გაფანტულ-გამოფანტულა თუ სხვის სახლებში და თუ ქაღალდის მყიდავ მეწვრილმანეებში”. [1: 12] «იესე ოსეს შვილის თავგადასავალში» წერია: „ჩემს მომნათლავს მრავალი წიგნები დარჩა, მისი ცოლი და შვილი ატარებდნენ ბაზარში და ჭერამზედ ჰყიდნენო” [7: 37]. პლატონ იოსელიანის საოჯახო მდიდარი ბიბლიოთეკა – 120 ფუთი სიგელ-გურჯებისა და ძვირფასი წიგნადი ფონდი მისი გარდაცვალების შემდეგ, გაყიდულა. შემსყიდველთა შორის, ვისაც 36 ფუთი უყიდა, ზაქარია ჭიჭინაძეც ყოფილა. ამბობენ, რომ დავით რექტორის, რომელიც ამავე დროს ცნობილი გადამწერიც იყო, ქართული წიგნების ბიბლიოთეკა გაყიდვის დროს ცხრა ფუთი გამოვიდაო [1: 12].

არაერთი ფაქტის დასახელება შეიძლება ქაღალდის შემსყიდველებზე. მყიდველები ძირითადად ბაზრის ყასბები იყვნენ, რომელნიც ხორცის გასახვევად იყენებდნენ ქაღალდს და უძვირფასეს ძეგლებს ანადგურებდნენ, არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

ბიბლიოთეკების საჯაროობა, მათი დაარსება, გარკვეულ პირობებს ეფუძნება. თავისი წესები გააჩნდა კერძო ბიბლიოთეკებს, რომლებიც შეიძლება ითქვას, საჯარო ბიბლიოთეკების წინამორბედნი იყვნენ. თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებაზე საკითხის წამოჭრა პირველად ქართველების სიძის, დიდი რუსი პოეტის, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელს უკავშირდება.

1828 წელს პეტერბურგში ყოფნისას გრიბოედოვს მოუნახულებია თავისი ახლო მეგობარი, გრაფი ნიკოლოზ მორდვინოვი, 1765 წელს რუსეთის მსხვილ მემამულე თავადაზნაურთა მიერ დაარსებული „რუსეთის თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების» თავმჯდომარე [8: 178]. იგი გავლენიან პირად ითვლებოდა რუსეთის საზოგადოებასა და ჩინოვნიკთა წრეებში. სწორედ მისთვის უთხოვია გრიბოედოვს თბილისში ბიბლიოთეკის დაარსებასთან დაკავშირებით მთავრობის წინაშე საკითხის დასმა. 1830 წლის 29 აპრილს მორდვინოვს იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში და მათ შორის თბილისშიც, საჯარო ბიბლიოთეკების დაარსების საჭიროებაზე, წერილით მიუმართავს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრისათვის: „სახალხო განათლება და ამასთანავე ერთად, თვით სახალხო, განსაკუთრებით სამიწათმოქმედო მრეწველობა ჩვენში ძალიან შეფერხებულია, საგრძნობლად შენელებულია თავისი წინსვლით... მეცნიერებაში და ხელოვნებაში სხვადასხვა ყაიდის ცნობების არასაკმარისობა, მონაცემების არ არსებობა... ყოველივეს მიღება შესაძლებელია მხოლოდ საჯარო ბიბლიოთეკებში წაკითხვით, სადაც ღარიბსაც კი შეუძლია, არც ისეთი დიდი ფულადი გადასახადით ისარგებლოს ყველა თხზულებით და ჟურნალ-გაზეთებით რუსეთის და საზღვარგარეთის ენებზე» [9: 13].

თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა გრაფ, გენერალ-ფელდმარშალ მიხეილ ვორონცოვის (1762-1856) კავკასიაში მმართველობის (1844-54) პერიოდს უკავშირდება. მეფისნაცვლისა და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდლის ათწლიანი მოღვაწეობის დროს, 1846 წელს მეფისნაცვლის კანცელარიაში საჯარო ბიბლიოთეკამ დაიდო ბინა _ დაიწყო მისი წიგნადი ფონდით და ჟურნალ-გაზეთებით შევსება. ამ დროისათვის რუსეთში სამად-სამი სახალხო-საჯარო ბიბლიოთეკა არსებობდა: პეტერბურგში, მოსკოვში და ოდესაში.

როგორც ირკვევა, 16 წლით ადრე, გენერალ-ფელდმარშალის, რუსეთ-ირანის (1826-28), რუსეთ-ოსმალეთის (1828-29) ომების დროს კავკასიის ჯარების მთავარსარდლის ივანე პასკევიჩ-ერივანსკის კავკასიაში თითქმის ოთხწლიანი მთავარმართებლობის დროს, 1830 წელს, დაიწყო ფიქრი თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების თაობაზე [4: 705]. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის სტეფანე სტრეკალოვის მიერ 1830 წლის 5 ივლისს გაცემული წერილობითი ბრძანების (№57) საფუძველზე თბილისში უნდა დაარსებულიყო საჯარო ბიბლიოთეკა. საკითხის შესწავლა დაევალა პასკევიჩის კანცელარიაში სამოქალაქო გუბერნატორს, 1829-31 წლებში ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველს პეტრე ზავილეისკის, რომელმაც გენერალ-მაიორი ხოვენი შეცვალა. 1831 წლის 8 იანვრის ზავილეისკის პატაკში, საჯარო ბიბლიოთეკის შექმნასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „დავიწყე რა საკითხის შესწავლა, მოვთხოვე თავიანთი აზრი გამოეთქვათ თავადაზნაურთა წინამძღოლს გენერალ-მაიორ თავად ბაგრატიონ-მუხრანელს და ამიერკავკასიის სასწავლებლების დირექტორს. მათთან შეთანხმების შემდეგ, მიგვაჩნია: 1) რადგან საჯარო ბიბლიოთეკა დასაწყისში არცთუ დიდი რაოდენობის წიგნებისაგან იქნება შედგენილი, სახელდობრ: თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების შრომებისაგან, ზოგიერთი თხზულებისაგან და ბიბლიოთეკისათვის შეწირული თითო-ოროლა ნაწარმოებისაგან, თავდაპირველად საკმარისი იქნება პირველ ეტაპზე შერჩეული იქნას ერთი წესიერი ოთახი, რადგან განსაზღვრული არ არის ბიბლიოთეკის შენახვის რაიმე ხარჯები. შენობის ქალაქიდან გამოყოფა არ ივარაუდება, ამიტომ ოთახი მოიძებნოს ქირით; 2) მკითხველის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, წიგნის დაზიანების ან სხვა შემთხვევებისაგან დაცვა მოხდეს, არსებულ საჯარო ბიბლიოთეკებში მიღებული

წესის მიხედვით. წიგნის წაკითხვა ხდება, მხოლოდ სამკითხველო დარბაზებში და მკითხველს სახლში წასაკითხად არ მიეცემა. მაგრამ, თუ მოხდა ისე, რომ საერთო წესმა ადგილობრივად ვერ გაამართლა და ქალაქში ცნობილ პირს ბიბლიოთეკის წიგნი, ბიბლიოთეკარის შეხედულებით, მისი უშუალო პასუხისმგებლობით იქნა გაცემული, იგი ვალდებულია იზრუნოს წიგნის დაზიანებისაგან გადასარჩენად; 3) ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის, ფულადი სახსრების უქონლობის გამო, საჭიროა დაევალოს რომელიმე ჩინოვნიკს, რაც მისაღებია ზოგიერთი ნაკლებად დატვირთული ჩინოვნიკისათვის სამეცადინეოდ, ვის გამოძებნასაც მე ვიღებ, ძირითადი სამსახუროებრივი მოვალეობისაგან მოუწყვეტლად დაინიშნოს ბიბლიოთეკარის ადგილზე დღის მეორე ნახევარში; 4) ახლად დაარსებული დაწესებულების სასარგებლოდ, მისი წარმატებით ფუნქციონირებისათვის პირებმა, რომლებიც მეცადინეობენ და ბიბლიოთეკას გულშემატკივრობენ, საჭიროა აიღონ თავიანთ თავზე საპატიო მზრუნველის წოდება, ურიგო არ იქნებოდა თავადთა მხრიდან, დაწყებული თავადაზნაურთა წინამძღოლიდან; 5) ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება სხვადასხვა რაოდენობით შეწირვების გზით, შესყიდვების ნაკლებ ხარჯზე, დაზოგავდა ბიბლიოთეკარის შენახვის და ბიბლიოთეკის შიგნით აუცილებელ ხარჯებს, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას ფულად შემომწირველთა სია, ხოლო მომავალში კი საზოგადოების შექმნა, რომლის წევრებიც მოთხოვნილების მიხედვით საწევროებს შეიტანენ.

თქვენო აღმატებულებაჲ! ასეთია ჩვენი ხედვა თავდაპირველად საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ და მისი კეთილმოწყობის აუცილებლობის საჭიროებებზე. გიპატაკებთ, რომ იმ შემომწირველთაგან ზოგიერთი ჟურნალი და ნაწარმოებები უკვე გამომიგზავნეს, ხოლო სხვას გამოაგზავნიან, როცა მიიღებენ ბიბლიოთეკის დაარსების ამბავს. [10: ტ.8. 48-49].

1831 წლის აპრილში გრაფ, გენერალ ივანე პასკევიჩ-ერივანსკის მმართველობა დასრულდა, მისი პოლონეთში გაწვევით. ამავე წლის აგვისტოში მის ნაცვლად დაინიშნა ბარონი გრიგორი როზენი I (1782-1841). [6: 422] ზავილეისკიმ, სანამ გადაიყვანდნენ სხვაგან, მოასწრო ეპატაკა 1831 წლის 19 დეკემბერს [1: 385] ბარონ როზენისათვის ბიბლიოთეკის თაობაზე. იგი წერდა: „თქვენო აღმატებულებაჲ, მიმდინარე წლის 10 დეკემბრის თქვენი მოწერილობის საფუძველზე პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ 1830 წლის 5 ივლისის ბრძანება მივიღე იმავე წლის 17 აგვისტოს, მიღებული მითითებების საფუძველზე, ასევე მივიღე სამხედრო გუბერნატორისაგან განმარტება, რომ საჯარო ბიბლიოთეკის დასაარსებლად არ გამოიყოფებოდა ფულადი სახსრები, არც გათბობისათვის, არც შენობის განათებისათვის, არც მომსახურე პერსონალის დაქირავებისათვის და არც ყოველივე შემთხვევის დანახარჯებისათვის, რისთვისაც წინასწარ უნდა გაიხსნას ნება-ყოფლობითი ხელმოწერა. ყოველივეს შესახებ ვაცნობე სრულიად საქართველოს სათავადაზნაურო წინამძღოლს, ვთხოვე ამომდგარიყო გვერდში, შეწირულების მისაღებად ხელმომწერლები ეპოვნა, გაემრავლებინა მათი რაოდენობა, მოეტანა შემომწირული თანხა ჩემთან, რომ მოთხოვნილებისდა მიხედვით მემოქმედა, რაც აუცილებელი იყო ბიბლიოთეკის დაარსებისათვის. გარდა ამისა, ჩემს მიერ მიღებული იქნა ზომები საქართველოს წარმომადგენლობით ადგილებში, ვთხოვეთ მოეპატოუებინათ საჯარო ბიბლიოთეკის თაობაზე, თავიანთი სურვილით, ხელმომწერლები ოლქების ხელმძღვანელებს, დისტანციის მთავარ ბოქაულებს, სამაზრო პოლიციის უფროსებს და პოლიცმაისტერებს. ასევე მივმართეთ, კავკასიის კორპუსის შტაბებს, სამხედრო უწყებებში განკარგულებებით ხელმომწერთა გამოვლინებაზე, დარიგდა

ხელმოსაწერი ქაღალდებიც. თბილისის პოლიცმა-ისტერმა გასული წლის 15 დეკემბერს მოგვახსენა, რომ არცერთმა აქაურმა ადგილობრივმა მცხოვრებმა, ვისაც აქვს მოხერხებული შენობა, არ გამოთქვა სურვილი დაეთმო ბინა ქირით საჯარო ბიბლიოთეკისათვის, რომელსაც მთავრობა აარსებს. შენობის მეპატრონე არ დათანხმდა უფასოდ დაეთმო ბინა, რომ ამ გზით მომხდარიყო ცოდნის შექმნისათვის საჭირო საშუალება, რაზეც ამდენს ფიქრობს მთავრობა ამ მხარისათვის.

დიდი სურვილი იყო დაარსებულიყო საჯარო ბიბლიოთეკა შენობაში, სადაც განთავსებული იყო წიგნის მაღაზია და კერძო სამკითხველო ბიბლიოთეკა ქალბატონ ეკატერინა კოტოვასი. მე ვურჩიე თბილისის ბინების კომისიას მთავრობისაგან დასაარსებლად აღნიშნულ შენობაში გამოეყოთ ოთახი საჯარო ბიბლიოთეკისათვის, საიდანაც მიღებული იქნა პასუხად: მართალია აღნიშნული შენობა ეკუთვნის ხაზინას, მაგრამ გაცემულია ქირით საქართველოს სახაზინო ექსპედიციაზე, ხელშეკრულების მიხედვით წელიწადში 120 რუბლი ვერცხლით. მოსაზღვრე შენობაში (ლაპარაკია, გოლოვინის გამზირზე მდებარე შენობაზე, რუსთაველის სახ. თეატრის წინ. გ. ს.) არის ორი ოთახი, დაუმთავრებელია მშენებლობა, არ გააჩნია ჭერი, ტიხარის კედელი, იატაკები, კარები და ფანჯრები. იგი ეკუთვნის ადგილობრივ მოქალაქეს მიხეილ სარაჯიშვილს (სოვდაგარი, ძირძველი თბილისელი. „ჩამომავლობით თბილისის საპატიო მოქალაქე», ქალაქის სხვადასხვა უბნებში გააჩნდა რამდენიმე საკუთარი სახლი და 1824 წელს აშენებული ტყავის ქარხანა, იმპერიაში ერთ-ერთი მსხვილი საწარმო. გ. ს.), და მცირეწლოვან ბავშვებს, გარდაცვლილი სოფიო ოქრომჭედლის ქვრივს. მეპატრონეებს სახაზინო ექსპედიციის გამო, ჰქონდათ დავა თბილისის სამშენებლო კომიტეტთან ამიტომ მშენებლობა იყო გაჩერებული. მიმდინარე წლის 5 მარტს მოვთხოვე ბინების კომისიას მოეცა მონაცემები, თუ რაში მდგომარეობდა სახაზინო ექსპედიციის უფლებები აღნიშნულ შენობაზე. გვანტერესებდა, მალე დასრულდება თუ არა სარემონტო სამუშაოები, მაგრამ დღემდე ვერ მივიღეთ პასუხი. ხელმეორედ მივმართეთ კომისიას, რათა დაჩქარებულიყო მონაცემების გამოგზავნა.

საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა ფერხდება შენობის უქონლობის და მცირედი თანხის გამო, რაც შეადგენს 67 რუბლს და 5 კაპიკს ვერცხლით [10: ტ.8. 62-63].

განათლების მინისტრის გრაფ სერგეი უვაროვის სახელზე გაგზავნილ ბარონ როზენის წერილში ნათქვამია: მიმდინარე წლის 25 ივლისს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს მოვთხოვე მოეცა პასუხი, შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარულ ბრძანებასთან დაკავშირებით თბილისში საგუბერნიო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ: რა ეტაპზე იყო საკითხის განხილვა და შეიძლებოდა თუ არა გვეფიქრა ბიბლიოთეკის წარმატებით გახსნაზე. მიმდინარე წლის 19 დეკემბრის თავად ფალავანდიშვილის პატაკში ნათქვამია, რომ რაც ის დაინიშნა გუბერნატორად, აღადგინა მოლაპარაკებები თავადაზნაურთა წინამძღოლთან, ცნობილ პირებთან და აწარმოა შეხვედრები სხვადასხვა ადგილებში, მოითხოვა გაეღოთ შეწირულობები. მიუხედავად მცდელობებისა, ამას შედეგი არ გამოუღია.

გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა განაცხადა, რომ თავადთაგან არავინ არ მოიწადინა გაეღო ფულადი შეწირულობა, არავინ არ მოისურვა გამხდარიყო ბიბლიოთეკის მზრუნველი. ზოგიერთი პირისაგან იქნა მიღებული შემოწირულობა ძალზე მცირედი, რაც ბიბლიოთეკის დაარსებისათვის ზღვაში წვეთია. შეგროვდა თანხა ოთხმოცამდე რუბლი ვერცხლით.

თუ შევაჯამებთ სახალხო გუბერნატორის ნათქვამს, დავძენთ, ვინაიდან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა რუსული ენა არ იციან და მხედველობაში მივიღებთ

თავადაზნაურთა ეკონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობას, მეჩვენება, რომ ამ ეტაპზე საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება შეწირულობის გზით შეუძლებელია [10: ტ.8. 23].

ბარონი როზენი თბილისში მცხოვრებ ქართველებს აბრალებს რუსული ენის უცოდინარობას და აქცენტს აკეთებს თავადაზნაურთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე, თითქოს მათ, როგორც ხელმომწერთ არ შეეძლოთ შეწირულების გაღება, შეურაცხმყოფელი სიცრუეა. როზენი ის მთავარმართებელია, ვინც 1832 წლის შეთქმულება გამოააშკარავა და თითქმის 40 ადამიანს, ქართველ საუკეთესო მამულისშვილს, იმპერიის სხვადასხვა ადგილებში გადასახლება მოუწყო. კავკასიაში რუსის მმართველობა სამხედრო პოლიტიკით შემოიფარგლებოდა და ხალხზე არავინ ფიქრობდა. 1801 წლიდან, რუსების საქართველოში შემოსვლიდან, ერთ წელიწადში, კახეთის აჯანყებიდან, გაწამებული ქართველობა, ვაის გაეყარა და უის შეეყარა. ამიტომ ამბობდნენ კონსტანტინეპოლში, ინგლისელი ელჩი და მისი მეუღლე: „ოღონდ ყველგან მოიპოვოს მფლობელობა რუსეთმა და ამისათვის არაფერს არ დაზოგავს, არც ფულითა და არც ზნეობითო... რუსეთი... თავისდღეში არ შეჩერდება არც უსამართლობის, არც შეუბრა-ლებლობის წინაშე, ოღონდ კი თავისი გულის წადილი განიხორციელოსო» [11: 131-132].

და ბოლოს, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილე დიმიტრი ყიფიანი (1814-87) გვიყვება თუ როგორ მოხდა „თბილისის კერძო ბიბლიოთეკის» დაარსება, სადაც შეამხანაგებულებმა ფულიც გაიღეს, წიგნებიც შეაგროვეს, შეაწუხეს აკადემიკოსი მარი ბროსე, რომ გამოეგზავნა მათთვის 1000 რუბლის ღირებულების წიგნები. ამ გზით სოლიდური ბიბლიოთეკა დააარსეს: „მე ვიყავი მთავარ-მართველობის კანცელარიის განყოფილების უფროსი და ერთხელ სამსახურის საქმის მოხსენების შემდეგ. ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინს გამოვუცხადე რამდენიმე ჩემი ტოლამხანაგის სურვილი, რომ გვინდოდა დაგვეარსებინა კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა და დაგვრთავდა თუ არა ამის ნებას.

რა რომ მივიღე იმისი მხრივ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სრული თანხმობა. მეორე შემთხვევის დროს წარვუდგინე მას „თბილისის კერძო ბიბლიოთეკის» წესდების პროექტი და როგორც კი მოაწერა ზედ: „ვამტკიცებ გოლოვინი», აღარ დაგვიყოვნებია ჩვენი სურვილის განხორციელებას შევდგომოდით. მომყავს აქ ამ ბიბლიოთეკის დამაარსებელთა სახელები: დიმიტრი ყიფიანი, ზაქარია ერისთავი, ზაქარია ფალავანდიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ზაქარია ორბელიანი, კონსტანტინე დადიანი, ალექსანდრე ონიკაშვილი, ლევან მელიქიშვილი, ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი, თევდორე კოცებუ, ზნაჩკო იავორსკი, ნიკოლოზ ბეზაკი, კონსტანტინე ორლოვსკი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე, დავით არზანოვი, სერგეი ვასილკოვსკი, დავით ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ივანე ორბელიანი.

სამწუხარო სათქმელია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პირიდან 1885 წელს მხოლოდ ხუთია ცოცხალი... ბიბლიოთეკა ჩემს ბინაზე იყო მოთავსებული და მე ვიყავი ბიბლიოთეკის გამგედ 1848 წლამდე... ამ წელს მეფის მოადგილის მთავარ-მართველობამ თავის კანცელა-რიასთან გახსნა ბიბლიოთეკა იმ მიზნით, რომ ბოლოს და ბოლოს საჯარო ბიბლიოთეკა მოეწყობოთ თბილისში. ამასობაში ჩემი ბიბლიოთეკის წევრები თანდათან შემომეცალნენ და 1848 წელს მე დავრჩი ერთადერთი მისი წარმომადგენელი... ჩემი სამსახურის მუშაობა როგორც მთავარ-მართველობის საბჭოს საქმეთა მმართველისა იმდენად გართულდა, რომ სრულიად აღარ შეემძლო არც ყურისგდება ამ ბიბლიოთეკისა, არც მისი ჩემს ბინაზე შენახვა» [11: 129].

16 წელიწადმა განვლო, 1830 წლიდან, სანამ თბილისში დაარსდებოდა, რუსეთის იმპერიაში მეოთხე, საჯარო ბიბლიოთეკა და საზოგადოებას მიეცემოდა საშუალება ესარგებლა ჟურნალ-გაზეთებით და საჭირო ლიტერატურით.

Г. САРАДЖИШВИЛИ
ИЗ ИСТОРИИ ОСНОВАНИЯ ПУБЛИЧНОЙ
БИБЛИОТЕКИ В ТБИЛИСИ

Резюме

В статье – «Из истории основания в Тбилиси публичной библиотеки», приведена предыстория учреждения публичной библиотеки в Тифлисе. На основании исторических источников показано, как, начиная с 30-х годов XIX века, Александр Грибоедов, наместники Императора России на Кавказе: Иван Паскевич-Ериванский, Григорий Розен, Евгений Головин пытались основать библиотеку в Тифлисе.

G. SARAJISHVILI
FROM THE HISTORY OF FOUNDATION OF
PUBLIC LIBRARY IN TBILISI

Summary

The Publication - “From the History of the Foundation of the Public Library in Tbilisi”, gives the first attempts in founding the Public Library in Tiflis. On the basis of historical sources, it is obvious, how Alexander Griboyedov, the Caucasian Viceroy Ivan Paskevich-Erivanski, Gregory Rozen and Eugene Golovin put all their best in setting up a public library in Tbilisi in 1930s during 18 years.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. უმიკაშვილი პ. გადამწერელი ქართულის წიგნებისა : [დავით რექტორის შესახებ] // ივერია . - 1877 . - № 39.
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია : ტ. 2 . - თბ. , 1977.
3. ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია : ტ. 1 . - თბ. , 1941.
4. ჯანაშვილი მ. საისტორიო და საბიბლიოგრაფიო შენიშვნები // ივერია. - 1899. - 6 მაისი (№94).
5. აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი . - ვბათუმი . - 1998.
6. ახალი ამბავი // ივერია . - 1889 . - 22 სექტ., (№200)
7. იესე ოსეს-შვილი. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა / (ს. კაკაბაძის რედაქციით). - თფ., 1913.
8. აღ. ლორია, ნ. გურგენიძე. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში. - თბ., 1974.
9. Узнадзе В. В. История Тифлисской публичной библиотеки (1846-1917) . - Тб. , 1957.
10. Акты Кавказской Археографической комиссии : Т.7 , ч.1 / Под редакции Адольфа Берже . - Тиф. , 1878;
11. ყიფიანი დიმიტრი. მემუარები . - თბ. , 1990.

გ უ რ ა მ ჩ ხ ა ი ძ ე

კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის შენობის ისტორია

კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის შენობას საინტერესო ისტორია აქვს და იგი საქართველოში, ზოგადად, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო მოძრაობის ისტორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

1865 წელს, გერმანელი მეცნიერის გუსტავ რადეს ინიციატივით, ჩამოყალიბდა კავკასიის მუზეუმი [18: 275]. მისთვის თბილისში სერგეევის (დღევანდელი მაჩაბლის) ქუჩაზე ფინანსისტ ა. ცოვიანოვის სახლში 1200 მანეთად დროებით დაიქირავეს სამოთახიანი ბინა [2: 3].

მაგრამ სულ მალე დადგა მუზეუმისთვის სპეციალური შენობის აგების საკითხი. შეირჩა ადგილი გოლოვინის პროსპექტზე მეფისნაცვლის სასახლის პირდაპირ ე. წ. სასახლის მოედანზე. ნაგებობას სასახლიდან გადაშლილი ხედი რომ არ დაეფარა, მისი აგება დაიწყეს სასახლის პერპენდიკულარულად გოლოვინისა და ნიკილოზის (დღევანდელი ნ. ვაჩნაძის) ქუჩების. გადაკვეთაზე. პროექტის შედგენა დაევალა არქიტექტორ ალ. ზალცმანს (უმცროსს) [22: 38]. მშენებლობა დაიწყო 1868 წლის აგვისტოში და სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა.

ამავე პერიოდში, კავკასიის მუზეუმის სამეცნიერო პოტენციალის გასაძლიერებლად დაისვა მასთან ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მიერთების საკითხი. ამ უკანასკნელს მუზეუმთან გაერთიანებამდე ოცწლიანი განვითარების გზა ჰქონდა გავლილი და საკუთარი ტრადიცია გააჩნდა.

საჯარო ბიბლიოთეკა, კავკასიის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის ინიციატივით, ჯერ კიდევ 1846 წელს დაარსდა და განთავსებული იყო ჯერ მეფისნაცვლის სასახლეში, ხოლო შემდეგ ქალაქის ცენტრში, ალექსანდრეს ბაღის დასავლეთ ნაწილში – ორბელიანების სახლში.


1868 წლის იანვრიდან კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ერთ დაწესებულებად გაერთიანების შემდეგ მათი ბედი ერთნაირი იყო: ორივე სისტემატურად განიცდიდა ფართის უკმარისობას და დიდ სივიწროვეს. ბიბლიოთეკას ეჭირა კავკასიის მუზეუმის ეზოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აგურის ერთსართულიანი, აღმოსავლური სტილის შენობა, ბარონის (დღევანდელი ან. ფურცელაძის) ქუჩის გასწვრივ. ბიბლიოთეკისა და მუზეუმის შენობებს შორის ვრცელი ეზო მარადმწვანე ხეებით იყო დაჩრდილული და გოლოვინის გამზირიდან რკინის მაღალი გისოსებით შემოღობილი. ბიბლიოთეკა მკითხველებისთვის ღია იყო ყოველდღე, ზამთრის თვეებში 12-დან 5 საათამდე. ზაფხულში კი — 2-დან 7 საათამდე.

მუზეუმისა და ბიბლიოთეკისადმი ხელისუფლებისა და საზოგადოების აქტიური მხარდაჭერის გამოხატულება იყო ის, რომ 80-იან წლებში დაიწყო მათი შენობის რეკონსტრუქცია-გაფართოება. ერთსართულიან შენობას 1881 წელს არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდის პროექტით დაეშენა მეორე სართული, რითაც ბევრად გაიზარდა სასარგებლო ფართი. ამან მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცირერიცხოვან კოლექტივს შესაძლებლობა მისცა ღირსეულად დახვედროდა V საერთაშორისო

არქეოლოგიურ კონგრესზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან თბილისში ჩამოსულ მეცნიერებს.

მუზეუმის ახალი შენობის ორ სართულსა და ანტრესოლზე განლაგებულ 17 დარბაზში მოეწყო ახალი ექსპოზიცია, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1881 წლის 8 სექტემბერს.

კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის ახალი შენობა წარმოადგენდა რენესანსის კლასიკური სტილის კაპიტალურ ნაგებობას, რომლის შუა ნაწილი ოდნავ წინ იყო გამოწეული და ბერძნული სამკუთხა ფრონტონითა და ექვსი კორინთული სვეტით იყო დამშვენებული. სვეტებს შორის პატარა აივანზე ორი მრგვალოფეხი ფანჯარა და ერთი დიდი კარი გამოდიოდა. სამკუთხა ფრონტონის ქვეშ ეპისტოლზე რუსული მთავრული ასოებით მოთავსებული იყო წარწერა «МУЗЕЙ».



შენობის მშენებლობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მთავარი შესასვლელის გაფორმებას. მუზეუმის დირექტორის გ. რადეს ინიციატივით მუზეუმის ვესტიბიულის კედლები დაიფარა ფრესკული მხატვრობით. დიდი ფართის კედლებზე აღიბეჭდა კავკასიასთან დაკავშირებული მითოლოგიური სიუჟეტები, ხოლო შედარებით მცირე ზომის კედლებზე – დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გელათისა და ვარძიის ფრესკების ასლები. იგი შეასრულა ავსტრიელმა მხატვარმა **ფრანც ზიმმა**.

მუზეუმის ახალი შენობისა და მისი გამოფენების შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: «მუზეუმის აღწერა შორს წავა. ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ტფილისის მუზეუმი დიდის გემოვნებითა და მეცადინეობით არის მოწყობილი. სახელი და დიდება ბატონ რადეს, მუზეუმის გამგებელს. მართლა რომ მოსაწონი რამ არის, ლამაზად მოწყობილი და კოპწიად მორთული. ჩვენ ყველას ვურჩევთ თავისის თვალითა ნახოს და დარწმუნებული ვართ, მადლობელნი დაგვირჩებიან» [14: 115].

XX საუკუნის დასაწყისში კვლავ განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა კავკასიის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობის გაფართოების საკითხი. XIX საუკუნის 70-იან

წლების შუა ხანებში აგებული შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. საფონდო ოთახები ვეღარ იტევდა სამუზეუმო კოლექციებს, ექსპოზიციების გადატვირთვა უკვე ყოველგვარ ფარგლებს სცილდებოდა. დიდ სივიწროვეში იყო ბიბლიოთეკაც-სამკითხველო დარბაზისა და წიგნების საცავის მხრივ. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო შენობის ფასადი, რომელიც მობათქაშებული იყო და ყოველწლიურად საჭიროებდა რემონტს, რაც ძალზე ძვირი ჯდებოდა. მდგომარეობას ამძიმებდა შენობის ფასადის გასწვრივ ნიკოლოზის ქუჩის მთელს სიგრძეზე ტრამვაის მოძრაობა, რომლის ვიბრაცია და ხმაური აზიანებდა შენობას. 1904 წლის აგვისტოში ნიკოლოზის ქუჩის მხრიდან ჩამოიშალა ბათქაშის დიდი ნაწილი, რამაც საფრთხე შეუქმნა მუზეუმის დამთვალიერებლებს და ბიბლიოთეკის მკითხველებს.

მუზეუმის შენობა დააზიანა აგრეთვე 1904 წლის 4 აპრილს მომხდარმა ხანძარმა. იგი გამოიწვია დირექტორის საცხვრებელი ოთახიდან სხვენში გამავალმა გადახურებულმა საკვამურის მილმა. ხანძარი მალე ჩააქრეს, მაგრამ სხვენი მნიშვნელოვნად დაზიანდა.

1905 წელს შენობის ფასადიდან ბათქაშის ცვენა გაძლიერდა და კედლებზე გაჩნდა ბზარები, რომელიც თანდათან იზრდებოდა. მუზეუმის დირექციამ 9 სექტემბერის №681 წერილით მიმართა თბილისის გუბერნატორს და მოითხოვა არქიტექტორისა და სათანადო სპეციალისტების გამოყოფა შენობის მდგომარეობის შესამოწმებლად. 15 სექტემბერს მოწვეულმა ტექნიკურმა კომისიამ შეადგინა აქტი, რითაც დაადასტურა შენობის ავარიული მდგომარეობა და დაადგინა საძირკვლის სისუსტე და მიწისქვეშა წყლების შედეგად ნიადაგის არამდგრადობა. შეიქმნა შენობის შემსწავლელი კომისია მეფისნაცვლის საბჭოს წევრის მ. გაკელის თავმჯდომარეობით. 1906 წლის 3 მაისს გამართულ კომისიის სხდომაზე ინჟინერმა ნ. მიხაილოვმა აღნიშნა შენობის კედლებზე, განსაკუთრებით კი მის ქვედა სართულებზე, ბზარების კატასტროფული ზრდა. ამასთან ერთად, კომისიამ ხასგასმით მიუთითა, რომ შენობის მიმდინარე შეკეთებები საქმეს ვეღარ უშველიდა და საჭირო იყო მუზეუმისა და ბიბლიოთეკისთვის ახალი შენობის აგება. ამ აზრს მუზეუმის დირექციამ მხარი დაუჭირა და მოითხოვა ახალი შენობის ასაგებად ინჟინრის (ახლანდელი ჯორჯაძის) ქუჩის ზედა მხარეს ალექსანდრეს ბაღთან არსებული მიწის ნაკვეთის გამოყოფა, იმის გათვალისწინებით, რომ შენობის ფასადი გავიდოდა ლორის-მელიქოვის (ახლანდელი ლ. გუდიაშვილის ქუჩაზე), მაგრამ კავკასიის ოლქის საინჟინრო სამმართველომ, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ადგილი, უარი განაცხადა მიწის ნაკვეთის დათმობაზე. მიზეზად აქ არქიტექტორ ლ. ბილფელდის მიერ წამოწყებული ქაშვეთის ეკლესიის მშენებლობა დასახელდა.

ასევე შედეგი არ მოჰყოლია დირექტორ ალ. კაზნაკოვის მიერ დაყენებულ საკითხს, მუზეუმისა და ბიბლიოთეკისთვის გადაეცათ გოლოვინის გამზირზე მდებარე კადეტთა კორპუსის შენობა [17].

მიუხედავად იმისა, რომ შენობის სარემონტო სამუშაოებზე ყოველწლიურად იხარჯებოდა საკმაოდ დიდი თანხები, მისი მდგომარეობა თანდათანობით მძიმდებოდა. კავკასიის მეფისნაცვალი ი. ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა: «შენობა, რომელიც ამჟამად კავკასიის მუზეუმს უჭირავს, იმდენად ვიწროა და, ხანძრის გაჩენის თვალსაზრისით, საშიშია, რომ სრულიად გამოუსადეგარია თავისი დანიშნულებისთვის. შენობის კედლების ჩამონგრევის საფრთხეს აძლიერებს ტფილისისათვის დამახასიათებელი ხშირი მიწისძვრები და თუ არ იქნება დროული დახმარება, შეიძლება შეიქმნეს იმის

სამიშროება, რომ უდიდესი და მატერიალურად შეუფასებელი სამეცნიერო ღირებულების მქონე მისი კოლექციები ერთ დღეს დაიმარხოხს ნანგრევების ქვეშ, ან გახდეს ხანძრის მსხვერპლი. ამგვარად, მხარის შესწავლისათვის გაწეული ორმოცწლიანი შრომა საბოლოოდ დაიღუპება. ერთადერთ საშუალებად კავკასიის მუზეუმის ბედის გადასაწყვეტად და მხარის კვლევისათვის მუშაობის გასაგრძელებლად რჩება ახალი, უფრო ვრცელი შენობის აგება, რომელიც დაჯდება 300000 მანეთი» [16: 121].

1906 წლის 28 ივნისს მეფისნაცვლის კანცელარიის სტამბაში, რომელიც მდებარეობდა მუზეუმის ეზოს ჩრდილო-დასავლეთით მოხდა აფეთქება, იგი გამოიწვია სტამბაში დაცული ადვილად აალებადი და ასაფეთქებელი მასალების შენახვის წესების უგულ-ველყოფამ. აფეთქებამ გამოიწვია ხანძარი, რომელიც გადავიდა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობებზეც. ხანძარმა მნიშვნელოვნად დააზიანა ხსენებული შენობების ხის ნაწილები.

1906 წლის მესინას ცნობილი მიწისძვრის ბიძგებმა თბილისამდეც მოაღწია და ხსენებული შენობის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. შენობის ავარიულობა იმდენად საშიში გახდა, რომ 1908 წლის 16 დეკემბერს მეფისნაცვლის ბრძანებით იგი დაიკეტა [2: 350]. სამწუხაროდ, ეს შენობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში.

მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობისთვის ახალი მიწის ნაკვეთის გამოყოფის სირთულემ დირექციასა და ხელისუფლებას მიაღებინა გადაწყვეტილება, რომ დაეშალათ კავკასიის მუზეუმის ძველი ავარიული შენობა და მის ადგილას აეგოთ ახალი.

ახალი შენობის აგების გადაწყვეტილებას განსაკუთრებით მხარს უჭერდა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დირექცია. იგი ითხოვდა, რომ ახალი შენობა აგებულიყო გოლოვინის პროსპექტის გასწვრივ თორმეტსაჟენიან (24 მეტრიან) ზოლში. ეკონომიურობასთან ერთად, ამას იმითაც ასაბუთებდა, რომ მშენებლობის პროცესში უფრო იოლად მოხერხდებოდა ექსპონატებისა და წიგნების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეში და მათი დაცვა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მაშინ მოხერხდებოდა თუ მუზეუმს გადაეცემოდა ქალთა გიმნაზიის შენობის ნაწილი, რომელიც მას ეკვროდა ლორის-მელიქოვის (ახლანდელი ლ. გუდიაშვილის) ქუჩიდან.

კავკასიის მეფისნაცვლის წარდგინებით იმპერიის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რითაც უფლება მიეცა მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს სენატორ ი. ნიკოლსკის სახელმწიფო სათათბიროში დასამტკიცებლად შეეტანა წინადადება კავკასიის მუზეუმის შენობის აგების დაწვრილებითი გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ. დადგენილება დაამტკიცა იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ.

მუზეუმის შენობის ასაგებად სახელმწიფო საბჭოს მიერ მალე გაიცა ნებართვა. მშენებლობის მეთვალყურეობა დაევალა საგანგებო სამშენებლო კომისიას. შენობის დამთავრება განზრახული იყო 1913 წლისთვის.

გამოფენების დახურვის შემდეგ, 1909 წლიდან დაიწყო შენობის ავარიული კედლების დაშლა. კედლების დაშლისას გამოიჟღავნდა, რომ თავის დროზე შენობა აგებული ყოფილა ძალზე უხარისხოდ. თბილისის გუბერნატორის მიერ გამოყოფილმა კომისიამ 1909 წლის 14 მარტს დაათვალიერა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობის კედელი ლორის-მელიქოვისა და ნიკოლოზის ქუჩის მხრიდან, რომელიც ავარიულობის გამო პირველ რიგში დაშალეს და აღნიშნა, რომ

კედელი აგებული იყო უხარისხოდ: მის შუა ნაწილში ჩატანებული იყო ქვისა და აგურის ნამსხვრევები. აგურების წყობა უმრავლეს შემთხვევაში შესრულებული იყო ცემენტის ხსნარის გარეშე, ხოლო იქ, სადაც ხსნარი გამოიყენეს, ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ მის შემადგენლობაში ცემენტი ძალზე ცოტა იყო. ამიტომ ხსნარი ადვილად იფშვებოდა და აგურები ერთმენეთს შორდებოდა. დადგინდა გამოყენებული კირის უხარისხობაც. როგორც ჩანს, ქვიშის ნაცვლად გამოყენებული ყოფილა შლამი და თიხის ნარევი, დარღვეული იყო აგრეთვე შემაერთებლების გადაბმის ნორმები და სხვა [2: 89]. მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ძველი შენობების დაშლა მიმდინარეობდა მთელი 1909 წლის განმავლობაში.

1910 წლის 18 ივლისს, უმაღლესი ბრძანებულებით თანახმად, კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ახალი შენობის ასაგებად შეიქმნა საგანგებო სამშენებლო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა მეფისნაცვლის საბჭოს წევრი მიხეილ **გაკელი**, ხოლო წევრებად: ვეიდენბაუმი, ჯუნკოვსკი, რუდოლფი, ბუინოვი, კაზნაკოვი, შმიდტი, დომერშიკოვი, და არქიტექტორი კ. ტატიშჩევი. აგრეთვე თბილისის ქალაქის თავი და თბილისის კონტროლის პალატის მმართველი. კომისიის სხდომები ტარდებოდა მეფისნაცვლის საბჭოს სხდომათა დარბაზში.

კომისია თავის მუშაობაში ძირითადად ეყრდნობოდა მის მიერვე შექმნილ საგანგებო ტექნიკური სათათბიროს გადაწყვეტილებებს.

მუზეუმის შენობისა და ხარჯთაღრიცხვის პროექტის შესამუშავებლად უნდა ჩატარებულიყო კონკურსი. მაგრამ ეს ვერ განხორციელდა. დროის სიმციროს გამო პროექტის შედგენა დაევალა არქიტექტორ **კონსტანტინე ტატიშჩევს**. პროექტზე მუშაობა მან დაამთავრა 1910 წლის ბოლოს და დასამტკიცებლად წარედგინა მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს.

1911 წლის 29 მარტს, უზენაესი ბრძანებულებით, დამტკიცდა საგანგებო სამშენებლო კომისიის მიერ შემუშავებული **კანონი** კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ახალი შენობის აგების შესახებ, რომელიც მოიწონა სახელმწიფომ საბჭომ და სახელმწიფო სათათბირომ. მშენებლობათვის გამოიყო 386922 მან. და 80 კაპ; აქედან 272819 მან. და 14 კაპ. კრედიტით სახელმწიფო ხაზინიდან, ხოლო _ 114103 მან. და 66 კაპ. საერო საშუალებებიდან.

არქიტექტორ კ. ტატიშჩევის პროექტით შენობა უნდა აგებულიყო მეფისნაცვლის სასახლის პირდაპირ გოლოვინის გამზირის გაყოლებზე, ვიწრო ზოლში ნიკოლოზისა და ბარონის ქუჩებს შორის, რომლის სიგანე 12 საჟენს (24 მეტრს), ხოლო სიგრძე 50 საჟენს (100 მეტრს) უდრიდა. შენობის აგება ნავარაუდები იყო იმ დროს რუსეთის იმპერიის არქიტექტურაში გაბატონებულ ეკლექტიკურ სტილში. 1910 წლის 12 ნოემბერს კ. ტატიშჩევის მიერ წარმოდგენილი პროექტი დაამტკიცა სახელმწიფო საბჭომ.

1911 წლის 29 მარტს მშენებლობისთვის სახელმწიფო ხაზინიდან გაიცა ზემოთ აღნიშნული თანხა და სამუშაოებიც დაიწყო. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება დაეთმო ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მუზეუმის კოლექციებისა და ბიბლიოთეკის წიგნების დასაბინავებლად საჭირო ადგილის გამოყოფას და საფონდო ფართის შექმნას. ამისთვის აუცილებელი გახდა ნიკოლოზისა და ლორის-მელიქოვის ქუჩების კუთხეში, ქალთა გიმნაზიის ძველი ფლიგელის მონგრევა და მის ნაცვლად ახალი სამსართულიანი ნაგებობის მიშენება, რომელშიც განთავსდებოდა მუზეუმის კოლექციები. გარდა ამისა, მუზეუმის ეზოში სასწრაფოდ უნდა აშენებულიყო

დროებითი ორსართულიანი საწყობი, სადაც მოთავსდებოდა ბიბლიოთეკის წიგნები და კარადები.

მშენებლობაში ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა 1912 წელი. ამავე წლის აგვისტოში დამთავრდა ქალთა გიმნაზიის შენობაზე სამსართულიანი, კაპიტალური ფლიგელის მიშენება და დაიწყო იქ მუზეუმის ექსპონატებისა და ბიბლიოთეკის წიგნების გადატანა ამ ნაგებობებში მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მთელი ქონების გადატანის შემდეგ, დაიწყო ძველი შენობის დაშლა და ახლი ნაგებობის მშენებლობა.

1912 წლის სექტემბერში მუზეუმის მშენებელი არქიტექტორი კ. ტატიშჩევი საგანგებო სამშენებლო კომისიასთან უთანხმოების გამო, გადადგა თანამდებობიდან, იგი შეცვალა არქიტექტორმა ა. როგოისკიმ, მაგრამ იმავე წლის ნოემბერში იგი გარდაიცვალა. შემცვლელად სამშენებლო კომისიამ აირჩია **მიხეილ ნეპრინცევი** [21: 24]. მთელი 1912 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუზეუმის ძველი შენობის დაშლა, რომელიც 1913 წლის იანვარში დასრულდა. ამავე წელს დაიწყო მიწის და საძირკვლის სამუშაოები.

პირველი, რაც დაევალა ახალ არქიტექტორს, იყო შენობის ცენტრალური ფასადის გადაკეთება, რომელიც თეატრს უფრო შეესაბამებოდა. მ. ნეპრინცევს შეთავაზეს ფასადის აღმოსავლურ სტილში შესრულება. ასეთი არქიტექტურა იმ დროს სამხრეთ და აღმოსავლეთ რუსეთის იმპერიის ნაციონალური სტილის ოფიცი-ალურ გამოხატულებას წარმოადგენდა. აღმოსავლური, ე.წ. «გაუმჯობესებული არაბული სტილის» ინტერიერები უცხო არ იყო XIX საუკუნის თბილისისათვის. ქალაქურ არქიტექტურაში ხშირად გამოიყენებოდა გვიანი ხანის ირანული ფორმები.

გადაკეთებული პროექტი 1913 წლისთვის უკვე მზად იყო და იგი დამტკიცდა, შესასრულებელი სამუშაოების პირველ ვარიანტად.

სპეციალისტების აზრით, არქიტექტორ ნეპრინცევის პროექტით, სპარსული ხუროთმოძღვრული სტილის შენობის მთავარი ფასადი გაყოფილი იყო სამ რიზალიტად, ისრის ფორმის სამი პორტალური თალით. ცენტრალურ პორტალს ორივე მხრიდან აგვირგვინებდა მრგვალი მინარეთი. შენობა უფრო საკულტო ნაგებობას ჰგავდა, ვიდრე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას [15: 15].

სამშენებლო პირობები, როგორც მიწის გრუნტის სტრუქტურის, ისე ტოპოგრაფიის თვალსაზრისით მეტად რთული იყო. ნიკოლოზის ქუჩის ხუთსართულიანი შენობის ქვეშ აღმოჩნდა 5 მეტრის სიღრმის ხევი, რომელიც ნაგვით ყოფილა ამოვსებული. ამ ადგილას საძირკველისა და 22 მეტრის სიმაღლის კედლის მშენებლობამ კომისიის წევრებს შორის დიდი დისკუსია გამოიწვია. გრუნტის დამატებით შესწავლას რამდენიმე თვე დასჭირდა. ბოლოს, საძირკველის ყველა რთულ კონსტრუქციაზე უარი თქვეს და მიიღეს გადაწყვეტილება, რის მიხედვითაც, გრუნტის წინააღმდეგობის შესამცირებლად მთელი შენობა უნდა აგებულიყო ლენტურ ფუნდამენტზე, რომლის საფუძველს გაამაგრებდნენ დაწნეხილი ღორღით. პროექტით კედლები უნდა აშენებულიყო აგურითა და რკინაბეტონის კონსტრუქციებით, სართულებს შუა და სხვენის გადახურვა კი – ნეკნიანი რკინაბეტონით. დიდი დარბაზების ჭერი დაეყრდნობოდა რკინაბეტონის სვეტებს, რომელთა შუაგულში ჩატანებული იქნებოდა სავენტილაციო არხები. კონკრეტულად ამ გადაწყვეტილებაში ცვლილებები არ შეუტანიათ მშენებლობის დამთავრებამდე. ახალი შენობის აგებას შეუდგნენ 1913 წლის გაზაფხულზე. წლის ბოლომდე მოხერხდა საძირკველისა და სარდაფის კედლების ამოყვანა გოლოვინის გამზირის დონემდე.

გაზაფხულის დასაწყისში შედგა მუზეუმის შენობის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალი. ამისათვის წინასწარ დამზადდა ორი ბაზალტის ფილა. ერთში გაკეთდა ღრმული, სადაც მოთავსდა ბრინჯაოს დაფა, რომელზედაც ამოტვიფრული იყო შენობის საძირკვლის ჩაყრის თარიღი და მშენებელთა გვარები. მეორე ფილა პირველს დაახურეს, ცემენტის ხსნარით შელესეს და მუზეუმის ცენტრალური შესასვლელის ქვეშ მოათავსეს, თან, ტრადიციისამებრ, როგორც აქრიტექტორი მ. ნეპრინცევი თავის მოგონებებში გადმოგვცემს, ოქროს მონეტები ჩაყარეს. ამის შემდეგ აგურის რამდენიმე წყობით ამოაშენეს კედელი პირველი სართულის იატაკამდე [19: 201].

საძირკვლის ოფიციალური გახსნა დამთავრდა დიდი ვახშამით, რომელზეც მიწვეული იყვნენ მშენებლები და საპატიო სტუმრები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო კომისიამ არქიტექტორი მ. ნეპრინცევი რამდენიმე თვით მიავლინა პარიზს მშენებლობის მოწინავე მეთოდების გასაცნობად.

1914 წლის გაზაფხულისათვის მუზეუმის შენობის კედლები თითქმის ამოყვანილი იყო, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ მშენებლობა შეაფერხა. განსაკუთრებით გაჭირდა ცემენტისა და რკინის არმატურის შოვნა. მშენებლობას შეჩერება ემუქრებოდა, მაგრამ კავკასიის ფრონტს 1914 წლის ნოემბერში დასათვალისწინებლად ეწვია მთავრობის თავმჯდომარე, ყოფილი თბილისელი გრაფი **სერგეი ვიტე**. მისი განკარგულებით მოხერხდა დეფიციტური მასალების შოვნა და მშენებლობაც 1915 წლის თებერვლიდან განახლდა. რკინაბეტონის სამუშაოების შესრულების შემდეგ, წლის ბოლოსათვის შენობის ჩონჩხი თითქმის დამთავრებული იყო, მაგრამ დაფინანსება ჯერ შემცირდა, ხოლო 1917 წლის დასაწყისიდან საერთოდ შეწყდა, შემდეგ კი დაკონსერვდა.

კოლონიური უღლისგან განთავისუფლების შემდეგ, ეროვნულმა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება დაუთმო კავკასიის მუზეუმის შენობის მშენებლობას. იგი მოიაზრებოდა, როგორც ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშთა თავმოყრისა და დაცვის ცენტრი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ეროვნული ინტერესების მატარებელი დაწესებულების შექმნა.

1919 წლის 1 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ და საქართველოს მთავრობამ მიიღო დეკრეტი კავკასიის მუზეუმის გაუქმებისა და მის ბაზაზე საქართველოს მუზეუმის დაარსების შესახებ [5: 19].E

ეროვნული მთავრობისათვის ამ პერიოდში მთავარ საკითხად რჩებოდა საქართველოს მუზეუმის შენობის მშენებლობის დასრულება. დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის 19 დეკემბრის დეკრეტით მუზეუმის შენობის მშენებლობის და-სამთავრებლად გამოყო 5.500000 მანეთი [9: 14].

შეიქმნა სპეციალური სამშენებლო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა მთავრობის წევრი **გ. ჟურული**. სამშენებლო კომისიას დაევალა მუზეუმის მთავარი კორპუსის ორი—სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფრთის სასწრაფოდ დამთავრება. ხოლო განათლების სამინისტროს დაეკისრა მშენებლობის პროცესის მეთვალყურეობა.

განათლების მინისტრმა 1920 წლის 5 აპრილს მთავრობის წინაშე აღძრა საკითხი, «რომ ლორის-მელიქოვის ქუჩაზე გამავალი კვარტალი, სადაც მუზეუმის შენობაა აგებული და სადაც ამჟამად სხვა დაწესებულებებიცაა მოთავსებული (ქალთა გიმნაზია და მთავრობის კანცელარიის სტამბა), გადაეცეს მუზეუმს, ვინაიდან ამ შენობაში ადრე თუ გვიან თავი უნდა მოიყაროს საქართველოს სხვადასხვა მდიდარმა

და დიდმა მუზეუმმა, რომელთა ერთ შენობაში მოთავსება მოითხოვს მის გაფართოებას» [9: 6].

1920 წელს გარკვეული თანხები გამოიყო ფასადის მოსაპირკეთებლად. ამ თანხებით დაკონსერვებული მშენებლობა განახლდა და დაიწყო შენობის გადახურვის სამუშაოები.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ და ეროვნული სულისკვეთების აღმავლობამ, განაპირობა მუზეუმის შენობის ფასადის შეცვლის აუცილებლობა. ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის საცავს გარეგნული იერიც შესაბამისი უნდა ჰქონოდა. ამიტომაც დაისვა მუზეუმის შენობის ფასადის გაფორმების ქართულ ეროვნულ არქიტექტურასთან მიახლოების საკითხი. ამისთვის სამშენებლო საქმეში ჩართეს ახალგაზრდა ნიჭიერი არქიტექტორები **ნიკოლოზ სევეროვი** და **ანატოლი კალგინი**, მაგრამ შემდგომ პერიოდში განვითარებულმა ტრაგიკულმა პოლიტიკურმა ბატალიებმა კიდევ რამოდენიმე წლით შეაფერხა მუზეუმის შენობის მშენებლობის დასრულება.

საბჭოთა ხელისუფლებაც ახალ, რთულ პირობებში ცდილობდა საქართველოს მუზეუმებისთვის დახმარების გაწევას: საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 22 მარტის №1157 განკარგულებით, საქართველოს მუზეუმს, რომელიც დიდ სივიწროვეს განიცდიდა, ბიბლიოთეკისათვის გადაეცა იქვე, მეზობლად მდებარე ქართული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობა [7: 110], თუმცა ამის პრაქტიკულად განხორციელებას წლები დასჭირდა.

1923 წლის 12 ნოემბრის №114 გადაწყვეტილების დამატებად, სახალხო კომისართა საბჭომ მოგვიანებით მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ საქართველოს მუზეუმის ფონდებში თავი უნდა მოეყარა სხვადასხვა მუზეუმებში გაზნეულ კოლექციებს [52: 7]. ამრიგად, საქართველოს მუზეუმის ახალი შენობის აგება იძენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იგი გახდა ამ მუზეუმში მთელი რესპუბლიკის “სამუზეუმო ფონდის გაერთიანებისა და ცენტრალი-ზაციის” ერთ-ერთი მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი. ამიტომ მთავრობამ მუზეუმის მშენებლობის საკითხის დადებითად გადაჭრას დიდი ყურადღება დაუთმო.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა სათანადო თანხის მოძიება მუზეუმის შენობისთვის, რომლის მშენებლობაც უსახსრობის გამო შეჩერებული იყო. სულ მალე თანახმად რევკომის 1921 წლის 17 მაისის დადგენილებისა, გამოინახა 22 მლ. 500 ათასი მანეთი [6: 185]. და იმავე წლის აგვისტოდან საადმშენებლო კომისიამ (ნ. ყიფიანის თავმჯდომარეობით) განაახლა თავისი სამუშაოები. მშენებლობა საკმაოდ მაღალი ტემპებით მიმდინარეობდა, მაგრამ სამშენებლო მასალების დეფიციტის გამო, განსაკუთრებით გაჭიანურდა შენობის სამხრეთი ფრთის ბანური გადახურვის სამუშაოები.

განათლების სახალხო კომისარიატის 1922 წლის აგვისტოს №429 განკარგულებით შეიცვალა საადმშენებლო კომისიის შემადგენლობა. მასში შევიდნენ: სარგის კაკაბაძე (თავმჯდომარე), წევრები: ნ. ყიფიანი, ი. ჩხიკვიშვილი, ინჟინრები: ნ. სევეროვი და ა. ლეჟავა [10: 13]. სახკომსაბჭოს 1924 წლის 4 მაისის ბრძანებით კომისიის თავმჯდომარეობა დაევალა განყოფილების გამგეს ივ. ჩხიკვიშვილს, ხოლო შემდეგ— განათლების სახალხო კომისარს დ. კანდელაკს.

სამშენებლო მასალების გაძვირებისა და საყოველთაო ინფლაციის გამო, მშენებლობის დასამთავრებლად აუცილებელი შეიქნა დამატებითი თანხის გამონახვა. 1922 წლის ბოლოს, საადმშენებლო კომისიამ დამატებით მიიღო 4 მილიონი მანეთი, მაგრამ არც ეს თანხა აღმოჩნდა საკმარისი. 1923 წლის 8 ივნისს

მუზეუმს გამოეყო 5 მილიარდ. 500 მილიონი მანეთი [7: 49]. ამით მოხერხდა იმავე წლის ზაფხულში მუზეუმის ახალი, მთავარი შენობის სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფრთების მშენებლობის დასრულება.

რაც შეეხება მთავარ საგამოფენო კორპუსს, ამ წელს მთლიანად დამთავრდა ცოკოლისა და პირველი სართულის სამშენებლო სამუშაოები.

ახალი შენობის მარჯვენა, ჩრდილოეთ ფრთაზე კალოუბნის (ყოფილი ბარონის) ქუჩის კუთხეში, ოთხსართულიან შენობაში მუზეუმს ეკავა 11 ოთახი, ხოლო მარცხენა, სამხრეთის ფრთაზე, მუზეუმის (ყოფილი ნიკოლოზის) ქუჩის კუთხეში, ექვსსართულიან შენობაში — 24 ოთახი. გარდა ამისა, მუზეუმს ეკუთვნოდა ლორის-მელიქოვისა და მუზეუმის ქუჩების კუთხეში XX საუკუნის 10-იან წლებში აგებული სამსართულიანი საფონდო შენობა და ეზოში მდებარე პატარა ორსართულიანი ფარდული 6 ოთახით [7: 70].

აღნიშნულ ფართობზე მუზეუმის განყოფილებები შემდეგნაირად განაწილდა: ახალი შენობის მარცხენა ფრთის ქვედა I და II სართულებზე განლაგდა ბიბლიოთეკის საცავი და სამკითხველო დარბაზი, ხოლო ზედა III-VI სართულები გადაეცა ზოოლოგიურ განყოფილებას. აქვე, III სართულზე ამ განყოფილებას დაეთმო საგამოფენო დარბაზი.

ახალი შენობის მარჯვენა ფრთის II-IV სართულები დაიკავა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებებმა. პირველ სარ-თულზე მდებარეობდა აუდიტორია.

ძველი შენობის გამოთავისუფლებულ ოთახებში განლაგდნენ გეოლოგიისა და ბოტანიკის განყოფილებები ხოლო III სართულზე — ეთნოგრაფები. იმავე შენობაში იყო მოთავსებული დირექციაც. საფონდო კორპუსი დაიკავა განყოფილებათა და ბიბლიოთეკის საცავებმა.

მუზეუმში საცხოვრებელი ფართი ეკავათ დირექტორის ოჯახს, მეეზოვესა და დარაჯს.

1924 წლის 15 ივლისს სახალხო კომისართა საბჭოს №1383 დადგენილებით საქართველოს მუზეუმს უნდა გადასცემოდა მუზეუმის ძველი შენობის მე-3 სართულზე ქალთა II სასწავლებლის მიერ დაკავებული ფართობი. მაგრამ ამ დადგენილების რეალიზებას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდა.

ახალი შენობის ნაწილის ექსპლუატაციაში გადაცემა და მუზეუმის გაფართოება მუშაობის ახალ ჰორიზონტებს შლიდა ამ დაწესებულების თანამშრომელთა წინაშე. 14 წლის იძულებითი უმოქმედობის შემდეგ მუზეუმმა დაიწყო თავის მთავარი ფუნქციის – საგამოფენო სამუშაოების შესრულება.


მთავარი საზრუნავი, როგორც ხელისუფლების, ისე მუზეუმის დირექციისა, რუსთაველის გამზირზე საგამოფენო კორპუსის მშენებლობის დამთავრება იყო. ამით შეერთდებოდა უკვე აგებული შენობის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფრთები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მინარეთის მსგავს კომპლექსს, სპარსულ სტილში გადაწყვეტილ მუზეუმის შენობის ფასადის გადაკეთებას.

ჯერ კიდევ 1923 წელს, განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, შედგა მუზეუმის შენობის ფასადის გადასაკეთებლად წარმოდგენილი პროექტების შემაჯამებელი კომისია **ივანე ჯავახიშვილის** თავმჯდომარეობით. კომისიაში შევიდნენ: გ. ჩუბინაშვილი, დ. შევარდნაძე, ო. შარლემანი, ჰ. ჰრინევსკი და ნ. ყიფიანი [11: 94]. კომისიამ თავისი სხდომა ჩაატარა 1923 წლის 18 ივლისს და დაადგინა: «ხმების უმეტესობით მიეცეს პირველი პრემია (ჯილდო 375 მან.) არქიტექტორ **ნ. სევეროვს**, როგორც შედარებით დამაკმაყოფილებლად შესრულებული პროექტისათვის, მაგრამ შენობის აგების დროს მასში უნდა იქნას შეტანილი

ზოგიერთი ცვლილებები. მეორე პრემია (ჯილდო 125 მან.) კი მიეცეს ან. კალგინის პროექტს, როგორც მხატვრულად შესრულებულს» [11: 93]. მაგრამ 1923 წელს, კონკურსში გამარჯვებულის დასაჯილდოებლად და ვერც პროექტის პრაქტიკულად განსახორციელებლად სათანადო თანხის გაღება ვერ მოხერხდა.

ნ. სევეროვის მიერ წარდგენილი გამარჯვებული პროექტის ვარიანტი თითქოსდა ითვალისწინებდა ძველი ქართული არქიტექტურის მოტივებს (ბოლნისის სიონის, სვეტიცხოვლის ორნამენტებს), მაგრამ ეკლექტური და გადატვირთული იყო. ამიტომ კომისიის დავალებით, ნ. სევეროვი წლების განმავლობაში აგრძელებდა მუშაობას პროექტზე და ხვეწდა მას.

1923 წლის მაისში საქართველოს სახკომსაბჭოს №98 დადგენილებით მუზეუმს გამოეყო და ცალკე დაწესებულებად ჩამოყალიბდა საჯარო ბიბლიოთეკა, რომელმაც იქვე ლ. კეცხოველის (ამჟამად ლ. გუდიაშვილის) ქუჩაზე. დაიკავა 1912-1916 წლებში არქიტექტორ ა. კალგინის მიერ აგებული ყოფილი სათავადაზნაურო ბანკის შენობა (მხატვარი ჰ. ჰრინვესკი), რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ თვალსაჩინო ძეგლს წარმოადგენდა.



ანატოლი ნიკოლოზის ძე კალგინი (1875-1943წწ) დაიბადა ქ. ვლადიკავკაზში. პეტერბურგის საინჟინრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად ჩამოდის თბილისში და თავის მოღვაწეობას მჭიდროდ უკავშირებს ამ ქალაქის კულტურულ-სამეცნიერო საქმიანობას.

იგი მრავალგზის (1907-1917წწ) მონაწილეობდა ექ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით სამხრეთ საქართველოში მოწყობილ ექსპედიციებში და აქტიურად იღვწოდა ძველი ქართული ხუროთმოძღვრული შედევრების: ოლთისის, ბანას, ოშკის, ხახულის, ტაოსკარის და სხვა ძეგლთა შესწავლასა და რეკონსტრუქციაში. მისი ანაზომები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გრაფიკულ დოკუმენტებად რჩება ამ ძეგლთა შესასწავლად. იგი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის დამაარსებელი და პროფესორი. საჯარო ბიბლიოთეკის შენობის გარდა, მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია კინოთეატრ «რუსთაველისა» და ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის შენობების დაპროექტება.

1927 წლის 21 ივლისს სახალხო კომისართა საბჭომ ლ. ქართველიშვილის თავმჯდომარეობით სპეციალური სხდომა ჩაატარა საქართველოს მუზეუმის შენობის მთავარი კორპუსის მშენებლობის დამთავრების საკითხზე და შექმნა საადმშენებლო

კომიტეტი შემადგენ-ლობით: ს. ჯუღელი (თავმჯდომარე), დ. კანდელაკი, მ. ორახელაშვილი, ლ. სუხიშვილი, რ. დუმბაძე, ა. მიქელაძე, მხატვარი დ. შევარდნაძე, პროფესორები: გ. ჩუბინაშვილი, ალ. ჯანელიძე და არქიტექტორი ნ. სევეროვი. სახკომსაბჭომ ხუთი დღის შემდეგ, 26 ივნისის სხდომაზე კომიტეტის შემადგენლობას დაუმატა ახალი წევრი ლ. ბერია.

ახლად შექმნილმა სააღმშენებლო კომიტეტმა თავის მხრივ ჩამოაყალიბა სამშენებლო-ტექნიკური კომისია, რომელსაც ევალებოდა მშენებლობის მიმდინარე საკითხების პრაქტიკულად მოგვარება. კომისიას თავმჯდომარეობდა განათლების სახალხო კომისრის მოადგილე მარიამ ორახელაშვილი. წევრებად მიიწვიეს არქიტექტორები მ. ნეპრინცევი და ნ. სევეროვი. კომისიას შენობის ფასადის სამუშაოების დასაჩქარებლად გამოეყო 350000 მანეთი [12: 119].

სააღმშენებლო კომიტეტმა მშენებლობის ხელმძღვანელად დანიშნა ნ. სევეროვი, რომელსაც საკმაოდ მაღალი ანაზღაურება—თვეში 400 მანეთი დაენიშნა.

ნიკოლოზ პავლეს ძე სევეროვი (1887-1957 წ.წ.) დაიბადა თბილისში. პეტერბურგის სამოქალაქო საინჟინრო აკადემიის დამთავრების შემდეგ 1915 წელს ბრუნდება თბილისში და პროფ. გ. ჩუბინაშვილთან ერთად ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის მიზნით ბევრს მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა მხარეში. მან აზომა, შეისწავლა და მეცნიერული გამოკვლევები მიუძღვნა მცხეთის ჯვარს, კუმურდოს, ნიკორწმინდას. ნეკრესს, ალავერდს და სხვა ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. შემდეგ თავის შემოქმედებაში კარგად გამოიყენა მიღებული ცოდნა და ძველი ქართული არქიტექტურის ტრადიციები. ნ. სევეროვი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი და პროფესორი.

1927 წლის 9 აგვისტოს სახალხო კომისართა საბჭომ 128 ოქმით დაამტკიცა ნ. სევეროვის მიერ წარმოდგენილი მუზეუმის შენობის ფასადის ჩასწორებული და გაუმჯობესებული პროექტი. მისი მეორე ვარიანტი უფრო დახვეწილი იყო და გამოირჩეოდა კომპოზიციური მთლიანობით. ამასთან ერთად, მშენებლობის გაიაფების მიზნით, შესაძლებლად მიიჩნიეს ფასადის მოსაპირკეთებელი ქუთაისური ქვა შეცვლილიყო ძეგამის ქვით, ხოლო ალგეთის ქვა—ეკლარის ქვით.

სამშენებლო კომისიამ დიდი ენერგიით დაიწყო მუშაობა. მხოლოდ 1927 წელს მშენებლობაზე დახარჯულმა თანხამ 400000 მანეთს მიაღწია, რაც აღემატებოდა გამოყოფილ თანხას. საჭირო შეიქმნა დამატებითი დაფინანსება.

1927 წლის ბოლოს სახალხო კომისართა საბჭომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1600,000 მან. გამოყო საქართველოს მუზეუმის შენობის დასამთავრებლად.

მუზეუმის შენობის დასამთავრებელი სამუშაოები საკმაოდ სწრაფი ტემპით წარიმართა. მშენებლობის დროს ფართოდ გამოიყენებოდა იმ დროს შემოღებული და მეტად გავრცელებული მუშაობის ფორმები: დამკვრელობა და სოციალისტური შეჯიბრება. მთავრობის სხდომებზე მრავალგზის აღინიშნა ინჟინერ-არქიტექტორ ნ. სევეროვის უნარიანი ხელმძღვანელობა.

1928 წლის თებერვალში სააღმშენებლო კომიტეტმა განიხილა ნ. სევეროვის პროექტის მესამე ვარიანტი და რეკომენდაცია მისცა, დამტკიცებულიყო როგორც საბოლოო დოკუმენტი. ამასთან ერთად, კომიტეტმა გადაწყვიტა შენობის ფასადის შვერილები, სვეტისთავები და ლავგარდანები დაემზადებინათ ბუნებრივი ქვისაგან, მოეპირკეთებინათ მხოლოდ პირველი სართული, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი — ბათქაშით შეევესოთ. როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, ამით შენობის საერთო სახემ საგრძნობლად წააგო [15: 16].

1929 წლის გაზაფხულზე დასრულდა საქართველოს მუზეუმის მშენებლობა. რუსთაველის გამზირის გასწვრივ, ნ. ვაჩნაძისა და ა. ფურცელაძის ქუჩებს შორის მთელ კვარტალზე, თითქმის 90 მეტრის სიგრძეზე, აღიმართა შენობა, რომელიც გახდა თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო და ღირსშესანიშნავი ნაგებობა.

სიგრძის გასანეიტრალებლად ფასადი დანაწევრებულია საერთო დონიდან წინ გამოწეული ცენტრალური და ორი გვერდითი თაღებიანი შვერილებით — რიზალიტებით, რომელიც შენობის ძირითად ნაწილთან ქმნიან ერთიან, მთლიან მოცულობას. ფასადის ქვედა ორ სართულზე გამოდის დიდი ზომის ფანჯრები, მესამე სართულის კედლები კი დაფარულია ერთმანეთთან დაკავშირებული ნახევრადწრიული დეკორატიული თაღებით. მათ ცენტრებში მოთავსებულია დიდი როზეტები, რომელთა ფორმებში ოსტატურად გამოყენებულია ძველი ქართული არქიტექტურული მოტივები.

სპეციალისტებში მიღებული აზრით, საქართველოს მუზეუმის შენობის «არქიტექტურის დეტალები და ელემენტები, მოტივები და ხერხები ნასესხებია ეროვნული ხუროთმოძღვრების მდიდარი მემკვიდრეობიდან. გააზრებულად, ლოგიკურად გარდაქმნილი სახით გამოყენებულნი, ისინი ქმნიან არქიტექტურულ იერსახეს, რომელიც შეესაბამება შენობის დანიშნულებას.» [15: 16].

ასე აშენდა 1929 წელს დედაქალაქის ცენტრში საქართველოს მთავარი მუზეუმის საკადრისი შენობა, რომელსაც მრავალი წლის შრომა და ძალისხმევა დასჭირდა.

საქართველოს მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის შენობები სამართლიანად არის მიჩნეული ქართულ არქიტექტურაში მნიშვნელოვან საეტაპო ნაგებობად, ქართული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობისა და ახალი ქართული არქიტექტურული ფორმების წარმატებული შერწყმის ნიმუშად.



Г. ЧХАИДЗЕ

ИСТОРИЯ ЗДАНИЙ КАВКАЗСКОГО МУЗЕЯ И
ТИФЛИССКОЙ ПУБЛИЧНОЙ БИБЛИОТЕКИ.

Резюме

В 1846 году была создана Тифлисская публичная библиотека, которая в 1868 году была присоединена к Кавказскому Музею.

На углу Головинского проспекта и Николаевской улицы, напротив дворца наместника Кавказа по проекту А. Зальцмана было выстроено одноэтажное здание, над которым вскоре, по проекту Л. Бильфельда, был надстроен второй этаж. В 1908 году, в виду аварийности этого здания, музей закрыли и на Головинском проспекте между улицами Баронской и Николаевской было начато строительство нового музейного здания. В разное время строительство возглавляли архитекторы: К. Татищев, М. Непринцев и Н. Северов. Строительство было закончено в 1929 году.

В 1923 году от музея отделилась и сформировалась как отдельное учреждение Публичная библиотека. Она расположилась там же на улице Л. Кецохели (ныне ул. Л. Гудиашвили) в бывшем здании дворянского банка, построенного в 1912-1916 годах по проекту архитектора Ан. Кальгина (худ. Г. Гриневский).

Нынешние здания музея и библиотеки справедливо считаются этапными в грузинской архитектуре. В них успешно соединяются древние формы грузинской национальной архитектуры с формами нового грузинского зодчества.

G. CHKHAIDZE

HISTORY OF THE BUILDINGS OF TBILISI PUBLIC LIBRARY AND CAUCASIAN MUSEUM

Summary

In 1846 the Tbilisi Public Library was established and joined to Caucasian Museum. According to Zaltsman's project in front of the Governor King Palace, on the corner of Nikoloz street and Golovini Av. one-storied building was erected. In 1881 the second floor was added, the project of which was made by L. Bilfeld.

In 1908, because the building of public library was damaged, it was closed and the building of a new construction was started near it in Golovini Av. between the Byron and Nikoloz Street. This process was managed in different times by K. Tatishev, M. Neprincev and N. Severov.

In 1923 Tbilisi Public Library was separated from the museum and established as an independent institution, which in 1912-1916 was placed nearby in Ketskhoveli Street in Bank building the project of which was made by Kalgin (painter H. Hrinevski).

The Building of the Museum and the Tbilisi Public Library is fairly considered as one of the important constructions in Georgian architecture. It is regarded as the sample of successful junction of a new Georgian architecture forms and ancient national architectural heritage.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. საქართველოს სახ. მუზეუმის არქივი, შედეგ სს მუზეუმის არქივი 1864 11/1.
2. სს მუზეუმის არქივი 1909 47/36.

3. სს მუზეუმის არქივი 1911 49/38.
4. სს მუზეუმის არქივი 1914 №71.
5. სს მუზეუმის არქივი 1919 148 136.
6. სს მუზეუმის არქივი 1921 151/139.
7. სს მუზეუმის არქივი 1923 153/141.
8. სს მუზეუმის არქივი 1926 №197.
9. საქართველოს ცენტრ. ისტორიული არქივი, ფ.1935, ან 245, ს. 900
10. საქარ. ცენტრ. უახლესი ისტორიის (შემდეგ სცუი) არქივი, ფ 300, ან. 3, საქ. 32
11. სცუია, ფ. 300, ან. 3, საქ. 69.
12. სცუია, ფ. 600, ან. 1, საქ. 47.
13. მოამბე შინაგან სახ კომისარიატისა, 1921 №1.
14. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული: ტ.5. თბ., 1991.
15. ჯაში ნ. სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება, – თბ., 1983.
16. Верноподданнейшая записка по управлению Кавказским краем генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова . – ტფ.,1907.
17. “Кавказ”. – 1905. – № 245
18. “Кавказский календарь” за 1867 г. Тифлисская публ. Библиотека
19. М. Н. Непринцев, Воспоминания автора проекта и строителя здания “Кавказского Музея” в г. Тбилиси.
20. Отчет за 1911 г. Известия Кавказского музея. – №8.
21. Отчет за 1912 г. Известия Кавказского музея. – №9.
22. Раде Г. Краткий очерк истории развития Кавказского музея. – 1891

გ უ რ ა მ რ ხ ა ი ძ ე

კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდების დაკომპლექტების ისტორიიდან

XIX საუკუნის შუახანიდან საქართველოში კოლონიზაციის ახალი ეტაპი იწყება. სამხედრო მმართველობას სამოქალაქო ადმინისტრაცია ცვლის და მთავარ ამოცანად საქართველოს კულტურული, „მორალური“ დაპყრობა ისახება. საქმის პრაქტიკული განხორციელება დაეკისრა კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს (1782-1856 წწ). იგი ახალ კოლონიურ პოლიტიკას საკმაოდ დახვეწილი, შენიღბული ფორმით, ძირითადად კულტურული საშუალებებით ახორციელებდა. სწორედ, ამ პერიოდიდან, „ვორონცოვისეული დათბობის“ წლებიდან, იწყება საქართველოში როგორც კულტურული და საგანმანათლებლო კერების შექმნა, ისე პროფესიული სამუზეუმო და საბიბლიოთეკო საქმიანობის ჩამოყალიბება.

ამავე დროს ხელისუფლება ინტერესდება დაპყრობილი მხარის მეცნიერული შესწავლით, წიაღისეული სიმდიდრით, მოსახლეობის სულიერი და მატერიალური კულტურის ნაშთთა მემკვიდრეობით. იქმნება სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებები და ორგანიზაციები. მთავრობის მიერ ქვეყნის საკეთილდღეოდ ამ მისწრაფებების გამოყენება დგება ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის წინაშე და ისიც აქტიურად ცდილობს ჩაებას ამ მიმართულებით წარმოებულ სამუშაოებში.

საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებას, თავდაპირველად ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებდნენ.

1846 წლის იანვარში მ. ვორონცოვის ინიციატივით [14: 2] დაარსებული ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა თავდაპირველად განთავსებული იყო მეფისნაცვლის კანცელარიის პირველი სართულის ორ პატარა ოთახში, ხოლო წიგნები გაბნეული იყო მეზობელი შენობების სარდაფებში. ამ პერიოდისათვის მისი წიგნადი ფონდი, როგორც ბროკჰაუზის ენციკლოპედიაშია აღნიშნული, 6 200 ტომს შეადგენდა. მალე მას დაემატა ქ. ოდესაში შექმნილი ფრანგი ემიგრანტის, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ანტონ დეგუროვის ბიბლიოთეკის ნაწილი (6,850 ტომი) [24: 801].

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა მეფისნაცვლის სამოქალაქო კანცელარიის უფროს მოხელეს გ. ტოკარევს დაევალა.

გაბრიელ ანდრიას ძე ტოკარევი (1796-1854). მეცნიერი, მწერალი და მოგზაური თბილისში XIX საუკუნის 40-იან წლებში ჩამოვიდა და მუშაობა კანცელარიაში დაიწყო, მალე მეფისნაცვლის ბრძანებით იგი დაინიშნა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის პირველ დირექტორად. მას დიდი წვლილი მიუძღვის ამ დაწესებულების კავკასიოლოგიური ლიტერატურით სწორად დაკომპლექტების საქმეში. გ. ტოკარევის სახელთანაა აგრეთვე დაკავშირებული კავკასიის შესახებ პირველი ბიბლიოგრაფიის შედგენა [19: 1]. პარალელურად იგი ნაყოფიერ სამეცნიერო სამუშაოებს ეწეოდა. მისი კვლევის სფეროა საქართველოსა და სომხეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის საკითხები და ამიერკავკასიის მატერიალური კულტურის ძეგლები. ტოკარევის ნარკვევები და სტატიები კავკასიის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენდა. იგი აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „კავკაზთან“, მის ფურცლებზე მეცნიერი აქვეყნებდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის შრომებს. ბუნებისა და სიძველეთა მოყვარული ბევრს მოგზაურობდა. აკადემიკოს ჰ. აბიხთან ერთად მონაწილეობდა კავკასიის ქედზე ჩატარებულ სამეცნიერო ექსპედიციაში.

1861 წელს შედგენილი პირველი კატალოგიდან ჩანს, რომ ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა ძირითადად დაკომპლექტებული ყოფილა რელიგიური, მხატვრული და ფილოსოფიური შინაარსის წიგნებით. [13: 3]

ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი მეტწილად შემოწირულობებით ივსებოდა. ქველმოქმედებს იმდროინდელი პრესის ფურცლებზე მადლიერებით მოიხსენიებდნენ. პირველი ასეთი შემომწირველები იყვნენ: მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი, ეგზარქოსი ისიდორე, ეპისკოპოსი იერემია, ნატურალისტი ფ. ბაიერნი, მოხელეები:

ა.

გოლიცინი,

ი. ჰოგემესტერი, ნ. ორლოვი, ი. გურამოვი, ვისოცკი, გოტიე და სხვები [11: 10], ცოტა მოგვიანებით: ისტორიკოსი პლ. იოსელიანი, ცნობილი მოღვაწეები დ. ჩუბინაშვილი, მ. ჭილაშვილი, ფ. ცაგარელი, მ. ობოლენსკი, პოლკოვნიკი ი. პოტოცკი და სხვები.

მეფისნაცვლის 1852 წლის 10 ივნისის ბრძანებულებით, ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა კავკასიაში დაბეჭდილი პროდუქციის ორი სავალდებულო ეგზემპლარი.

გოლოვინის გამზირზე, კანცელარიის შენობაში, 1848 წლის 5 ივნისს, მკითხველებისათვის ბიბლიოთეკის მცირე ზომის სამკითხველო დარბაზი გაიხსნა. გაზეთ „კავკაზის“ ცნობით, ამ პერიოდისათვის ბიბლიოთეკაში ირიცხებოდა 2 ათასამდე დასახელების 6 ათასზე მეტი წიგნი, აქედან 515 წიგნი კავკასიას შეეხებოდა [1850: 21/I].

მკითხველებისათვის შედგენილი იყო სისტემატური და ანბანური კატალოგი.

რადგან საჯარო ბიბლიოთეკა დიდ სივიწროვეს განიცდიდა, 1851 წელს იქვე ახლოს ალექსანდრეს ბაღის ქვედა, დასავლეთ ნაწილში მისთვის დაიქირავეს ერთსართულიანი აგურის შენობა [17: 217], რომელიც ეკუთვნოდა გენერალ-მაიორ ვახტანგ ორბელიანს.

აქ ბიბლიოთეკამ გახსნა საკმაოდ ვრცელი სამკითხველო დარბაზი და 1852 წლის 1 მაისს მიიღო კიდევ თავისი პირველი მკითხველები. ა. ბერჟეს ცნობით, ამ დროისათვის საჯარო ბიბლიოთეკაში უკვე 5 249 დასახელების 13 051 წიგნი ირიცხებოდა, აქედან 477 დასახელების 873 წიგნი კავკასიას შეეხებოდა. [11: 10].

1852 წელს ბიბლიოთეკარად მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელე ლიუდვიგ დე სენ-ტომა დაინიშნა. მან ამ თანამდებობაზე ძალზე მოკლე ხანი დაჰყო. შემდეგ იგი მისმა ვაჟმა, პროფესიით ნუმისმატმა, ვლადიმერმა შეცვალა.

ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი სწრაფად იზრდებოდა. იგი წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებს რეგულარულად იღებდა იმპერიის სხვადასხვა ქალაქებიდან და ორგანიზაციებიდან. მას სისტემატურად აწვდიდნენ საკუთარ გამოცემებს: მეცნიერებათა აკადემია, პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკა, განათლების სამინისტრო, კავკასიის ცენზურის კომიტეტი და სხვები. ბიბლიოთეკას ამდიდრებდნენ სხვადასხვა პირებისა და ორგანიზაციების შემოწირულობებით და შენაძენებით, რაზეც მთავრობა საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავდა.

ბიბლიოთეკის საქმიანობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა, როდესაც 1858 წლის თებერვალში გამგედ ა. ბერჟე დაინიშნა.

ადოლფ პეტრეს ძე ბერჟე (1828-1885წწ). პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იმპერატორის რჩევით, 1851 წლის ბოლოს თბილისში ჩამოვიდა და ვორონცოვის კანცელარიაში საიდუმლო ნაწილის მოხელედ დაიწყო მუშაობა. აქედან იგი მარი ბროსეს რეკომენდაციით კავკასიის განყოფილების მუზეუმში გადავიდა სამუშაოდ. პარალელურად, ა. ბერჟე 1856 წელს აირჩიეს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელად, 1857 წლიდან იგი ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის გამგეა. ა. ბერჟე 1864 წელს აირჩიეს „აზიის საზოგადოების“, ხოლო 1865 წელს — საფრანგეთისა და გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოებების წევრად.

[1: 26]. 1894 წელს დაინიშნა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარედ. 1864-1886 წლებში მისი რედაქტორობით გამოიცა აქტების 10 ტომი, რომელიც დღესაც სამაგიდო წიგნად არის მიჩნეული კავკასიოლოგიაში. ა. ბერჟე სწავლობდა საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და სტატისტიკის საკითხებს. [18: 8].

ბერჟემ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თავისი დაწესებულების სპეციალიზაციას და კავკასიოლოგიური ლიტერატურით სწორად დაკომპლექტებას: „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის თავისებურება ის არის, რომ იგი კავკასიის შესახებ სპეციალური წიგნთსაცავია. ამით გამოირჩევა ის სხვებისაგან” — აღნიშნავდა იგი. [11: 12]

მალე ა. ბერჟემ ბიბლიოთეკისათვის ბიბლიოგრაფიულ კატალოგებზე მუშაობას მოჰკვიდა ხელი და 1861 წელს ანბანური და სისტემატური ბიბლიოგრაფიული მოკლე კატალოგის შედგენა და გამოცემა მოახერხა. კატალოგი 5290 დასახელების 11655 წიგნს მოიცავდა [11]. ამასთან, მან შეადგინა ბიბლიოთეკის საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული შინაარსის წიგნებით შესავსები სია.

1862 წელს კავკასიის ახალმა მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ საჯარო ბიბლიოთეკას ერთდროული დახმარების სახით გამოუყო 3500 მანეთი. მისივე ინიციატივით,

ა. ბერჟე წიგნების შესამენად საფრანგეთსა და გერმანიაში მიავლინეს.

ა. ბერჟე განათლების მინისტრს მოახსენებდა: „კავკასიის მეფისნაცვალმა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის გამდიდრება ისურვა და მიმავლინა გერმანიასა და საფრანგეთში დავალებით, რათა შემეძინა კავკასიის შესახებ წიგნები“ [6: 104]. მას ლაიფციგში ბროკჰაუზისგან, პეტერბურგში ბოტეპაჟისა და კალუგინისაგან 470 დასახელების წიგნი და 40 რუკა შეუძენია.

საჯარო ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი ახლად შემოსული წიგნებით ისე გამდიდრდა, რომ საჭირო გახდა მოკლე კატალოგის პირველი დამატების გამოცემა, რაც ისევ ა. ბერჟემ ითავა. 1865 წელს გამოიცა კატალოგის პირველი გაგრძელება, რომელშიც 996 დასახელების 1955 ახალი წიგნი შევიდა.

ამ პერიოდისათვის ბიბლიოთეკაში იყო 6256 დასახელების 13610 წიგნი. მათ შორის 877 დასახელების 1533 წიგნი კავკასიას ეხებოდა. [12: 15].

საჯარო ბიბლიოთეკა დიდი მოწონებით სარგებლობდა, როგორც თბილისელების, ასევე ქალაქის მრავალრიცხოვან სტუმართა შორის. ამას ამტკიცებს ცნობილ მეცნიერთა გამონათქვამები.

იმპერატორ ალექსანდრე II მიერ დამტკიცებული „კავკასიის მხარის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ“, სენატის 1867 წლის 9 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე შედგა კავკასიის მნიშვნელოვან დაწესებულებათა ახალი შტატები და ხარჯთაღრიცხვა, რის მიხედვითაც მუზეუმი და ბიბლიოთეკა 1868 წლის 2 იანვრიდან ერთ დაწესებულებად გაერთიანდა და ეწოდა „კავკასიის მუზეუმი და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“ [6: 31], მის დირექტორად დაინიშნა კავკასიის მუზეუმის ხელმძღვანელი, ცნობილი ბუნებისმეტყველი და ეთნოგრაფი გუსტავ იოჰანეს ძე რადე (1831 - 1903 წწ), წარმოშობით გერმანელი, დაბადებული ქ. დანცინგში. 1862 წელს იგი, მეფისნაცვლის მოწვევით, კავკასიაში ჩამოვიდა და აქტიურად ჩაება მხარის მეცნიერულ შესწავლაში.

კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდები ყოველწლიურად მდიდრდებოდა შემოწირულობებით, ან ნაყიდი წიგნებით. აქ თავს იყრიდა აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებიდან და ორგანიზაციებიდან მიღებული წიგნები. 1872 წელს 600 მანეთის ღირებულების წიგნები შეიძინეს. ბიბლიოთეკა 3579 მკითხველს მოემსახურა. მისი ფონდები თავისი შემოწირულობებით გაამდიდრეს: ა. ბერჟემ, ი. ტრუბეცკოიმ ი. უვაროვმა და სხვებმა. 1875 წლისათვის ბიბლიოთეკაში იყო 12955 დასახელების 26500 წიგნი [10: 137].

1875 წელს თავადმა ალექსანდრე მენშიკოვმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 5164 დასახელების 11187 წიგნი, რომლის საერთო ღირებულება 30000 მანეთს აღემატებოდა. [9: 73].

1880 წლისათვის ბიბლიოთეკაში სულ ირიცხებოდა 13997 დასახელების 26846 წიგნი [330: 10]. ბიბლიოთეკის წიგნთსაცავის ასეთმა ზრდამ საჭირო გახდა კატალოგის მეორე გაგრძელების გამოცემა, რაც 1881 წელს გ. სივერსმა განახორციელა. [23].

1884 წლის 26 აპრილს „კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ახალი დებულების“ თანახმად, დაწესებულება მთავარმართებლის კანცელარიის დაქვემდებარებიდან განათლების სამინისტროს უწყებაში გადავიდა,

ხოლო სამეცნიერო სამუშაოთა ხაზით – საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა [9: 82].

ამ პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივიდან საჯარო ბიბლიოთეკას გადმოეცა საარქივო კომისიის მიერ მომზადებული სახელმწიფო სიგელები და ამონაწერები 32 ტომად. მათ შორის იყო რუსეთის მეფეთა წერილები, რუსეთის ძველი დოკუმენტები და კანონები, საეკლესიო საბუთები, აქტები ივერიის ღვთისმშობლის ხატზე და სხვა. ნიკოლოზ ლიხაჩოვმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა საბუნებისმეტყველო შინაარსის 50-ზე მეტი წიგნი.

კავკასიის მუზეუმის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო 1882 წელს აღმოჩენილი ნივთები: მცხეთიდან – ოქროს საყურეები, შორაპნიდან – ბიჭის ბრინჯაოს ქანდაკება, ეგვიპტური პასტისგან გაკეთებული ხოჭოს ფიგურა, დარიალის ხეობიდან – ორი ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს ჭადი ცხვრის ფიგურით, თიხის შანდლები, ძველი სპარსელი ოსტატების ნახელავი რამდენიმე ბრინჯაოს ქანდაკება. ასევე მნიშვნელოვანი იყო ბაქოს გუბერნიაში მშენებლობის დროს მიწაში შემთხვევით ნაპოვნი ძველებური ნივთები: ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები, სამაჯურები, საყურეები, გულსაბნევეები, 4 ცალი ვერცხლის მონეტა [9: 197] და სხვ. კავკასიის მუზეუმმა მიიღო ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი თანხით, დიმიტრი ბაქრაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით გათხრილი ბაგინეთის „კომპის“ ნანგრევებში აღმოჩენილი ნივთები: მინისა და თიხის ჭურჭელი, მარმარილოს ნატეხები, ვერცხლის მონეტები, ჩუქურთმიანი ქვა, სპილენძის ცული, ქალის სამკაული და სხვა.

კაპიტალიზმის განვითარებასა და ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასვლასთან ერთად, ახალი პრობლემები დგებოდა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის წინაშე. სულ უფრო ძნელი ხდებოდა კავკასიისთვის დამახასიათებელი ექსპონატებისა და წიგნების მოძიება და შეგროვება. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ეთნოგრაფიულ ნივთებს. გ. რადე გულისტკივილით აღნიშნავდა: „ყოველ დამკვირვებელს თვალში მოხვდება ის ფაქტი, რომ კავკასიის ხალხების, განსაკუთრებით ქრისტიანების, გარეგანი ეთნოგრაფიული თავისებურებანი უძველესი დროიდან ვლინდება ტანსაცმელში, ქსოვილებში, ხალიჩებში და სამკაულებში, რომლებიც თანდათანობით ყოველწლიურად ქრებიან” [9: 88] და მოჰყავს ასეთი მაგალითი: „მე ახლახან მივმართე პრინცესა მიურატს, სამეგრელოს ბრწყინვალე ქალბატონს თხოვნით, ჩემთვის მოემეზნა მეგრელი ქალის ორიგინალური ტანსაცმელი პარიზის გამოფენისათვის. მაგრამ მთელი მისი მეცადინეობა ამო აღმოჩნდა და შემატყობინა, მთელ სამეგრელოში გაბატონებულია ევროპული ქსოვილი და ევროპული მოდა” [9: 89]. ამიტომ გ. რადე მოითხოვდა ხშირად მოწყობილიყო ექსპედიციები განსაკუთრებით მიუვალ მხარეებში, სადაც ახალ ცივილიზაციას ჯერ არ შეეღწია და შესაძლებელი იყო მუზეუმისა და ბიბლიოთეკისთვის ძველი ნივთების და წიგნების მოძიება. ინტენსიური საქმიანობის შედეგად მაინც ხერხდებოდა სასურველი მასალების პოვნა.

მუზეუმთან ერთად ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებიც მდიდრდებოდა. ამისთვის ყოველწლიურად 1200 მანეთი გამოიყოფოდა. ბიბლიოთეკის ერთსართულიანი შენობა შედგებოდა წიგნთსაცავის, ვრცელი სამკითხველო დარბაზისა და მცირე სამკითხველო ოთახისაგან (მეცნიერთათვის). წიგნთსაცავი მოიცავდა 62 კუბ. საჟენს. აქ კედლებთან და დარბაზის შუაში ოთხმწკრივად იდგა კარადები. სამკითხველო დარბაზი კი შეადგენდა 49 კუბ. საჟენს. 1884 წლისთვის ბიბლიოთეკაში ირიცხებოდა 28809 წიგნი. იგი ღია იყო ყოველდღე. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად იკეტებოდა 15 ივლისიდან ერთი თვის ვადით

წიგნების ინვენტარიზაციისა და დასუფთავებისთვის. 1882 წელს ბიბლიოთეკა მოემსახურა 2074 მკითხველს, 1883 წელს – 2405, 1884 წელს კი – 5937 პირს. ამ წელს მათ გამოიყენეს 1662 დასახელების 12399 წიგნი [7: 95].

1893 წელს წიგნთსაცავში შემოწირულობით მიიღეს ს. მონასტირცევის კერძო მათემატიკური შინაარსის ბიბლიოთეკა [20: 29]. ფონდების ზრდასთან დაკავშირებით 1894 წელს გამოიცა კატალოგის მესამე დამატება, რომელიც მოამზადა ბიბლიოთეკარის თანაშემწემ პ. მელერმა.

დიდ დავას იწვევდა ბიბლიოთეკის სპეციალიზაციისა და წიგნებით დაკომპლექტების საკითხი. ზოგს მიაჩნდა, რომ რადგან მას ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკა ერქვა, მკითხველთა ფართოდ მიზიდვის მიზნით მასში ყოველნაირი ბულვარული, მხატვრული ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები უნდა ყოფილიყო. სპეციალისტების

აზრით კი, კავკასიის მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკა მხოლოდ კავკასიოლოგიური სამეცნიერო ხასიათის წიგნებით უნდა დაკომპლექტებულიყო და ვიწრო, გარკვეული კატეგორიის მკითხველს უნდა მომსახურებოდა. ეს კამათი იმდროინდელი პრესის ფურცლებზედაც შუქდებოდა. [21]. გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ მოწინავე წერილში წერდა: „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკამ ადგილობრივ საზოგადოებას იმ სარგებლობის მეთაღივ ვერ მოუტანა, რისი იმედიც ჰქონდათ მის ბრძენ დამაარსებლებს... იქნებ სწორად დაკომპლექტებულმა ბიბლიოთეკამ მიიზიდოს მკითხველები... საჯარო ბიბლიოთეკა იმგვარად უნდა გადაკეთდეს, რომ საჭირო გახდეს ყველა მიმართულების მეცნიერისა და პრაქტიკოსისათვის, ფართო მასებისათვის. იგი მოვალეა, განათლებულ საზოგადოებას შექმნილი ცოდნის გამოყენებისა და განვითარების საშუალება მისცეს” [21].

დირექციას კი მიაჩნდა, რომ საჯარო ბიბლიოთეკას ტრადიციული დაკომპლექტებისათვის არ უნდა გადაეხვია და მტკიცედ იცავდა წიგნთსაცავის მხოლოდ კავკასიოლოგიური ლიტერატურით შევსების წესს. ალჟირის მივლინებიდან დაბრუნებული გ. რადე ამის დასამტკიცებლად, იქაური ბიბლიოთეკების სპეციალიზაციის მაგალითებსაც იმოწმებდა [20: 28].

ბიბლიოთეკაში არსებული მდგომარეობის გამოსარკვევად გ. რადეს მოთხოვნით განათლების სამინისტრომ კავკასიის სასწავლებელთა მთავარი მზრუნველის მ. ზავადსკის თავმჯდომარეობით კომისია გამოყო. კომისიამ 1900 წლის 2 ოქტომბრის დასკვნით, მხარი დაუჭირა დირექციის ძალისხმევას ბიბლიოთეკის სპეციალიზაციისთვის. ამასთან ერთად, მოსაზრება გამოთქვა, რომ წიგნთსაცავიდან გამოყოფილიყო მისი პროფილისათვის შეუსაბამო წიგნები და იგი სხვა ბიბლიოთეკას გადასცემოდა. მითუმეტეს, რომ ქალაქის საკრებულოს 1898 წლის მაისის დადგენილებით უნდა დაარსებულიყო საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც ალექსანდრე პუშკინის სახელი დაერქმეოდა.

ბიბლიოთეკის სპეციალიზაციას ახალი დატვირთვა შესძინა იმ გარემოებამ, რომ 1900 წლის 5 ივნისს, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად, ი. ლებედევის ინიციატივით დაარსდა აღმოსავლეთის შემსწავლელი საზოგადოება, რომელსაც გააჩნდა ფილიალი თბილისში. კავკასიაში ეს ქალაქი მიჩნეულ იქნა აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრად, რის მთავარ მოტივაციადაც აქ კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის არსებობა აღმოჩნდა.

ამ პერიოდში ადგილი ჰქონია საეკლესიო-სამონასტრო წიგნების და ხელნაწერების ერთ ადგილზე თავმოყრის ცდას. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას გაუთვალისწინებია თბილისის სასულიერო სემინარიის წინადადება „წიგნები და ყოველივე ისტორი-ული სახსოვარი“ დაებინავებინათ მის ბიბლიოთეკაში და ჯერ კიდევ 1876 წლის 30 ივნისს მიუღია დადგენილება ეკლესიებიდან და მონასტრებიდან ძველი ხელნაწერი წიგნების, დოკუმენტებისა და ნივთების თბილისში გადმოტანის შესახებ. [3: 73]. მაგრამ სემინარიას მათი დაბინავების საშუალება არ აღმოაჩნდა. მაშინ დაისვა საკითხი საეკლესიო ხელნაწერებისა და წიგნების თბილისის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში მოთავსების შესახებ. ამ ფაქტს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყოლია საზოგადოებაში. ამას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა სამღვდლოება და წიგნების თბილისში გადმოტანა ჭიანჭურდებოდა. საქმეში ხელისუფლება ჩაერია. 1884 წელს მთავარმართებლობის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილებით, ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკაში თავი უნდა მოეყარა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს და საეკლესიო გუჯრებს, რომლებიც გაბნეული იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ეკლესია-მონასტრებში. ამის თაობაზე გაზეთი „დროება“ 1884 წლის ნოემბერში წერდა: „ტფილისის სახალხო ბიბლიოთეკის დირექტორს ბატონ რადდეს შეუტანია წინადადება, სადაც ჯერ არსს _ სახელმწიფო ხაზინიდან 25000 მანეთი შემწეობა მიეცეს მისი ბიბლიოთეკის სადგომის გასადიდებლად... შენობის გადიდებას აუცილებელ საჭიროებად რაცხს ბ. რადდე, რადგან ჯერ ეხლაც სივიწროვება და ეს სივიწროვე უფრო საგრძნობელი იქნება, რასაკვირველია, ამ ცოტა ხნის შემდეგ, რადგან ხსენებულ ბიბლიოთეკას გარდაეცემა ძველი ხელნაწერები და საბუთები, რომელნიც აქამდის ეკუთვნოდნენ საქართველოს მონასტრებსა და ეკლესიებს“ [2].

ბოლოს, გაზეთ „დროების“ რედაქცია საეკლესიო ხელნაწერების უკეთ დაცვის მიზნით, მიესალმება ამ გადაწყვეტილებას და სოლიდარობას უცხადებს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს: „სრულიად კანონიერია ბ. რადდეს თხოვნა და გულით უნდა ვნატრობდეთ მის სისრულეში მოყვანას. იქნებ ამით ეშველოთ რამ ჩვენის ქვეყნის ისტორიისთვის დაუფასებელ ძველ ხელნაწერებს, ისტორიულ სიგელებს და ნივთებს, რომელნიც დღემდის საკმაოდ ვერ არიან დაცულნი ჩვენს მონასტრებში და ეკლესიებში და რომელთა გამოყენებაც ასე ძნელია მათი გაფანტვის მიზეზითვე“ [2: 2].

„მთავარმართებლობის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილების შესრულება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაფართოვდებოდა საჯარო ბიბლიოთეკის წიგნთსაცავის ფართი და გ. რადდეს ენერგიულად შეუდგა მოქმედებას. მან ითხოვა ბიბლიოთეკის შენობისათვის მეორე სართულის დაშენება და ამ სამუშაოებისთვის უშუამდგომლა არქიტექტორ ლ. ბილფელდს. ამ უკანასკნელმაც სასწრაფოდ შეადგინა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც შემდგომ ექსპერტიზა ჩაუტარა აკადემიკოსმა გ. სიმონსონმა. არქიტექტორ ლ. ბილფელდის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით ახალი სართულის დაშენება დაჯდებოდა 20000 მანეთი, თუ ამის საშუალება არ გამოინახებოდა, იგი აყენებდა ბიბლიოთეკის შენობის გასწვრივ გალერეის მოწყობის საკითხს, სადაც ორმწკრივად მოთავსდებოდა კარადები. ეს 10 წლით მაინც დიდ შეღავათს მისცემდა მუზეუმის ბიბლიოთეკას“ [960].

მიუხედავად გ. რადდეს დიდი მცდელობისა, ბიბლიოთეკის ახალი შენობის მშენებლობის საკითხი ძალზე გაჭიანჭურდა და საბოლოოდ არც განხორციელებულა.

იგი წვრილი, კამერალური შეკეთებებით შემოიფარგლებოდა. ამის გამო, ბიბლიოთეკა ხშირად იყო დაკეტილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიბლიოთეკა ფუნქციონირებას მაინც აგრძელებდა: კომპლექტდებოდა წიგნებით და შეძლებისდაგვარად იღებდა მკითხველებს. ბევრი წიგნი შემოდიოდა შემოწირულობებითაც. ამ მხრივ აღსანიშნავია 1903 წელს დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის მიერ ბიბლიოთეკისათვის 300-ზე მეტი წიგნის გადაცემა [9: 232]. 1902 წლისათვის საჯარო ბიბლიოთეკაში 70 ათასი წიგნი ირიცხებოდა.

მიუხედავად სიძნელებისა, ფონდები ყოველწლიურად მდიდრდებოდა. XX საუკუნის დასაწყისში კავკასიის მუზეუმმა შეიძინა თავის არსებობის მანძილზე ერთ-ერთი უნიკალური და ბრწყინვალე ექსპონატები, რომელსაც მსოფლიო არქეოლოგია იცნობს „ახალგორის განძის“ სახელით.

ადრეანტიკური ხანის ეს უძვირფასესი კოლექცია ქსნის ხეობაში, ახალგორის ახლოს, სოფელ საძეგურში ადგილობრივმა გლეხებმა შემთხვევით აღმოაჩინეს წვიმის შემდეგ ჩამოშლილ ქალის მდიდრულ სამარხში. განძი ხელში ჩაუგდიათ ჩარჩებს, ოქროთი მოვაჭრეებს და იმ პირებს, რომლებიც ნაპოვნიდან ხელის მოთბობას ცდილობდნენ. სასიქადულო მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის, რომელიც იმხანად მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მდივნად მუშაობდა, ძალისხმევას განძის უდიდესი ნაწილი გადაურჩენია და მისივე ინიციატივით კავკასიის მუზეუმს შეუბენია.

1884 წლის 8 მაისს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ დამტკიცებული კანონის თანახმად კავკ. მუზ. და ტფ. საჯარ. ბიბლ. მთავარმართებლის კანცელარიის დაქვემდებარებიდან გადავიდა განათლების სამინისტროს უწყებაში, ხოლო სამეცნიერო სამუშაოთა ხაზით შევიდა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის ფონდების ზრდასა და გამოფენების გაფართოებასთან ერთად, ასევე იზრდებოდა მისი ავტორიტეტიც. იგი იქცა მთელი კავკასიის მასშტაბით მსხვილ მრავალპროფილიან სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელთანაც ბევრი სახელოვანი რუსი და უცხოელი მეცნიერი თანამშრომლობდა. საინტერესო ფაქტია, რომ საქართველოში ჩამოსვლა და კოლხეთში არგონავტების ნაკვალევზე გონიო-აფსაროსში არქეოლოგიური გათხრების სურვილი გასჩენია ცნობილ გერმანელ არქეოლოგს ჰაინრიხ შლიმანს, რაც კავკასიის მუზეუმთან თანამშრომლობის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. მან 1883 წელს ოფიციალურად მიმართა რუსეთის მთავრობას, თუმცა ამ უკანასკნელს სასტიკი უარი განუცხადებია და თავისი პოზიცია საკმაოდ ბუნდოვანი არგუმენტით განუმარტავს - საიმპერატორო კარმა ჰ. შლიმანს ზნეობა – ორცოლიანობა დაუწუნა. [4: 44].

საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ მაშინ მოქმედი წესის თანახმად, მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში სრულებით არ იყენებდნენ ადგილობრივ ეროვნულ, კვალიფიციურ კადრებს. კავკასიის მუზეუმის არსებობის მანძილზე, აქ არც ერთ ქართველს არ უმუშავია. ტყუილად როდი წერდა გ. რადე იმპერიის განათლების მინისტრს: „კონსერვა-ტორის თანამდებობაზე და თავისუფალ დაქირავებულად მე ვიყვან უცხოელებს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უნივერსიტეტების კურსები ჰალეში, ფრიდრიხმარში” [8: 201]. აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ამის შესახებ წერდა: „უნდა ითქვას, რომ კავკასიის მუზეუმში ადგილობრივ კადრებს არ აკარებდნენ, ვიდრე მუზეუმი კავკასიის მეფისნაცვლის მმართველობიდან პეტერბურგის აკადემიის ხელქვეითი გახდებოდა, ამის შემდეგაც ჭირდა ადგილობრივი

სპეციალისტების მუზეუმში მუშაობა. შემონახულია აკადემიკოს ნიკო მარის წერილი, რომლითაც ავტორი ეფიცებოდა იმდროინდელი მუზეუმის დირექტორს, რომ მავანის მიღება სასარგებლო იქნებოდა. საკითხი ეხებოდა იოსებ ორბელს. ამის მიუხედავად იგი მაინც არ მოიწვიეს” [5: 51].

რასაკვირველია, იმხანად ეროვნული დაწესებულების შექმნა და ეროვნული კულტურის წარმოჩენა არც შედიოდა ხელისუფლების იმპერიულ, კოლონიური პოლიტიკის მიზნებში. არადა, ამ პერიოდში ბევრი ქართველი გამოვიდა სამეცნიერო ასპარეზზე, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დისციპლინებში, მაგრამ მათთვის ამ დაწესებულების კარი დახშული იყო.

ამასთანავე, უნდა ითქვას ისიც, რომ XIX საუკუნეში კავკასიის მუზეუმსა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკაში მთელი კავკასიის შესახებ მდიდარი ლიტერატურის, მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშების თავმოყრა მიუთითებს ამ დაწესებულების ფონდების სწორ დაკომლექტებასა და თანამშრომელთა მაღალ პროფესიონალიზმზე.

Г. ЧХАИДЗЕ

**ИЗ ИСТОРИИ КОМПЛЕКТАЦИИ ФОНДОВ КAVKAZСКОГО МУЗЕЯ И
ТИФЛИССКОЙ ПУБЛИЧНОЙ БИБЛИОТЕКИ**

Резюме

В культурной жизни Грузии большое значение имело основание Кавказского музея и Тифлисской публичной библиотеки в середине XIX века.

С самого начала огромное внимание уделялось правильной комплектации их фондов, что выражалось в отборе существующей литературы и остатков культурного наследия как Кавказа, так и сопредельных ей стран. Большой вклад в это дело внесли руководители этих учреждений: Т. Токарев, А. Берже, Г. Раде и др.

Пополнение фондов публичной библиотеки осуществлялось за счет изданных на Кавказе обязательных экземпляров печатной продукции, переданных в дар как отдельными лицами, так и целыми организациями, а так же приобретенными государством экземплярами, на что оно тратило немало средств.

Средоточие богатой литературы и образцов материальной и духовной культуры в Кавказском музее и Тифлисской публичной библиотеке указывает на правильную комплектацию фондов этих учреждений и о несомненном высоком профессионализме их сотрудников.

G. CHKHAIDZE

**FROM HISTORY OF ACQUISITION OF TBILISI PUBLIC LIBRARY
AND CAUCASUS MUSEUM FUNDS**

Summary

In the middle of XIX century, the creation of Tbilisi Public Library and Caucasian Museum was very important in Georgian cultural life.

From the beginning, the great attention was paid to the correct acquisition of funds that was expressed in collecting literature and cultural heritage of inhabitation of Caucasus and

neighboring countries. G. Tokarev, A. Berje contributed a lot in the process of institution management.

Public Library funds were filled up by essential copies of published production, as well as by means of contribution of different organizations and acquisitions on which government spent a lot of money.

Collection of the samples of rich literature, material and spiritual culture of the whole Caucasus in Caucasian Museum and Tbilisi Public Library, shows the correct acquisition of funds of these institutions and high professionalism of their staff.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. ამირეჯიბი L. ა. ბერჟე, საქართველოს და ჩრდ. კავკასიის ხალხების ისტორიის მკვლევარი: (სადისერტ. ნაშრომი). - თბ., 1998.
2. დროება. - 1884. - 14 ნომბ.
3. პაპუაშვილი ნ., კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზ. „დროების“ მასალების მიხედვით: (სადისერტაციო ნაშრომი). - 1998.
4. პარალელები. - 1999. - № 1. - გვ. 44.
5. ჩიტაია გ. ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე. - თბ., 1988.
6. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის არქივი, (შემდეგ – სს მუზეუმის არქივი) 1867, 17/2.
7. სს მუზეუმის არქივი 1885, 29/18.
8. სს მუზეუმის არქივი 1888, 35/5სს.
9. სს მუზეუმის არქივი 1905, 41/30.
10. სს მუზეუმის არქივი 1909, 40/29.
11. Берже А. Краткий каталог Тифлисской публичной библиотеки (1846-1865). - ტფ., 1861.
12. Берже А. Продолжение краткого каталога Тифлисской публичной библиотеки (1861-1865). - ტფ., 1866.
13. Кавказ. - 1847. - 16 აგვ.
14. Кавказ. - 1848. - 5 იანვ.
15. Кавказ. - 1870. - №105.
16. Кавказ. - 1871. 8-17 იანვ.
17. Кавказский календарь за 1856 г.
18. Памяти А. Берже. - ტფ., 1886.
19. Общий реестр монетам и медалям минц-кабинета при Кавказском отделе Императорского Русского географического общества, составлен Г. Токаревым. - ტფ., 1848.
20. Очет по Кавказскому музею и Тифлисской публичной библиотеке за 1893- 1894 гг. - ტფ., 1894.
21. Новое обозрение. - 1887. - 26 სექ. №1264 ტიფლ. публич. библиотека.
22. Радде Г. Краткий очерк истории развития Кавказского музея, 1891.
23. Сиверс Г. Второе продолжение краткого каталога Тифлисской публичной библиотеки. - ტფ., 1881.
24. Энциклопедический словарь: т. 111 ^А. - С.-Петербург. - 1891.

გ უ რ ა მ თ ა ყ ნ ი ა ვ ი ლ ი

მესამე რუსული გაზეთი კავკასიაში

(160 წელი თბილისში გაზეთ «კავკაზის» დაარსებიდან)

მე-19 საუკუნის შუახანიდან საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. აღდგა ქართული თეატრი. დაარსდა თბილისის

საჯარო ბიბლიოთეკა და ერთ-ერთი ძველი რუსული პერიოდული ორგანო, გაზეთი „კავკაზი“. ყველაფერი ეს შედეგი იყო იმ პოლიტიკური ცვლილებებისა, რომელსაც მეფის რუსეთი საქართველოსთან დამოკიდებულებაში ატარებდა. ცნობილია, რომ 1844 წლიდან კავკასიის მთავარმმართველის თანამდებობა მეფისნაცვლის ინსტიტუტმა შეცვალა. მეფისნაცვალი შეუზღუდავი უფლებებით იყო აღჭურვილი. მას შეეძლო მხარის მმართველობისათვის ყველა აუცილებელი საკითხი დამოუკიდებლად გადაეწყვიტა. 1844 წლიდან ამ თანამდებობაზე მ. ვორონცოვი დაინიშნა. იგი ფრიად განათლებული, მაგრამ ულმობელი კოლონიზატორული ხაზის გამტარებელი პიროვნება იყო. ამ პოლიტიკას იგი ატარებდა არა უხეშად, არამედ ადმინისტრაციული და კულტურული ღონისძიებებით.

მ. ვორონცოვმა, უპირველეს ყოვლისა, ადვილად გამონახა საერთო ენა ქართველ თავადაზნაურობასთან. გააძლიერა რუსული ენის სწავლება და რუსული წესჩვეულებების დანერგვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში „არა ერთბაშად და უხეშად, არამედ თანდათან და მოხერხებულად, ... არა ადმინისტრაციული, არამედ კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებით“ [1: 134]. დასახული პროგრამის განსახორციელებლად გზაზე მ. ვორონცოვმა საჭიროდ მიიჩნია თბილისში ისეთი პერიოდული ორგანოს დაარსება, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა კავკასიის პოლიტიკური მმართველობის გაუმჯობესების, მისი ეკონომიკური, ეთნოგრაფიული და სოციალური ათვისებისათვის.

„კავკაზის“ პირველი ნომერი 1846 წლის იანვარში გამოვიდა. ეს იყო მესამე რუსული გაზეთი „ტიფლისკიე ვედომოსტის“ (1828-1832) და „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ (1838-1845) შემდეგ. თავდაპირველად იგი იყო ყოველკვირეული გაზეთი, გამოდიოდა შაბათობით. გაზეთის პირველ გვერდზე იბეჭდებოდა მეფის ხელისუფლების ოფიციალური მასალები – ბრძანებები, განკარგულებები. გაზეთის დანარჩენი ნაწილი კავკასიის სხვადასხვა ადგილებში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციებს ეკავა.

თავდაპირველად გაზეთს რედაქტორ-გამომცემელი გამოსცემდა. მისი არჩევა 4 წლის ვადით, კონკურსის წესით ხდებოდა. გაზეთ „კავკაზის“ პირველი რედაქტორი იყო ი. კონსტანტინოვი. მართალია, იგი სამხედრო პირი იყო, მაგრამ მისმა ფართო განათლებამ და ლიტერატურისადმი შეუწინაღებელმა ინტერესმა განაპირობა ამ თანამდებობის დაკავება. ი. კონსტანტინოვი საქართველოში 1840-1851 წწ. ცხოვრობდა. იგი ინტერესით ეცნობოდა ამ მხარის ცხოვრებას, ბუნებას, ყოფიერებას და გაზეთსაც ერთ-ერთ მიმართულებად სწორედ კავკასიის მხარის გაცნობა დაუსახა მიზნად. გაზეთის პირველივე ნომერი, რომელიც ი. კონსტანტინოვის რედაქტორობით გამოიცა, იყო ნათელი, შინაარსიანად მრავალმხრივი. გაზეთმა მკითხველთა დაინტერესება გამოიწვია. ამ გაზეთს თავიდანვე იწერდნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში: პეტერბურგში, მოსკოვში და სხვ. თვითონ ი. კონსტანტინოვმა გაზეთს დიდი ენერგია შეაღია, იზიდავდა ახალ-ახალ ავტორებს, ებრძოდა ცენზურას. ყოველივე ამან გაზეთის პოპულარობა და პროგრესული მიმართულება განაპირობა. თვითონ მრავალი სტატიის რედაქტორი და ნარკვევის ავტორი იყო. გაზეთი აქტიურად ეხმაურებოდა ცხოვრებისეულ პრობლემებს, კავკასიის ხალხთა ადათ-წესებს, მათ კულტურულ და სოციალურ ცხოვრებას. ამან გამოიწვია ის, რომ გაზეთ „კავკაზში“ აქტიურად დაიწყეს თანამშრომლობა ისეთმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ ი. პოლინსკი, ვ. სოლოგუბი, ი. ევლახევი, მ. ბროსე, მ. ახუნდოვი, ხ. აბოვიანი, გ. ერისთავი, დ. ყიფიანი, რ. ერისთავი, დ. ჩუბინიშვილი,

დ. ბაქრაძე და სხვები. ავტორები სისტემატურად აქვეყნებდნენ „კავკაზში“ ისტორიულ, ლიტერატურულ და ეთნოგრაფიულ წერილებს.

„კავკაზის“ წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უკვე 1848-49 წლებიდან ბევრი რუსული გაზეთი, რომელიც რუსეთში გამოდიოდა, ცდილობდა პირველადი ინფორმაციები სწორედ გაზეთ „კავკაზიდან“ გადაეხეჭა. პირველსავე ნომერში ი. კონსტანტინოვი წერდა: „გაზეთი შეეცდება აღმოფხვრას ის მცდარი შეხედულება კავკასიაზე, რომელიც დღემდე არსებობს და მკითხველს წარუდგინოს იგი თანამედროვე სახით“. შემდეგ რედაქტორი მიმართავს მკითხველს: „გაიხსენეთ კავკასიის ისტორია, როგორ ებრძოდნენ ჯერ ერთიმეორეს აქ მყოფი ხალხები, და შემდეგ, მე-16 საუკუნიდან როგორ ეძებდნენ ისინი რუსეთისაგან დაცვას“. გაზეთი დღენიადაც ცდილობდა გაემაგრებინა კავკასიის ხალხთა მეგობრობა, დაეხატა ამ მხარის ყოფაცხოვრება ისეთი, როგორც სინამდვილეში იყო. თვითონ ი. კონსტანტინოვის ნარკვევების ძირითადი თემა იყო სამხედრო საქმე, „სამხედრო პირებს იგი ხატავდა დიდი სიყვარულითა და მხატვრული ოსტატობით“ [4]. ი. კონსტანტინოვმა შექმნა სერია თბილისის შესახებ. თავისი რედაქტორობის იგი გაზეთს ორ ამოცანას უსახავდა: „კავკასიის მხარის ობიექტური აღწერა და რუსეთისა და კავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება“ [5: 88].

გაზეთის არსებობის პირველ პერიოდში 1846-1851 წწ. მისმა პირველმა რედაქტორმა მთლიანად ამოწურა შესაძლებლობები კავკასიის მხარის მეცნიერული, ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული შესწავლის თვალსაზრისით. „კავკაზის“ გამოცემის სამ პერიოდს აღნიშნავენ: 1. 1846-1854 წწ.; 2. 1854-1899 წწ. და 3. 1899-1918 წწ. სამივე პერიოდი იმით იყო აღსანიშნავი, რომ გაზეთი უცვლელად ატარებდა პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად ხაზს და მიმართულებას – მეფის რუსეთის პოლიტიკის თანდათანობით დამკვიდრებას კავკასიაში და ამ მხარის ისტორიული, ეთნოგრაფიული და კულტურული ცხოვრების გაცნობას რუსეთის ფართო საზოგადოებისათვის. გაზეთის ერთ-ერთი ნომრის საპროგრამო ნაწილში (1852, 28 ივნისი) აღნიშნულია, რომ „კავკაზი“ ახალ ლიტერატურულ ცხოვრებას იწყებდა. გაზეთი რუსეთის მკითხველებს, ევროპელებსა და აზიელებს კავკასიის ისტორიული, პოლიტიკური, ეთნოგრაფიული და კულტურული ცხოვრების შესახებ არსებულ მასალებს მიაწვდიდა. აქვე გაზეთი აქვეყნებდა იმ მასალების შინაარსსა და ძირითად მიმართულებებს, რომლებიც დაიბეჭდებოდა მის ყოველ ნომერში. საპროგრამო ნაწილი ასე იყო წარმოდგენილი: 1. ოფიციალური ნაწილი, მეფისნაცვლის მიერ გამოცემული განკარგულებები და ბრძანებები; 2. ქალაქის ქრონიკა; 3. ინფორმაციები კავკასიისა და ამიერკავკასიის ქალაქებიდან; 4. ინფორმაციები სპარსეთიდან და თურქეთიდან; 5. ლიტერატურულ-სასწავლო ნაწილი; 6. ბიბლიოგრაფია და კრიტიკა; 7. ფელეტონები. ამ დროისათვის გაზეთის მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: ი. ა. ბარტოლომეი, მ. ბროსე, გ. ბაქრაძე, გ. გაგარინი, ი. ევლახოვი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, ი. პოლონსკი, ი. რაიკო, ლ. ციმერმანი და სხვები.

„კავკაზის“ 1852 წლის ერთ-ერთ ნომერში (37, 16 ივლისი) დაბეჭდილია „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დებულება“. დებულება შედგება 58 პარაგრაფისაგან. ეს დოკუმენტი, ფაქტობრივად ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს წარმოადგენს. ამ დებულების თანახმად, ბიბლიოთეკა უშუალოდ კავკასიის მეფისნაცვალს ექვემდებარება. წიგნი, რომელიც კატალოგშია, მეფისნაცვლის განკარგულების გარეშე არ შეიძლება ამოღებული იქნეს. ამ დროისათვის საჯარო ბიბლიოთეკას ჰქონდა სისტემატური და ანბანური კატალოგები და საერთო რეესტრი (ფონდების ერთიანი აღრიცხვა). უბრუნდება რა გაზეთის საპროგრამო ნაწილს,

რედაქცია კვლავ ყურადღებას აქცევს გაზეთის ძირითად დანიშნულებას: „მთელი რუსეთი ამჟამად ინტერესით უცქერის კავკასიას, „კავკაზმა“ უნდა შექმნას სწორი წარმოდგენა ამ მხარეზე, გაუფრთხილდეს მკითხველს, კავკასია დაცული უნდა იქნას, „კავკაზის“ მიერ (1852, № 41, 30 ივნისი).

ეცნობით რა გაზეთის თითოეულ ნომერს, რწმუნდებით, რომ სარედაქციო კოლეგია პრინციპულად მიჰყვება არჩეულ პროგრამას, ცდილობს რა იგი ობიექტური მასალებით, სისრულით წარმოადგინოს. დაარსებიდანვე „კავკაზი“ კავკასიის კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებას ჯეროვან ყურადღებას აქცევდა. აქვეყნებდა ქრონიკებს, თარგმანებს, ორიგინალურ ნაწარმოებებს. 1859 წლის ერთ-ერთ ნომერში გაზეთმა მაღალი შეფასება მისცა ნ. ბარათაშვილის ნაწერებს, რომლებიც ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა. უფრო მოგვიანებით „კავკაზმა“ დაბეჭდა ნ. ბარათაშვილის ლექსების ვ. ლებედევის მიერ იყო შესრულებული თარგმანები, რომლებიც 1897 წელს გამოქვეყნდა (№24); მომდევნო პერიოდში გაზეთში გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის ლექსების თარგმანები, რომლებიც ტ. ბეკხანოვას ეკუთვნოდა (1901, №208). ნ. ბარათაშვილის ლექსების თარგმანები რუსულ ენაზე უპირატესად იბეჭდებოდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ [2; 176-186].

გარდა ლიტერატურული ნიმუშებისა, გაზეთი სისტემატურად აქვეყნებდა ინფორმაციებს ახალი წიგნების შესახებ, ბეჭდავდა რეცენზიებს, ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ამსახველ კორესპონდენციებს. როგორც აღნიშნული იყო, 1852 წლის მეორე ნახევრიდან „კავკაზმა“ არსებითი ცვლილება განიცადა. იგი მეფისნაცვლის კანცელარიის უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდა. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მუშაობა მნიშვნელოვნად გააქტიურა. გაზეთი უნდა გამხდარიყო უფრო სრული, ღრმად შინაარსიანი, და, რაც მთავარია, ობიექტური მასალების ამსახველი ორგანო. ამ მიზნით გაზეთის რედაქციამ მიმართა ამ მხარეში მცხოვრებ სწავლულებს, ლიტერატურისმცოდნეებსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს, მოგზაურებს, სპარსეთსა და აზიის თურქეთში მცხოვრებ მუდმივ კორესპონდენტებს. არც ერთი ფაქტი თუ მოვლენა – პოლიტიკური, სოციალური, მხარეთმცოდნეობითი არ უნდა დარჩენილიყო, რომ გაზეთში არ გაშუქებულიყო. ფაქტი, რომ გაზეთს მფარველობდა მეფისნაცვალი, გამომცემელ-რედაქტორებს დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებდა. ამ დროისათვის (1852) გაზეთის ლიტერატურულ ნაწილს ვ. დ. სოლოგუბი ხელმძღვანელობდა. რედაქცია კიდევ ერთხელ მიმართავდა გეოგრაფებს, უცხოელ სტუმრებს, მოგზაურებს, სამხედრო პირებს: კოტლიარევსკის, ველიამინოვს, ერმოლოვს და სხვებს გაეკეთებინათ სისტემატური ჩანაწერები, შთაბეჭდილებები, რომელთა გამოქვეყნება ბევრ საინტერესო საკითხს მოჰფენდა ნათელს.

1853 წელს სარედაქციო წერილში „კავკაზის“ იმდროინდელი რედაქტორი ი. ა. სლივიცკი კვლავ უბრუნდება გაზეთის გააქტიურების საკითხს. აქვე ქვეყნდება იმ პირთა გვარები, რომელთა ნაწერებიც დაიბეჭდა გაზეთში. ცნობილი პირებიდან დასახელებულნი არიან: ე. ს. ანდრეევსკი, ალი-ფეტახუნდოვი, ი. ახვერდოვი, ი. ბართოლომეი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, ნ. ბერძენოვი, გრაფი ვ. სოლოგუბი, გ. ტოკარევი, დ. ჩუბინოვი და სხვები. მომდევნო წელს, „კავკაზში“ დაიბეჭდა ვრცელი რეცენზია მ. პ. შერბინინის წიგნზე „მიხეილ ვორონცოვის ბიოგრაფია“ (დაიბეჭდა პეტერბურგში, 1858 წელს).

გაზეთ „კავკაზის“ ყოველ ნომერში, წინა გვერდზე, მასალის სისტემატიზაციისათვის მოცემული ნომრის შინაარსი იბეჭდებოდა. ხოლო მთელი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი მომდევნო წლის პირველ

ნომერში ქვეყნდებოდა. გაზეთში დიდი ნაწილი ეკავა ოფიციალურ მასალებს, რომლებიც საიმპერატორო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს ეხებოდა. სხვა მასალებიდან ყურადსაღებია ფელეტონები, თბილისისა და კავკასიის სხვა დიდი ქალაქების ახალი ამბები, სოციალური თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების კორესპონდენციები და ა. შ. გაზეთი „კავკაზი“, 1852 წლიდან მოყოლებული, ამ სტრუქტურას მომდევნო წლებშიც ინარჩუნებდა (რედაქტორები ე. ვერდერევესკი, ო. ბობილევ, ე. შვარცი, ი. ა. და ს. ა. სლივიცკები, ე. ს. სტალინსკი და სხვები).

1866 წელს „კავკაზმა“ გამოაქვეყნა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის (1858-1868) ა. ბერჟეს ვრცელი ინფორმაცია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ 1961-1965 წწ. ჩატარებული მუშაობის შესახებ. აქ აღნიშნულია, რომ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის 1850 წლიდან ახალი წიგნების შეძენა შეწყდა და მხოლოდ 1862 წელს განახლდა. ამ პერიოდში წიგნების შესაძენად თვითონ ა. ბერჟე ჩავიდა ქ. ლაიფციგში, სადაც ის შეხვდა წიგნებით მოვაჭრე ბროკჰაუსს. აქედან ბერჟე გადავიდა ქ. ვენაში, შემდეგ კი ქ. ოდესაში. პეტერბურგში ყოფნისას ა. ბერჟემ თხოვნით მიმართა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას, რათა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის კავკასიის შესახებ არსებული ახალი ლიტერატურა გადმოეცათ. ამ თხოვნის შედეგად აღნიშნულმა აკადემიამ საჯარო ბიბლიოთეკას 44 სახელწოდების 132 ტომი გადასცა. საჯარო ბიბლიოთეკას, ასევე უსასყიდლოდ გადასცა წიგნები პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკამ (ამჟამად რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა). ამ ინფორმაციიდან ირკვევა, რომ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას 1860-იან წლებში საჩუქრად მიუღია 966 დასახელების 1955 ეგზემპლარი, ძირითადად კავკასიოლოგიური შინაარსის წიგნები [6], რის შედეგადაც ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ა. ბერჟეს ინფორმაციით ბიბლიოთეკის ხარჯებმა 1861-1865 წწ. შეადგინა 8 305 მანეთი. ბიბლიოთეკას ჰყავდა ერთი ყარაული (დაცვა) და ერთი ჩინოვნიკი ბიბლიოთეკარი, რომელიც ამ მოვალეობას შეთავსების წესით ასრულებდა. საერთოდ „კავკაზი“ ჯეროვან ყურადღებას უთმობდა საქართველოში საბიბლიოთეკო ცხოვრების ამსახველ მასალებს. გარდა საჯარო ბიბლიოთეკისა, აქვეყნებდა მასალებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სახალხო ბიბლიოთეკების დაფუძნებისა და შემოწირულობების შესახებ. ეცნობა რა უცხოეთის საბიბლიოთეკო ცხოვრების ამსახველ ფაქტებს, გაზეთი 1900 წელს ბეჭდავს საინტერესო მასალას ამერიკაში, კალიფორნიის შტატში ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების შესახებ. აღნიშნული შტატის 80 სკოლის მოსწავლეებს შორის ჩატარდა გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო ბავშვების ბიბლიოთეკებისადმი დამოკიდებულების შესწავლა. შედეგად გაირკვა, რომ ბავშვების დიდი ნაწილი ბიბლიოთეკების ფონდებიდან ბიბლიოთეკარების დახმარებით სარგებლობდნენ. კითხვაში ვაჟები უფრო მეტ დამოუკიდებლობას ამჟღავნებდნენ, ვიდრე გოგონები [7].

„კავკაზი“ სისტემატურად ადევნებდა თვალყურს თბილისში მიმდინარე ლიტერატურულ თუ კულტურულ პროცესებს, ცდილობდა მხედველობიდან არ გამოეჩინოდა ყოველი თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა თუ ფაქტი. ინფორმაციას აწვდიდნენ თვითონ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობით დაინტერესებული პირები.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ საგაზეთო ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების სპეციალურ

სხდომას. სხდომა, რომელიც აკაკი წერეთლის შემოქმედებას ეძღვნებოდა, გახსნა გ. ო. ჟორდანიამ. აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ მოხსენებითა და მოგონებებით გამოვიდა სოფრომ მგალობლიშვილი. ამავე სხდომაზე მოკლე, მაგრამ ღრმად მგრძნობიარე სიტყვით გამოვიდა კრიტიკოსი ი. გომართელი. როგორც პუბლიკაციის ავტორი გრ. რობაქიძე წერს, ი. გომართელის სიტყვებში იგრძნობოდა სითბო და სიყვარული არა მარტო აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი, არამედ ეს გამოსვლა გამსჭვალული იყო გრძნობების სიჭარბითა და იმის გაბედული აღიარებით, რომ დღეს ქართული მწერლობა ეროვნულ ნიადაგზე დგას. ამავე სხდომაზე ქართული პოეზიის მნიშვნელობასა და მხატვრული ოსტატობის სიმადლეების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გრ. რობაქიძემ. მან ქართული პოეზია ისტორიულ ასპექტში მიმოიხილა და, რა თქმა უნდა, გვერდი ვერ აუარა შოთა რუსთაველის ამაღლებულ შაირს [8]. კორესპონდენციას ხელს აწერს გრ. რობაქიძე - კავკასიელი.

„კავკაზის“ მრავალმხრივობას, მასალების ინფორმაციულ თუ შექმენებით დონეს განაპირობებდა გაზეთის რედაქციისა და რედაქტორ-გამომცემელთა მაღალი პასუხისმგებლობა, შეგნებული დამოკიდებულება მოვალეობისადმი და სიყვარული და პატივისცემა გაზეთის მკითხველისადმი. თავისი არსებობის შვიდი ათეული წლის მანძილზე გაზეთმა ბევრი რედაქტორ-გამომცემელი და პასუხისმგებელი თანამშრომელი გამოიცვალა. „კავკაზის“ რედაქტორები ო. კონსტანტინოვის შემდეგ იყვნენ: ი. სილიცკი, ე. ვერდერევსკი, ნ. ბერეზნიევი, ბ. ბობილევი, ე. შვარცი, ი. და ს. სლივიცკები, ე. სტალინსკი, ნ. ვორონოვი, დ. კობიაკოვი, დ. ერისთავი (ერისტოვი), მ. ტებენკოვი, ვ. პახომოვი, ი. მილიუტინი, ვ. ველიჩკო, კ. ბეგიჩევი, ა. ბელინსკი, ნ. იუშკოვი, პ. ოპოჩინინი, ვ. სტრატონოვი, პ. ლავროვი, ა. სლივიცკი, ნ. ლებედევი. როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, „კავკაზს“ რედაქტორობდნენ რუსეთსა და კავკასიის მხარეში ცნობილი პირები, ისტორიკოსები, სამხედრო ჩინოვნიკები.

ერთადერთი ქართველი რედაქტორი „კავკაზისა“ გახლდათ დ. ერისთავი, კაცი ფრიად განათლებული, ეროვნული, მგზნებარე მამულიშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. „კავკაზი“ მან 1882 წლის 1 იანვრიდან ჩაიბარა და გაზეთის გამოცემის საქმეს სამი წლის განმავლობაში ენერგიულად უძღვებოდა. ამ პერიოდში გაზეთში საქართველოსა და ქართველების შესახებ მასალებმა იმატა. როგორც გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა დ. ერისთავის „კავკაზი“ ბევრად განსხვავდებოდა თავისი წინათმყოფელი და დღევანდელი „კავკაზის“ ნომრებისაგან. დ. ერისთავს სახელი და დიდება მოუტანა 1880-იან წლებში დაწერილმა ისტორიულმა პიესამ „სამშობლო“. „დ. ერისთავმა არა მარტო ქართული თეატრი დააყენა ფეხზედ, არამედ თვით საზოგადოებაც გამოაფხიზლა და რამდენადმე მაღლა ასწია ეროვნული ცნობიერება“. ეს ყველაფერი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შეძლო. ამის შესახებ სინანულის გრძნობით წერდნენ და ამბობდნენ ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწენი. 1890 წელს, როდესაც ქართველი საზოგადოებრიობა დ. ერისთავს სამუდამოდ ეთხოვებოდა, ი. მეუნარგიამ ასე მიმართა განსვენებულს: „შენ კი ფეხი შემოდგი საზოგადო სარბიელზე იმ დროს, როდესაც წიგნი დაცემული იყო ჩვენში, ოჯახი – გადაგვარებული, თეატრი – ცარიელი“ (ივერია, 1890). აკაკი წერეთელმა, ეთხოვებოდა რა დ. ერისთავის ნეშტს, ხაზი გაუსვა თავდადებული მამულიშვილის საქვეყნო ღვაწლის მნიშვნელობას ერის სულიერი გაჯანსაღების საქმეში. აკაკის სიტყვებით დ. ერისთავმა „სამშობლოსათვის დადგა „სამშობლო“.

გაზეთი „კავკაზი“ თავისი არსებობისა და დახურვის შემდეგაც (1918) იპყრობდა ქართველ მეცნიერ-მკვლევართა ყურადღებას. ამას განაპირობებდა გაზეთში გამოქვეყნებული საინტერესო პუბლიკაციები, რომელთაც პირველწყაროების

მნიშვნელობა ენიჭებოდა. სხვადასხვა დროს გაზეთი „კავკაზი“ სხვადასხვა ასპექტით შესწავლილი აქვთ მკვლევარებსა და ჟურნალისტებს: პ. ყიფიანს, მ. გაბრიამეს, ი. გოლდმანს, ნ. მახათაძეს, ა. მიშივეს, ა. ფილილეევას, ე. არჯევანიძეს, ი. ბოგომოლოვს, პ. გუგუშვილს, ა. ცინცაძეს, ა. იმედაძეს, ვ. უზნაძეს, ბ. პირადოვს და სხვებს.

ამავე გაზეთის შესახებ საინტერესო მასალები გამოქვეყნდა კრასნოდარში გამოცემულ სპეციალურ კრებულში [9]. ვფიქრობთ, გაზეთი „კავკაზი“ თავისი არსებობის 160 წლის გადასახედიდან კვლავ ინაჩუნებს არა მხოლოდ ისტორიულ და ბიბლიოგრაფიულ ღირებულებას. მისი ანალიტიკური დამუშავება და თითოეული ინფორმაციის სისტემატიზაცია ბევრ საინტერესო ფაქტს თუ მოვლენას წარმოაჩენს, ჯერ შეუსწავლელსა და ხელშეუხებელს.

Г. ТАКНИАШВИЛИ

ТРЕТЬЯ РУССКАЯ ГАЗЕТА НА КAVKAZE (К 160-летию основания газеты «Кавказ»)

Резюме

В статье прослежена история газеты “Кавказ” (1846-1918), которая внесла значительный вклад в становление межкультурных связей на Кавказе. Анализируя содержание периодического издания, автор приходит к выводу, что “Кавказ” не только самый богатый информационный источник по истории кавказских народов, но также и оригинальный исторический документ, свидетельствующий об их культурном, социальном, экономическом и политическом развитии в течение девятнадцатого и начала двадцатого столетия.

G. TAKNIASHVILI

THE THIRD RUSSIAN NEWSPAPER IN THE CAUCASUS (To the 160-th anniversary)

Summary

In this article, the history of the newspaper “Kavkaz” (1846-1918) which contributed much to the cross-cultural communication in the Caucasus, is traced. Analyzing the contents of the periodical, the author comes to the conclusion, that “Kavkaz” is not only the richest source of information on the history of the Caucasian people, but also an original historical document testifying to their cultural, social, economic and political development for the nineteenth century and first two decades of the twelfth century.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები: - ტ. 5. - თბ., 1970. - 866 გვ.
2. ბოგომოლოვი ი. ნიკოლოზ ბარათაშვილი და რუსული ბეჭდვითი სიტყვა // ნიკოლოზ ბარათაშვილი : საიუბილეო კრებული. - თბ., 1968.
3. ივერია. - 1890, 16 ოქტ.
4. ჟურნალისტის საკითხები: - წ. 7-8. - თბ., 1981. - 574 გვ.
5. ვათეიშვილი ე. გრიბოედოვი და პირველი რუსული გაზეთი კავკასიაში // ცისკარი. - 1969. - გვ. 125-135.

6. Пирадов Б. Первый редактор „Кавказа“ // Вечерний Тбилиси . – 1981. – 27 июня.
7. Богомолов И. Грузия в жизни и творчестве И. Константинова // ლიტერატურული ურთიერთობანი: - კრ. 2. - თბ., 1969. - გვ. 83 –103.
8. Кавказь.- 1866. - № 28.
9. Кавказь. - 1900. - № 173.
10. Кавказь .- 1915.- 28 марта
11. Книжное дело на северном Кавказе : История и современность: Сборник статей: вып.3. - Краснодар. - 2005. - 384 с.
12. Ананишвили Н. Очерки истории русскоязычной журналистики Грузии конца XIX – первой трети XX века . - Тб., 2000. - 224 с.

მ ა რ ი ნ ა ს უ რ მ ა ვ ა

აღორძინების ეპოქის იტალიის საჯარო ბიბლიოთეკები, როგორც კულტურისა და განათლების კერები

ევროპული კულტურის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მეორე ისეთი პერიოდი, თავისი მნიშვნელობით იტალიური აღორძინების ეპოქას რომ შეედრებოდეს. ამ ეპოქამ დაბადა ჰუმანისტი ერუდიტების პლეადა, რომელთა გრანდიოზულმა ინტელექტუალურმა ქმედითობამ მოკლე ხანში შეძლო შუასაუკუნეობრივ ფასეულობათა მთელი სისტემის გადაფასება და ახალი გეზი მისცა იტალიური, და არა მარტო იტალიური კულტურისა და ცივილიზაციის შემდგომ განვითარებას [1].

მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკური ეკლესია სასტიკად უკრძალავდა საერო პირებს საკუთარი წიგნების ქონას და, მით უმეტეს, საჯარო ბიბლიოთეკების შექმნას, მეცნიერების, ხელოვნების, ვაჭრობის განვითარების გავლენით შუა საუკუნეების ევროპაში მსგავსი ბიბლიოთეკების დაარსების აუცილებლობა სულ უფრო ძალუმად იგრძნობოდა. ბიურგერობა საქონლის წარმოებისა და წარმატებული გასაღებისათვის პრაქტიკულ ცოდნას საჭიროებდა. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისა და ქვეყანათა შორის კონტაქტების გაძლიერებამ, ახალი ტერიტორიების აღმოჩენამ, თავის მხრივ, განაპირობა რუკების, გეოგრაფიული ენციკლოპედიების, ცნობარების შედგენის აუცილებლობა. ყოველივე ამან კი ხელსაყრელი ნიადაგი მოამზადა მეფეთა, მთავართა, წარჩინებულთა, დიპლომატთა, მეცნიერთა, მასწავლებელთა, ექიმთა, შეძლებულ მოქალაქეთა, მსხვილ ფეოდალთა და სხვათა ბიბლიოთეკების შესაქმნელად.

კერძო და საჯარო ბიბლიოთეკები მრავლად იქმნებოდა დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში. მათი ფონდები ხშირ შემთხვევაში, როგორც წესი, დასაწყისში მცირერიცხოვანი იყო. არცთუ იშვიათად მდიდარ კოლექციათა მფლობელები თავიანთ წიგნსაცავებს სასწავლო დაწესებულებებს, ახლად დაარსებულ უნივერსიტეტებს, ან ქალაქის თვითმმართველობას უტოვებდნენ [2]. ბევრი კერძო ბიბლიოთეკა იყო ინგლისსა და იტალიაში. წიგნადი ფონდები, ძირითადად, ინგლისურ და იტალიურ ენებზე შედგენილი თხზულებებისაგან შედგებოდა. იმდროინდელ ბიბლიოთეკებში მრავლად იყო ისტორიული, სამედიცინო, სამონადირო საქმის თხზულებები. ხშირი იყო წიგნები ეტიკეტის საკითხებზე, სარაინდო რომანები, ასევე ლირიკული ხასიათის ლექსები და

სასულიერო შინაარსის თხზულებები, სხვადასხვა ხასიათის (ძირითადად, საეკლესიო) ცნობები და სხვა.

XIII ს. დამლევს იტალიის ბევრი ქალაქი, განსაკუთრებით ფლორენცია, პადუა, ბოლონია ჰუმანისტური კულტურის აკვნად გადაიქცა. ეს იმით აიხსნება, რომ იტალიაში ყველაზე კარგად შემოინახა ანტიკური კულტურის მემკვიდრეობა – ჰუმანისტური მსოფლმხედველობის უმთავრესი დასაყრდენი.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი საჯარო ბიბლიოთეკა იტალიის ქალაქებში იქმნებოდა.

ჩვენ შევხებით სწორედ რენესანსის ხანის იტალიაში დაარსებულ საჯარო ბიბლიოთეკებს, ასევე, თვალსაჩინო იტალიელი ჰუმანისტების ფრანჩესკო პეტრარკასა და ჯოვანი ბოკაჩოს მიერ დაარსებული საჯარო ბიბლიოთეკების შექმნის ისტორიას.

იტალიელი ჰუმანისტი ფრანჩესკო პეტრარკა (1304-74) ცნობილია, როგორც ანტიკური სიძველეებით გატაცებული მკვლევარი, თავგამოდებული ბიბლიოფილი და ევროპაში არსებული კერძო ბიბლიოთეკათა შორის ყველაზე მდიდარი და მრავალრიცხოვანი კოლექციის მფლობელი. იგი აქტიურად უწყობდა ხელს საკუთარი წიგნების მიმოქცევას მეგობრებსა და მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა წრეში, რითაც მათში ამკვიდრებდა ხელნაწერთა შესწავლის ახალ გატაცებებს და მკაცრად აკრიტიკებდა თავის თანამედროვე ძუნწ და ეჭვიან კოლექციონერებს, რომლებსაც „დატყვევებული“ ჰქონდათ ძვირფას ხელნაწერთა კოლექციები და მათ ცოდნის მაძიებელ და განათლებულ პიროვნებებს ჯიუტად უმაღავდნენ. ალბათ, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ იმ ეპოქაში იგი იყო პირველი სულისჩამდგმელი პირადი კოლექციის საჯარო ბიბლიოთეკად გადაქცევის იდეისა, რომელსაც შემდგომში, მისი სურვილის თანახმად, ანტიკური სამყაროს სახელგანთქმულ სახალხო ბიბლიოთეკათა დონისათვის უნდა მიეღწია [3].

მის მიმდევართა შორის უპირველესი იყო ჯოვანი ბოკაჩო (1313-75). სწორედ მათი თაოსნობით შეგროვდა უამრავი ხელნაწერი, ანტიკური წიგნი, თანდათანობით ჩამოყალიბდა ჰუმანისტთა ახალი თაობა. ჯოვანი ბოკაჩო ბევრს მოგზაურობდა, აგროვებდა ძველ ხელნაწერებს, იძენდა წიგნებს. მის მოგონებებში დაცულია ასეთი ინფორმაცია: აპულიაში ყოფნის დროს მას მოუნახულებია მონტე კასინოს უძველესი და უძვირფასესი ხელნაწერებით მდიდარი ბიბლიოთეკა. იგი იმედოვნებდა, რომ იხილავდა მონასტერში დაცულ სახელგანთქმულ წიგნთა კოლექციას, მაგრამ, სავალალოდ, დიდი ჰუმანისტი წააწყდა გადაუხურავ, აშმორებულ, ადგილობრივი ბერების მიერ განადგურებულ შენობას. უმეცარი ბერები ტექსტებს აფხეკდნენ ხელნაწერებს და კინძავდნენ მათ ფსალმუნთა და ლოცვათა წიგნების სახით მცირე ფორმატებად. პეტრარკას ბიბლიოთეკის შემდგომი ბედის განსაზღვრაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ბოკაჩოს მიერ 1362 წლის 28 მაისს შედგენილმა წერილმა, რომელშიც იგი გამოთქვამდა ლიტერატურული სტუდიების დატოვების აზრს და თავის უახლოეს მეგობრებს და მასწავლებლებს სთავაზობდა მისი უძვირფასესი წიგნებისა და ხელნაწერების შესყიდვას. ჯ. ბოკაჩო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა გასცნობოდა პეტრარკას მთელ კოლექციას, რომლის შესახებაც შემდგომში თავის ფლორენციელ მეგობრებს დიდი აღტაცებით უყვებოდა. როდესაც მოგვიანებით ბიბლიოთეკა პადუაში გადაიტანეს, პეტრარკას შესაძლებლობა მიეცა, საკუთარი კოლექციისათვის შეემატებინა ბოკაჩოს შესანიშნავი წიგნსაცავი, რომელსაც იგი კარგად იცნობდა და უკვე თავისადაც მიიჩნევდა. ჯ. ბოკაჩო თავის დაწერილ ბარათში არ უარყოფდა ადრინდელ

წინადადებას, მაგრამ ამავე დროს იგი პეტრარკას სთავაზობდა, ჩასულიყო თავის წიგნებიანად და მუდმივად დარჩენილიყო მასთან საცხოვრებლად. ამ გზით მოხერხდებოდა ორი დიდი ჰუმანისტის ორი უძვირფასესი კოლექციის გაერთიანება ზედმეტი ხარჯების გარეშე; აქვე გამოთქმული იყო რწმენა, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა, მათი მემკვიდრეების დახმარებით, უდიდეს ჰუმანისტთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, უმდიდრესი ბიბლიოთეკა გადასცემოდა რომელიმე უნივერსიტეტს, ან კულტურულ დაწესებულებას. მცირე ხნის შემდეგ პეტრარკამ გადაწყვიტა, ბიბლიოთეკა ვენეციის ქალაქ-რესპუბლიკისათვის საჯარო სარგებლობისათვის გადაეცა. სანაცვლოდ კი მუდმივი საცხოვრებელი მოითხოვა ქალაქ ლავუნაში.

1362 წ. 4 სექტემბერს ვენეციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო პეტრარკას წინადადება და მას საცხოვრებლად გადასცა მამული სკიავონის სანაპიროზე. რამდენიმე დღეში პეტრარკა ახალ საცხოვრებელ ადგილზე გაემგზავრა, რათა სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი იქ გაეტარებინა, მაგრამ 1365 წ. ძვირფასი მეგობრების – ვენეციის დოჟის ლორენცო ჩელსის და მეცნიერ ბენინტენდი რავინიანის გარდაცვალებისთანავე, 7 წლის შემდეგ, პეტრარკამ მიატოვა ვენეცია და დასთანხმდა ფრანჩესკო ვეკიო კარანელის მასპინძლობასა და განუსაზღვრელი დროით მეურვეობაზე შემოთავაზებულ წინადადებას.

ბოკაჩომ, თავის მხრივ, პეტრარკას გარდაცვალებიდან წლისთავზე შედგენილ ანდერძში, უპირატესობა მიანიჭა მეგობრის პირვანდელ იდეას – მათი ორივე კოლექცია გადაეცა რელიგიური ინსტიტუტისათვის, პირობით, რომ წიგნები მუდმივ სარგებლობაში დარჩებოდა მათ უახლოეს მეგობარს ფრა მარტინო სინიელს გარდაცვალებამდე, ხოლო შემდეგ მფლობელობაში ფლორენციის სან სპირიტოს (წმ. სულის) ავგუსტინურ კონვენტს გადაეცემოდა.

1387 წ. ფრა მარტინოს გარდაცვალების შემდეგ ძვირფასი წიგნსაცავი, ანდერძის მიხედვით, ფლორენციის ზემოხსენებულ კონვენტს გადაეცა, მაგრამ ამ წიგნების სრული სისტემატიზაცია მოხერხდა XV ს. დასაწყისში, როდესაც მათ შესანახად და დასაცავად ცნობილმა იტალიელმა მეცნიერმა და ბიბლიოფილმა ნიკოლო ნიკოლიმ (1365-1437) საკუთარი სახსრებით საგანგებოდ ააგო შენობა, რომ უდიდეს ჰუმანისტთა სურვილის თანახმად, ეს წიგნები და ხელნაწერები უცხოელ სწავლულთათვისაც იქნებოდა ხელმისაწვდომი. ნიკოლო ნიკოლი იტალიის ჰუმანისტურ წრეებში ფართოდ იყო ცნობილი, უპირველეს ყოვლისა, როგორც წიგნთმოყვარული, ძველ მანუსკრიპსთა შემგროვებელი, მეცნიერი, რომლის კარზეც სისტემატურად მუშაობდნენ გადამწერები. მასთან წიგნები უხვად ჩამოჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნის რწმუნებულებს.

ცნობილი მეცნიერისა და ბიბლიოფილის ნიკოლო ნიკოლის სურვილი იყო, რომ, მისი გარდაცვალების შემდეგ, ბიბლიოთეკა „მთელი განსწავლული საზოგადოების“ სამსახურში ჩამდგარიყო. პეტრარკას იდეა, მის მიერ შეგროვილი წიგნებით ესარგებლათ არა მხოლოდ ცალკეულ კერძო პირებს, არამედ მთელ საზოგადოებას, ფართოდ იყო აღიარებული იტალიის, კერძოდ, ფლორენციის ჰუმანისტურ წრეებში. ამ იდეის გამზიარებელი და მხარდამჭერი იყო ცნობილი იტალიელი მწერალი და მეცნიერი კოლუჩო სალუტატი (1331-1406), რომელიც 1386 წ. შექმნილ თავის ცნობილ ნაშრომში: „ქმედება და წარმატება“ მოგვითხრობს საჯარო ბიბლიოთეკების გახსნის მისეულ იდეაზე და აღნიშნავს, რომ სურს ანტიკური ბიბლიოთეკების მსგავსად, არა მარტო გააგრძელოს მრავალრიცხოვან ნაშრომთა შეგროვება ცოდნის

მამიებელთათვის, არამედ გამოცდილი ექსპერტ-ბიბლიოთეკართა მონაწილეობით ჩაატაროს კრიტიკული რევიზია და დააზუსტოს კორექტურობაც.

სალუტატის აღნიშნული ნაშრომიდან ირკვევა, რომ საჯარო ბიბლიოთეკებზე მოთხოვნილება XV ს. I ნახევარში ფლორენციის ჰუმანისტურ წრეებში საკმაოდ საგრძნობი იყო. ამ სამუშაოს შესრულება თავის თავზე აიღო თავისი დროის პოლიტიკურ-კულტურული სუპრემაციის ორმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა: პალა სტროციმ და კოზიმო მედიჩიმ. ამ უკანასკნელის მონაწილეობა, ძირითადად, გამოიხატა ნიკოლო ნიკოლის ანდერძში ჩამოყა-ლიბებული პროექტის დასრულებაში.

პალა სტროცი თავისი მიდრეკილებების შესაბამისად, ლიტერატურული მოღვაწეობით საკმაოდ მალე შევიდა სალუტატის ჰუმანისტურ წრეში, რაშიც მას დაეხმარა თავისი ცენზი და საგვარეულო პრესტიჟი. იგი პროგრესული, კულტურული ღონისძიებების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და გავლენიანი ინიციატორი ხდება. 1397 წ., მისი ძალისხმევით შედეგად, პირველად ფლორენციაში შეიქმნა ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ბიზანტიოლოგიის დოქტორს მანუელ კრისოლორას. სწორედ მან შეუწყო ხელი აღმოსავლეთიდან რამდენიმე ძვირფასი ფუნდამენტური ტექსტის მოპოვებას და ჩამოტანას. ფლორენციული სტუდიების ხელშეწყობა და მხარდაჭერა მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა სანტატრინიტას ტაძართან, ვალომბროზანის ღირსეულ მამათა მონასტერში, რომელიც მის საცხოვრებელ კვარტალში მდებარეობდა.

1430 წ. დაწერილ პირველ ანდერძში ნიკოლო აღნიშნავდა, რომ მისი წიგნები უნდა დარჩენოდა სანტა მარია დელი ანჯელის ეკლესიას, უძვირფასესი კოლექციიდან 300 ანტიკური ფლორენციული მონეტით კი უნდა აშენებულიყო, ამ კოლექციის შენახვისა და სისტემატიზაციის მიზნით, სპეციალური საცავი მონასტერში, რათა ისინი არა მარტო აქაური ბერებისათვის, არამედ ყველა „ცოდნასმოწყურებული პირისათვის” ყოფილიყო ხელმისაწვდომი. ანდერძის შედგენიდან 7 წლის შემდეგ, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, როდესაც იგი მეგობრებს ერთხელ კიდევ კარნახობდა საკუთარ სურვილს, ამჯობინა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა მიენდო მეგობრების დიდი ჯგუფისათვის, რომელთაც დაევალათ ანდერძის პირობების აღსრულება. მათ უნდა დაესახელებინათ და შეერჩიათ შესაფერისი ადგილსამყოფელი, სადაც ძვირფასი ბიბლიოთეკა განთავსდებოდა. ამასთან, აღნიშნული იყო, რომ იგი ღია უნდა ყოფილიყო საჯარო სარგებლობისათვის.

რამდენიმე წლის შემდეგ, 1441 წელს, ანდერძის აღმსრულებლებმა, მრავალგზის უშედეგო მცდელობის შემდეგ, მიზანშეწონილად მიიჩნიეს მიეღოთ კოზიმო მედიჩის (1389-1464), მათ შორის ყველაზე უფრო მეტი უფლებამოსილების მქონე მდიდარი და განათლებული ფლორენციელი მმართველის წინადადება, რომელიც ანდერძის აღმსრულებლებს სთავაზობდა წმიდა მარკოზის (სან მარკო) ტაძრის ღვთისმსახურებისათვის წიგნების მიწოდებას. სწორედ მათი შეკვეთით აშენდა იმ წლებში ბიბლიოთეკისათვის შესაფერისი ახალი შენობა.

1443 წ. 22 ნოემბერს გამოჩენილმა იტალიელმა ღვთისმეტყველმა და ბიბლიოფილმა სოდომინომ, ანუ მომინომ (1387-1458) ქალაქ პისტოიადან, ნიკოლო ნიკოლის მსგავსად, გადაწყვიტა, საკუთარი უდიდესი ბიბლიოთეკა საჯარო გამოყენების დაწესებულებად ექცია პირობით, რომ სან ჯაკოპო დი პისტოიას ნამუშევრები მოთავსებულიყო მისთვის უფრო შესაფერის ადგილას, საზოგადოებას მოეზიდა ცოდნის მამიებელნი და ბიბლიოთეკის ძვირფასი ეგზემპლარები არავითარ

შემთხვევაში გასაყიდად არ გაემეტებინა. სოდომინო ამ დროისათვის ხელნაწერთა საკმაოდ დიდი კოლექციის მფლობელი იყო და განზრახული ჰქონდა ბიბლიოთეკის კვლავ შეესება და გამდიდრება, რათა მომავალში იგი საჯარო დანიშნულების ბიბლიოთეკად ექცია.

ცნობილ იტალიელ მეცნიერს ჯანოცი მასეტის (1396-1459) ასევე სურდა ფლორენციის სან-სპირიტოს კონვენტთან, სადაც უკვე ჯ. ბოკაჩოს წიგნებიც იყო განთავსებული, აეგო შენობა საჯარო ბიბლიოთეკისათვის და იქ მოეთავსებინა თავისი წიგნსაცავიც, მაგრამ როგორც მისი ბიოგრაფებისაგან – ვესპასიანოსა და ნალო ნალოსაგან ვგებულობთ, იგი არ აპირებდა თავისი უაღრესად მდიდარი და მრავალრიცხოვანი ხელნაწერების სხვათა ხელნაწერებთან ერთად განთესვას.

მანეტი ხელნაწერ წიგნებს უფრთხილდებოდა, რათა შემდგომ სწავლის მაძიებელთათვის მიეწოდებინა. თუმცა მან თავისი დროის გამოჩენილ ავტორთა ნაშრომებიდან მხოლოდ მცირეოდენის გადარჩენა მოახერხა, დანარჩენი გაიფანტა და დაიკარგა. მანეტის გარდაცვალებამ მისი პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა.

1440 წ. ფლორენციის სახელგანთქმულმა მმართველმა კოზიმო მედიჩიმ გადაწყვიტა, მოეწესრიგებინა საჯარო ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც შენობის აგება ფლორენციის წმ. მარკოზის (სან მარკოს) კონვენტთან უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო. კოზიმოს სურდა ნიკოლო ნიკოლოს წიგნების კოლექციისა და ახალშეძენილი ეგზემპლარების გაერთიანება. ამ მიზნით მან გადაწყვიტა, რომ სამუშაოსათვის ყველაზე შესაფერისი პირი იქნებოდა ცნობილი ბიბლიოფილი, ხელოვნებისა და თეოლოგიის დოქტორი, შესანიშნავი სპეციალისტი ტომაზო პარენტუჩელი (მოგვიანებით – რომის პაპი ნიკოლო V). ბიბლიოგრაფიული კატალოგის შედგენისას, პარენტუჩელი ითვალისწინებდა გარემოებას, რომ თავისი მომავალი დანიშნულების მიუხედავად, ბიბლიოთეკას ჯერ კიდევ დომინიკანური კონვენტის მფარველობდა და პარენტუჩელი, თეოლოგიაში მაღალი კომპეტენტურობიდან გამომდინარე, დიდ ადგილს უთმობდა რელიგიური ხასიათის თხზულებებს. კლასიკურ ავტორების ნაწარმოებთა ჩამონათვალი, რომლებსაც, ძირითადად, ის ფლობდა, შეზღუდული იყო, თუმცა ეს სია ღიად დარჩა, რათა მომხდარიყო იმ ახალი წიგნებითა და ხელნაწერებით მისი შეესება და დაზუსტება, რომლებიც მომავალში შეემატებოდა მის ძვირფას კოლექციას. 1447 წ. ტომაზო პარენტუჩელი უკვე, როგორც პაპი ნიკოლო V პონტიფიკატის დაქვემდებარებაში ახალი საჯარო ბიბლიოთეკის შექმნის პროექტს გეგმავს.

ყოველივე ზემოთქმულიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ, მართალია, იტალიის არქივებში სრულად არ შემორჩენილა სხვა საჯარო თუ საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების დაარსების ისტორიები, მაგრამ ჩვენს მიერ უცხოურ ლიტერატურაში (ძირითადად იტალიურ და ინგლისურ ენებზე) მოძიებული მასალები საშუალებას გვაძლევს, გავისივრებოდეთ დიდ იტალიელ სასულიერო თუ საერო პირთა საბიბლიოთეკო ღვაწლი, ახალ ინიციატივათა მნიშვნელობა, განსხვავებული ტიპისა და მოდელის ბიბლიოთეკების დაარსების იდეა. როგორც უკვე დავინახეთ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ბიბლიოთეკების დაარსების ზოგიერთი პროექტი არ განხორციელდა, ხოლო სხვათა განხორციელება ხშირ შემთხვევაში დიდი დავიანებით ან მეანდერძის სურვილის შეუსაბამოდ მოხერხდა. ამისდა მიუხედავად, ამ ინსტიტუტებს, ხშირ შემთხვევაში, თამამად შეედლოთ სახელგანთქმული ანტიკური ბიბლიოთეკებისათვის ჯეროვანი მეტოქეობის გაწევა.

ვფიქრობთ, შუა საუკუნეების იტალიაში მსგავსი ბიბლიოთეკების დაფუძნებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თანამედროვე იტალიის ძვირფასი და მდიდარი ბიბლიოთეკების აღმავლობას.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ეკლესია-მონასტრებისა და საჯარო ბიბლიოთეკების არსებობა, ფაქტობრივად, წარმოადგენს საერთო კულტურული დონის დამადასტურებელ ფაქტს. განვითარების ხაზისათვის თვალის გადავინება ნათლად გვიჩვენებს იმ ცვლილებებს, რაც შუა საუკუნეების საბიბლიოთეკო საქმემ განიცადა. შუა საუკუნეების დასაწყისი ამ მიმართულებით აღინიშნა იმით, რომ იწყება საბიბლიოთეკო საქმის ინტეგრაცია სხვადასხვა ქვეყნებს შორის, რაც თანდათან კანონზომიერ ხასიათს ღებულობს. საწყისი პერიოდი წარმოადგენს წინაპერიოდს, რომელზედაც ბევრი იყო დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდებოდა მთელი დარგი და მისი შემსწავლელი მეცნიერება. საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის დასაწყისშივე კარგი ნიადაგი იყო, რაც განაპირობა ანტიკური კულტურის მიღებამ და გადამუშავებამ.

გადამჭრელი როლი ენიჭებოდა იმ ტაძრების საბიბლიოთეკო მოღვაწეობას, რომლებიც სანიმუშოდ იყო მოწესრიგებული. მათი საბიბლიოთეკო პრაქტიკა, მრავალწლოვანი გამოცდილება ერთგვარ ეტალონად შეიძლება ჩვეულებრივ. მიუხედავად იმ ეპოქაში არსებული ურთიერთობის მძიმე პირობებისა, მაინც ხერხდებოდა წარმატებული გამოცდილების გადაღება სხვადასხვა სამონასტრო ბიბლიოთეკის მიერ. მათი სახელი იმდროინდელ მოწინავე ქვეყნებამდე აღწევდა და საინტერესოა ინტეგრაციის ამგვარი პროცესისათვის თვალის მიდევნება და მისი ანალიზი ისტორიულ ფონზე. სწორედ ამის გამო იწვევს ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს მოცემულ ეპოქაში ისეთი წარმატებული სამონასტრო ბიბლიოთეკების საქმიანობა, როგორც იყო მონტე კასინოს მონასტერი თავისი დიდებული წიგნსაცავით [4].

საწყის პერიოდთან შედარებით, მომდევნო ხანაში ერთბაშად იზრდება ფონდების რაოდენობა. პირველ ეტაპზე სამონასტრო ბიბლიოთეკების ფონდების სიმცირე გამოწვეულია იმით, რომ იქ თითქმის არ იხანებოდა საერო ხასიათის ლიტერატურა.

XII ს. დასაწყისისათვის დასავლეთ ევროპაში თავს იჩენდა მძაფრი მოძრაობა ეკლესიურ და საერო კულტურათა შორის პრივილეგიების მოპოვებისათვის. სასულიერო ფენას ესაჭიროებოდა ხალხის მხარდაჭერა, რომელიც ჯერ სავსებით გაუნათლებელი იყო. თვით საეკლესიო მოღვაწეთა დიდი ნაწილი მცირედ განსწავლული იყო. ამიტომაც საჭირო იყო იმგვარი ფორმების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობდა ამგვარი საზოგადოების უკეთ გაცნობიერებას. ამ ბუნებრივმა მოთხოვნილებამ, რომელიც ცხოვრებისეული აუცილებლობით იყო განპირობებული, გამოიწვია გამოქვეყნების ისეთი ფორმების გამოყენება, რომლებიც არ იყო ტრადიციული და იოლი მისაწვდომი იქნებოდა დაინტერესებული პირებისათვის. სწორედ ამგვარად შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. ლითოგრაფიული გრაფიკები და სხვა მსგავსი გამოცემები.

პირველი შუასაუკუნეობრივი კატალოგების სქემებისათვის და შემდეგაც, უმეტეს შემთხვევაში, დამახასიათებელია რელიგიური თემატიკის წინ წამოწევა, თუმცა, ამავე პერიოდში იშვიათად ამ მოვლენებისადმი დაეჭვება, რაც უკვე როჯერ ბეკონთან აღმავალ წერტილს აღწევს. არსებული სისტემები, რაოდენ სრულყოფილიც უნდა გვეჩვენოს იმ დროისათვის, ვერ უძლებდა კრიტიკას, რომელიც უკვე განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე ახალ-ახალ თეორიულ დამუშავებას მოითხოვდა, რაც შემდგომ საუკუნეებში განხორციელდა. ამდენად, მნიშვნელოვანია შემდეგი პერიოდის

ბიბლიოთეკების კატალოგების მეცნიერული შესწავლა – კერძოდ, სად და როდის იქმნებოდა, რა პირობებში ხდებოდა მათი დამუშავება, როგორი იყო ამ საქმიანობის უზრუნველყოფისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამის ანალიზიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მომდევნო ეპოქა, აღორძინებამდე, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და სულიერი ატმოსფეროსი, საბიბლიოთეკო საქმის განვითარების გზაზე მაინც იყო წინ გადადგმული ნაბიჯი.

ნათლად ჩანს, რომ IX-XI სს. ჯერ კიდევ არ არის მკვეთრი და მკაცრი სისტემატიკა, რაც მთელი შუა საუკუნეებისათვის, მეტ-ნაკლებად, შესამჩნევ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ.

გარდატეხის პერიოდად უნდა მივიჩნიოთ XII-XIII სს. როდესაც ხდება საბიბლიოთეკო საქმეში თვისებრივი ცვლილებები. სამონასტრო ბიბლიოთეკები გამოიყენება, როგორც საჯარო ბიბლიოთეკები (მცირე შემთხვევაში, მაგრამ მაინც), ინერგება სხვადასხვა მეთოდები, როგორც მაგალითად, წიგნების გატანება შინ სარგებლობისათვის და სხვ. ამ დროს ხდება სწორედ საბიბლიოთეკო თეორიის ჩამოყალიბება და მეთოდიკური დამუშავების ტრადიციისათვის საფუძვლის ჩაყრა [5].

XII-XV სს. ევროპის ქვეყნებში ის ხელსაყრელი ნიადაგი შეიქმნა, რომელზეც შესაძლებელი გახდა, აღმოცენებულიყო რენესანსი. აღორძინების წინა პერიოდი დიდი პარადოქსებით აღინიშნა: უდიდეს მიღწევებს დიდი რეგრესიც თან ახლდა. განსაკუთრებით მძიმე იყო ადამიანის პიროვნული თვისებების სრული გამოვლენის პირობები, რამაც განაპირობა ჰუმანისტური მოძრაობის გამოცოცხლება. კანონზომიერია, რომ ეს მოძრაობა დაიწყო იტალიაში, სადაც ყველაზე ძლიერად იყო შემორჩენილი ანტიკური მემკვიდრეობა.

საბიბლიოთეკო საქმის განვითარება იტალიაში აღორძინების ხანაში იმ ეტალონად იქცა, რომლისკენაც მიისწრაფოდა ყველა მოწინავე ქვეყანა კულტურისა და განათლების დარგში. ამდენად, აღორძინების ხანის იდეური გამოცდილების შესწავლა და ანალიზი შეიძლება იქცეს საფუძვლად, რომელიც საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ მომდევნო საუკუნეებში საბიბლიოთეკო საქმეში განსაკუთრებული წარმატების მიზეზები.

M. СУРМАВА

**ПУБЛИЧНЫЕ БИБЛИОТЕКИ ИТАЛИИ, КАК ЦЕНТРЫ
КУЛЬТУРЫ И ПРОСВЕЩЕНИЯ**

Резюме

Эпоха Возрождения стала господствующей не только в Италии, но и в других странах Европы. В XV в. коммунальный строй в Италии сменялся синьорией, которая представляла в зародыше абсолютическое государство. Культурными центрами в Италии стали библиотеки и дворцы больших городов.

M. SURMAVA

**ITALIAN LIBRARIES OF THE EPOCH OF RENAISSANCE AS
CENTERS OF CULTURE AND EDUCATION**

Summary

It's difficult to find the other period to compare with the epoch of Renaissance in the history of European culture.

This epoch gave birth to the whole number of humanists, whose intellectual activity managed to pre-appreciate the whole system and gave way to further developments of Italian culture. Libraries' activity in the period of Renaissance became that model, toward which were achieving prominent countries in the sphere of culture and education.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. Thompson J. The Medieval Library. – Chicago, 1939. - p. 251.
2. Reddie L. Libraries in Twelfth Century. – Boston, 1929 - p. 47.
3. Lowe E. A History of the South Italian Minuscule. – Oxford, 1914. - p. 4; 52-53.
4. Newton F. Reconstructing the Monte Cassino Library of the Early Eleventh Century. – 19... . - p. 512; 517-518.
5. Delogy P. ito di una citta meridionale. – Napoli, 1977. - p. 112, 119.

ლ ა ლ ი კ ა კ უ ლ ი ა , ნ ი ნ ე ლ ი მ ე ლ ქ ა ძ ე , მ ა ლ ი ლ ი უ - ყ ა ნ დ ა რ ე ლ ი , ნ ა ნ ა რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ძველი ჩინეთის ადრეული საბიბლიოთეკო ტრადიციები

ჩინეთი მიეკუთვნება მსოფლიოს იმ ქვეყნებს, სადაც ცივილიზაციის აკვანი დაირწა. აღსანიშნავია, რომ კულტურის ბევრი ელემენტი ჩინეთში უფრო ადრე იშვა, ვიდრე ძველ ეგვიპტეში, ბაბილონსა თუ ინდოეთში. ჩინური პიკტოგრაფიული დამწერლობა, როგორც არქეოლოგიური გათხრები ცხადყოფენ, შვიდიათასწლოვანია. ეთნიკური ჩინელები თავიანთ თავს მიიჩნევდნენ ხუანცის ანუ ყვითელი იმპერატორის და იმპერატორ იანცის შთამომავლებად. ეს ორი ბრძენი მმართველი მოიხსენიება ჩინურ მითებსა და ლეგენდებში. გადმოცემის თანახმად, ყვითელმა იმპერატორმა შექმნა ჩინური დამწერლობა და ეროვნული ტანსაცმლის მოდელი. ჩინური ენისა და დამწერლობის მნიშვნელობა ჩინეთის კულტურის ფორმირებაში ფასდაუდებელია. ამ დამწერლობის წყალობით საშუალება გვაქვს, ვეზიაროთ ანტიკური ჩინეთის სულიერი და მატერიალური კულტურის საგანძურს, ანტიკური ცივილიზაციის ნაწარმოებებს, უძვირფასეს ლიტერატურულ ძეგლებს, ფილოსოფიური აზროვნების ნიმუშებს, რომლებშიც გამოვლინება ჰპოვა ჩინელი ხალხის უდიდესმა შემოქმედებითმა სულმა [4: 2; 6].

ჩინეთის ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ის უწყვეტად ვითარდებოდა ანტიკური ხანიდან. ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოგრაფიული მოღვაწეობის წყალობით, ბევრი რამ შემოინახა ჩვენს დრომდე [3: 251; 4].

ჩინეთში საწარმოო ძალთა და კულტურულ-სამეცნიერო პოტენციალის ზრდასთან ერთად ძვ. წ. 770-476 წლებში, უკვე გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში, გამოჩნდა ქაღალდსა და აბრეშუმზე დაწერილი მრავალი დოკუმენტი. შემდგომ პერიოდში მეცნიერებისა და კულტურის განვითარებამ ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები გამოიწვია. გაჩნდა მეცნიერთა ფენა, კერძო სკოლები, მკვეთრად განვითარდა ხელოვნება. ყოველივე ხელს უწყობდა წიგნების რაოდენობის ზრდას, საიმპერატორო, სახელმწიფო და კერძო ბიბლიოთეკების განვითარებას [6: 354-355].

სახელმწიფო ბიბლიოთეკები იწოდებოდნენ „საკავშირო პალატებად“ და მათ სათავეში ედგნენ ისტორიკოსები. „ისტორიული ჩანაწერები“ იუწყებიან, რომ ერთ-ერთი ასეთი ბიბლიოთეკის უფროსი იყო ლაოცი.

პირველი, საკმაოდ ზუსტი ჩანაწერები ჩინეთში სახელმწიფო წიგნსაცავების არსებობის შესახებ დასავლეთის ხანის დინასტიიდან მოდის. ხანის იმპერატორ უდის (ძვ. წ-ის 140-87 წ.) მმართველობის დროს შემოღებულ იქნა საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტების გეგმა და ქვეყნის ყველა მხრიდან დაიწყო ძველი წიგნებისა და ჩანაწერების შეგროვება. იმპერატორმა საგანგებოდ დანიშნა ჩინოვნიკები, რომელთა მოვალეობა წიგნების შენახვა და დაცვა იყო. აღნიშნული პერიოდიდან დაწყებული, ასი წლის განმავლობაში, სახელმწიფოს გაერთიანებულ საბიბლიოთეკო ფონდში სულ უფრო მეტი წიგნი გროვდებოდა. ჩინური ენციკლოპედიის მონაცემებით, იმ დროისათვის წიგნების რაოდენობა შეადგენდა 30.000 შეკვრას (ტომს). ისტორიული ჩანაწერები მოწმობს, რომ ძვ. წ-ის 26 წელს იმპერატორმა ჩენდიმ უბრძანა ლიუ სიანს, მოეწესრიგებინა სახელმწიფო საბიბლიოთეკო ფონდი. ეს იყო პირველი გრანდიოზული პროექტი საბიბლიო-თეკო მოღვაწეობის დარგში. ლიუ სიანმა და მისმა ვაჟმა ლიუ სინმა შეადგინეს პირველი საბიბლიოთეკო კატალოგი, რომელსაც „შვიდი მოკლე კომენტარი“ ეწოდებოდა. კატალოგში აღწერილი წიგნები დაცული იყო ტიანიაუს და შიციუსის პავილიონებში, რომლებიც, ძირითადად, სახელმწიფო ბიბლიოთეკებს წარმოადგენდნენ. წიგნები განლაგებული იყო კატალოგის შვიდ განყოფილებაში. შემდგომში აღნიშნული კატალოგის საფუძველზე შემუშავდა სხვა, ოთხგანყოფილებიანი სისტემა – „სიზუ“. ლიუსიანმა და ლიუსინმა გადაწერეს მრავალი წიგნი და დაურთეს მათ წინასიტყვაობები.

წინასიტყვაობებში მოცემული იყო ავტორის ბიოგრაფია, წიგნის მოკლე შინაარსი, აღწერილი იყო რედაქტირების, გადაწერის და სხვა პროცესები. იმპერატორისთვის წასაკითხად შერჩეულ წიგნებს შემდეგი შენიშვნები ჰქონდა დართული: „შეიძლება წაიკითხოთ მთლიანად“, „შეიძლება წაიკითხოთ ნაწილობრივ“, „შეიძლება შესთავაზოთ მის უდიდებულესობას“ და სხვა. ასეთი მითითებებით, ფაქტობრივად, ხდებოდა მკითხველის ორიენტირება წიგნების ზღვაში და დახმარებას უწევდა მას სწორი არჩევანის გაკეთებაში. ძველ ჩინეთში შეგნებული ჰქონდათ ბიბლიოგრაფიული მომსახურების, წიგნის შეფასების, მეთოდური რეკომენდაციების აუცილებლობა.

ტანის ეპოქა (618-907წ.) წიგნების გამოჩენილი კოლექციონერების ეპოქაა, ამიტომ იმ ეპოქის ბიბლიოთეკებზე ყველაზე მეტი ცნობები არსებობს [6:20-40].

ამ ბიბლიოთეკებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია 628 წელს დაარსებული საიმპერატორო ბიბლიოთეკა, რომელიც შედგებოდა 200.000 შეკვრისაგან. მათი დიდი ნაწილი იშვიათი წიგნების ასლებს წარმოადგენდა. აღნიშნულ პერიოდში იმპერატორის კარის მიერ დაარსდა ე.წ. „წიგნის კარი“. ეს იყო სამეცნიერო დაწესებულებები ფეოდალურ ჩინეთში. მათ დანიშნულებას წარმოადგენდა ლიტერატურის რედაქტირება, წიგნადი ფონდების დაკომპლექტება, ლიტერატურული ძეგლების, ასევე წესების კრებულების განხილვა მეცნიერთა და მოსწავლეთა შორის. „წიგნის კარის“ აყვავების ხანა დაემთხვა სუნის დინასტიის მმართველობის პერიოდს (960-1279წ.). სუნის ეპოქაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ცალკეულ პირებს შეეძლოთ „წიგნის კარის“ გახსნა, სადაც სამუშაოდ იწვევდნენ ცნობილ მეცნიერებს და ატარებდნენ მეცადინეობებს მოსწავლეებთან.

მინის (1368-1644წ.) და ცინის (1644-1911წ.) დინასტიების პერიოდში „წიგნის კარი“ იქცა სახელმწიფო სამსახურში მისაღები გამოცდების ჩასატარებელ ადგილად. გამოცდების ჩაბარების შემდეგ მოქალაქეს სახელმწიფო სამსახურში მიღების უფლება ეძლეოდა. მინის და ცინის დინასტიების დროს ქვეყნის პროვინციების ცენტრებში, სამ წელიწადში ერთხელ, შემოდგომაზე იმართებოდა პროვინციული გამოცდები. მეცნიერებს, რომლებიც ჩააბარებდნენ პროვინციულ გამოცდას, შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ დედაქალაქის გამოცდაში, რომელიც იმართებოდა მომავალი წლის გაზაფხულზე. დედაქალაქის გამოცდა, ისევე, როგორც პროვინციული, ტარდებოდა სამ წელიწადში ერთხელ. დედაქალაქის გამოცდის ჩაბარების შემდეგ მოქალაქეს უფლება ეძლეოდა, სასახლის გამოცდაში მიეღო მონაწილეობა. ახალ ეპოქაში „წიგნის კარის“ უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებლებად გადაიქცა. ტანის დინასტიის პერიოდში ბიბლიოთეკებისთვის მიღებული იყო საკლასიფიკაციო სისტემა, რომელიც მოგვიანებით უფრო სრულყოფილი გახდა. აღნიშნულ სისტემაში ოთხი განყოფილება იყო. განყოფილების აღსანიშნავად იყენებდნენ სპილოს ძვლისაგან დამზადებულ ფერად იარლიყებს (მათზე დაწერილი იყო ტომის სახელწოდება და ნომერი). „კლასიკოსებს“ ჰქონდათ წითელი იარლიყები, თეთრი ღერძული ჩხირები და ყვითელი შესაკრავები; „ისტორიკოსებს“ – მწვანე იარლიყები, სპილოს ძვლით ინკუსტრირებული ლურჯი ჩხირები და ღია მწვანე შესაკრავები; „ფილოსოფოსებს“ – ლურჯი იარლიყები, სანდალოზის მოჩუქურთმებული ჩხირები და ლილისფერი შესაკრავები; „კრებულებს“ – თეთრი იარლიყები, სპილოს ძვლის მწვანე ჩხირები და მეწამული შესაკრავები. ტანის დინასტიის დროს სახელმწიფო წიგნადი ფონდების რაოდენობამ აპოგეას მიაღწია. მერვე საუკუნის პირველ, მშვიდობიან ნახევარში ყველაზე მეტი წიგნი შეგროვდა, მაგრამ როდესაც XI საუკუნის ისტორიკოსი ემზადებოდა ტანის ისტორიის დასაწერად, მან აღმოაჩინა, რომ ამ გრანდიოზული ბიბლიოთეკის ნახევარზე მეტი გაქრა შიდა არეულობების დროს [1: 170-195].

საიმპერატორო ბიბლიოთეკის გარდა, ჩვ. წ. აღ-მდე 770-476 წლების შემოდგომისა და გაზაფხულის პერიოდებში, მეზობლ სამეფოთა ეპოქაში (475-221 წ. ჩვ. წ. აღ-მდე), ტანის (618-901 წ.) და სუნის (960-1278 წ.) დინასტიების დროს, კერძო ბიბლიოთეკებიც არსებობდა. პოლიგრაფიული წარმოების განვითარებასთან ერთად სუნის ეპოქიდან მინის ეპოქამდე (960-1644 წ.) ჩინეთში 1100 მსხვილი კერძო წიგნსაცავი არსებობდა. ცნობები ასეთი ბიბლიოთეკების ფონდების შესახებ საიდუმლოდ ინახებოდა.

კერძო ბიბლიოთეკების ფონდები გამოირჩეოდა მრავალფეროვნებითა და იშვიათი წიგნების სიმრავლით. მაგალითად, ლი ბის ბიბლიოთეკა ითვლიდა 30 000 შეკვრას, ხოლო ლიუ ბოჩუს, ვეი შუს და სუბიანის წიგნის ფონდებში თითოეულში 20 000 შეკვრა ინახებოდა. ასეთი მდიდარი კერძო ბიბლიოთეკები მეტოქეობას უწევდნენ საიმპერატორო ფონდებს, როგორც წიგნების რაოდენობით, ასევე მდიდრული მორთულობით. მათი გარეკანი (ფუტლიარი) მორთული იყო მთის ბროლით [5: 249-294].

მინის დინასტიის მართველობის დროს (1369-1644წ.) წამოყენებულ იქნა იდეა, რომ წიგნსაცავები მისაწვდომი ყოფილიყო საზოგადოების ყველა ფენისათვის. ერთ-ერთმა პირველმა ასეთი აზრი გამოთქვა ცინ ში ცაო ჟუნმა (ცინ ში არის სამეცნიერო ხარისხის სახელწოდება, რომელიც ენიჭებოდა დედაქალაქის გამოცდის ჩაბარების შემდეგ) მან მიაქცია ყურადღება, რომ 10 წიგნიდან 4-5 წიგნი ნადგურდებოდა სამხედრო მოქმედებების დროს და ინფორმაცია, რომელიც ამ წიგნებში

მოიპოვებოდა, იკარგებოდა შთამომავლობისათვის. კერძო წიგნსაცავებში წიგნები ინახებოდა აბრეშუმის ყდებში, სანდალოზის ხის გარეკანებში და ჩაკეტილი იყო გასაღებით. წიგნი გადაქცეული იყო მკვდარ კაპიტალად, რადგან ის აღარ ასრულებდა თავის მთავარ, ცოდნის გადაცემის და გავრცელების ფუნქციას. ცაო ჟუნი ავტორია მნიშვნელოვანი საბიბლიოთეკო დოკუმენტისა „ძველ წიგნებთან მოპყრობის დებულება.“ დოკუმენტის მთავარი აზრი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: წიგნსაცავის თანამშრომლები უნდა ეწეოდნენ არა მარტო წიგნების დაცვას, არამედ ხელს უნდა უწყობდნენ მათ გამოყენებას. ამისათვის მან შესთავაზა ბიბლიოთეკებს, გადაეწერათ წიგნები, დაემზადებინათ მატრიცა და ხელი მოეკიდათ მათი ტირაჟირებისათვის. ცინის დინასტიის პერიოდში ცინ ში ჯოუ უნიანმა (1730-1791) გამოუშვა წიგნი „მსჯელობა წიგნსაცავების შესახებ“, მასში წერია: „შორეულ, მიყრუებულ ადგილებში, ღარიბ ოჯახებში, ხშირად არიან პიროვნებები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ნიჭიერებით და ღირსებით“. იგი ვარაუდობდა, რომ თუ ყოველ 1000 მკითხველზე რამდენიმე წიგნსაცავი გაიხსნებოდა და ნიჭით დაჯიბდებულ ადამიანებს ამ საცავით სარგებლობის უფლება მიეცემოდათ, რამდენიმე წელიწადში ისინი გაეცნობოდნენ ცოდნის სხადასხვა დარგებს და განავითარებდნენ კიდევ მათ. ის ავითარებდა კერძო საცავების საერთო საცავებად გადაქცევის და ყველა მსურველისათვის თავისუფალი დაშვების იდეას. ეს აზრები უკვე იყო ჩანასახი იდეისა ბიბლიოთეკების საჯაროობის შესახებ. თავისი ოცნების ხორცშესასხმელად ჯოუ უნიანმა ყველა მსურველისათვის გახსნა საკუთარი წიგნების კოლექცია, რომელიც შედგებოდა 10000 ტომისაგან, ტომების წაღება შეიძლებოდა სახლში წასაკითხად, მისმა წიგნსაცავმა მიიღო სახელწოდება: „წიგნის მკითხველთა ბაღი“, მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში იდეამ განვითარება ვერ ჰპოვა. მისი „წიგნის მკითხველთა ბაღი“, დროთა განმავლობაში დაკნინდა, შემდეგ კი არსებობა შეწყვიტა. თითქმის 100 წლის შემდეგ ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა თავის წიგნსაცავს დაარქვა „საჯარო წიგნსაცავი“ და გახსნა იგი საჯარო სარგებლობისათვის. მან მსურველებს წიგნსაცავში წიგნების წაკითხვის, ან მათზე სახლში მუშაობის ნება მისცა: „მე გავხსნი საკუთარ წიგნსაცავს ყველასათვის, რამეთუ ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა საეჭვოა, შეძლონ წიგნსაცავში არსებული ყველა წიგნის წაკითხვა. თუ შეძლებენ, რა არის ცუდი იმაში, რომ წიგნსაცავი იყოს ღია ხალხისათვის? გავაკეთო კეთილი საქმე ჩემთვის და სხვებისთვის, ეს არის ჩემი მიზანი“. წიგნსაცავში მოქმედებდა გულმოდგინედ დამუშავებული წესები: დადგენილი იყო სამუშაო დღეები, გასაცემი წიგნების რაოდენობა, გაცემის პროცედურა, დაზიანებული და დაკარგული წიგნების შეცვლისა და დაცვის მეთოდიკა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი მუშაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად გამოცდების ჩაბარების დროსთან. წელიწადის ჩვეულებრივ დროს წიგნსაცავი ღია იყო ყოველი თვის მესამე და მერვე დღეს. პროვინციული გამოცდების ჩატარების წელს კი წიგნსაცავი მუშაობდა შეუსვენებლივ 10 დღე (25 ივლისიდან 5 აგვისტომდე), ხოლო დედაქალაქის გამოცდების ჩატარების წელს, ასევე 10 დღის განმავლობაში (25 თებერვლიდან 5 მარტამდე). გამოცდებზე ჩამოსულ კანდიდატებს ამ დროის განმავლობაში შეეძლოთ წიგნსაცავში მომზადებულიყვნენ. „წიგნის მკითხველთა ბაღი“ და „საჯარო წიგნსაცავი“ ყველაზე ადრეული წიგნსაცავებია ჩინეთის საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში. შეიძლება ითქვას, რომ უძველესი დროიდან ბიბლიოთეკებმა უზრუნველყვეს ცოდნის მონაცვლეობა და მოიტანეს ჩვენ დრომდე ჩინელი ხალხის უდიდესი მემკვიდრეობა.

ბიბლიოგრაფიისა და კლასიფიკაციის ტრადიციები

ჩინური ბიბლიოგრაფიული წყაროების შექმნის ისტორია ჟამთა სიძველეში იკარგება. ჩინური ბიბლიოგრაფიის, მისი ისტორიისა და სპეციფიკური თავისებურებების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბიბლიოგრაფიული ნაშრომი ცნობებს გვაწვდის ნაწარმოების წარმომავლობის და შექმნის თარიღის შესახებ. აგრეთვე ბევრი მნიშვნელოვანი თხზულების შინაარსსაც გვაწვდის. ძალიან ხშირად ისინი შეიცავენ ღირებულ კრიტიკულ შენიშვნებს ორიგინალზე. სწორედ ბიბლიოგრაფია წარმოადგენს ერთადერთ წყაროს ჩინური ლიტერატურის იმ ნაწილის შესასწავლად, რომელიც დღეს დაკარგული და უკვალოდ განადგურებულია. ბიბლიოგრაფიას ძველ ჩინეთში მხოლოდ კატალოგის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს იყო დამხმარე დისციპლინა, რომელიც მეცნიერული კვლევის საფუძველს წარმოადგენდა. მის მნიშვნელობაზე ჩუი-ციაუს გამონათქვამიც მეტყველებს: «ბიბლიოგრაფიული ნაშრომის არმცოდნე ვერ შეისწავლის ჩინურ ლიტერატურას». არიან ავტორები, რომლებიც უარყოფენ ძველ ჩინეთში ბიბლიოგრაფიის არსებობას. ამის დამამტკიცებელ მთავარ არგუმენტად ისინი მიიჩნევენ იმას, რომ ძველ ჩინეთში ცნობილი იყო მხოლოდ სისტემატური კატალოგები, რომლებშიც არ არსებობდა აღწერილობის ერთიანი პრინციპები და არ იყო დაცული თანამიმდევრობა. მაგალითად, ბიბლიოგრაფიულ თავში «ხან შუ» მოცემულია ჯერ ავტორთა გვარები, შემდეგ თხზულებათა სათაურები. ხოლო ბიბლიოგრაფიულ თავში «სუი მუ» ჯერ სათაურებია მოცემული, შემდეგ კი - ავტორები.

საერთოდ, ჩინეთისათვის სრულიად არ იყო უცხო ფონდების სისტემატიზაციის ტრადიციები, ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ადრეულ ფეოდალურ ხანაში შემოღებული იყო დაცვის ერთეულთა განსა-კუთრებული სისტემა – 10 დასახელების ერთ შეკვრად შედგენა. რამდენიმე ბიბლიოთეკის ფონდების შემორჩენილი ნუსხებიდან დგინდება, რომ ისინი იძლეოდნენ ცნობებს ავტორის, მთარგმნელის, სათაურის, დუბლეტების რაოდენობის შესახებ. წიგნებს ჰქონდა შიფრი, რომელიც მისი განლაგების ადგილს მიუთითებდა.

გაცილებით ადრე, ძვ. წ. I საუკუნეში იმპერატორ ჩინ-დის ბიბლიოთეკის – ე. წ. „საკავშირო პალატის“ ბიბლიოთეკარმა ლუსიანმა და მისმა ვაჟმა, მეფის დავალებით, შეადგინეს ორიგინალური კატალოგი, რომელსაც უწოდეს „შვიდი მოკლე კომენტარი“. მასში, გარდა წიგნების აღწერილობისა და სისტემატიზაციისა, მოცემული იყო წინასიტყვაობები.

იმპერატორ ძი-იან-ლუნას ბრძანებით, უკვე მე-18 საუკუნეში უამრავი წიგნი განადგურდა და ამოღებულ იქნა ხმარებიდან, დაიწყო ენციკლოპედიის გამოცემა, შედგენილ იქნა „გენერალური კატალოგი ყველა წიგნისა, განაწილებული 4 განყოფილებადა“. წიგნების დაცვის ამოცანების გარდა, მას საცენზურო დანიშნულებაც ჰქონდა.

როგორც წიგნისა და საბიბლიოთეკო საქმის ისტორიდან ჩანს, ჩინეთში უხსოვარი დროიდან წიგნის აღწერის, დაცვის, კლასიფიკაციისა და ბიბლიოგრაფირების საქმე სახელმწიფოს მეთვალყურეობით ხდებოდა. ამის დასტურია თუნდაც ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორის სიუან-ტუნის მიერ გამოცემული „წესდება დედაქალაქებისა და პროვინციების ბიბლიოთეკების ფუნქციონირების შესახებ“ (1909წ.).

ბიბლიოგრაფიის დღევანდელი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძველი ჩინური ბიბლიოგრაფია ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებს. უდავოა, რომ კლასიფიკაციის მაშინდელ სისტემას ბევრი ნაკლი ჰქონდა, რაც ართულებდა ჩინური კატალოგებით სარგებლობას. საჭირო თხზულების მოძიებას ჩინურ სისტემატურ კატალოგში ართულებდა ლიტერატურულ ნაწარმოებთა დასახელების თავისებურებაც, კერძოდ ის, რომ ზოგჯერ ერთ ნაწარმოებს ორი-სამი სათაური ჰქონდა. ამის გამო ზოგიერთი თხზულება ერთსა და იმავე კატალოგში ორჯერ გვხვდება. ეს ეხება აგრეთვე ცნობებს ავტორთა შესახებ, სადაც მოცემულია არა მარტო გვარები, არამედ მეტსახელები, ფსევდონიმები, სხვადასხვა ტიტულები და იეროგლიფები. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ავტორი სხვადასხვა სახელით და გვარით რამდენჯერმე გვხვდება ერთ კატალოგში. სახელმწიფო წიგნსაცავის კატალოგის ერთ-ერთ განყოფილებაში, რომელშიც შედის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, რეგისტრირებულია 2343 თხზულება. ისინი განლაგებულია ქრონოლოგიურად, დინასტიების მიხედვით. საჭირო ნაწარმოების მოსაძებნად აუცილებელია ვიცოდეთ მისი შექმნის თარიღი და ავტორის გვარი, აგრეთვე შინაარსიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაწარმოებს ვერ ვიპოვით. ყოველივე აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ძველ ჩინეთში ბიბლიოგრაფიის არსებობის უარყოფა. რადგან ევროპულ და ქართულ ლიტერატურაში ჩინურ ბიბლიოგრაფიაზე თითქმის არაფერია ნათქვამი, გადავწყვიტეთ, ამ საკითხზე შეგვეჩერებინა მკითხველის ყურადღება. კატალოგის უძველეს სახეს ჩინეთში წარმოადგენდა წიგნებზე დართული თავების ჩამონათვალი. ძველად, როგორც ცნობილია, ტექსტებს სპეციალური დანით ხის ფირფიტებზე კვეთდნენ. ეს ფირფიტები თოკზე იკინძებოდა ან თასმებით იკვრებოდა. ამოტვიფრული ტექსტების ბოლოს ხის დაფებზე სპეციალურ სიას ადგენდნენ, რომლებიც შემდგომ წიგნის ბოლოს ებმებოდა. თითოეული თავის სათაურად დასაწყისი სიტყვები იყო გამოტანილი. მას თან ერთვოდა რიგითი ნომერი. კატალოგის უფრო გვიანდელ სახეს ძველ ჩინეთში ეკუთვნის თხზულებათა ჩამონათვალი. ამ კატალოგებში შედიოდა თხზულებათა სათაურები, ავტორის ვინაობა და ზოგჯერ ზოგადი ცნობები შინაარსის შესახებ. ასეთი სახის ჩამონათვალის უფრო ადრინდელი სახელწოდება იყო „ბე ლუ“. რაც შეეხება ცნობილ ტერმინს „მუ ლუ“-ს, რომელიც კატალოგს აღნიშნავდა, ბიბლიოგრაფიაში მოიხსენიება ძვ.წ. I ს-ში.

ჩინური ბიბლიოგრაფიის განვითარების ისტორია შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს: I - ცილუე, რომელმაც სახელწოდება მიიღო ერთ-ერთი უძველესი ნაშრომის მიხედვით. მისი შექმნის ისტორია ასეთია: იმპერატორმა სიაო ჩენდიმ სახელმწიფო წიგნსაცავის შესავსებად შემდეგი ზომები შემოიღო: მან უბრძანა სასახლის კლასიკოსთა კოლეგიის წევრს ლუსიანს, სამ სხვა წევრთან ერთად, ჩაეტარებინა წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ლუსიანმა წარმოადგინა სია, რომელშიც გარდა წიგნების სათაურებისა, მოკლე ანოტაციებიც შედიოდა. ამ ნაშრომს „ბე ლუ“ ეწოდა. ლუ სიანის გარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა ლუსინმა გააგრძელა მამის საქმე და შეადგინა კატალოგი „ცი ლიუე“. ეს შრომა სრული სახით დღეს აღარ არსებობს. მისი განყოფილებები იყო: 1 – ხელოვნება, 2 – მწერლები, 3 - პოეტური ნაწარმოებები, 4 - ტრაქტატები სამხედრო საქმის შესახებ, 5 – ასტროლოგია, 6 - ოსტატობა. ბანგუმ ამ ნაშრომში მცირედი ცვლილებები შეიტანა და ამოიღო ოსტატობის განყოფილება. ბანგუმ ოფიციალურ „ხანის დინასტიის ისტორია“-ში ადგილი დაუთმო სპეციალური ხელოვნების და წყობილსიტყვაობის აღწერილობას, რომელშიც ჩამოთვლილი აქვს 596 ნაწარმოები. მან ისინი განალაგა 6

განყოფილებადა. ამას გარდა, ბანგუმ შეადგინა მოცემულ ნაწარმოებთა ანოტაციები. კლასიფიკაციის განვითარების ეტაპს ლუსიანიდან ბანგუმდე „ცი ლუს შვიდი განყოფილების პერიოდი“ ეწოდება.

ცინის დინასტიის დროს სუნსემის მიერ შეიქმნა კატალოგი, რომელიც ოთხ განყოფილებადა იყოფა: 1 - კლასიკური ლიტერატურა, 2 - მწერალი ფილოსოფოსები, 3 - ისტორიული ლიტერატურა, 4 - პოეტური ნაწარმოები. ამ კატალოგმა დაუდო სათავე წიგნების ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ახალ სისტემას, რომელსაც ეწოდებოდა „სი ბუ“ - ოთხი განყოფილება. სახელმწიფო და კერძო ბიბლიოთეკებში კატალოგების უმეტესობა სწორედ „სი ბუს“ სისტემით იყო გაკეთებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში შექმნილი კატალოგების უმეტესობა სწორედ „სი ბუს“ სისტემით იყო შექმნილი, ძველი სქემა „ცი ლუ“ არ იქნა დავიწყებული და რამდენიმე მნიშვნელოვანი კატალოგი ამ სისტემის მიხედვით შეიქმნა. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის განვითარების მესამე ეტაპი ხასიათდება ორივე სისტემის „ცი ლუს“ და „სი ბუს“ ხანგრძლივი თანაარსებობით. სუნის დინასტიის პერიოდში ნაბეჭდი წიგნების რაოდენობა განუზრელად იზრდება. ეს ითხოვდა ბიბლიოგრაფიის ხარისხის და რაოდენობის ზრდას. 1800 წელს მეცნიერმა სუნ სინმა შეადგინა კატალოგი თავისი ბიბლიოთეკისათვის. მან კლასიფიკაციას შემდეგი სახე მისცა: 1 - კლასიკური ლიტერატურა, 2 - ენათმეცნიერება, 3 - ფილოსოფია, 4 - ასტრონომია, 5 - გეოგრაფიული თხზულებანი, 6 - მედიცინა, 7 - ისტორია, 8 - არქეოლოგია, 9 - ენციკლოპედია, 10 - ლიტერატურული თხზულებები, 11 - კალიგრაფია და მხატვრობა, 12 - მოთხრობები. ამასთან ერთად გამოიყენებოდა ოთხგანყოფილებიანი სისტემაც. ამის მაგალითია ცნობილი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი “მუ მუ დე ვენ”, რომლის შედგენაც დაიწყო ჩუნ დუნმა და დაამთავრა მან ცზინ სუნმა, რომელიც გახდა პირველი დირექტორი ჩინეთის ნაციონალური ბიბლიოთეკისა. ეს ბიბლიოგრაფია მიჰყვებოდა გენერალური კატალოგის „სი კუს“ პრინციპებს. ეს კატალოგი დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს [5: 295-329].

ჩინური ბიბლიოგრაფიისა და კლასიფიკაციის ისტორია, რომელიც უძველესი დროიდან იწყება, უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია. ძნელია მასზე ამომწურავად ლაპარაკი. მრავალი შესწავლილი თუ ჯერ კიდევ შეუსწავლელი ფაქტი და მოვლენა სპეციალისტთა დიდ ყურადღებას იმსახურებს. მისი საფუძვლიანი შესწავლა უდავოდ გაამდიდრებს ბიბლიოგრაფიისა და კატალოგიზაციის საყოველთაო ისტორიას.

**Л. КАКУЛИЯ, М. ЛЮ-КАНДАРЕЛИ,
Н. МЕЛКАДЗЕ, Н. РАМИШВИЛИ**

ТРАДИЦИИ БИБЛИОТЕЧНОЙ КУЛЬТУРЫ В ДРЕВНЕМ И СРЕДНЕВЕКОВОМ КИТАЕ

Резюме

В статье на основе анализа литературного материала рассматривается развитие библиотечных наук и место библиотек в контексте Китайской Цивилизации. Особое внимание уделяется истории формирования института библиотеки в древнем Китае.

Даётся детальное описание структуры библиотек и принципов их функционирования. Особое внимание уделено становлению библиографической и информационной деятельности с древнейших времён до средневековья. Рассмотрена эволюция книгопечатания и роль книги в формировании китайского общества. Представлены интересные сведения о библиомании в древнем Китае. Описывая формирование и развитие литературных предпочтений общества и его отношение к собиранию книжных коллекций, авторы показывают социальную историю китайской культуры в необычном ракурсе – ракурсе библиотечной культуры.

L. KAKULIA, M. LU-KANDARELI,
N. MELKADZE N. RAMISHVILI

LIBRARY TRADITIONS IN OLD AND MEDIEVAL CHINA

Summary

In the article authors trace the history of library sciences and the place of libraries in the context of literacy and books in Chinese Civilization focusing on the topic of library as an institution. Through the review of literature and all the relevant evidence, the authors piece together a reasonably detailed picture of what early libraries looked like, how they functioned, and whom they served. There are fascinating facts and insights into the role and reverence of books in the ancient China. The evolution from rolls to codices as the preferred literary medium, in late antiquity is also depicted. They discuss literacy, publishing, bookmaking, and bibliomania in the ancient China, thereby providing a glimpse into the social history of Chinese culture from the unusual perspective of their literary values.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. Линь Си. Библиотеки древнего и средневекового Китая: к изучению типологии этих учреждений и состава их читателей // История библиотек: изд-во Русской Национальной библиотеки. – Санкт-Петербург, 1996. – С. 170-195.
2. Ли Хайжуй. Круиз по Китаю – дело вполне осуществимое. – Межконтинентальное издательство Китая; август 1998 года. – 184 с.
3. Рифтин Б. Литература древнего Китая // Поэзия и проза Древнего Востока. – М., «Художественная литература», 1973. – С. 251.
4. Федоренко Н. Земля и легенды Китая. – М., 1961. – 246 с.
5. Флут К.К. История китайской печатной книги сунской эпохи X-XIII вв. – М., Л.: изд-во АН СССР, 1959. – 399 с.
6. Шефер, Э. Золотые пески Самарканда: Книга о чужеземных диковинах в империи Тан. – М., Наука, 1981. – 608 с.

მ ა რ ი ნ ე ზ ა მ ბ ა ხ ი ძ ე - კ ე ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი

საქართველოს ISSN-ის ცენტრის საქმიანობა და მოვალეობანი

სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ინფორმაცია საქართველოში გამოსული სერიული გამოცემების შესახებ – ISSN - ის (სერიულ გამოცემათა საერთაშორისო სტანდარტული ნომერი) საერთაშორისო ცენტრს არ მიუღია. ამიტომ გახდა აუცილებელი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ISSN-ის ეროვნული ცენტრის დაარსება. იგი ინფორმაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბ-ნ თეიმურაზ ჩხენკელის, მაშინდელი კულტურის სამინისტროსა და ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორის, ბ-ნ აკაკი ძიძიგურის დახმარებით დავაარსეთ. ISSN-ის ფუნქციონირება თანამედროვე პირობებში აუცილებელია პერიოდგამოცემათა საერთაშორისო დონეზე რეგისტრაციის, გავრცელებისა და რეალიზაციისათვის. ამჟამად სამეცნიერო ჟურნალების რეგისტრაცია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მიმდინარეობს. საქართველო ჩართულია საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისა და ორგანიზაციისათვის. ISSN-ის დირექტორთა ყოველწლიურ შეხვედრებზე განიხილება საერთაშორისო სტანდარტების შესწორებისა და დახვეწის საკითხები. ამ სახის სამუშაოები კი IFLA-ს სამუშაო ჯგუფებთან ერთად ხდება. ამჟამად მიმდინარეობს ISSN-ის ახალი სახელმძღვანელოს დამუშავება, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი წლის ISSN-ის დირექტორთა ყოველწლიურ შეხვედრაზე იქნება წარმოდგენილი.

მსოფლიო ქსელში ჩვენი ბიბლიოთეკის ამ სახით ჩართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სერიული გამოცემების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისათვის. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ISSN-ის ეროვნული ცენტრი (განყოფილება) არის ბიბლიოთეკის სტრუქტურული დანაყოფი, რომლის ძირითად ფუნქციას საქართველოში სერიული გამოცემებისათვის საერთაშორისო სტანდარტული ნომრის (ISSN-ის) მიკუთვნება შეადგენს.

ცენტრი (განყოფილება) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, კანონებით „საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“, იუნესკოსა და IFLA-ს რეკომენდაციებით ISSN-ის სფეროში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და წინამდებარე დებულებებით.

განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) ISSN-ის მინიჭება საქართველოში გამოცემული სერიული გამოცემებისათვის (პერიოდგამოცემები, გაზეთები, ყოველწლიური გამოცემები, მოხსენებები, ცნობარები, წელიწდეულები, ბიულეტენები, ჟურნალები, მემუარები, შრომები, მონოგრაფიული სერიები და სხვა. ამ გამოცემების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა ISSN MANUAL-Cataloging Part-ის სახელმძღვანელოს მიხედვით სერიული გამოცემების რეგისტრაციის ავტომატიზებული სისტემა, პუბლიკაციების მონაცემთა სკანირება და ფოსტით გადაგზავნა საერთაშორისო ცენტრში - პარიზში საერთაშორისო ფაილებში შეტანის მიზნით.

ბ) საერთაშორისო სტანდარტული ნომრის (ISSN-ის) სწორი გამოყენების უზრუნველყოფა;

გ) კონტროლის განხორციელება ISSN-ის მინიჭებასა და შენარჩუნებაზე;

დ) აქტიური მონაწილეობა ISSN-ის საერთაშორისო ქსელის ორგანიზებასა და შემდგომ განვითარებაზე.

განყოფილების ძირითადი მოვალეობებია:

ა) სერიული გამოცემების სფეროში არსებული სტანდარტების შესწავლა და კონტროლი მათი მიზანშეწონილი გამოყენების თვალსაზრისით;

ბ) ISSN-ის ნომრის მინიჭება საქართველოში გამოცემული სერიული გამოცემებისათვის;

გ) ISSN-ის ნომრის მინიჭება ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებში დაცული ყველა სერიული გამოცემებისათვის და ბაზების შექმნა კომპიუტერში.

საქართველოში გამოცემული სერიული მასალების საკონტროლო ცალების მიღება, მათი საგამომცემლო გაფორმების შემოწმება და ISSN-ის ნომრის მინიჭება;

სერიული გამოცემების რეგისტრაცია განყოფილებაში მიღებული ფორმით;

სერიული გამოცემების აღწერილობისა და რეგისტრაციის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა, მონაწილეობა ეროვნული სტანდარტების შემუშავებაში;

ბიბლიოგრაფიული კონტროლის განხორციელება სერიული გამოცემების აღრიცხვაზე როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;

აქტიური მონაწილეობა ISSN-ის საერთაშორისო ქსელის მუშაობაში ISSN-ის პროცედურების

შემდგომი სრულყოფისა და სტანდარტების უნიფიცირების მიზნით;

საქმიანი კონტაქტების დამყარება და კოორდინაციული მუშაობის ორგანიზება საქართველოში სერიული მასალების გამომცემელ სტამბებთან და გამომცემლობებთან;

სერიული გამოცემების საერთაშორისო ნორმის, როგორც სა-კონტროლო ციფრის, გამოყენების

უზრუნველყოფა გამომცემლობებში, ხელისმომწერ სააგენტოებში, ბიბლიოთეკებსა და სხვა

საინფორმაციო პროვაიდერებში;

მონაწილეობა სერიულ გამოცემებთან დაკავშირებულ ეროვნულ პროგრამებში, შერთებული კატალოგების ორგანიზებასა და საინფორმაციო ქსელების შექმნაში;

ISSN-ის ნომრის მინიჭების ახალი ჩანაწერების ყოველწლიურად გადაგზავნა საერთაშორისო ფაილებში შეტანის მიზნით;

ISSN-ის ადრინდელი ჩანაწერების ბიბლიოგრაფიული რედაქტირება სტანდარტების შესაბამისად და ინფორმაციის გადაცემა ISSN-ის საერთაშორისო ცენტრში;

ISSN-ის შესახებ ინფორმაციის გავრცელება საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და ბიბლიოთეკებში;

მონაწილეობა ეროვნული ბიბლიოთეკის საიტის ინგლისურენოვანი ვარიანტის შემუშავებაში;

საქართველოში გამოცემული სერიული მასალების დასახელებათა შემოკლებებზე მუშაობა; ამ მიმართულებით კოორდინაციული სამუშაოს წარმოება რედაქციებსა და გამომცემლობებთან;

ISSN-ის ნომრებისა და საკვანძო სათაურების მინიჭება უცხოეთის ბიბლიოთეკებში არსებულ იმ სერიულ გამოცემებზე, რომლებიც გამოიცა საქართველოში;

სერიული გამოცემების რეგისტრაციის სფეროში თანამშრომლობა უცხოეთის ISSN-ის ეროვნულ ცენტრებთან;

ISSN-ის პერიოდული ბიულეტენის შედგენა და გავრცელება საქართველოში დაინტერესებულ პირებთან და ორგანიზაციებთან;

მონაწილეობა ISSN-ის საკითხებზე იუნესკოს ეგიდით გამართულ თათბირებსა და სიმპოზიუმების მუშაობაში, აგრეთვე ISSN-ის დირექტორთა ყოველწლიურ შეხვედრებში;

სერიული გამოცემებისათვის შტრიხკოდების მინიჭება;

ყოველწლიური ანგარიშის შედგენა და გაგზავნა ISSN-ის საერთა-შორისო ცენტრში;

განყოფილება უშუალოდ ექვემდებარება ბიბლიოთეკის დირექციას;

განყოფილებას უშუალოდ ხელმძღვანელობს გამგე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური დირექტორი;

განყოფილების გამგის არყოფნის შემთხვევაში მას ცვლის მთავარი სპეციალისტი. სერიულ გამოცემათა რეგისტრაციის საერთაშორისო ცენტრი (ISSN-ის საერთაშორისო ცენტრი) დაარსდა პარიზში ი უ ნ ე ს კ ო ს ა და საფრანგეთის მთავრობას შორის შეთანხმების შედეგად, რათა შექმნილიყო სერიების რეგისტრაციის ავტომატიზებული სისტემა. ISSN (სერიულ გამოცემათა საერთაშორისო ნომერი) დაინერგა 1970-იან წლებში საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-ს მიერ, რადგან სერიული გამოცემებისათვის საჭირო გახდა მოკლე და ერთიანი საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭება.

ერთადერთი პასუხისმგებლობა ISSN-ის მინიჭებასა და კონტროლის განხორციელებაზე ISO სტანდარტის 3297-ის მიერ გადაეცა ISDS-ის საერთაშორისო ცენტრს, რომელიც 1993 წლიდან ცნობილია ISSN-ის ქსელის საერთაშორისო ცენტრის სახელით. მასში შედის საერთაშორისო, რეგი-ონალური და ის ეროვნული ცენტრები, რომლებიც შეუერთდნენ სტატუსს.

ISSN-ის ქსელის წარმატებული მუშაობა, დამოკიდებულია ზოგადი წესებისა და სტანდარტების ერთიან გამოყენებაზე გრძელდებადი რესურსების რეგისტრაციისა და ISSN-ის ჩანაწერების მომზადების საქმეში ISSN-ის რეესტრში ჩასართავად. აუცილებელია ყურადღება მიექცეს საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობისა და ჰარმონიზაციის საკითხს, როგორცაა გრძელდებადი რესურსების საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა (ISBD(CR)) და სხვა საერთაშორისო სისტემების პრაქტიკა, როგორცაა ანგლო-ამერიკული საკატალოგო წესები (AACR2).

ცენტრის მოვალეობაში შედის: 1) საქართველოში გამოსული პერიოდული გამოცემებისათვის (გაზეთი, ჟურნალი, ბიულეტენი, შრომები, მონოგრაფიები და სხვა). საერთაშორისო სტანდარტული ნომრის მინიჭება, ამ გამოცემის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა ISSN MANUAL - Cataloguing Part - ის სახელმძღვანელოს მიხედვით სერიული გამოცემების რეგისტრაციის ავტომატიზებული სისტემა, პუბლიკაციის მონაცემთა სკანირება და ყოველწლიურად ფოსტით გადაგზავნა საერთაშორისო ცენტრში, პარიზში, საერთაშორისო ფაილებში შეტანის მიზნით. ამ აღწერილობის შედეგად ჩვენი გამოცემები ერთვება საერთაშორისო მონაცემთა სისტემაში და მისაწვდომი ხდება ყველა დაინტერესებული პირისათვის მთელს მსოფლიოში; 2) ჩვენს ბიბლიოთეკაში დაცული ყველა პერიოდგამოცემის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა და ბაზების შექმნა კომპიუტერში; მონაწილეობა სერიულ გამოცემებთან დაკავშირებულ ეროვნულ პროგრამებში, შეერთებული კატალოგების ორგანიზებასა და საინფორმაციო ქსელების შექმნაში; მონაწილეობა სერიული გამოცემების ეროვნული სტანდარტების შემუშავებაში; საქართველოში გამოცემული სერიული მასალების

დასახელებათა შემოკლებებზე მუშაობა; ISSN-ის ადრინდელი ჩანაწერების ბიბლიოგრაფიული რედაქტირება სტანდარტების შესაბამისად და ინფორმაციის გადაგზავნა საერთაშორისო ცენტრში.

ISSN-ის საერთაშორისო ცენტრის საიტზე შეტანილია 365 ჩანაწერი: აქედან 267 არის ძველი ჩანაწერი, ხოლო ახალი კი, 98. გარდა ამ რიცხვისა, გაცემულია კიდევ 310 ნომერი და აღწერილია მხოლოდ 60, რადგან დანარჩენი გამომცემლებს არ მოუტანიათ.

ჩვენი ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ცენტრთან; მე ვაწარმოებ ძველი ჩანაწერების შესწორებასა და მათ განახლებას საერთაშორისო ცენტრის მოთხოვნით. გარდა ამისა, ახალ ISSN-ს ვანიჭებ იმ პერიოდულ გამოცემებს, რომლებიც დაცულია საფრანგეთის და უცხოეთის სხვა ბიბლიოთეკებში. ამ სახის თხოვნას მიგზავნიან საერთაშორისო ცენტრიდან. მსოფლიოს მთელი ინფორმაცია სერიული გამოცემების შესახებ თავსდება მონაცემთა ბაზაში და ამასთან ერთად კომპაქტ-დისკებზეც ვრცელდება. ინგლისურიდან ვთარგმნე ISBD-ები DEWEY და UDC მთლიანად. ასევე ვთარგმნე ქართულიდან ინგლისურად სამოქალაქო განათლების ცენტრის 50 გვერდიანი პროექტი, ISBN-ის ახალი დოკუმენტაციები და სხვა. აქტიურად ვმონაწილეობ ISSN-ის საერთაშორისო ქსელში წარმოებულ რეკომენდაციებში და დისკუსიებში ISSN-ის პროცედურების შემდგომი სრულყოფისა და სტანდარტების უნიფიცირების მიზნით. მონაწილეობას ვღებულობ ჩვენს ბიბლიოთეკაში დაარსებულ ბიბლიოთეკის სპეციალისტთა მუშაობაში, რომელიც დაკავებულია ტერმინოლოგიის დაზუსტებითა და დახვეწით. ვმონაწილეობ ISSN-ის საკითხებზე იუნესკოს ეგიდით გამართულ ISSN-ის დირექტორთა შეხვედრებში, სადაც განიხილება საერთაშორისო სტანდარტების შესწორებისა და დახვეწის საკითხები, მომავალი სტრატეგიული გეგმები, ელექტრონული ჟურნალების აღწერის, საერთაშორისო კოდის მინიჭების სპეციფიური საკითხები და სხვა. მონაწილეობას მივიღებ ეროვნული ბიბლიოთეკის საიტის ინგლისურენოვანი ვარიანტის შემუშავებაში.

М. ЗАМБАХИДЗЕ-КЕНЧОШВИЛИ

ОБЯЗАННОСТИ И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ГРУЗИНСКОГО ЦЕНТРА ISSN

Резюме

В статье рассматриваются происхождение и причины создания ISSN вообще, и в Грузии, в частности. В обязанности ISSN Грузии входит: а) присваивание ISSN сериальным изданиям, вышедшим в Грузии, их библиографическое описание по правилам учебника, изданного центром ISSN, сканирование и пересылка в Международный центр в Париже; б) подготовка библиографических описаний всех периодизданий, находящихся в библиотеке, и создание базы данных; в) участие в национальных программах, связанных с сериальными изданиями, в создании информационных сетей и в организации сводных каталогов.

Наш центр активно сотрудничает с Международным центром по всем актуальным вопросам и принимает участие во встречах Директоров ISSN, где рассматриваются

поправки и корректирование международных стандартов, стратегические планы, особенности присуждения между-народных кодов и др.

M. Zambakhidze-Kenchoshvili

ACTIVITIES AND RESPONSIBILITIES OF THE ISSN NATIONAL CENTRE FOR GEORGIA

Summary

The article deals with the reasons and origin of establishing the ISSN in general and in Georgia in particular.

Responsibilities of the ISSN national centre for Georgia is to assign ISSN to serials published in Georgia, make a bibliographic description according to ISSN MANUAL, scan and send them to the International centre in Paris.

Besides, we are in charge of building and maintaining a national file of ISSN records kept in the national library. It is very important to cooperate with national programs concerning serials, such as compiling national bibliographies, the building of union catalogues, information networks etc.

ISSN of Georgia actively cooperates with the International centre in different spheres and takes part in the work of the ISSN Directors' meeting, where the issues of international standards, new strategic plans, specific issues of assigning ISSN, description of E-journals etc. are discussed.

არქივები - АРХИВЫ - ARCHIVES

ქ ა ნ ა ქ ვ ა თ ა ძ ე

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ა. რამიშვილის არქივის დოკუმენტები

2000 წელს საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოიტანეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის თავმჯდომარის ნოე რამიშვილის ვაჟის, აკაკი რამიშვილის პირადი კოლექცია და არქივი, რომელიც ამ უკანასკნელის სურვილით (იგი 1999 წ. გარდაიცვალა) მისმა უახლოესმა ნათესავმა ქალბატონმა მარიამ დავითაშვილმა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა. კოლექციისა და არქივის ჩამოტანასთან დაკავშირებული ხარჯები გაიღო საფრანგეთში მცხოვრებმა – ბატონი აკაკის დამ – ქალბატონმა ნუცა რამიშვილმა.

აკაკი რამიშვილმა მთელი ცხოვრება ემიგრაციაში გაატარა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და განცდა მთელი ცხოვრების მანძილზე გასდევდა მის ოჯახს და ბუნებრივია, ამან ბ-ნ აკაკიზეც იმოქმედა. საქართველოზე ფიქრი მისი ცხოვრების წესი გახდა. იგი ეცნობოდა, აგროვებდა და ინახავდა უცხოეთში გამოცემულ ბეჭდურ მასალას, რომელიც საქართველოსთან იყო დაკავშირებული.

მისი პირადი ბიბლიოთეკა, გარდა ემიგრანტული პერიოდიკისა (რომელმაც საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდები შეავსო), შედგება ასევე პირადი

ჩანაწერებისა და სხვადასხვა საუკუნეების საქართველოს ტერიტორიის საზღვრების ამსახველი რუკებისაგან. მრავალი მათგანი თვით აკაკი რამიშვილის ხელით არის შესრულებული.

ბ-ნი აკაკი მხოლოდ გამოქვეყნებული ბეჭდური მასალის შეგროვებით არ კმაყოფილდება. იგი ეძებს და ინტერესით ეცნობა საფრანგეთსა და ინგლისში 1918-1921 წლების საქართველოზე არსებულ საარქივო დოკუმენტებს, რომელთა ასლები მის არქივში იდებს ბინას. კერძოდ, იგი ახერხებს მოიპოვოს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული საქართველოსა და კავკასიაზე არსებული ინგლისის დაზვერვის საიდუმლო მასალა, რომელსაც 1918-1920 წლებში ბათუმში დაბანაკებული დიდი ბრიტანეთის სამხედრო ძალები აწვდიან თავიანთ ქვეყანას – ესაა ინგლისური გენერალიტეტის ყოველდღიური მიწერ-მოწერა ქვეყნის მთავრობასთან საქართველოში მიმდინარე სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებზე.

დოკუმენტების ავტორები არიან: ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი (Lord Curzon), შავ ზღვაზე ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალი ჯ. მილნი (J. D. Milne), ბრიტანეთის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში ოლივერ უორდროპი (O. Wardrop), ფინანსური მრჩეველი პოლკოვნიკი ჰ. ნიუქომბი (H. K. Newcombe), ლორდი ჰარდინგი (Lord Hardinge), პოლკოვნიკი ჯორდანი (Colonel Jordan), გენერალი ტომსონი (Gen. W. M. Thomson) და სხვა ოფიციალური პირები.

1918-1921 წლები საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი რთული პერიოდია. პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა, 1917 წლის რუსეთის რევოლუციებმა საქართველოში სახიფათო და დამაბული ვითარება შექმნეს. ჩნდება შესაძლებლობა კავკასიის ახალი გადანაწილებისა. 1918 წლის მაისში ცხადდება საქართველოს დამოუკიდებლობა, ივნისში გერმანიის ჯარი შემოდის, დეკემბერში მას დიდი ბრიტანეთის 27-ე დივიზია ცვლის. ამ დროისათვის ინგლისს დიდი კაპიტალი აქვს დაბანაკებული ბაქოსა და ბათუმში. იქვე არსდება ბრიტანეთის სადივიზიო შტაბი. არ წყდება ბრძოლები რუს თეთრგვარდიელებსა და ბოლშევიკებს შორის. ინგლისელები თანაუგრძნობენ დენიკინის მოხალისეთა არმიას, რომელიც საქართველოსკენ მოიწევს. ქვეყანას საფრთხე ემუქრება თურქეთიდან და სომხეთიდან. დამაბულია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის და ინგლისის გენერალიტეტის ურთიერთობები. ინგლისის ჯარის ბათუმში ყოფნას სხვადასხვაგვარად აღიქვამს საქართველოს მოსახლეობა და მთავრობა. ზოგიერთისათვის იგი საქართველოს გადარჩენის გარანტიად, ზოგისათვის – პირიქით. ბრიტანეთის მთავრობა ეძებს ადამიანს, რომელიც დაარეგულირებს დიპლომატიურ ურთიერთობებს ორი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის და ასეთად სახელდება რუსეთის იმპერიაში ბრიტანეთის საელჩოს მდივნად და ყირიმში ვიცე-კონსულად ნამუშევარი, იმ დროს ბრიტანეთის გენერალური კონსული ნორვეგიის ქალაქ ბერგენში, საქართველოში პოპულარული, ი. ჭავჭავაძის მეგობარი, ქართული ენის მცოდნე ოლივერ უორდროპი.¹ იგი სიამოვნებით თანხმდება ამ წინადადებას და

¹ ინგლისელი დიპლომატი და ქართველოლოგი ქართული კულტურით დაინტერესებას რუსეთში დიპლომატიური მისიით ყოფნისას ამჟღავნებს. პირველად 1887 წელს ჩამოდის საქართველოში და ქვეყნის ხილვით აღფრთოვანებული წერს წიგნს „საქართველოს სამეფო: მოგზაურობა ბანოვანთა, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში“ (Wardrop O. The kingdom of Georgia : Travel in a land of woman, wine and song. – London, 1888); სწავლობს ქართულ ენას და თარგმნის ი. ჭავჭავაძის თხზულებებს დასთან, მარჯორი უორდროპთან ერთად (Chavchavadze I. Works. Translated by M. and O. Wardrops. Tb. , 1987. (წიგნი მომზადდა გ. შარაძის მიერ ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპების ფონდში დაცული თარგმანების მიხედვით), „ვისრამიანს“ (The Georgian version of the story of the loves of Vis and Ramin by Oliver Wardrop. – Hertbord, Austin, 1902), ადგენს „ინგლისურ -სვანურ

1919 წლის 20 აგვისტოს ჩამოდის თბილისში, როგორც დიდი ბრიტანეთის მთავარი რწმუნებული საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში.

ო. უორდროპი თავის ანგარიშებში დიდ სიყვარულს ამჟღავნებს საქართველოსადმი. იგი მეგობრობს ილიას მიმდევრებთან, ცხოვრობს აკაკი ხომტარიას სახლში, რომელიც ნოე რამიშვილის სახლის გვერდით მდებარეობს. ხშირად ესაუბრება მას და მთავრობის სხვა წევრებს. სიხარულით ამცნობს მეუღლეს ინგლისში, რომ ასრულდა მისი ოცდაათწლიანი ოცნება – მოკავშირეებმა საქართველოს მთავრობა დე ფაქტოდ აღიარეს. მაგრამ ხშირად აღშფოთებასაც ვერ მალავს რიგ საკითხებზე – მაგ.: ინგლისის მთავრობის სახელით კატეგორიულად სთხოვს ნოე რამიშვილს, მთავრობის სახლიდან წითელი დროშის ჩამოხსნას.

1920 წლის აპრილში ოლივერ უორდროპი ავადმყოფობის გამო, იძულებულია, დატოვოს საქართველო. მას ცვლის ვიცე-პოლკოვნიკი ლუკი (Vice-Colonel Luke), შემდეგ კი პოლკოვნიკი სტოუკი (Colonel Stoke).

დენიკინის მოხალისეთა არმიის დამარცხებამ, საქართველოს მთავრობის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ საბჭოთა რუსეთთან, დააფიქრა და გაანაწყენა ინგლისის მხარე. ინგლისის ჯარმა დატოვა საქართველო. მას არ სურდა პრობლემები ბოლშევიკურ რუსეთთან.

გთავაზობთ რამდენიმე დოკუმენტის ინგლისურ ტექსტსა და მის თარგმანს, რათა მკითხველს წარმოდგენა შეექმნას თუ რა სახის ინფორმაციაა დაცული ბ-ნი აკაკი რამიშვილის არქივში.

PUBLIC RECORD OFFICE	Reference: - F. O. 371 / 4932	COPYRIGHT PHOTOGRAPH – NOT TO BE REPRODUCED PHOTOGRAPHICALLY WITHOUT PERMISSION OF THE PUBLIC RECORD OFFICE, LONDON
----------------------	----------------------------------	--

RUSSIA

POLITICAL

Decypher: Mr. Wardrop (Tiflis) February 29th, 1920.

D. 9.00 p. m. February 29th.

R. 3.20 p. m. March 8th, 1920.

ლექსიკონს” (English-Svanetian vocabulary by Oliver Wardrop. - Hertbord, Austin, 1911) და ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ქართული ხელნაწერების კატალოგს (Catalogue of Georgian manuscripts in the British museum by J. O. Wardrop.- London, S.A.); მარჯორი უორდროპთან ერთად აქვეყნებს „ვეფხისტყაოსნის” სრულ პროზაულ თარგმანს (Rust’haveli Sh. The man in the panter’s skin. A romantic epic by Sh. Rust’haveli. A close rendering from the Georgian attempted by M.S. Wardrop with a preface by sir O. Wardrop. London, 1912), ოქსფორდის უნივერსიტეტთან აარსებს ქართული ენის კათედრას, რათა ინგლისში საქართველოსა და მის კულტურას გაუწიოს პოპულარიზაცია, ხოლო დაინტერესებულ პირებს მიეცეს ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობა.

No. 124.

----- oOo -----

Confidential. Your Lordship's telegram No. 95

At request of Minister President, I met His Excellency and Minister for Foreign Affairs and Minister of War this morning. They said that they maintain position they had held so long, viz; that we should occupy port of Batoum as a Naval base but aggressive co-operation of Bolsheviks and Turks forced them to consider safety of province (? as omitted) matter of urgency. They were content to await decision of Allies but meanwhile begged that they might be allowed to furnish troops under British control using Batoum as a supply base to help defence of

(group undecipherable) frontier where Turkish general staff officers are showing great activity, e.g. in (group undecipherable) paolti and Ardanuch where Servet Bey had been driven out of Armenia. They are informed that Bolsheviks including persons (Markman and Kobidze) in British employ, are openly carrying on propaganda conducive to disorder in Tiflis, whence Bolsheviks' secret center has been transferred to Batoum.

For two days stolen powder had been openly sold to disaffected persons and guarding of railway had been entrusted to (? Doubtful) Adjarians who had come over frontier.

I gave them to understand that I considered they exaggerated the danger of situation and then told them substance of your Lordship's telegram which did not seem to give them much satisfaction; they said that they counted only on Great Britain and believed fate not only of Batoum province but also of Georgia depended on His Majesty's Government alone. I said I thought that they should be glad that three great Allied Powers were to have now armed forces in Batoum.

My own impression is that Georgian Government is anxious to gain prestige by acquiring Batoum province, and fears occupation may be prolonged indefinitely. I sincerely hope that joint occupation will work harmoniously but I have some misgivings on the subject.

Sent to Foreign Office No. 124.

Repeated to Constantinople for communication to Commander-in-Chief No.78.

სამოქალაქო ჩანაწერების ოფისი	ცნობა: - საგარეო საქმეთა სამინისტრო 371 / 4932	საავტორო უფლება - ფოტოგრაფირება სამოქალაქო ჩანაწერების ოფისის ნებართვის გარეშე დაუშვებელია. ლონდონი
------------------------------	--	---

რუსეთი
პოლიტიკური

გამიფვრა: ბ - ნი უორდროპი (თბილისი) 29 თებერვალი, 1920.

გაცემული 21.00 29 თებერვალი

მიღებული 15.20 8 მარტი

№ 124.

კონფიდენციალური. თქვენი უდიდებულესობის დეპეშა № 95.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის თხოვნით, ამ დილით, შევხვდი მის ბრწყინვალეობას, საგარეო საქმეთა და სამხედრო მინისტრებს. მათ აღნიშნეს, რომ ისინი ინარჩუნებენ მოპოვებულ პოზიციებს, სახელდობრ, ჩვენ უნდა დავიკავოთ ბათუმის პორტი, როგორც საზღვაო ბაზა, მაგრამ ბოლშევიკებისა და თურქების აგრესიული თანამშრომლობა მათ იძულებულს ხდის, პროვინციის უსაფრთხოება განიხილონ უპირველესი მნიშვნელობის საკითხად. ისინი თანახმანი არიან და დაელოდებიან მოკავშირეების გადაწყვეტილებას, თუმცა, ამასთანავე, გვთხოვენ შესაძლო ნებართვასაც, რათა თავიანთი ჯარები მოაქციონ ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ და გამოიყენონ ბათუმი, როგორც მომარაგების ბაზა; დაეხმარებიან იმ საზღვრის დაცვაში (ჯგუფი გაუშიფრავია), სადაც თურქი გენერლების შტაბის ოფიცრები ძლიერ აქტიურობენ მაგ.: (ჯგუფი გაუშიფრავია) პაოლტსა და არტანუჯში (in paolti and Ardanuch), სადაც იმყოფებოდა სომხეთიდან გამოძევებული სერვეთ ბეი (Servet Bey). ისინი ინფორმირებულნი არიან, რომ ბოლშევიკები, ბრიტანეთის სამსახურში მყოფ პირთა ჩათვლით (მარკმენი და კობიძე - Markman and Kobidze), ღიად ეწევიან არეულობისკენ მიმართულ პროპაგანდას თბილისში, მაშინ, როდესაც ბოლშევიკების საიდუმლო ცენტრი გადატანილია ბათუმში.

ორი დღის სამყოფი მოპარული დენთი ღიად გაიყიდა მთავრობით უკმაყოფილო პიროვნებებზე, რკინიგზის დაცვა კი მიანდეს (?საეჭვო) აჭარლებს, რომლებიც საზღვრიდან დაბრუნდნენ.

მე მივანიშნე, რომ, ჩემი აზრით, ისინი აზვიადებენ სიტუაციის საშიშროებას და შემდგომში გავაცანი თქვენი უდიდებულესობის დეპუტის არსი, რამაც მათ არცთუ დიდი კმაყოფილება მოჰგვარა. ისინი მხოლოდ ბრიტანეთზე ამყარებენ იმედს და სჯერათ, რომ, არა მარტო ბათუმის პროვინციის, არამედ მთელი საქართველოს ბედი დამოკიდებულია მხოლოდ მისი უდიდებულესობის მთავრობაზე. ვუთხარი, რომ ისინი მოხარულნი უნდა იყვნენ, რადგან ახლა სამ დიდ მოკავშირეს ეყოლება საბრძოლო ძალები ბათუმში.

ჩემი შთაბეჭდილება ასეთია - საქართველოს მთავრობას სურს პრესტიჟი აიმაღლოს ბათუმის პროვინციის დაბრუნებით და შიშობს, რომ ოკუპაცია განუსაზღვრელი დროით გაგრძელდება. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ გაერთიანებული ოკუპაცია ჰარმონიულად იმუშავებს, თუმცა გარკვეული ეჭვი გამაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით.

გაგზავნილი საგარეო საქმეთა სამინისტროში N 124.

იგივე გაიგზავნა კონსტანტინეპოლში მთავარსარდალთან გასაცნობად N 78.

<p>PUBLIC RECORD OFFICE</p>	<p>Reference: - F. O. 371 / 3666</p>	<p>COPYRIGHT PHOTOGRAPH – NOT TO BE REPRODUCED PHOTOGRAPHICALLY WITHOUT PERMISSION OF THE PUBLIC RECORD OFFICE, LONDON</p>
---------------------------------	--	--

Decypher. Mr. Wardrop. (Tiflis). January 7th, 1920.

D. 10.45. p.m. January 7th, 1920.

R. 10.45. a.m. January 9th. 1920.

No. 6. Urgent.

Confidential.

With reference to Foreign Office Despatch No. 39

Of November 27th.

From a good secret official source I learn immediate requirements of Georgian (War Office) in order to make resistance to Bolsheviks are:

In order to maintain in field a force of 60.000 (which could afterwards be raised to 100.000):

Rifles, Russian pattern, 25.000.

Rounds of S.A.A. 50.000.000 (?with a minimum 12.000.000).

Machine guns 200 (minimum 60).

3-inch field guns 12.

3-inch mountain guns 12.

Four point eight Howitzer 12.

6-inch guns 8.

Shells for mountain guns (? 2,000) per gun. Ditto for heavy guns 1,000 per gun.

Uniforms and boots 40.000 each.

There are in Georgian Army numerous trained gunners without (work sic)(?guns). Above are urgently required and I recommend their supply. It might be possible to transfer some of them from area occupied by volunteer Army if there be any available surplus there.

Moral and material influence of a few special officers e.g. engineers and a few tanks would be great and railway material should also be supplied but of course food is first necessity of all.

Sent to Foreign Office No.6.

(? Repeated to) Britforce 2.

(9.1.8-4).

სამოქალაქო ჩანაწერების ოფისი	ცნობა:- საგარეო საქმეთა სამინისტრო 371/3666	საავტორო უფლება- ფოტოგრაფირება სამოქალაქო ჩანაწერების ოფისის ნებართვის გარეშე დაუშვებელია. ლონდონი
------------------------------	--	--

რუსეთი

სამხედრო

გაშიფვრა. ბ. - ნი უორდროპი. (თბილისი). 7 იანვარი, 1920.

გაგზავნილი. 22. 45. 7 იანვარი, 1920.

მიღებული. 10.45. 9 იანვარი, 1920.

N 6 სასწრაფო

კონფიდენციალური.

საგარეო საქმეთა სამინისტროს 27 ნომბრის განაცხადი N 30

განსაკუთრებით საიმედო საიდუმლო ოფიციალური წყაროდან შევიტყვე ქართველთა (სამხედრო სამინისტროს) აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც საჭიროა ბოლშევიკების წინააღმდეგობის გასაწევად.

ესენია:

იმისათვის, რომ შეინახონ საველე შეიარაღებული ძალები 60 000 კაცის რაოდენობით (რომელთა შემდგომი ზრდა შესაძლებელია 100 000 კაცამდე),

საჭიროა:

შაშხანა, რუსული მოდელი, 25 000

S. A. A.- ის ვაზნები 50 000 000 (მინიმუმი 12 000 000)

ტყვიამფრქვევი - 200 (მინიმუმი 60)

3 – დიუმინი საველე ქვემეხი 12

3 – დიუმინი სამთო ქვემეხი 12

4, 8-იანი ჰაუბიცი 12

6 – დიუმინი ქვემეხი 8

ყუმბარები ქვემეხებისათვის (?2 000) თითოეულისათვის, იგივე მძიმე იარაღისათვის 1 000

უნიფორმები და ჩექმები 40 000 ცალი

ქართულ ჯარში უამრავი გაწვრთნილი მსროლელია (სამუშაოს) (? იარაღის) გარეშე. ზემოთ აღნიშნული სასწრაფო მოთხოვნას წარმოადგენს და მე გირჩევთ მათ მომარაგებას. ზოგიერთი რამის გადმოგზავნა შესაძლებელია მოხალისეთა არმიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან, თუ იქ ისინი ჭარბადაა.

კარგი იქნებოდა, მორალური და მატერიალური ზეგავლენის მოსახდენად, რამდენიმე განსაკუთრებული ოფიცრის, მაგ., ინჟინრების და რამდენიმე ტანკის გამოყენება. ასევე გადაუდებელია სარკინიგზო მასალებით მომარაგება, მაგრამ ყველაზე მეტად, რასაკვირველია, უპირველესი საჭიროების საგანს წარმოადგენს საკვები.

გაგზავნილი საგარეო საქმეთა სამინისტროში N 6.

(გაეგზავნა ასევე) ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს 2.

ლია მარინაშვილი

რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა ბევრ ფაქტორზე იყო დამოკიდებული.

პირველ რიგში იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა მისი ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან – მოისურვებდნენ თუ არა ისინი საქართველოსთვის საჭირო დახმარების აღმოჩენას, რუსეთის აგრესიისგან მის დაცვას?

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ისტორიული პროცესების განვითარებამ თვალნათლივ აჩვენა, რომ რუსული იმპერიული სივრცისგან ამიერკავკასიის რეგიონის გათავისუფლება სერიოზულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახელმწიფოების საქმეებში ჩარევას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობები.

1919-1920 წლების მიჯნაზე რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია სამოქალაქო ომის ყველა ფრონტზე. წითელი არმია კავკასიის საზღვრებს მოადგა. ასეთ ვითარებაში მოკავშირეებმა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახელმწიფოებისკენ მიმართეს ორიენტაცია. ბრიტანეთის მთავრობის ინიციატივით მოკავშირეებმა „დეფაქტოდ“ ცნეს ყოფილი რუსეთის იმპერიის ეროვნული სახელმწიფოები – საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, მაგრამ ეს მორალური მხარდაჭერა რამდენადმე დაგვიანებული იყო.

1920 წლის დამდეგს საქართველო აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ჩრდილოეთიდან ბოლშევიკებისა და სამხრეთიდან თურქების მოსალოდნელი აგრესიისგან თავდაცვა, რეალური დახმარების გარეშე, მას არ შეეძლო. საქართველოს ხელისუფლება მოკავშირეებისგან ფართო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას ითხოვდა, რაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ განხორციელდა.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილი რთული გეოპოლიტიკური ვითარება აისახა ამიერკავკასიაში ინგლისის პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელის – ჯონ ოლივერ უორდროპის ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი მიმართულ დეპეშაში. დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაში არსებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის – ნოე რამიშვილის ვაჟის, აკაკი რამიშვილის არქივში _ №470(2).

გამოცდილი პოლიტიკოსი და დიპლომატი უორდროპი რეალურად აფასებდა იმ დიდ საფრთხეს, რომელიც საქართველოსა და ამიერკავკასიას ბოლშევიკური რუსეთისა და თურქეთის მხრიდან ემუქრებოდა. დეპეშაში იგრძნობა საქართველოსადმი კეთილგანწყობილი პოლიტიკოსის შემფოთება რეგიონში განვითარებულ მოვლენათა გამო. უორდროპი ხაზს უსვამს საქართველოსათვის მოკავშირეებისა და, განსაკუთრებით, ინგლისის მთავრობის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების სასიცოცხლო მნიშვნელობას.

მოკავშირეთა დახმარება იგვიანებდა. საფრანგეთმა და იტალიამ თავი შეიკავეს ბათუმში სამხედრო ნაწილების გაგზავნისგან და აღნიშნეს, რომ ეს რუსეთთან ომის დაწყების ტოლფასი იქნებოდა. 1920 წლის ივლისში დიდმა ბრიტანეთმა საბოლოოდ დატოვა ამიერკავკასია და ამ რეგიონში აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებაზე უარი განაცხადა.

1921 წლის დასაწყისში რუსეთმა და თურქეთმა ამიერკავკასიაში გავლენის სფეროები გაინაწილეს. ბრიტანეთის მთავრობამ ოფიციალურად ცნო რეგიონში ახალი პოლიტიკური რეალიები. მზადდებოდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია.

მოგვყავს ამიერკავკასიაში ბრიტანეთის პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელის – ჯონ ოლივერ უორდროპის დეპეშის ტექსტი.

PUBLIC RECORD OFFICE	Reference: - F. O. 371 / 4934	COPYRIGHT PHOTOGRAPH – NOT TO BE REPRODUCED PHOTOGRAPHICALLY WITHOUT PERMISSION OF THE PUBLIC RECORD OFFICE, LONDON
-------------------------	----------------------------------	--

RUSSIA
POLITICAL

Decypher. Mr. Wardrop. (Tiflis). March 23rd, 1920.

D. 9.15. p. m. March 23rd, 1920.

R. 10. 50. p. m. April 4th, 1920.

No. 161. Urgent.

Georgian Minister. President this morning handed to me and French and Italian Representatives long note urgently asking for material aid already promised in principle by Allies last January.

Georgia wishes to maintain neutrality in Russian affairs, but if attacked would defend herself. She remains faithful to Allies but must have support.

She has some doubt as to real attitude of Allies towards Bolsheviks and public opinion fears that delay in sending help promised is due to change of policy of His Majesty's Government. It would be well if His Majesty's Government could state definitely whether they have made terms with Bolsheviks and propose to give latter free hand in Trans-Caucasia.

Not only Georgian military road, Baku, and Gagra are in imminent danger of attack, but 2000 Turks at Olti threaten Akhalzikhe and Ardahan.

I urgently beg Your Lordship to inform me whether help is to be sent and when. Situation is very grave and I strongly advise immediate action.

Note follows by Messenger.

Sent to Foreign Office No. 161; Teheran No. 54.

Constantinople No. (? 100).

სამოქალაქო ჩანაწერების ოფისი	ცნობა:- საგარეო საქმეთა სამინისტრო 371/3666	საავტორო უფლება- ფოტოგრაფირება სამოქალაქო ჩანაწერების ოფისის ნებართვის გარეშე დაუშვებელია. ლონდონი
------------------------------	--	--

რუსეთი
პოლიტიკური

გამიფრულია. ბ-ნი უორდროპი (ტიფლისი). 23 მარტი, 1920

თარიღი. 9.15. 23 მარტი, 1920

მიღებულია 10.50. 4 აპრილი, 1920

№161. სასწრაფო

ამ დილით საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლებს გადმოგვცა ნოტა, რომელშიც საქართველო დაჟინებით ითხოვს მოკავშირეების მიერ ჯერ კიდევ იანვარში დაპირებულ მატერიალურ დახმარებას.

საქართველოს სურს რუსეთთან ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, მაგრამ, თავდასხმის შემთხვევაში, იძულებული იქნება, თავი დაიცვას. იგი კვლავ მოკავშირეების ერთგულია და მხარდაჭერას საჭიროებს.

საქართველოში ეჭვის თვალით უყურებენ ბოლშევიკებისადმი მოკავშირეთა რეალურ დამოკიდებულებას. საზოგადოებაში გავრცელებული აზრის მიხედვით, დაპირებული დახმარების დაგვიანება გამოწვეულია მისი უდიდებულესობის მთავრობის პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებებით. სასურველი იქნებოდა, მისი უდიდებულესობის მთავრობას მკაფიოდ განესაზღვრა, აპირებს თუ არა ბოლშევიკებთან შეთანხმებას და ტრანს-კავკასიაში მათთვის მოქმედების თავისუფლების მიცემას.

არა მარტო საქართველოს სამხედრო გზა, ბაქო და გაგრა იმყოფება თავდასხმის საფრთხის ქვეშ, არამედ ოლთისში განლაგებული 2000 თურქი ახალციხესა და არდაგანს ემუქრება.

დაჟინებით ვთხოვ თქვენს უგანათლებულესობას, შემატყობინოს, იქნება თუ არა დახმარება გამოგზავნილი და როდის? მდგომარეობა ძალიან სახიფათოა და დაბეჯითებით გირჩევთ დაუყოვნებლივ მოქმედებას.

ნოტა იგზავნება დიპლომატიური კურიერის მეშვეობით.

გაგზავნილია საგარეო საქმეთა სამინისტროში. №161; თეირანი №54, კონსტანტინოპოლი №(?100).

თინა მარიხაშვილი

საქართველო-იტალიის დიპლომატიური ურთიერთობების განსაკუთრებული გააქტიურება გამოიწვია 1919 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოს დიპლომატიური მისიის ვიზიტმა რომში. მისიას, რომელიც შესაბამისი რწმუნებებით იყო აღჭურვილი, ხელმძღვანელობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე - კ. საბახტარიშვილი, რომელიც მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანმა, გრაფმა სფორცამ.

1919 წლის 2 ნოემბერს კ. საბახტარიშვილს აუდიენცია ჰქონდა იტალიის პრემიერთან. ცოტა მოგვიანებით კი – საგარეო საქმეთა მინისტრთან. მოლაპარაკებანი ფრანკესკო ნიტისთან და ვიტორიო შიალოიასთან, ძირითადად, შეეხო ორ უმთავრეს საკითხს – საქართველოს დამოუკიდებლობის 'დე ფაქტო' ცნობას იტალიის მიერ და

ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებს. იტალიამ გამოთქვა მზადყოფნა საქართველოს დამოუკიდებლობის „დე ფაქტო აღიარების თვალსაზრისით. თუმცა, საბახტარიშვილს აგრძნობინეს, რომ ეს მზადყოფნა შეპირობებული უნდა ყოფილიყო ანტანტის ბლოკის სხვა სახელმწიფოთა ანალოგიური დიპლომატიური აქციებით. ამასთან დაკავშირებით იტალიის მთავრობას მეორე დღესვე უცნობებია ინგლისისათვის, რომ თუ დიდი ბრიტანეთის მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მომხრე აღმოჩნდებოდა, მაშინ იტალია ამ საკითხს პარიზის კონფერენციაზე აღძრავდა. ამდენად, იტალიის მიერ პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მხარდაჭერის ოფიციალურ დადასტურებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საბახტარიშვილის მისიის ეს მონაპოვარი, უდავოდ, ქართული დიპლომატიის დიდ წარმატებად შეიძლება შეფასდეს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკები იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის დიდ დეფიციტს განიცდიდნენ და იტალიის მხრიდან მათი მიწოდება საგრძნობლად გაზრდიდა იტალიის პოლიტიკურ წონადობას ამ სახელმწიფოთა მმართველი წრეების თვალში. ვ. საბახტარიშვილმა გადაჭრით განუცხადა ინგლისის ელჩს რომში, რომ მოლაპარაკებათა დღის წესრიგში საქართველოსათვის იტალიური იარაღის მიყიდვის საკითხი არ იდგა. ქართველი დიპლომატის პასუხი სასწრაფოდ აცნობეს ლონდონს, კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრს, ლორდ კერზონს.

ქვემოთ მოყვანილი ინგლისის ელჩის წერილი არის დასტური ამისა. ეს საბუთი (N247) ამოღებულია ქართველი ემიგრანტის – აკაკი რამიშვილის არქივიდან, რომელიც საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაშია დაცული.

PUBLIC RECORD OFFICE	Reference: - F. O. 371 / 4934	COPYRIGHT PHOTOGRAPH – NOT TO BE REPRODUCED PHOTOGRAPHICALLY WITHOUT PERMISSION OF THE PUBLIC RECORD OFFICE, LONDON
-------------------------	----------------------------------	--

ROME,

No 481

8, November 1919

My Lord,

M. SABAKHTARISHVILI, the Head of the Georgian Mission that arrived in Rome about a fortnight ago, called on me this morning and expressed the desire of his Government to get into closer contact with the Powers of Europe, more especially Great Britain. He expected, he said, to remain on here for another six weeks or two months and would afterwards probably proceed to Paris and London.

In reply to a question of mine he said that his Government disposed of a sufficient number of troops to maintain order and that they were not purchasing arms and munitions abroad, as they already possessed as much as they needed. While, however, the internal situation was quite satisfactory, the danger of an attack from the side of the Turks could not be ignored, and he would, therefore, welcome the return of some at any rate of the British troops which had been withdrawn.

He was not very communicative as regards the object of his mission here, though he spoke vaguely about the discussion of certain economic questions, but on my enquiring whether there was any idea of the Italians obtaining concessions for the purpose of developing the national resources of Georgia, he replied that his Government would grant such concessions to whatever country gave them the most effective support politically.

I next enquired what would be the attitude of His Government towards a reconstructed Russia. He replied that, though the Bolshevik Government might be overthrown, order and normal conditions would not be restored for several years to come and that, though his Government desired to be on the best possible terms with Russia, it did not wish to enter any future Russian Federal State as an autonomous Province.

I may mention that Count Sforza, whom I saw yesterday, told me that the Georgian Mission had pressed him to give their Government de facto recognition and that he had told them that the presence of an Italian Mission at Tiflis and of a Georgian Mission at Rome was tantamount to such recognition. To do more would mean a "de jure" recognition, which the Italian Government could not grant at present. On my enquiring whether the Italian Government were selling arms and munitions to the Georgians, Count Sforza replied in the negative. They had, however, he added, sold military clothing to General Denikin.

I have the honour to be, with the highest respect,

My Lord,

Your Lordship's most obedient,
humble servant.

რომი

თქვენო უდიდებულესობავ,

1919 წლის 8 ნოემბერი

ქართული მისიის თავმჯდომარემ, ბ-მა საბახტარიშვილმა, რომელიც ორი კვირის წინ ჩამოვიდა რომში, ამ დილით დამირეკა და გამოთქვა თავისი მთავრობის სურვილი, მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს ევროპის ძლიერ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი, დიდ ბრიტანეთთან. ბ-ნი საბახტარიშვილი ვარაუდობს, ექვს კვირას ან ორ თვეს დარჩეს და, ამის შემდგომ, პარიზსა და ლონდონს გაემგზავროს.

ჩემი კითხვის პასუხად მან თქვა, რომ მისმა მთავრობამ, წესრიგის შენარჩუნების მიზნით, საკმაო რაოდენობის ჯარი განალაგა. ისინი არ ყიდულობენ იარაღსა და აღჭურვილობას საზღვარგარეთ, რადგან გააჩნიათ იმდენი, რამდენსაც საჭიროებენ.

მიუხედავად ქვეყნის შიგნით ვითარების სტაბილურობისა, თურქების მხრიდან შეტევის საფრთხე მაინც არსებობდა. ამიტომაც, მისასალმებელი იქნება ქვეყნიდან გაწვეული ბრიტანული ჯარის ნაწილობრივი დაბრუნება მაინც.

იგი ბევრს არ ლაპარაკობდა თავისი მისიის შესახებ; გაკვირვებით შეეხო ზოგიერთ ეკონომიკურ საკითხს. ჩემს შეკითხვაზე – იყო თუ არა იდეა, საქართველოს ეროვნული რესურსების განვითარების მიზნით, იტალიელ-ბისათვის მიეცათ კონცესიები, მან მიპასუხა, რომ მისი მთავრობა თანახმა იქნება, გადასცეს კონცესიები ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც მას ყველაზე ეფექტურ პოლიტიკურ მხარდაჭერას გამოუცხადებს.

შემდგომ მე დავინტერესდი, თუ რა დამოკიდებულება ექნებოდა მის ქვეყანას ახალი რუსეთის მიმართ. მან აღნიშნა, რომ ბოლშევიკური მთავრობის გადაგდების შემთხვევაშიც კი, რუსეთში წესრიგი და ნორმალური ვითარება რამდენიმე წლის განმავლობაშიც ვერ აღდგება. ასე რომ, თუმცა საქართველოს მთავრობას აქვს სურვილი საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან, თუმცა რუსეთის მომავალ ფედერალურ სახელმწიფოში რომელიმე ავტონომიური ერთეულის სახით შესვლა არ სურს.

უნდა აღვნიშნო, რომ გრაფმა სფორცამ, რომელიც გუშინ ვნახე, მითხრა, რომ ქართული მისია მისგან დაჟინებით ითხოვდა მათი მთავრობის „დე ფაქტოდ“ აღიარებას, რაზეც მან უპასუხა, რომ იტალიის მისიის ყოფნა ტფილისში, და საქართველის მისიისა – რომში, თავისთავად ნიშნავს აღიარებას; ამაზე მეტის გაკეთება კი ნიშნავდა „დე იურედ“ ცნობას, რაზეც იტალიის მთავრობა ჯერჯერობით ვერ დათანხმდებოდა.

ჩემს შეკითხვაზე, არსებობდა თუ არა ქართველებისათვის იარაღისა და საომარი აღჭურვილობის მიყიდვის ფაქტები იტალიის მთავრობის მიერ, გრაფმა სფორცამ არ დაადასტურა, მაგრამ დაამატა, რომ მათ მიჰყიდეს სამხედრო ტანსაცმელი გენერალ დენიკინს.

თქვენო უდიდებულესობავ,
მაქვს პატივი, უდიდესი პატივისცემით თქვენდამი,

თქვენი მონა-მორჩილი
(ხელმოწერა გაურკვეველია).

Ж. КВАТАДЗЕ

**ДОКУМЕНТЫ АРХИВА А. РАМИШВИЛИ, ХРАНЯЩИЕСЯ В НАЦИОНАЛЬНОЙ
ПАРЛАМЕНТСКОЙ БИБЛИОТЕКЕ ГРУЗИИ**

Резюме

В Национальной Парламентской библиотеке Грузии им. Ильи Чавчавадзе хранятся коллекция и архив сына первого Председателя правительства Демократической республики Грузия Ноэ Рамишвили, гражданина Франции, Акакия Рамишвили (скончался в 1999 г.), где, помимо разных интересных исторических документов, представлены копии документов английской тайной разведки британского Министерства Иностранных Дел о Грузии и Кавказе. Авторами этих документов являются официальные военные представители Британии в Грузии в 1918-1920гг.

В публикации представлено несколько архивных документов на английском языке с грузинским переводом.

J. QVATADZE

**THE DOCUMENTS OF A. RAMISHVILI'S ARCHIVES PRESERVED IN THE NATIONAL
PARLAMENTARY LIBRARY OF GEORGIA**

Summary

The collection and archives of Akaki Ramishvili (died 1999), the son of Noe Ramishvili, the First Chairman of Democratic Republic of Georgia, are preserved in the National Parliamentary Library of Georgia. Together with various kinds of interesting materials, they comprise the copies of the confidential documents of England's intelligence about Georgia and the Caucasus kept in the archives of Foreign Office of Great Britain. The authors are military officials of Great Britain, who stayed in Georgia in 1919-1920.

We offer several documents in English preserved in the archives and their translation into Georgian.

მ ა ნ ა ნ ა ყ ვ ა ვ ი ლ ა შ ვ ი ლ ი

**თბილისის კუკიის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვრის დავით
გარსიაშვილის ქადაგებანი**

დ. გარსიაშვილის პირადი არქივი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველ-ლოლოგიის განყოფილებას 2001 წელს მისი ვაჟის, არჩილის ოჯახმა გადასცა. მთელი მასალა ხუთი კაბრისგან შედგებოდა, რომელშიც თავმოყრილი იყო დოკუმენტები აღურიცხავი გვერდებით. კაბრები დაჯგუფებული იყო მასალათა შინაარსის მიხედვით, რაც არქივის დამუშავებისას არ დაგვირღვევია. არქივის აღწერისას დოკუმენტები შემდეგი სახით განვალაგეთ: ბიოგრაფიული მასალები, მოღვაწეობა, პირადი მიმოწერა, მოგონებები, ფოტოები.

დავით ზაქარიას ძე გარსიაშვილი დაიბადა 1870 წელს სოფ. საგარეჯოში. მამამისი გარეჯის მონასტრის მედავითნე იყო. 1893 წელს, სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ დ. გარსიაშვილი მღვდლად აკურთხეს და თბილისის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაში გაამწესეს.

1914-1918 წწ. დ. გარსიაშვილი პირველ მსოფლიო ომში სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე მღვდლად გაიწვიეს. 1922 წელს გადაიყვანეს ვერის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში, შემდეგ – სიონის საკათედრო ტაძარში, ხოლო 1945 წელს – წინამძღვრად კუკიის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაში, სადაც გარდაცვალებამდე მსახურებდა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – კალისტრატეს (ცინცაძე, 1932-1952) განკარგულებით დ. გარსიაშვილი თბილისის სამღვდლოების მოძღვართა მოძღვრად დაინიშნა. იგი 1957 წელს გარდაიცვალა.

ორიოდე ოფიციალური დოკუმენტის გარდა, ბეჭდვითი მასალა არქივში არ მოიპოვება. ძირითადად, ესაა ხელნაწერები, რომლებიც შესრულებულია მეღვინით, მცირე ნაწილი – ფანქრით, ზოგიერთი ფურცელი დაკარგულია. აქვეა დ.

გარსიაშვილის ხელით დაწერილი ბიოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე. მათში აღწერილია მეფის რუსეთის მოხელეთა მიერ ქართული სამღვდელოების დევნის თაობაზე ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულების გამო, ბოლშევიკური მთავრობის პერიოდში სასულიერო პირთა და მათი ოჯახების დაწიოკების, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-

პატრიარქის – ამბროსი ხელაიას შევიწროებისა და დევნის ფაქტებისა და სხვათა შესახებ. ვრცელი ბიოგრაფია კი, როგორც ტექსტიდან ჩანს, მის ვაჟს – არჩილს ეკუთვნის.¹

არქივში ცალკეა გამოყოფილი დ. გარსიაშვილის მიმოწერა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებთან: კალისტრა-ტესთან, ლეონიდესა (ოქროპირიძე, 1919-1921) და მელქისედეკთან (ფხალაძე, 1952-1960). საქართველოს ჭეშმარიტ ძეთა და ასულთა მონობის უღელქვეშ უხდებოდათ მუშაობა სამშობლოს საკეთილ-დღეოდ... საქართველოს ასეთ შვილთა დაფარული ზრახვა - «ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო... - დღეს ხორცს ისხამს, მართლდება», - წერს 1919 წლის მარტში დ. გარსიაშვილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს – ლეონიდეს და არ მალავს აღფრთოვანებას ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის გამო.

1921 წელს საქართველოში პოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა: დამყარდა ათეისტური, ბოლშევიკური ხელისუფლება, გახშირდა სასულიერო პირთა დევნა, რაც საერთო ისტორიაში გადაიზარდა: ინგრეოდა ეკლესიები, ნადგურდებოდა საეკლესიო ქონება, დამცირებასა და უსაზღვრო შევიწროებას განიცდიდნენ სასულიერო პირები. ფორმალურად ეკლესია გამოყოფილი იყო სახელმწიფოსგან, ფაქტობრივად, კი ხელისუფლება აშკარად ერეოდა ეკლესიის საქმეში. მდგომარეობა გაუსაძლისი გახდა 1924 წლის აგვისტოს ცნობილი აჯანყების შემდეგ. ამ თვალსაზრისით, გარსიაშვილის არქივში დაცული დოკუმენტები განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. დ. გარსიაშვილის ორი ვაჟი – გიგლა და არჩილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ. გიგლა, როგორც აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, 1924 წლის 1 სექტემბერს დახვრიტეს.

ხელისუფლებისგან მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ გარკვეული ზედამხედველობა დააწესა მღვდელ-მსახურთა ქადაგებებზე. დ. გარსიაშვილი მიეკუთვნებოდა იმ მღვდელმსახურებს, რომლებიც ძალმომრეობისადმი დამოკიდებულებას თამამი ქადაგებებით გამოხატავდნენ. ეს იყო წლების განმავლობაში სულში დაგროვილი შინაგანი წინააღმდეგობის თავისებური გამოხატულება, რადგან მამა დავითი ყოველდღიურად მოწმე ხდებოდა ქრისტიანული მორალის ბარბაროსული რღვევისა, რასაც იგი თავისი სასულიერო მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ვერ ურიგდებოდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ქაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მეორმოცე დღეს წარმოთქმული ქადაგება და ის ქადაგებანი, რომლებიც 1924 წლის შემდგომ პერიოდს მოიცავს.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ დ. გარსიაშვილი მხარს უჭერდა და გაჭირვების ჟამს გვერდში ედგა კათოლიკოს-პატრიარქს ამბროსი ხელაიას (1921-1927). «დღეს ჩვენ, ქართველები, დიდად სამწუხარო და გულსაკლავი ფაქტის წინაშე ვდგევართ... წამებული მხცოვანი, კათოლიკოს-პატრიარქი – ამბროსი მსხვერპლად შეიქმნა შინა გამცემთა, იუდა ისკარიოტელის მსგავსთა, რომელთა უმუხთლეს, უღალატეს...» –

ქადაგებდა მამა დავითი 1927 წლის 2 სექტემბერს ვერის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში. ლოგინად ჩავარდნილი პატრიარქის ბედით შეწუხებულ დ. გარსიაშვილს სწამდა, რომ მოლაღატენი 'გაწამებული ერის სამსჯავროზე წარსდგებით... ბოროტმოქმედთა თქვენთა სიტყვისაგებად». მამა დავითის მეშვეობით ჩაიშალა თბილისის სამღვდელოების კრება, რომელიც ამბროსი ხელაიას მეტეხის ციხეში ყოფნის დროს მისმა მოწინააღმდეგეებმა მოიწვიეს. კრებაზე დ. გარსიაშვილმა წარმოთქვა სიტყვა, რომლის შემდეგ მას მომხრეები გამოუჩნდნენ და კრება ჩაიშალა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქადაგების დასაწყისში მამა დავითი ახსენებს ამ სამარცხვინო კრების ორგანიზატორთა გვარებსაც.

მდიდარი არ არის დ. გარსიაშვილის არქივის ფოტომასალა. აღწერისას ფოტოები არ დაგვიჯგუფებია, დავეყრდენით თანმხლებ სიას. შესაძლებელი გახდა რამდენიმე ფოტოსურათზე გაკრული ხელით შესრულებული მინაწერი და გვარი ამოგვეკითხა. ფოტოებზე გამოსახულ პირთა ვინაობის გარდა, აღწერისას მივუთითეთ გადაღების ადგილი, თარიღი, ფოტოების ზომები და ფოტოგრაფის ვინაობა.

არქივის აღწერილობას თან ახლავს პირთა ანბანური საძიებელი და კომენტარები.

მცირე შემოკლებითა და შესწორებით გთავაზობთ დ. გარსიაშვილის რამდენიმე საინტერესო ქადაგებას.

1927 წლის 18 ივლისი,
ვერის წმიდა ნიკოლოზის
სახელობის ეკლესია

მე-7 კვირიაკე

წარსულ, მე-6-ე კვირიაკეს წირვის შესრულების დროს წაკითხული სახარების შინაარსი შემდეგია: ქრისტე იესო მოწაფეებით მოვიდა ქალაქ ნაზარეთში. მაშინ მოართვეს მას განრღვეული ცხედარსა ზედა მდებარე. იხილა იესომ სარწმუნოება მათი, და რქვა გან-რღვეულსა მას: ნუ გეშინინ, შვილო! მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი... აღსდევ, აღილე ცხედარი შენი, და წარვედ სახლსა შენსა. და იგი მეყვსეულად აღსდგა, და წარვიდა სახლსა თვისსა. იხილა რა ესე ერმან მან, და უკვირდა, და აღიდებდეს ღმერთსა /მათე, IX, 1-2; 6-8/.

დღეს, მე-7 კვირიაკეს წირვაზედ წაკითხული სახარების მოკლე შინაარსიც ასეთია: იესოს მოსდევდეს ორნი ბრმანი, ჰლადადებდეს «და იტყოდეს: "შემიწყალენ ჩვენ, ძეო დავითისაო"... რქვა მათ იესო: გრწამსა, ვითარმედ ძალ მიძს ესე ყოფად?" რქვეს მას: «ჰე, უფალო!» რქვა მათ იესო: «სარწმუნოებისა თქვენისაებრ გეყავნ თქვენ» – და მეყვსეულად აღეხილნეს თვალნი მათნი...

განკურნებულნი იგინი გამოვიდნენ და, მიუხედავად იესო ქრისტეს თხოვნისა, რომ არავისთვის ეთქვათ, გააქვეყნეს ესე ქრისტეს მადლიანი საქმე ყოველსა მას ქვეყანასა ზედა /მათე, IX, 27-31/.

საყვარელო! უფალ იესო ქრისტეს სიტყვას თანვე სდევდა მადლის ქმნა. ჩვენი ამ ქვეყნად დანიშნულებაა მადლის ქმნით, კეთილთა საქმეთა მოქმედებით ღვთის დიდება. სამ ნახევარი წელიწადი ჰქადაგებდა ქრისტე ამ ქვეყნად და არც ერთი სიტყვა მის მიერ არ თქმულა ისეთი, რომ მის სიტყვას მისი კეთილი საქმეც თან არ დაჰყოლოდეს. მოციქული ქრისტესი იაკობი თვის კათოლიკე ეპისტოლეში სწერს მორწმუნეთა, რომ სარწმუნოება ყოველი კაცისა უსარგებლო და მკვდარია, თუ მას

კეთილი საქმენი თან დაყოლილი არა აქვს. მოვისმინოთ მოციქულის მსჯელობა ნათქვამის შესახებ: «რა სარგებელ-არს, ძმანო ჩემო, უკეთუ ვინმე ჰსთქვას, სარწმუნოება მაქვს და საქმენი არა ჰქონდენ? შეუძლიანო სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებად მისა? რამეთუ უკეთუ ძმა, გინა დაი შიშველიყვნენ, და ნაკლულევან დღიურ საზრდელისა, და ჰრქვას ვინმე მათ თქვენგანმან: წარვედით მშვიდობით, განჰსძედით და გათბით, და არა ჰსცეთ მათ სახმარი /საჭირო/ ხორცთა: რა სარგებელ არს? ეგრეცა სარწმუნოება, უკეთუ არა აქვდეს საქმენი, მკვდარ-არს იგი ხოლო... სთქვას თუ ვინმე: შენ სარწმუნოება გაქვს და მე საქმენი მქონან: მიჩვენე მე სარწმუნოება შენი საქმეთაგან შენთა, და მე გიჩვენო შენ საქმეთაგან ჩემთა სარწმუნოება ჩემი. შენ გრწამს, ვითარმედ ერთ-არს ღმერთი: კეთილად იქმ: და ემძაკთაცა ჰრწამს და ჰსძრწიან მისგან. – გნებავსა ცნობად, ჰოი კაცო ამაო, რამეთუ სარწმუნოებაი თვინიერ საქმეთასა მკვდარ-არს? აბრაამ, მამა ჩვენი, არა საქმეთაგან განმართლდა, რამეთუ შესწირა ისაკი ძე თვისი საკურთხეველსა ზედა? ჰხედავა, რამეთუ სარწმუნოება შეეწია საქმეთა მისთა, და საქმეთაგან სარწმუნოება იგი სრულ-იქმნა და აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყვის: ჰრწმენა აბრაამს ღმერთი, და შეერაცხა მას სიმართლედ, და მეგობარ ღვთისა იწოდა. ჰხედავთა, რამეთუ საქმეთაგან განმართლდების კაცი, და არა სარწმუნოებისაგან ხოლო?... რამეთუ, ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკვდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ-არს /კათ. ეპისტ. იაკ. II, 14-24, 26/.

ასე, საყვარელნო! ამონაწერი მოციქულ იაკობის კათოლიკე ეპისტოლედან ნათლად გვიხსნის, რომ თვითეული ჩვენგანი არა მხოლოდ სიტყვით უნდა იყოს მორწმუნე და მადიდებელი ღვთისა, არამედ ჩვენს რწმენას კეთილი საქმენიც თან უნდა სდევდნენ. «არა ყოველმან, რომელმან მრქვას მე: უფალო! უფალო! და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა; არამედ რომელმან ჰყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა /მათ. VII, 21 /, – ბრძანებს მაცხოვარი უფალი ჩვენი იესო ქრისტე. და განა ქრისტე იესომ, ციდან მოვლინებულმა დიდებულმა მოძღვარმა, ხელის-ხელ საგოგმანებელი სიტყვანი თვისნი უთვალავი კეთილი საქმეებით არ შეამკო? მოციქული სიყვარულისა იოანე თვის სახარებას ასე ამთავრებს ქრისტეს ამა ქვეყნიური მოქმედების შესახებ: «და არიან სხვანიცა მრავალ, რომელ ჰქმნა იესო, რომელნი თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არც-ღა, ვჰგონებ, ვითაიმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი «წიგნები» /იოან. XXI, 25 /. გარდა ამა საბუთისა, დასმულ კითხვის პასუხი წმიდა წიგნია, წმიდა სახარებად წოდებული; და კიდევ წმიდა წიგნია მოციქულთა ნაწერებისა, სამოციქულოდ წოდებული.

ზნეობრივი ცხოვრების მოტრფიალენო და დამცველნო! სულიერი ცხოვრების მაღიარებელნო! გამოიჩინეთ უნარი, სურვილი და ნდობა და იწყეთ სარგებლობა ამ წიგნებით, რომლებშიც ფას დაუდებელი საუნჯეა მოთავსებული კაცის გონების ამალღებისა და მისი სულისა და გულის განწმედისათვის. გვახსოვდეს, რომ მორწმუნე კაცი, კეთილთა საქმეებით შემკული, მოციქულ იაკობის სწავლით, მზგავსად მამა აბრაამისა, «მეგობარ ღვთისად იწოდების, და რწმენა და კეთილი საქმეები სიმართლედ შეერაცხება» /კათ. ეპისტ. იაკ. II, 23/. ამ ქვეყნად მოკლე ხნით მოვლინებულეებმა ისე ვიცხოვროთ, რომ უკანასკნელ ჟამს ცხედარსა ზედა მდებარეს მომაკვდავებს შეგვეძლოს ქრისტე იესოს მზგავსად თვალთა ზედად აღხილვა და თქმა: «მე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რაითა ვჰყო. მამაო! მოიწია ჟამი ჩემი» /იოან. XVII, 1, 4/. ამინ.

1929 წლის 14 სექტემბერი

სიტყვა მე-12 კვირიაკესა ზედა

ბეთლემს ჰურიასტანისას დაბადებულ და გოლგოთაზედ ჯვარცმულ იესო ქრისტეს სახელის მაკურთხეველნო, მაქებ-მადიდებელნო და თაყვანისმცემელნო!

ურიათა მეფეს და წინასწარმეტყველს დავით ფსალმუნთმთხზველს შორეულ წარსულში უგალობნია ასეთ ნაირად: «კაცი, ვითარცა თივა, არიან. დღენი მისნი, ვითარცა ყვავილი ველისა, ეგრე აღყვავნეს» /ფს. 102, 15/.

მოციქული პეტრეც თვის კათოლიკე ეპისტოლეში მთლიანად იზიარებს მეფე დავითის ამ მოყვანილ აზრს შემდეგი ლამაზი შედარებით: «ყოველი ხორცი თივა არს, და ყოველი დიდება კაცისა, წვა ყვავილი თივისა; განხმა თივა იგი, და ყვავილი მისი დაჰსცვივა» /I კათ. პეტრ. I, 24/.

მოციქული იაკობი, ურიათა შორის სახარების მქადაგებელი, ეკითხება იმათ, რომელნიც ასე მსჯელობენ: «დღეს, გინა ხვალე წარვიდეთ მას რომელსამე ქალაქსა, და დაუყოთ მუნ წელიწადი ერთი, და ვივაჭროთ და შევიძინოთ; თქვენ, რომელთაც არ იცით, ხვალ რა მოხდება, რა არის ცხოვრება თქვენი»-ო? და ასეთ შეკითხვაზე ეს მოციქული თვითონვე დასძენს: «ვითარც კვამლნი ხართ, რომელნიც მცირედ-ჟამ ჰსჩანან, და მერმე განჰქარდის» /კათ. იაკ. IV, 13,14/.

ამნაირად, საყვარელნო! ფსალმუნთმგალობელს მეფე დავითს კაცის ამ ქვეყნიური ხანგრძლივობა თივისა და ველის ყვავილის ბედისათვის შეუდარებია. მოციქულ პეტრეს მოძღვრებით კაცის გვამი და ყოველი დიდება მისი თივისა და თივის ყვავილის მზგავსი ყოფილა. მოციქულ იაკობის სწავლითაც კაცი კვამლის სადარია, რომელიც ცოტა ხანს სჩანს და მერმე ჰქრება.

ასეთი მცირე დროისანი ვართ ამ ქვეყნად მოვლინებულნი ადამიანნი, საყვარელნო! და კაცის ვალია მეექვსე დიდი მცნების: «არა კაც ჰკლა»-ს /გამოსვ. მოსესი XX, 13/ დაცვა. კაინის მზგავსად რად ვღვრით უხვად მოძმის ფას დაუდებელ სისხლს? ხომ კაცის მოკვლით ირღვევა «ტამარი ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა»? რად არ გვახსოვს კაცის ღირსების და მაღალი დანიშნულების სწავლა დიდის მოციქულისა: «არა უწყითა, რომელი ტამარნი ღვთისანი ხართ, და სული ღმრთისა დამკვიდრებულ-არს თქვენ შორის»? /კორ. III, 16/; ან და ის, რომ ყოველნი ქრისტიანენი: «ვართ გვამისა მისისანი /ქრისტესი/, ხორცთა მისთაგანნი და ძვალთა მისთაგანნი»? /ეფეს. V, 30/. კაინისა და გამცემელ იუდა ისკარიოტელისებურ დაღვრილი მოძმის სისხლი ხომ ცამდის ხმა-მაღლა მღაღადებელია? ის იდუმალი ღმრთისა და სინიდისის ძახილი: «კაინ! სადა არს, აბელ, ძმა შენი?» /დაბ. წ. ა მოსესი IV, 9/, და ცით მოვლინებულ ღვთაებრივ მოძღვრის კითხვა: «იუდა! ამბორის ყოფითა მიჰსცემა ძესა კაცისასა»? /ლუკ. XXII, 48/ ხომ მოძმის მკვლელის მუდმივ თან მდევნელია და მისი სულიერი სიმშვიდის ამა თუ იმ ქვეყნად დამრღვევი და მომსპობია? რად არ აფიქრებს ეს გარემოება კაცად წოდებულს, ორ ფეხა ნადირს? ხომ ქრისტეს სწავლით არა თუ კაცის მოკვლა დაუშვებელია, ცუდ-უბრალოდ მოძმის შეურაცყოფაც მკვლელობის სადარია? ჰა, ამის ციური საბუთიც: «გესმა, აწ ითქვა პირველთა მათ მიმართ: არა კაც ჰკლა; რომელმან მოკლას, თანამდებ არს სასჯელისა. მე გეტყვი თქვენ, რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა»... და სხვ. /მათ. V, 21, 22/. და იესო ქრისტეს საყვარელ მოციქულის იოანეს მახარებლის სწავლითაც: უჩინარი, გულის სიღრმეში დაფარული მძულვარება კაცისა მოძმი-სადმი ხომ იგივე მკვლელობა ყოფილა: «ყოველსა, რომელსა ჰსძულდეს ძმაი

თვისი, იგი კაცის-მკვლელი არს; და იცით, აწ ყოველსა კაცის-მკვლელსა არა აქვს ცხოვრება საუკუნო» /Iკათ. იოან. III, 15/.

რად ვმრუშობთ და არ ვიცავთ საწოლსა საკუთარის თუ მოძმის ცოლ-ქმრობისას შეუხებელად და შეუგინებელად? შეგინება ცოლ-ქმრული საწოლისა ხომ შეგინება სუფთა და ფაქიზი ოჯახური და საზოგადოებრივი ზნეობრივი ცხოვრებისა? ამის შესახებ რად არ ვიმარხავთ გულის სიღრმეში და ჩვენი სუფთა ცხოვრებით არ ვამართლებთ დიდ სწავლას და დარიგებას ბეთლემში დაბადებულის და გოლგოთაზე ჯვარცმულისას: «არა იმრუშო»; ხოლო მე გეტყვი თქვენ, რომ ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის თქმად მას, მუნვე იმრუშა მისთანა გულსა შინა თვისსა»? /მათ. V, 27, 28/. რატომ არა ვბაძავთ მშობელთა და ძმათა უზომოთ მოყვარულს, «კეთილ სახითა და შვენიერ ხილვითა ფრიად»... იოსებს, «უმანკოებით ცნობილ მამათ-მთავარ იაკობის» ერთ ათორმეტთაგანს ძეს, რომელმაც, ეგვიპტეში მონობის ჟამს, სინანულითა, ლოცვითა და მარხვით სძლია, უკუაგდო და არ შეასრულა თვისი ბატონის ცოლის, 'უსჯულოისა დედაკაცის» ბილწი წინადადება: «დაწევ ჩემთანა»...? იოსებმა შემდეგი თვისი სამაგალითო ღრმა ზნეობრივი პასუხით: «ცოლი ხარ მისი /ბატონისა/, და ვითარ ვქმნა ბოროტი ესე სიტყვა, და ვსცოდო წინაშე ღვთისა» /დაბად. წ. ა. მოსესი XXXIX, 7, 9/.

აკვაცობით და ავხელობით, მრუდე ნაბიჯის გადადგმით ბნელ და უკუმეთ ღამეებში ავზრახვათა შესრულებით რად ვაუქმებთ დიდ აზრს მერვე დიდი მცნებისას: «არა იპარო»? /გამოსვ. წ. ბ მოსესი XX, 15/. ხომ ცნობილია, რომ მოყვასის ქონების დაზოგვაზეა დაფუძნებული კერძო თუ საერთო ხასიათის ბედნიერება და კეთილ დღეობა? ამ დიდათ საჭირო მცნების უარყოფით არ არის ურთ-ერთშორის გახშირებული ამკარა ცარცვა-გლეჯა და ძალ-მომრეობა და ფარულად თუ მოტყუებით და გაიძვერობით მითვისება სხვისი ქონებისა? – სამაგიეროთ ამისა რად არ არის კაცთა მიერ საჭიროთ მიჩნეული პირიანობა, მართლმსაჯულობა და დაცემულთა შებრალება? ამასთა-ნავე კერძოთ ჩვენ, ქართველები, რად არ მივსდევთ ქართველი ერის დიდი მოძღვრის, უღმრთო ხელით ამ წუთისოფელს გამოსალმებულის, ეროვნულ ბურჯის ილიას დიდ მცნებას:

«რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის: კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია...»

მოუცია ღმერთს მე-9 მცნებად: «არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუთათა» /გამოსვ. წ. ბ მოსესი XX, 16/. ჩვენ კი, კაცნი, რასა ვჩადივართ მეტყველი ენითა ჩვენითა? ვარღვევთ და ვაუქმებთ იესო ქრისტეს ახალ დიდ მცნებას: «ნუ განიკითხავთ, რათა არა განი-კითხნეთ»... /მათ. VII, 1/. ამკარა თუ ფარულ უსამართლობით მოყვასსა ჩვენსა ვკიცხავთ და ვაბეზლებთ ენა მწართა. რად გვავიწყდება სასარგებლო დარიგებანი მოციქულთა: ა) პავლესი, რომელი ამბობს: «...განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცად-კაცადი მოყვასისა თვისისათანა, რომელნი ვართ ურთი-ერთ-არს ასოებ» /ეფეს. IV, 25/; ბ) პეტრესი: «რომელსა ჰნებავს სიყვარული ცხოვრებისა და ხილვად დღენი კეთილისანი, დაცხვრენ ენაი თვისი ბოროტისაგან და ბაგენი მისნი ნუ იტყვედ ზაკვასა» /Iკათ. პეტრესი III, 10/; გ) იაკობისა: «რომელსა ეგონოს თქვენ შორის, ვითარმედ ღვთის მსახურ-არს, და არა აღვირ ასხმიდეს ენასა თვისსა, არამედ აცდუნებდეს გულსა თვისსა, ამისი ამაო არს მსახურება» /კათ. იაკ. I, 26; მათ. XV, 19/. ფსალმუნთმგალობელ დავით მეფეს ლამაზი ენით უგალობნია ღრმა შინაარსის

საგალობელი: «გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა»... /ფს. 50, 10/. მას იმავე დროს საქმითაც უსრულებია იგი და მით თავი თვისიც უცხოვნებია. ჩვენ რაღა დაგვემართა? ხომ ეკლესია დღე მუდამ კითხვა-გალობით გაგვახსენებს სულთა ჩვენთათვის ამ ფრიად საჭირო სავედრებელს ხორცმესხმულ «ღვთის მამისა» და უმეტესობას იგი გაზეპირებულიც გვაქვს? ენით ხომ ვართ მიძბაძველნი დავითისა, საქმით რათღა არ ვართ მისებრ საღმრთო სჯულის აღმსრულებელნი? რად დავდივართ სულთა და ხორცთა წამწყმედელების მიერ მითითებულ გზით?

მოყვასნო და მეცნიერნო ჩემნო, მამაკაცნო და დედაკაცნო! მეფე და ფსალმუნთმგალობელ დავითის სხვა გალობითაც ჩვენ, კაცნი: «მწირნი ვართ წინაშე უფლისა და წარმავალნი ვითარცა ყოველნი მამანი ჩვენნი: დღენი ჩვენნი ვართ აჩრდილნი ქვეყანასა ზედა, და არა არს დადგომად» /I ნემტთა XXIX, 15/; ხალხური თქმულებითაც ხომ «წუთი სოფლის სტუმრები ვართ». ასე ცოტა ხნით მოვდივართ ამ ქვეყნად არა ზემო გათვალისწინებულ ღვთის უარისყოფისათვის, არა მშობელთა ჩვენთა, მოხუცებულთა და ღვაწლით შემოსილთა მოძღვართა შეურაცყოფისა და შეგინებისათვის, არა ავ საქმეთა ქმნისათვის, და არცა ავ-წადილთა, და ცოდვილ და ბოროტ გულის-თქმათა და კმაყოფილებისათვის, არამედ მოვდივართ ბუნების წარმომშობელისა და მფლობელისაგან განწესებულ მაღალი დანიშნულებისა და საღმრთო ვალის შესრულებისათვის. რა დანიშნულება და საღმრთო ვალი აქვს კაცს შემოქმედისაგან დაკისრებული? – ძიება და ცნობა ბუნების კანონთა გამწესებელის და გამგებელის ღმრთისა, სიყვარული და ქება-დიდება მისი და ამ გზით მოპოება საუკუნო ნეტარი ცხოვრებისა... «იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ-არს» /მათ. V, 48/. რით შეუძლიან კაცს ძიება და ცნობა ღვთისა, მისი ქება-დიდება, სიყვარული და მოპოვება საუკუნო ნეტარი ცხოვრებისა? სიყვარულით, საყვარელნო! სიყვარულია ქვა-კუთხედი და ერთად-ერთი გზა და ხიდი ღვთის ძიება-ცნობისა, მისი სიყვარულისა, და ქება-დიდებისა და საუკუნო ნეტარი ცხოვრების მოპოებისა. იოანე ღვთისმეტყველის სწავლით: «ღმერთი სიყვარული-არს» /I კათ. იოან. VI, 8/. ეს სიყვარული არის შემქმნელი პირველ მამაკაცისა და დედაკაცისა და მეტყველი მათდამი მაკურთხებელ სიტყვათა: «აღორძინდით და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას» /დაბ. წიგ. ა მოსესი I, 28/. ღვთაებრივი სიყვარულის ნაყოფია მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა კაცთადმი მიმართული მოწოდება ქრისტესი: «მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა და ისწავეთ ჩემგან: მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსვენებაი სულთა თქვენთა. უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს» /მათ. XI, 28, 29, 30/. და ამ მოწოდების შინაარსი ციურ მოძღვარმა განა საქმით არ აღასრულა? განა კაცთადმი უზომო სიყვარული ღვთისა არ იყო მიზეზი იესო ქრისტეს ენით აუწერელ ვნებათა, სულგრძელებისა და დაცინვა-გაკიცხვისა მღვდელ-მთავართა კაიფასა და ანნასა და ურიათა მმართველის პილატეს სასახლეებში და ეზოებში? სიბნელეში მყოფ კაცობრიობისადმი სიყვარულმა აზიდვინა წინა ღამეს ტანჯვა-წამებით არაქათგამოლულ იესო ქრისტეს მძიმე ჯვარი და მიატანინა იგი გოლგოთად წოდებულ თხემისა ადგილს, მასზედ «თვისი ნებით» ცმულიყო და «უსჯულოთა თანა შერაცხილიყო» წერილის აღსასრუ-ლებლად /მარკ. XV, 28/, და ამ გზით ადამისშთამომავალ ბნელ კაცობრიობას მისი ღვთაებრივი ნათელი, წყალობა და მაღლი მოჭვენოდა და მოჰმადლოდა. ჯვარსა ზედა მოკიდებულ ტანჯულ-წამებულ იესოს ლოცვა: «მამაო! მიუტევე ამათ, რათა არა იციან, რასა იქმან» /ლუკ. XXIII, 34/.

შედეგია ცოდვებისაგან ტყვე-ქმნილ კაცთადმი ღვთის სიყვარულისა და მარადის მისი მამობრივი მზრუნველობისა.

დედამიწაზედ მოკლე ხნით მცხოვრები კაციც, საყვარელნო, ვალდებულია ღვთის სიყვარულს მაგიერი სიყვარულითვე უპასუხებდეს. კაცისაგან ღმერთი სიყვარულის მეტს არრას მოითხოვს. რაში უნდა გამოიხატებოდეს კაცის მიერ ღვთის სიყვარული ღვთის მცნებათა აღსრულებაში? მოყვასის სიყვარულით კაცი საღმრთო სჯულის აღმსრულებელია. მოციქული პავლე სწერს რომაელთადმი მიწერილ ეპისტოლეში: «რომელსა უყვარდეს მოყვასი თვისი, მან ჰსჯული აღასრულა. ვითარმედ: არა იმრუშო, არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა გული გითქმიდეს და სხვა თუ რაიმე მცნება – არს ამითვე სიტყვათა აღსრულების: შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი. სიყვარულმან მოყვასსა თვისსა ბოროტი არა უყვის: აღმასრულებელი ჰსჯულისა სიყვარული არს» /რომ. XIII, 8-10/. მოციქულ პავლეს ასეთ სწავლას ცით მოვლინებულ მოძღვრის მიერ ბოძებული შემდეგი მცნებაც უდევს საფუძვლად: «მცნებასა ახალსა მიქცემ თქვენ: ვითარმედ მე შეგიყვარენ თქვენ, რათა თქვენცა იყვარებოდეთ ურთიერთარს» /იოან. XIII, 34, 35/.

საყვარელნო! ქრისტეს მოციქულს იოანეს წმიდა ეკლესიის მიერ ეწოდება მოციქული სიყვარულისა. რად მიუკუთვნებია წმიდა ეკლესიას იოანესათვის ასეთი დიდი პატივსაღები სახელწოდება? გადაშალეთ ამ მოციქულის მიერ დაწერილი სახარება და კათოლიკე ეპისტოლენი და წაიკითხეთ იგინი გულდასმით და თქვენ დარწმუნდებით, რომ მისი ნაწერების დედა აზრი მხოლოდ სიყვარულია ღვთისა და მოყვასისა. იგი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა და პირველი და უკანასკნელი სიტყვა მისი დაუცხრომელი ქადაგებისა იყო სიყვარული ღვთისა და მოყვასისა. აი ამის გამო მიუკუთვნებია წმ. ეკლესიას იოანესათვის დიდი წოდება: «მოციქული სიყვარულისა». და განა მხოლოდ მახარებელ იოანეს ნაწერებია ღვთისა და მოყვასის სიყვარულის მქადაგებელნი? სხვათა მოციქულთა ნაწერებიც ამგვა-რივე შინაარსისაა. იესო ქრისტე დედამიწაზედ კაცთა შორის ცხოვრების დროს მამა ღმერთს დაბეჩავებულ კაცთა სიყვარულით მსახურებდა; და მიზანი თვისი განხორციელებისა და განკაცებისა – მიება და ცნობა და ქება-დიდება ღვთისა, და სიყვარულის და სათნოების დანერგვა ქვეყანასა ზედა, მან საქმით – მოყვასთათვის თავდადებით აღასრულა. «მამაო! მე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, მომეც მე, რათა ვჰყო» /იოან. XVII, 4/. იესო ქრისტეს მოციქულთაც დიდი მოძღვრის მიერ დავალებული დიდი საქმე: – «წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაი ესე ყოველსა დაბადებულსა» /მარკ. XVI, 15/, – სიყვარულით გაავრცელეს «ყოველსა ქვეყანასა და კიდეთა სოფლისათა». ქრისტესაგან მიღებული სწავლა, სახარებად წოდებული, მათ საქმით – ციურ მოძღვრისა და მოყვასთათვის თავდადებით აღასრულეს.

ჩვენ, კაცნი, საყვარელნო, ვალდებულნი ვართ ქრისტეს და მის მოციქულთა მცნებათამებრ «ვიყვარებოდეთ ურთიერთარს, ერთობით აღვიარებდეთ მხოლოდ კეთილთა საქმეებით, და არა ცარიელი და ფუქსავატი სიტყვებით...» «ეგრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა» /მათ. V, 16/. «აქ არის, მსმენელებო, ჩვენი მაღალი დანიშნულება და საღრმთო ვალი» /»ქართველის დედას» – ილია/. აი ამისათვის «ვმოხილვართ, გავზრდილვართ» და მოვლინებულვართ ამ ქვეყნად მოკლე ხნით ჩვენ, კაცნი, მზგავსნი თვისისა, ველის ყვავილისა და კვამლისა. გარეშე ამნაირ ცხოვრებისა «ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე კაცობრივი და ცუდათ ჰმფოთებს ყოველი მიწითშობილი და ხორციელი, და ქედ-მალლოობენ მომაკვდავნი,

და ამოდ იზახებენ საწუთოსა ამას შინა ამოსა» /მიცვალეულთა წესიდან/. მაშ, მტკიცეთ გვახსოვდეს, ღვთისა და მოყვასის სიყვარულის მოტრფიალენო, სიყვარულის მოციქულ იოანეს შემდეგი «უტყუარი და მართალი», სულიწმიდის მიერ ნაკარნახევი დარიგება: «ამით ვჰსცნათ სიყვარული მისი /იესო ქრისტესი/, რომელმან სული თვისი ჩვენთვის დასდვა; და ჩვენცა თანაგვარს ძმათათვის სულთა ჩვენთა დადებია... რომელსა არა უყვარდეს ძმაი, სიკვდილსა შინა დადგრომილ არს»... /I კათ. იოან. III, 16 და 14/. ეს ჩვენ მიერ ამ წმიდა ამბიონიდან გადმოცემული სწავლა სადღეისო საკითხავ სახარების შინაარსის ზეგავლენითაა ნააზრევი და თქვენდამი, საყვარელნო მსმენელებო, და თქვენის სახით ყველა მოყვასთადმი სიყვარულით სავსე წმინდა გულით და წრფელი სულით მოძღვნილია. დასასრულ, განმეორებით გეტყვით თქვენ: «ვიყვარებოდეთ ურთიერთარს, ერთობით აღვიარებდეთ!...» «რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ»... /ლუკ. VIII, 8/. ამინ.

1930 წლის 8 ნოემბერი
ვერის წმიდა ნიკოლოზის
სახელობის ეკლესია

«ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როს-და გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!...»

ილია ჭავჭავაძე

ამნაირივე იყო სურათი ქვეყნიურ ხალხოსნობისაც ქრისტესშობის ჟამს. დედამიწაზე კაცთა შორის ასეთ სამარისებურ სიჩუმის, წყვდიადის, არსაიდან ძახილის, ძილის და გახრწნის დროს ყოვლისა მპყრობელმა და ცათა და ქვეყნის შემოქმედმა, სახიერმა და კაცთმოყვარე ერთმა მამა ღმერთმა კვლავ «გარდმოიხედა ზეცით და იხილა ვნებათაგან გახრწნილი და მიმძლავრებული ხატება თვისი, კაცი. და ჰპოვა მხეცთა მიერ წარტაცებული ცხოვარი იგი ცთომილი და უმადლო»... და შეიბრალა იგი და სიყვარულით «მოჰხედა ვენახსა მას, რომელიც დაასხა მარჯვენამან მისმა, და განამტკიცა იგი» მადლითა და ჭემმარიტებით სავსე თვისი მხოლოდშობილის ძის მოვლინებით, რათა მან, ზეცისა პურმა და ყოვლისა სოფლისა საზრდელმა, კაცი, «ტამარი ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა», «ბეჭთა თვისა იტვირთოს, და მამასა მიჰგვაროს, და ზეცისა ძალთა შეაერთოს და აცხოვნოს იგი»... /იხ. მე-4 ხმის კვირიაკის საგალობელი/. მახარებელ იოანე ღვთისმეტყველის სწავლით: «ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოჰსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარჰსყმდეს, ...აქნდეს ცხოვრება საუკუნო... არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რათა დაჰსაჯოს სოფელი, არამედ რათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ» /იოან. III, 16, 17/.

აქ მართალია დიდ-წამებული პოეტი:

«ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...

ღვთით არ განწირულს ყველგან წინ უძღვის

მისი მარჯვენა შემწყნარებელი».

/ილია ჭავჭავაძე _ «განდეგილი»/.

ურთიერთშორის მადლიანი ცხოვრება!... მოწყალების გაცემა... «ყველგან

სიყვარული და მადლი» ... «ყველგან სიყვარული და სათნოება»... ამისთვის არის საჭირო ამ ქვეყნიური სიცოცხლე კაცისა! მოციქულთა ქადაგების ქვაკუთხედადაც იესო ქრისტეს ნაანდერძევი სიყვარული, მადლი და წყალობა იყო მოყვასთაადმი: «უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დაჰსდვას მეგობართა თვისთათვის»; «თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკეთუ ჰყოთ, რომელსა ესე გამცნებ თქვენ»... /იოან. XV, 13, 14/. ესე სიტყვით ნათქვამი მცნებანი იესო ქრისტემ ხომ თვით საქმით აღასრულა გოლგოთის მთაზე, მან ხომ მეგობართათვის თავი თვისი დასდვა. ესეთმა იშვიათი მაგალითით შეზავებულმა დიადმა მცნებამ აამოძრავა სულით და ხორციით მოციქულნიც... მოციქულებმაც ღვთაებრივ მოძღვარს იესო ქრისტეს მაგიერი მეგობრობა გაუწიეს მისმიერ ბოძებულ მცნებების კაცთა შორის საქმით აღსრულებით... მათაც სულნი თვისნი დასდვეს მეგობართათვის და ერთხელ დასახულ წმიდა მიზნისათვის კი არ უღალატნიათ... და ჩვენც ხომ ქრისტე იესოს მოწაფეებად ვიწოდებით და ქრისტიანები ვართ? წმიდა ემბაზში განზანილნი, განწმენდილნი, ნათელღებულნი და მირონცხებულნი ვართ?... ხომ ქრისტეს სახარების მადლს ვფიცულობთ, გონებით და გულით ვლოცულობთ, პირჯვარს ვიწერთ? მაგრამ ყველა ეს ხომ სიტყვით და გარეგნული ნიშნებით და წესებით. – საქმით? დასამტკიცებლად ჩვენი მოწაფეობისა მაკურთხეველი და წმიდამყოფელი მაცხოვარი იესო ქრისტე ხომ საქმეებს მოითხოვს ჩვენგანით? თვით მხსნელმა იესო ქრისტემ მამა ღმერთს კაცთა შორის ყოფნის უკანასკნელ ჟამს საქმიანი ანგარიში რომ ჩააბარა: «მამაო! მე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვას» რულე, რომელი მომეც მე, რათა ვჰყო» /იოან. XVII, 1, 4/. სიტყვა «ძმა»-ს ხმარება რომ უკუ ვაგდეთ და მის მაგიერ ეხლა დღე-მუდამ ენაზედ რომ გვაკერია სიტყვები: «მეგობარო»... «ამხანაგო»... და ხმა მადლა გავკვივით და ერთმანეთს ვუხმობთ ამ ძახილით. მერე? გვესმის კი ამ სიტყვების შინაარსი და მნიშვნელობა? ვიცით რაშია საქმით მეგობრობა და ამხანაგობა? გვიყვარს საქმით მოყვასი, ძმა, მეგობარი, ამხანაგი? კერძოთ ჩვენ, დღეს სიტყვით ქართველებს, დაცული გვაქვს ეს პირველი და უმთავრესი მცნება ქრისტესგანით ცით მოტანილი ჰსჯულისა? დასმულ კითხვებზედ ჩვენი ცხოვრების უკანასკნელ 10-25 წელთა განვლილი დღეები ნათლად და მკაფიოდ გვიპასუხებენ, რომ არ დაგვიცვია ეს მცნება, და პირად და საზოგადო საერთო ცხოვრებაშიც არ გაგვიტარებია იგი. განა ქართველთათვის შესაძლებელია ამ დიად მცნების აღსრულებაზე ოცნებაც კი მაშინ:

«როცა ირგვლივ სიღარიბე,
სიღატაკე ეფინება;
ხალხი კვნესის, ხალხი ტირის,
ხალხს სიმშლით სული ჰხდება;
როცა მუშა უნუგეშოთ
გადაჰყურებს ცხოვრების ველს;
როცა ფრთებს შლის ბოროტება,
ძმა-ძმას ძმურად არ აწვდის ხელს»?...

შ. ახოსპირელი
/»ნაკადული«, 1907 წ., №12/.

და როგორც შინ ასეთები, შევძლებთ ჩვენ გარეთ უცხოთა ტომის სიყვარულს, მშობას, მეგობრობას, ამხანაგობას? სიტყვას საქმეთ ვერ ვაქცევთ; ცრუობით კი, სინამდვილეა, შეგვიქმნია მითქმა-მოთქმა, ბაქი-ბუქობა, ქარი აგვიყენებია, დიდათ ვყოყმოობთ და გულვდილობთ საერთო-საქვეყნო საქმეების საკითხთა ირგვლივ...

ჭემმარიტად, რომ სამრახისია წარსულს და აწმყოს ჩვენი ასეთი «ორგულობა, ორპირობა, ფარისეველობა, ზაკვით სავსეობა, ავ-მორწმუნეობა»...

რატომ? კარგია «ინტერნაციონალობა», მხოლოდ არა ჩვენი, «თვის ტომის დამწუნებელთა» და საკუთარ კერის და ჭერის უარისმყოფელთა შორის, არამედ იმათთვის, რომელთაც უცვნიათ ჯერ თავნი თვისნი, თვისი ერი და ქვეყანა, საკუთარი კერა და აკვანი, გაუზიარებიათ მისი ჭირი და ლხინი და შეუგვნიათ მისი ავი და კარგი. ასეთების ხელში სულ სხვა გემოს ხილია «ინტერნაციონალობა», ჩვენში კი?!... ღვთაებრივი მოძღვარი გვეუბნება, რომ გვიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი. მამასადამე, საფუძველი მოყვასის სიყვარულისა თვითეულ კაცის მიერ თვისი პიროვნების შეგნებაში, განხილვაში, თავით ფეხებამდე გაზომვა-გაქექვაში...და სინიდისის სასწორზე დადებაში ყოფილა. იესო ქრისტეს ასეთი სწავლით მხოლოდ შემგნებელი თავისა თვისისა და გათვითცნობიერებული შეიძლებს უცხოთა ცნობას და სიყვარულს – მხოლოდ აი ეს არის ის კარგი გზა და ხიდი ცხოვრებისა, რომელიც იესო ქრისტეს მიერ იქმნა ჯვარცმით გაკვლეული და გადებული ბიწიერ კაცთა წინმსვლე-ლობისათვის. მხოლოდ ამ გზით და ასეთ ხიდით მავალი მოეწევა ამ თუ იმ ქვეყნად ნეტარებას; მხოლოდ ასეთს ჰშვენის პროგრესით ამყობა. ასეთი კარგი, სათაყვანებელი კაცი, პოეტის თქმით, «აქვე ეწაფება უკვდავების წყაროსა»... მხოლოდ ამ გვარი გზა და ხიდით მავალი ერი თუ თვითოეული კაცი შემქმნელი და მსახურია კულ-ტურისა და მომცემი მომავალისა. გვჯერა, გვრწამს და ამას აშკარად და საყოველთაოდ ვაცხადებთ და ვქადაგებთ, რომ დღეს სახარების სწავლის გარეშე მდგომნი უმეცარნი, უგულონი და უმადლონი, კულტუროსნობით მოამაყენი და თავმომწონნი, ამოდ დაჰშვერებიან. სახარების გარეშე მიერ ქადაგებული სიყვარულისა, მადლის ქმნისა და შებრალების, არ არის სიხარული და ცხოვრება ამა თუ იმ ქვეყნად, არამედ სამარადისო სიკვდილია სულით და ხორციით!

სიტყვა საკმაოდ გრძელი გამოდგა, საყვარელნო! ვეცადენით მის მოკლედ თქმას, მაგრამ მსჯელობისათვის თავიდანვე დასახული საგანი, – «შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი,» – უსაზღვრო სიღრმისაა. იგავი მოწყალე სამართელზე თვისი სწავლით უსაზღვრო სიღრმისაა, ისევე როგორც თვით ღმერთი – სიყვარული – უსაზღვრო და მიუწდომელია. კაცთმოყვარე იესო ქრისტესაგან თქმულ და დღეს აქ, ამ წმიდა ტაძარში, განხილულ იგავზე ბევრი თქმულა და დაწერილა; მომავალშიც, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, ბევრი ითქმება და დაიწერება, მაგრამ შინაარსი მისი კვლავ ამოუწურავი დარჩება...

საქართველოს შვილნო! «ვიყვარებოდეთ ურთი-ერთ-არს, რათა ერთობით ვაღვიარებდეთ!»...

სიტყვა, თქმული მე-40 დღეს, დღიდან ილიას წამებისა

1907 წელი
ქაშვეთის წმიდა გიორგის
სახელობის ეკლესია

იყო ნათელი ჭემმარიტი, რომე-
ლი განანათლებს ყოველსა კაცსა
მომავალსა სოფლად.

სოფელსა შინა იყო, . . . და სო-
ფელმან იგი ვერ იცნა.
თვისთა თანა მოვიდა, და თვისთა იგი არა შეიწყნარეს
/იოანე I, 9, 10, 11./.

ამ სიტყვებით, ძმანო ქართველნო – ამერ-იმერნო! დიდებული მოციქული იოანე ღვთისმეტყველი გულისხმობს კაცთა ნათესავის მხსნელს და მაცხოვარს იესო ქრისტეს; გვაუწყებს მის ღვაწლს ქვეყნისათვის და, ბოლოს აგვიწერს ენით გამოუთქმელ მის უბედურ ამ ქვეყნიურ ხვედრს. ამ დროის წარმართთა საუკეთესო პირნი ნათლად ხედავდნენ და გრძნობდნენ, რომ ამგვარი მდგომარეობა კაცთა არა ნორმალურია, და რომ საჭირო იყო მათი თავის დაღწევა ამ არა სასიხარულო და არა სასურველ მდგომარეობისაგან. მაგრამ მათთა აზრით, ამ დიადი საქმისათვის კაცობრიობა უძლური იყო. ამისათვის, ამტკიცებდნენ ისინი, საჭირო იყო ზესთა-ბუნებითი ღვთაებრივი შემწეობა. და აი ურიათა შორის, მართლაც, ზესთბუნებითად იშვა მხსნელი სოფლისა - ნათელი ჭეშმარიტი – იესო. მიზანი მისი შობისა იყო: განათლება ქვეყნად ყოველი კაცისა დაბადებულისა. ამ მიზნით აღჭურვილმა იესომ იწყო ცხოვრება კაცთა შორის ურიათა ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებში და კიდიით-კიდე ჰფენდა სიტყვასა და ნათელსა ჭეშმარიტსა ხალხოსნობის განსანათლებლად: «იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს» /მათე V, 48/, გაისმოდა ხმა ქრისტესი და მით კაცობრიობას უსახავდა ამ ქვეყნად ცხოვრების იდეალს, ჰქადაგებდა მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას, ძმობას, ერთობას და ურთიერთ შორის უდიდეს სიყვარულს. მშვიდობა და ამგვარი სიყვარულია, ძმანო ქართველნო, ქვა-კუთხედი ამ ქვეყნად კაცთა ბედნიერებისა და წინმსვლელობისა. და აი, უმაგალითო სიყვარული ქრისტესი კაცობრიობისადმი! დიდებული მოძღვარი კაცთადმი სიყვარულისათვის ჯვარს აცვეს. ღვთაებრივი მოძღვარი ქრისტე იესო «თვისთა თანა მოვიდა, და თვისთა იგი არა შეიწყნარეს», ე. ი. ხორციელად ურიათა შორის შობილი მსოფლიო მქადაგებელი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა იესო ურიებმავე არ დაინდეს, არ შეიწყნარეს, ...გასცეს, ...უსასტიკესი სასჯელი მიაყენეს, ...ჯვარს აცვეს, ...ლახვრითა გვერდსა უგმირეს. ...ასეთი საზიზღრობა ჩაიდინეს ურიათა, რომელთათვის იესო ხშირად იტყოდა: «არა ვიდრე მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედილთა სახლისა ისრაილისათა /მათე XV, 24/. ჰოი, უვიცობავ, სიბნელევე და უმადურობავ! ფართო იყო ასპარეზი თქვენი თარეშობისა ქვეყანასა ზედა მცხოვრებ კაცთა შორის ჟამსა იესოს დაბადებისა და მის ტანჯვა-წამებათა!»

აი, რა აზრები გაგვახსენა ძმანო, დიდებულ ილიას მოწამებრივმა სიკვდილმა. დღეს მეორმოცე დღეა მისი ვერაგულად სიკვდილისა, მაგრამ ზემო ნათქვამი აზრები მაინც უფრო და უფრო თავს გვევლებიან და არ გვშორდებიან. გავიხსენოთ ხანა საქართველოს ცხოვრებისა წარსულ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ე. ი. დღიდან საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთებისა იმ დრომდე, სანამ წამებული ილია ასპარეზზე გამოვიდოდა სამოქმედოთ, და ჩვენ დავრწმუნდებით ხსენებულ დროის დიდ მზგავსებაში იესო ქრისტეს დაბადების წინა დროსთან. ილიას დაბადების და სამოდვროთ გამოსვლის დროს იგივე უსამართლობა, ძალმომრეობა, დამცირება და პიროვნების შელახვა იყო საქართველოში გამეფებული, რაიცა ქვეყნად ქრისტეს დაბადების წინა დროს. დაუმატოთ ამას ბატონ-ყმობის დიდი გამხრწნელი ზეგავლენაცა, რაც ისედაც უფერულ ცხოვრებას ჩვენის ხალხისას, უფრო უფერულად და აუტანელადა ჰხდოდა. აი ამისთანა გასაჭირ დროს, მაშინდელ საუკეთესო ქართველთა აზრით, საჭირო იყო გამოჩენილიყო ქართველთა შორის დიდი ბუნების

და ნებისყოფის ადამიანი, ახალ დროის იარაღით – სწავლით აღჭურვილი, ყოველ მხრივ განათლებული, რომელიც შესძლებდა ქართველი ერისათვის ახალი ცხოვრების შექმნას, უვალ და ეკლიან გზის გაკაფვას, მისი ევროპის ერთა ფერხულში ჩაბმას. ასრულდა ასეთი ნატვრა! მესამოცე წლების დასაწყისს მოველინა საქართველოს დიდი ილია, ვითარცა მაცხოვარი იესო და მისნი დიდებულნი მოციქულნი ქვეყნიერობას. საქართველოს და მის ძეთა საკეთილ-დღეოთ ილია, ვითარცა მოციქულნი, საზრდოთა ჰხმარობს ქრისტესა მცნებას; ჰქადაგებს კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავი-სუფლებას, თანასწორობას; გვასწავლის შრომის მოყვარეობას, უნარიანობას, მომავლისათვის ბედთანა ბრძოლას; სიტყვით თუ საქმით, თუ მწერლობით თანამოძმეთ შთაგვაგონებდა და გვინერგავდა გულში ჭეშმარიტებისადმი სიყვარულს და უხვად ჰვენდა ჩვენ შორის განათლებასა. გულადი მებრძოლი და შეუპოვარი მოქალაქე იყო ილია თვისი ერის ინტერესების დაცვის საქმეში. ჭეშმარიტად ღვაწლი ილიასი დიდია წინაშე საქართველოსა და მისი ერისა. კალამი ჩვენი უძლურია ამ ღვაწლის დაფასებისათვის. და აი, ამგვარი კაცი, «თვისთა თანა მოვლინებული, თვისთა არა შეიწყნარეს». ასეთმა საზარელმა სინამდვილემ გონს მოგვიყვანოს, გონებანი განგვიწმინდოს და გულის-სიტყვანი განგვიმართლოს. სულით და ხორციტ ნულარ წავწყმდებით. საქართველოს წარსულმა ცხოვრებამ, შინაურმა თუ გარეულმა, შეჰქმნა მრავალრიცხოვანი გუნდნი მოწამეთა. ფართოა საქართველოს ეროვნული სამსხვერპლო წინაშე ღვთისა და, აჰა, ეს ერთი გვამიც წარჩინებულ ქართველთაგანისაცა მსხვერპლად შეიწირა ღმერთმან ჯვარცმულმან ქართველი ერის ხელახლად აღორძინებისა და განდიდებისათვის. ჭეშმარიტად, წამებული ილია ღვაწლით შემოსილია! დასასრულ, უნდა აღინიშნოს ქრისტეს მზგავსი თავდა-დებული სიყვარული ილიასი ქართველთადმი, ლამაზი პოეტური ნიჭით მის მიერ წინასწარ-თქმული:

«ღმერთო, ღმერთო!.. თვალწინ მიდგა

დიდ ტანჯული მე ძე შენი...

ვით მით ყველა, ისეც ჩემით

ერი ჩემი დაიხსენი»

/»დიმიტრი თავდადებული«, თავი XXVI/.

ძამებით მოსილნო, დაობლებულნო ძმანო ქართველნო! აღარა გვყავს ილია – მამა ქომაგი, უკვე სამწუხარო ფაქტის წინაშე ვდგევართ, რასაც ვედარსად წაუვალთ. ტანჯულ ილიას თქმისამებრ:

«ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს!..»

იუდას მიერ გულ-დასერილნო და ლახვარ-ნაკრავნო ქართლო-სიანნო!

«აქ არის ჩვენი მაღალი

დანიშნულება და საღმრთო ვალი!»

/»ქართველის დედას«/.

თითოეულმა ჩვენგანმა გულის ფიცარზედ დავიწეროთ ღვაწლი ილიასი, პირნათლად აღვასრულოთ მცნებანი მისნი. ამინ.

1927 წელი

ჩვენ ქრისტიანები გვქვიან, საყვარელო, რადგანაც ქრისტეს სწავლის მიმდევარნი ვართ... (ქრისტეს) სახარებას ვკითხულობთ, ვსწავლობთ, მით ვხეიმდვანელობთ... მაგრამ განა ქრისტიანობა ჩვენი წინაშე კაცთა მხოლოდ ცარიელ სიტყვებით უნდა გამოიხატებოდეს? ხოლო «უფალო შეგვიწყალოს»@ კითხვით თუ გალობის წარმოთქმითაა შესაძლებელი ზეციერისა მამისა ჩვენისა ქება-დიდება? არა. სახარებიდან ვიცით ქრისტეს ბრძანება: «არა ყოველმან, რომელმან მრქვას მე: «უფალო! უფალო! და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა; არამედ რომელმან ჰყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათასა» /მათ. VII, 21/.

არა მხოლოდ სიტყვებით გვშვენის ღვთის დიდება, არამედ კეთილთა საქმეთა ქმნით. ერთი ათორმეტი მოციქულთაგანი იუდა ისკარიოტელიც სამ წელზე მეტ ხანს განუშორებლივ თან სდევდა ღვთაებრივ მოძღვარ იესოს და განუწყვეტლივ ისმენდა მის სწავლა-დარიგებას; იუდაც იყო მომსმენი სხვა მოწაფეთა და მრავალთა ხალხთა თანდასწრებით მაცხოვრის მიერ მთიდან წარმოთქმული სწავლისა: «ეგრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი, და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა» /მათ. V, 16/. რა გამოვიდა? იგი საქმითა შინა გამცემი შეიქმნა დიდებული მოძღვრისა.

დღეს ვნების კვირიაკის დიდი ოთხშაბათია, საყვარელო ქრისტეს ერთგულნი და თავდადებულნი მოწაფენო! დღეს თვითეული ჩვენთაგანი გულის ღრმა ტკივილს განიცდის, რადგან იუდა ისკარიოტელს დიდი ზეიმი გაუმართნია; იგი დღესასწაულობს დიდ გამარჯვებას... ღვთის დიდების, მშვიდობისა და სიყვარულის... მქადაგებელი თვისი დიდი მოძღვარი ქრისტე იესო გაუცია; სასყიდლად მტერთაგან ოცდაათი ვერცხლი მიუღია... იუდა «ისწრაფდა ზაკულად ამბოროსა მას განცემისასა»@და «აქვანდა მირონთა წილ სუნ-მყრალი სიბოროტე. შურმან არა უწყის პატივი უმჯობესთა».


დღეს, ჩვენ, ქართველები, დიდი სამწუხარო და გულსაკლავი ფაქტის წინაშე ვდგევართ... ეკლესიის მწყემსმთავრის... «ტანჯული და წამებული მხცოვანი კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი [ხელაია] მსხვერპლი შეიქმნა შინა გამცემთა, იუდა ისკარიოტელის მსგავსთა, ჩვენი დროის მღვდელმთავართა... ფარისეველთა, რომელთა უმუხთლეს, უღალატეს... პირში მომცინარნი და ქება-დიდების შემსხმელნი იდუმალ გაიხიზნენ ქ. ქუთაისს და იქ, ამერ-იმერთა უძღებ შვილთა მიმხრობით, ჩუმი კრება მოუწყეს დაავადებულ მოჭირნახულეს, ქართველი ერის უნუგეშო სვე-ბედის დამტირებელს... დამბლა-დაცემულს გვერდში ლახვარი უგმირეს და გულში ისარი სტყორ-ცნეს... მთავრობისა და ვერცხლის მოყვარებმა ისედაც საიქიოსაკენ პირმიბრუნებულს წმიდა მამამთავარს სიცოცხლის უკანასკნელი წამები მოუშხამეს. უწმინდესი და უნეტარესი კი, მომსწრე შვილთა ამნაირი უღირსი ქცევისა... ევედრებოდა მათთვის ზეციერ მამას: «მამაო! მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან» /ლუკ. XXIII, 34/.

ჩვენი დროის იუდეზო და შინა გამცემლებო! როდემდის ინა-ვარდებთ? «აღსასრული თქვენი მოახლოებული არს», რადგან... მალე მოვა დრო, როდესაც გაწამებული ერის საშინელსა სამსჯავროზე წარსდგებით ბოროტმოქმედებათა თქვენთა სიტყვისაგებად. სძრწოდეთ, სძრწოდეთ... ცოდვის მოყვარენო, აბუჩად აგდებული მორწმუნე ქართველი ერის სამსჯავროისგან».

დავით შულღიაშვილი

ქართული სანოტო გამოცემების სათავეებთან. «ოქროს მჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი» (ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერის მიხედვით)

საქართველოში ევროპული ხუთხაზიანი სანოტო დამწერ-ლობის ისტორია თითქმის ორ საუკუნეს ითვლის. XIX საუკუნის შუა პერიოდიდან ქართულ საზოგადოებაში და მეტწილად ქალაქში დიდი ინტერესი იღვიძებს ევროპული მუსიკისადმი. სალონური მუსიკის გავრცელება და მასთან ერთად, ფორტეპიანოს მოდურ ინსტრუმენტად ქცევა, ე. წ. ქალაქური სიმღერის ჟანრის გაჩენა, მუსიკის სასწავლად ახალგაზრდების უცხოეთში გამგზავრება, (მათ შორის იტალიაში, რუსეთში და სხვ.), უცხოელ მუსიკოსთა გასტროლები საქართველოში, ბოლოს, თბილისში ოპერისა და ბალეტის თეატრის დაარსება ის მნიშვნელოვანი მოვლენები იყო, რამაც საფუძველი შეუქმნა ევროპული მუსიკალური კულტურისა და სანოტო დამწერლობის სამუდამო დამკვიდრებას.



IX საუკუნეში, რუსული იმპერიალიზმის მარწუხებში აღმოჩენილი საქართველოსათვის თავად რუსეთი იქცა ევროპული კულტურის თანამედროვე რიტმის შეგრძნებისა და შესწავლის ძირითად წყაროდ. სწორედ რუსეთის გზით შემოდიოდა სხვადასხვა სიახლე საქართველოში. ამ პერიოდში პირველად იბეჭდება ქართველი ავტორის მუსიკალური თხზულება: თ. დავით ერისთავის საფორტეპიანო პიესებისგან შემდგარი «პოპური», რომელიც სანკტპეტერბურგში გამოიცა. [1] ამ ცხრაგვერდიან გამოცემაზე თარიღი არ არის მითითებული, თუმცა ქართული მუსიკალური ნაწარმოებების ბიბლიოგრაფიის» მიხედვით იგი 1872-74 წლებში უნდა იყოს დაბეჭდილი [2]. საქართველოში პირველ ქართულ სანოტო გამოცემას წარმოადგენს 1878 წელს გამოქვეყნებული კრებული «სამშობლო ხმები», შედგენილი მიხეილ მაჭავარიანის

მიერ. [3] ეს საყმაწვილო კრებული, რომელიც ოცი ხალხური სიმღერისაგან შედგება, იაკობ გოგებაშვილის დიდი ხელშეწყობით გამოიცა. მომდევნო ქართული სანოტო პუბლიკაცია ამ კრებულის გამოქვეყნებიდან მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, 1885

წელს იბეჭდება. ეს არის ანდრია ბენაშვილის შედგენილი კრებული «ქართული ხმები», [4] რომელშიც ხალხურ სიმღერებთან ერთად წარმოდგენილია ქართული საეკლესიო გალობა წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა. უნდა ითქვას, რომ ორივე გამოცემაში ნოტებს ხელნაწერის ასლის სახე აქვს, რაც იმჟამად თბილისში ნოტების ასაწყოში შრიფტისა და შესაბამისი საბეჭდი მანქანის უქონლობით იყო გამოწვეული. ამასვე ადასტურებს ნოტების ბეჭდვის ტექნოლოგიის ამსახველი საინტერესო აღნიშვნა ა. ბენაშვილის კრებულზე: «ქვაზედ დახატული და ამოჭრილი გრ. ტატიშვილისაგან,» რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ თითოეული სანოტო გვერდი ქვაზე იხატებოდა, რომელიც შემდგომ გრავიურის (შტამპის) სახით ამოიკვეთებოდა.



ცნობილია, რომ ევროპაში სანოტო დამწერლობის შექმნა, ისევე, როგორც პროფესიული მუსიკის სათავეები, საეკლესიო მუსიკალურ ხელოვნებასთან არის დაკავშირებული. ნიშანდობლივი ფაქტია, რომ საქართველოში ნოტების ბეჭდვის ისტორიაც გალობას უკავშირდება, რის შესახებაც მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთი ხელნაწერი, სახელწოდებით «ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა.» [5] იგი ბერ-მონაზონ ექვთიმე (ეროზაში ესტატე) კერესელიძეს, დღეს უკვე წმინდანად შერაცხულ, ექვთიმე აღმსარებელს ეკუთვნის. ჩვენი ინტერესის საგანს საქართველოში სანოტო გამოცემების ბეჭდვის საწყისებთან დაკავშირებული ცნობები წარმოადგენს, რომელიც ქართული გალობის დიდი

მოამაგისა და, ამასთანავე, საქართველოში სანოტო გამოცემათა წარმოების ერთ-ერთი დამწყების მიერ მონათხრობ ამ ისტორიაში არის თავმოყრილი. მასში მოცემული ინფორმაციის მნიშვნელობისა და ღირებულების გამო, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ (სტილის დაცვით) წარმოგიდგინოთ ნოტების ბეჭდვასთან დაკავშირებული ეპიზოდები ე. კერესელიძის უბრალო ენითა და სიწრფოვებით დაწერილი ისტორიდან. ამბის თხრობას ე. კერესელიძე ასე იწყებს:

1882 წელს თბილისის ქალაქში ცხოვრობდა მაქსიმე როსტომის ძე შარაძე. იგი იყო გურიიდან, ოზურგეთის მაზრის სოფელ ეწერიდან და მსახურობდა ეკსპედიტორად გაზ. «ივერიის» რედაქციაში (ჩვენ დიდ მგოსან ილია ჭავჭავაძესთან). მან თავისი კეთილი ცხოვრებით, ყველასი გული მოიგო და არ იპოვებოდა ქალაქში იმის მომდურავი ან ძვირის მთქმელი კაცი, ყველა იმისი მაქებარი იყო, როგორც მართალი, მოწყალე, კეთილმოქმედი და სხვისი დამხმარე, ყველასთან თავაზიანი, მშვიდობიანი და საქმის ერთგული. და რაცხდნენ მას ძლიერ სანდოდ და გონიერ

კაცად, ამიტომ მთლად იმას ებარა გაზეთ «ივერიის» საექსპედიციო წარმოების საქმეები და ისე სახელოვნად უძღოდა, რომ რედაქცია ხშირად მადლობის წერილებს მიიღებდა გაზეთის გამომწერალთაგან, შეუფერხებლად გაზეთების მიღებისათვის. მაქსიმეს უყვარდა ზნეობრივი წიგნების კითხვა და გატაცებული იყო ქართული გალობის სმენითა და სიყვარულით. ამისათვის ჯერ გაიცნო მდაბიო მოსამსახურეთა რიცხვი და ყველას თავისი გულის-პასუხი გადასცა, თუ რა კარგი იქნებოდა უფასო წიგნთსაკითხავი დააარსონ მდაბიო ხალხთა სასარგებლოდ და მასთანავე შემოიღონ ქართული გალობის სწავლა. ყველას ეს აზრი ძალიან მოეწონათ და გულითადი თანხმობა გამოუცხადეს მას. მაშინ მაქსიმემ უთხრა მათ: თქვენ ხომ იცით, მე მაქვს თვეში 25 მანეთი ჯამაგირი და ამ ჩემს ჯამაგირს მთლად შევწირავ და მოვანდომებ ამ კეთილ საქმესო, ოღონდ თქვენც



მაქსიმე შარამე

დამეხმარეთ, თვიურად რამე შემოიტანეთ სამმოდ ამ კეთილი საქმისა-თვისო. ყველამ თანხმობა გამოუცხადეს და ფულიც შეაგროვეს ვის რა ჰქონდა და შეეძლო.


ამ ფულით ჯერ ბინა დაიქირავეს ბაზრის ქუჩაზე (სასუ-ლიერო სემინარიის ქვემოთ), ერთი დიდი სუფთა ოთახი საკუთარი შესასვლელით. ეს იყო 1882 წ. შეიძინეს შკაფები, სტოლები და ყოველგვარი ზნეობრივი წიგნები და იმ დროის ჟურნალ-გაზეთები და სხვა... ამრიგად მოაწყვეს უფასო წიგნთ-საკითხავი მდაბიო ხალხისთვის და დაარქვეს «კაბინეთი». [5: 1-3]

როგორც ვხედავთ, ე. კერესელიძე ისტორიას მაქსიმე შარამის წარდგინებით იწყებს, რომლის მიმართ მისი პატივისცემა და მეგობრობა არაერთხელ არის ხაზგასმული თხზულებაში. როგორც ცნობილია, მ. შარამე მრავალი კეთილი და

საჭირო საქმის ინიციატორი იყო. მისი თხოვნით «კაბინეთში» გალობის მასწავლებლად მოწვეულ იქნა ცნობილი მგალობელი მელქისედეკ ნაკაშიძე. აი რას წერს ამის შესახებ ე. კერესელიძე: «1884 წლიდან, ესტატე კერესელიძემ დავიწყებულად მ. შარამესთან ზეპირი გალობის სწავლა, მელქისედეკ ნაკაშიძისაგან. იმდენად გამიტაცა გალობის სწავლამ, რომ ვეღარც კი მოვშორდი და დიდ-დიდ სამზარეულო ადგილებს, რომელიც იყო თბილისის «კრუჟოკი» და სხვა სასტუმროებს (რომელშიდაც ვმსახურობდი) გაურბოდი და გალობას ვეტანებოდი. ამრიგად მე და მაქსიმე შარამე გავხდით ერთმანეთთან ერთგული მეგობრები და თანამმა ყოველ კეთილ საქმეებში.» [5: 21]

«...ამასობაში გაგრძელდა ექვსი წელიწადი და მეშვიდე 1890 წ. მოვისურვეთ საბეჭდავი სტამბის შექმნა. ამაზედაც იტყოდა ხოლმე მაქსიმე: იმისთვის კი არ გვინდა სტამბის შექმნა, რომ ბევრი ფული მოვიგოთ და მდიდრულად ვიცხოვროთო, არა, არამედ იმისთვის, რომ ჩვენი სტამბით ბევრ კეთილ საქმეს აღვასრულებთო. მეც მომეწონა ეს აზრი და შევთანხმდით სტამბის შექმნის შესახებ.

სწორედ ამავე 1890 წელს გამოეწერა თავის თვითურ ჟურნალის საბეჭდავად და გამოსაცემად სომხის მღვდელს ნიკოლოზს, რომლის გვარი არ მახსოვს, გერმანიის უპირველეს საბეჭდავ მანქანათა ფაბრიკიდან, რომელიც უკვე მიღებული ჰქონდა, დიდი და მშვენიერი ახალი მსწრაფლმბეჭდავი მაშინა, სამი ათას მანეთად ღირებული და რადგან იმას რუსის მთავრობამ ნება არ მისცა სტამბის გახსნისა! ამისგულისათვის, თავის ახლადგამოწერილი სტამბის გაყიდვა დააპირა და სწორედ ჩვენ შევხვდით და ეს ხსენებული საბეჭდავი მანქანა, აგრეთვე საკაზმავი, საჭრელი და საპრესო მანქანები დაგვიტომო იმავე ფასებში, როგორც თვითონ ეყიდა მის ანგარიშის ჩვენებით და ჩვენგან იმ პირობით: რასაც ის ჩვენთან დაბეჭდავდა ჟურნალს თუ ანუ სხვას, ნახევარ ფასში.



ექვთიმე კერესელიძე

ასოები კი მისი იყო. ამავე დროს გუბერნატორისაგან სტამბის გახსნის ნებართვა მივიღეთ, ამ ფორმით: «მ. შარაძე და ამხ. სტამბა.» ეს ჩვენი ახალი შეძენილი სტამბა გავხსენით ნიკოლოზის ქუჩა №21. იმ სახლში, სადაც თვით ილია ჭავჭავაძე სცხოვრობდა და თავისი გაზეთ «ივერიის» რედაქცია იქვე მოთავსებული ჰქონდა. ხოლო ქართული, რუსული და ფრანგული ასოები ასოთჩამომსხმელ მადერისაგან შევიძინეთ, მეტი ნაწილი ნდობით. ჩვენ სტამბის ამხანაგები ვიყავით ჩვენ ოთხი კაცი: მაქსიმე შარაძე, ექვთიმე კერესელიძე, ვასილ გბელიძე და ივანე ზაქარაშვილი. [5: 22-23]

... ამრიგად დავიწყეთ სტამბის წარმოება ხსენებულ ადგილზე 1891 წ. ვბეჭდავდით გაზ. «ივერიას», სომხურ ჟურნალს, რუსულ «Сельск. хозяйств. журнал» და რუსულ «Кавказский календарь»-ს. ეგრეთვე ვალერიან გუნიას

გამოცემებს, «ცნობის ფურცელს» და «საქართველოს კალენდარს» სურათებით. ეგრეთვე რუსულ, ქართულ და სომხურ გამოცემულ წიგნებს და ყოველგვარ საქმეებს. ამავე დროს ვბეჭდავდით ჩვენ გამოცემულ წიგნაკებს და ვეტანებოდით ქართული გალობის გავრცელებას მსურველთა შორის. ამ დროს ბაზრის ქუჩიდგან გადმოვიტანეთ ჩვენი უფასო სამკითხველო და საგალობო «კაბინეთი» ჩვენივე სტამბის გვერდით, ქუჩის მხრისკენ საკუთარი შემოსასვლელით.» [5: 25-26]

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ 1860 წელს შექმნილი «ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტის» ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანა წარმოადგენდა. ამ «ახალ საქმეს» მეტად რთული დაბრკოლებები შეხვდა, რადგან ნოტის მცოდნენიც მცირენი იყვნენ მაშინ საქართველოში და ამასთანავე, დიდი კამათი გაჩაღდა, ჯერ რომელი გალობა უნდა ჩაწერილიყო – ქართლ-კახური თუ იმერულ-გურული. ამასთან, დიდი ეჭვიც არსებობდა, რომ ქართული გალობის ნოტებზე გადაღება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა.


«ისტორიიდან» ირკვევა, რომ იტალიიდან ახლად დაბრუნებული, საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული პირველი ქართველი საოპერო მომღერალი,

ფილიმონ ქორიძე, რომელიც შემდგომ ათასობით ქართული საგალობლის ნოტებზე ჩამწერად და გადამრჩენად გვევლინება, ამ საქმეში თავიდან სწორედ მელქისედეკ ნაკაშიძისგან გადმოცემული საგალობლების ჩაწერაში სცდის თავს. სწორედ მ. ნაკაშიძემ გააცნო მ. შარაძესა და მის ამხანაგებს ფ. ქორიძე:

«ამავე 1891 წელს გაგვაცნო მ. ნაკაშიძემ გამოჩენილი მსახიობი ფილიმონ ქორიძე, რომელიც იმ დროს ქ. თბილისში იმყოფებოდა. ამისთვის ეთქვა ჩვენი ამბავი და მოიყვანა ჩვენ კაბინეტში ერთ საღამოს, და რო გვნახა მუშაობის შემდეგ ყველა შეგროვილი, წიგნების კითხვას და გალობას ვეტანებოდით, ძალიან ესიამოვნა! ... ამრიგად დაიწყო ჩვენთან ცხოვრება და ნოტების სწავლება. შევგროვდით არჩეული ხმები თხუთმეტი კაცი და გვასწავლიდა ნოტებს. ჩვენ თხუთმეტი კაცში, სამმა თავი დაანება და თორმეტი დავრჩით. ერთ თვეში კარგათ გავეცანით ნოტებს და მერე თანდათან სიმღერების სწავლას შეუდექით. შემდგომად სამი თვისა წარმოდგენებში წავეყვით. კარგად და ფრიად სასიამოვნოდ ვასრულებდით კონცერტების წარმოდგენებს. ერთი წლის შემდეგ ნება გამოვითხოვეთ ფილიმონისაგან – ჩვენის მოუცლელობისა გამო მესტამბეები, სამი კაცი წარმოდგენებში წამოსვლას ვერ ვიცლით მეთქი და ნება დაგვრთო.

1891 წელს ვკითხეთ ფილიმონს: თუ სადმე არის რუსეთის ქალაქებში ნოტების შრიფტი (ასოები), ჩვენ გვინდა გამოვი-წეროთ შევიძინოთ მეთქი. გვითხრა: მოსკოვში უნდა იყოსო. იმიტომ ვიცი, რომ მე შევხვედრივარ იქაურ სტამბაში ნოტებით დაბეჭდულ სიმღერა-გალობის წიგნებსაო. იქ მიკითხვა და გამოძებნა უნდაო. ამის შესახებ იფიქრა მაქსიმე შარაძემ და მივიდა ილია ჭავჭავაძესთან საკითხავად და უთხრა: გვსურს ნოტების ასოები შევიძინოთ. აქ თბილისში არ არის მისი შრიფტი. გვითხრეს მოსკოვში არისო. ხომ არავინ გყავს იქ ნაცნობთაგანი კაცი რომ მივსწეროთ და გვიშოვნოს ნოტების შრიფტი? მან უთხრა: როგორ არა მყავს იქ კარგი მეგობარი ქართველი კაცი, პროფესორი ალ. ხახანაშვილი. ის მოგიხერ-ხებს მაგ საქმესო. თვითონაც წერილი მისწერა და მაქსიმესაც მისი მისამართი გადასცა; ამ მისამართით მისწერეთო. ჩვენ მივსწერეთ და შემდგომად მან მოგვწერა: არის მხოლოდ ამნაირიო. ნიმუში გამოგზავნათ, რომელიც იყო სულ ძველე-ბური მოდა, ოთხ-ოთხკუთხიანები. ეს ნოტების ნიმუში ვუჩვენეთ ფილიმონს და სთქვა: ეს არ ივარგებსო, ეს კი არა, ახალი სისტემა უნდა, რომელსაც ახლა ხმარობენ სიმღერა-გალობაზეო. ჩვენც ასე მივსწერეთ და ზედმეტად მივსწერეთ: თუ შეიძლება ეგ ნოტები უსწავლელად ააწყოს იმისთანა კაცმა, რომელმაც ნოტები კარგად იცის, ასოთამწყობიც და დამბეჭდავიც კარგი არის? იმათ გამოგვიგზავნეს ნოტების კასის პრეისკურანტი და მოგვწერეს: ამ პრეისკურანტის მიხედვით ყველაფერს კარგად შეასრულებსო. ერთი თვის შემდეგ ნოტების ასოები მივიღეთ, სამი ათას მანეთად ღირებული; ჩვენ ძალიან გაგვებარა ნოტის ასოების მიღება 1891 წლის 10 დეკემბერს. ეს იყო მთელ საქართველოში პირველი შემოღება ნოტების ასოებისა. [5: 26-29] (ხაზგასმა ჩვენი).

«ისტორიის», ხელნაწერში ჩაკრულია ფოტო ე. წ. «ნოტების პრეისკურანტისა», რომელსაც კერესელიძის ხელით მიწერილი აქვს: «ამითგან წარმოსდგა საქართველოში ნოტის ამწყობლობა». როგორც ვხედავთ, საქართველოში ნოტების სპეციალური შრიფტით სტამბური წესით ბეჭდვისა და გამოცემის პირველი ნაბიჯები «მ. შარაძისა და ამხ. სტამბა»-ში გადაიღვა.



«ნოტის ასოები ავარჩიე იქითგან თან გამოგზავნილ ნოტის კასაში, მის პრეისკურანტის მიხედვით და დავიწყე ჯერ პატარ-პატარა მისი აწყობა. პირველ შემთხვევაში ნოტებზე დაწერილი «მრავალჭამიერი» ავაწყე. უჩვენე მისი ანაბეჭდი ფილიმონს და მაქსიმეს და დიდად გაიხარეს.» [5: 29]

გასაკვირი არ არის, რომ ამ საქმის აწყობა, კერძო პირთა ინიციატივასთან ერთად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა და მისი წინამძღოლის, ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით მოხდა. სტამბაში დაბეჭდილი გამოცემების დიდი ნაწილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით გამოიცემოდა. თვით სანოტო სტამბის დაარსების მიზანს, პირველ რიგში, ეროვნული მუსიკალური საგანძურის დაცვა და გავრცელება წარმოადგენდა. სანოტო შრიფტით დაბეჭდილი პირველი კრებული ქართულ საეკლესიო გალობას მიეძღვნა:

«... ამის შემდეგ მომავალი 1892 წლიდგან დავიწყე ნოტების წყობა. ექვსი თვის განმავლობაში კარგად შევისწავლე ნოტების აწყობა და შემდეგ ჩვენსავე ამწყობლებს, კონსტანტინე სალუქვაძეს და ძმ. ნიკოლოზ და დავით დალაქიშვილებს ვასწავლე, ჯერ ნოტები და მერე ნოტების აწყობა. იგინი რო ააწყობდენ, ფილიმონი კარიკტურას ასწორებდა და დედანზე ადარებდა. ვბეჭდავდით 1500 ეკუმპლიარს: №1 პარტიტურა _ ლიტურგია იოანე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელ- მთავრისა, და გავათავეთ 1895 წელს. [6] ამ წიგნზევე დაგვჭირდა ნოტის ასოების დამატებითი კვალად გამოწერა და მიმატება. ამასთანავე ვბეჭდავდით ამავე წიგნის ცალკე წიგნად დაწყების ხმას. [7] კიდევ, ცალკე წიგნად _ მოძახილის ხმას. [8] კიდევ ცალკე წიგნად _ ბანის ხმას. [9] ასე რომ გალობის გუნდის მმართველს ეჭირა ხელში გალობის დროს სამხმიანი პარტიტურა და მგალობლებს კი თავ-თავისი ხმის წიგნები.» [5: 31-32]



ფ. ქორიძის მიერ ნოტებზე გადატანილ წირვის საგალობელთა აღნიშნული კრებული, როგორც ვხედავთ, გალობის ხმების პარტიების სახითაც გამოიცა, რაც მგალობელთა გუნდებისთვის მისი პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. წირვის საგალობელთა კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა მგალობელთა მიერ გადმოცემული ნიმუშები და თითოეული საგალობელი რამდენიმე ვარიანტით არის წარმოდგენილი, რაც ამ კრებულს კიდევ უფრო მდიდრულად და საინტერესოდ წარმოაჩენს. საგალობელთა გად-მომცემნი იყვნენ: სრული მგალობელი ანტონ დუმბაძე, დიდი მცოდნე და მასწავლებელი ქართული გალობისა, აგრეთვე «გალობის აღმადგინებელი კომიტეტის» მიერ შერჩეულ მგალობელთა სამეული - დიმიტრი

ჭალაგანიძე, რაჟდენ ხუნდაძე და ივლიანე წერეთელი. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედეკ ნაკაშიძისა და მღ. ნესტორ კონტრიძისაგან. XIX_XX საუკუნეთა მიჯნაზე ყოველი მათგანი ქართული გალობის აღიარებული დიდოსტატი იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპული სანოტო დამწერლობა და, მასთან ერთად, მუსიკის თეორია იმ დროისათვის ახალი შემოსული იყო საქართველოში. 1890 წელს პირველად გამოიცა «ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა ანუ ნოტების პირველ დასაწყისი ანბანი», შედგენილი არქიდიაკვნის იოსებ შარაბიძის მიერ. ხოლო 1895 წელს ფილიმონ ქორიძე აქვეყნებს წიგნს «სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის», რის შესახებაც ე. კერესელიძე წერს: «ამ ხსენებული წიგნების ბეჭდვის დროს დაგბეჭდეთ თვით ფილიმონის შედგენილი ნოტების სასწავლო სახელმძღვანელო წიგნი 1500 ეკზ.. ეგრეთვე მისი დაწერილი 15-ნაირი გურულ-იმერულ კილოზე სიმღერები და ესენი ყველა დაბეჭდულები მასვე გადავეცით, მისსავე სასარგებლოდ.» [5: 32-33]

საქართველოში ახლადშექმნილი რამდენიმე ნოტების მბეჭდავი სტამბის არსებობის მიუხედავად ამ პერიოდში «მ. შარაბიძისა და ამხანაგობის სტამბა» სანოტო გამოცემათა უმთავრეს მწარმოებლად რჩება, რასაც ამ სტამბაში დაბეჭდილ წიგნთა ჩამონათვალი მოწმობს. 1896 წელს აქ დაიბეჭდა ხალხური სიმღერების კრებული «სალამური», შედგენილი ზაქარია ჩხიკვაძის მიერ. შემდეგ წელს იბეჭდება «ქართლ-კახური გალობა (კარბელაანთ კილოთი), «მწუხრი» – ნოტებზე გადაღებული მღ. ვასილ კარბელაშვილის მიერ». 1899 წელს გამოიცა ლიტურღია (ქართლ-კახური კილოთი): «დაგბეჭდეთ ნოტებზე გადაღებული ქართლ-კახური გალობა, რომელიც არტისტს იპოლიტოვ-ივანოვს დაეწერა – წირვის წესი, ძმათა კარბელაშვილების გასწორებით და ეპისკოპოს ალექსანდრეს გამოცემით» – წერს ე. კერესელიძე. ამის შემდგომ გამოიცა ფ. ქორიძის შედგენილი კიდევ ოთხი პარტიტურა ქართული გალობისა და სხვა მრავალი.

რუსული იმპერიალიზმის პირობებში, როდესაც «დიდი მეზობლის» რუსიფიკატორული პოლიტიკა ყოველ ნაბიჯზე იჩენდა თავს, გასაკვირი არ იყო, რომ ეროვნული იდეით შემართული მ. შარაბიძისა და ამხანაგობის სტამბა მრავალ

დაბრკოლებას ხვდებოდა, რაც გარკვეული პერიოდით სტამბის გაუქმების ბრძანებაშიც გამოიხატა:

«1901 წელში, რუსის მთავრობამ სტამბა დაგვიკეტეს და ნება აღარ მოგვცეს წარმოებისა. გვაბრალებდნენ პროკლა-მაციების დაბეჭდვას, თუმცა დასამტკიცებელი საბუთი ვერაფერი ნახეს. ერთი წელიწადი სტამბა გაუქმებული იყო. ამ დროს მ. შარაძე ძალიან მძიმე ავთიმყოფობაში ჩავარდა, ნამეტანი ჯავრისაგან, რომ სტამბის გაღება ვერაფრით ვერ მოვახერხეთ. მეორე წელს, 1902-ს ჩვენი დიდად ერთგული, გიმნაზიის მასწავლებლის, არისტოვლე ვასილის ძე ქუთა-თელაძის სახელით და პასუხისგებით ნება გამოგვივიდა სტამბის გაღებისა». [5: 36]

არისტოველ ქუთათელაძე, რომელიც თავად შესანიშნავი მგალობელი იყო, სტამბის საქმიანობისა და, განსაკუთრებით, გალობის საქმის აღორძინების დიდი გულშემატკივარი იყო. «ამხანაგობას» რუსული ცენზურის დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად სტამბის მესაკუთრის ვინაობის შეცვლა დასჭირდა, რაც სწორედ ა. ქუთათელაძემ ითავა. ამის შემდგომ გამოცემებზე ვხვდებით წარწერას: «გამოცემა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, არ. ქუთათელაძის სტამბა». თუმცა მოგვიანებით, მ. შარაძის გარდაცვალების შემდეგ, სტამბის მესაკუთრედ ხან «ძმობა» სახელდება, და ხან თავად ე. კერესელიძე.


«1907 წელს ჩვენი (ნოტის გალობის დიდად მზრუნველი) ძმა და ამხანაგი მაქსიმე როსტო-მის ძე შარაძე ძლიერ დასნეულ-და და გარდაიცვალა 1908 წელს, დეკემბრის თვეში და ჩვენგან შეძენილი, მოსკოვის ქუჩაზე №5 სამსართულიანი სახლები, ეზო მიდამოთი და მასში მოწყობილი ელექტროსაბეჭდავი სტამბა, ჩვენი საამხანაგო პირობითა და ნატარიუსის ძალით გადმოვიდა სამფლობელოში ჩვენ ორ ამხანაგზე». [5: 39-40]

«ისტორიის» ამ ნაწილის შემდგომ მოთხრობილია მრავალი განსაცდე-ლით სავსე მოვლენის შესახებ, რომელიც სტამბას, ნოტების ბეჭდვის საქმესა და თავად ე. კერესელიძეს გადახდა თავს. მათ შორის, ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია სხვადასხვა პირთაგან მრავალი კეთილი საქმის წარმოებით დაიმედებული ექვთიმეს მიერ სტამბის ქუთაისში გადატანა, რაც, სამწუხაროდ, სრული იმედგაცრუებით დამთავრდა. ღვთისმორჩი-ლებასთან ერთად ე. კერესელიძე თავის უმთავრეს საქმედ ქართული გალობის გადარჩენას, მის სანოტო ხელნაწერების წესრიგში მოყვანასა და დაცვას თვლიდა. სწორედ ამიტომ ანებებს იგი თავს სტამბის საქმიანობას, რომელსაც ძმისწულებს, კერძოდ არტემ და გალაკტიონ კერესელიძეებს აბარებს:

«სტამბა კვალად თბილისში გადმოვიტანე, დავსდგი, გავმართე ელექტრონით და საქმეებთანაც გაივსო. ამ დროს, მე გულდაიმედებულმა ეს სტამბა გადავეცი ჩემ ძმისწულებს. ამის შემდეგ მე თავი გავითავისუფლე. ვიშოვნე დრო და გადავედი საშრომლად დიდად ცნობილ გელათის მონასტერში, ჩემის ნოტებით, გიორგი ეპისკოპოსის დროს 1912 წ. პირველ რიცხვებში. ამ დროიდან დავიწყე ნოტის საგალობლებზე ზრუნვა, დავაწყე წესრიგზე და გადავარჩიე...» [5: 68-69]

საეკლესიო ღვთისმსახურების ტიპიკონური წესი და რიგი იმ დროს ყველაზე სრულად გელათის მონასტერში იყო დაცული. ამიტომ აირჩია თავისი საქმიანობისთვის ექვთიმემ ეს სავანე. აქ მოღვაწეობის მეხუთე წელს, მას გელათში ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელმა ნიკო შარაბიძემ მიაკითხა თხოვნით: «ამისთვის მოვედი შენთან, რომ უეჭველი გავიგო, ნოტების ასოები ქუთაისში მესტამბე ი. კალაძეს ჰქონია, მაგრამ ნოტების აწყობა კი არავინ იცის და ახლა როგორ მოვიქცე რომ სიმღერები დავბეჭდო? შენ გამომიწყვე საქმეო. რაზეც ექვთიმე კერესელიძე პასუხობს: «მე ნოტების აწყობა და დაბეჭდვა კარგად ვიცი და კარგად შემიძლია

აღვასრულო, მაგრამ მე აქ სამსახურში ვარ. ამ შენი საქმის შესრულებისათვის თუ დროებით განმათავისუფლებს ქუთაისის ეპისკოპოსი გიორგი თავისი მოწერილობით, მაშინ შემიძლია წამოვიდე ქუთაისში და შენი სიმღერები ნოტებზე ავაწყო და დაგიბეჭდო და მოწონებულად ჩავაბარო.» და შემდეგ განაგრძობს: «მე ამ საქმის აღსრულებისათვის დროებით გადავედი ქუთაისში



გალაკტიონ კერესელიძე სტამბაში
1910-ანი წ.
(ფოტო მოგვაწოდა ლ. ტოგონიძემ)

და დავიწყე ი. კილაძის სტამბაში სიმღერების ნოტებზედ აწყო (თუმცა ძალიან არეული დამიხვდა ნოტების ასოების კასა, რადგან ნოტის უცოდინარ კაცს ჩაერჩია კასაში). მაშინ აუწყე პირველად «ნოტები და მათი განმარტება», 6 გვერდი და მასთან, 18 ნომერი სხვადასხვა სიმღერები, სულ 32 გვერდი და ეს ნამუშევარი საქმე ნ. შარაბიძეს პირნათლად ჩავაბარე.» [5: 75-76]

ამგვარად ე. კერესელიძე დროებით დაუბრუნდა ნოტების ბეჭდვის საქმიანობას. 1918 წელს ქუთაისში გამოცემული კრებული «ქართულ ეროვნულ სამხმოვან სიმღერათა კრებული ნოტების მოკლე განმარტებით», [10] რომელიც ი. კილაძის სტამბაში დაიბეჭდა, ე. კერესელიძის მიერ აეწყო. ამდენად, ქუთაისში ნოტების ბეჭდვის ისტორიის დასაწყისიც მის სახელს უკავშირდება. აგრეთვე საყურადღებოა, რომ ე. კერესელიძის მომზადებულია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჰიმნის პუბლიკაცია: «იმ დროს, როდესაც მე ქუთაისში ი. კალაძის სტამბაში ნ. შარაბიძის ნოტებზე ვმუშაობდი, შემოვიდა ჩემთან პროფესორი, დიდი მომღერალი და მუსიკოს-კომპოზიტორი, კოტე

ფოცხვერაშვილი. გამეცნო და მითხრა: მეცა მაქვს ნოტებზე ასაწყო სიმღერები და ამ საქმის შემდეგ ჩემიც ააწყვე, უნდა დავბეჭდო და გამოვსცეო. მეც დავეთანხმე და აუწყვე მისი შედგენილი და დაწერილი სიმღერები: პირველი «დიდება», ქართული ეროვნული ჰიმნი №1, [11] ეგრეთვე მეორენაირი: «ლაშქრული», ქართული საომარი სიმღერა №2. [12] ეს ორივე გამოცემა ჩემგან პირნათლად ჩაიბარა.» [5: 77]

უანგარო მშრომელი, ქართული სულიერი საუნჯის ეს დიდ მოამაგე, ე. კერესელიძე თითქოს გრძნობდა იმ შავზნელი ჟამის მოახლოვებას, რომელიც ათეისტური საბჭოთა რეჟიმის სახით ელოდა საქართველოს. რომ არა მის მიერ დაცული ათასობით ნოტებზე ჩაწერილ საგალობელთა კრებულები, დღეს მოკლებულნი ვიქნებოდით ქართველი ერის ისეთ მშვენიერ ქმნილებას, როგორც მრავალხმიანი ქართული გალობაა. ეს ტვირთი და მისია ეკისრა მას ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე, რომლის შესრულებაში მრავალი გაჭირვება, დაბრკოლება და ხშირად დამცირებაც გადაუტანია:

«საგალობელთა წერის დროს შემოდიოდენ ჩემთან ხანდახან ბერები და მორჩილები და მეტყოდენ: ვაი რა ტუტუცი ხარ! რატომ მეთქი, ვეტყოდი. იმიტომ, რომ როცა შემოვდივართ დღე და ღამე სულ კრუხივით დაყრდნობილი ხარ მაგიდაზე, სულ სწერ და სწერ!! ნეტავი რა სარგებლობა აქვს! უფულოდ ტყულიად

რათ უჭივრებ შენ თავს! ხოლო მე პასუხად ვეტყვი: მე მაგაზე არა ვფიქრობ, თუ უფასოდ რათა ვმუშაობ მეტ-ქი, რადგან მე ამაში ვპოულობ დიდ სიმდიდრეს, ეს თვითონ ფულია, თვითონ ძვირფასი განძია, ეს ოქრო-ვეცხლზე და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესია, საუკუნო საუნჯეა! მე არ წარმომიდგენია როგორც მუქთა საქმე. არა, არამედ მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქროს მჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი! მე ხანდახან გაკვირვებაში მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე! რომ მე უღირსი იმაში ხელს ვურევ, მეტქი – ასე პირდაყოფილი წავიდოდენ.» [5: 80-81]



წმ. ექვთიმე აღმსარებელი

ქართული საეკლესიო საგალობლების ე. კერესელიძის მიერ გადაწერილ-გადათეთრებული ხელნაწერი კრებულების მნახველი ვერ დარჩება გულგრილი ამ უზარმაზარი შრომის რუდუნებით შემსრულებლის მიმართ; ღრმა რწმენა, საქმისადმი ერთგულება, ქართული სულიერი საგანძურის სიყვარული, მისთვის უანგარო და თავდადებული შრომა და ამაგი, რომელიც წმ. ექვთიმე აღმსარებელს (კერესელიძეს) ახასიათებდა, მისდამი უდიდესი პატივისცემითა და მადლიერებით აღავსებს ქართული ეროვნული საუნჯის დამფასებელ ყოველ ადამიანს.

დ. შУТЛИАШВИЛИ

К ИСТОКАМ ГРУЗИНСКИХ НОТНЫХ ИЗДАНИЙ `ЗОЛОТЫХ ДЕЛ МАСТЕР И ЮВЕЛИР` (ПО РУКОПИСИ ЭКВТИМЕ КЕРЕСЕЛИДЗЕ)

Резюме

История нотной записи по европейской пятилинейной системе в Грузии насчитывает почти два века. Впервые музыкальное произведение грузинского автора в 1872-1874-х годах было издано в Санкт-Петербурге. Издание нот в Грузии начинается с 1878 года, но печатание с помощью нотного шрифта стало возможным только с 1897 года, что связано с именем типографии “М. Шарадзе и товарищество”. На рубеже XIX-XX столетий именно эта типография стала главным производителем нотных изданий в Грузии. Здесь были напечатаны перенесённые на ноты Филимоном Коридзе пять сборников “партитур” песнопений, также песнопения, изложенные братьями Карбелашвили, различные сборники грузинских народных песен и многое другое. В своём творении “История переложения грузинских церковных

песнопений на ноты” интересные сведения даёт нам поборник и заступник грузинского церковного певческого искусства, зачинатель дела нотного печатания в Грузии, Эквтиме Кереселидзе (1865-1944). При скудности исторических сведений в грузинских нотных изданиях, бесспорно, огромна значимость упомянутой выше рукописи.

D. SHUGLIASHVILI

AT SOURCES OF THE GEORGIAN MUSICAL EDITIONS.
`THE GOLD-BEATER AND JEWELLER`
(BY THE MANUSCRIPT OF EKVTIME KERESOLIDZE)

Summary

The History of Musical Record on the European five-linear system in Georgia, counts almost two centuries. For the first time the composition of the Georgian author was issued in St.-Petersburg in 1872-1874s. The edition of the notes in Georgia begins from 1878, but the printing, with the help of a musical font, became possible(probable) only from 1897, which is connected to the name of a printing house - “M. Sharadze & Co”. On a boundary of the XIX-XX centuries, this printing house became the main manufacturer of the musical editions in Georgia. Here were printed Pilimon Koridze’s five collections “score” of the church songs, as well as chants handed down by brothers Karbelashvili, the various collections of the Georgian folk songs, etc. In his work - “The History of the Notation of Georgian Church Songs” Ekvtime Keresolidze (1865-1944) the champion and defender of the Georgian church chanting art, one of the founders of business of musical printing in Georgia, gives us very interesting information about this question. As information about the beginning of the Georgian note editions is very scarce, the importance of the above mentioned manuscript is undoubtedly invaluable.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. Эристов Д. – Попурри из грузинских песен. СПб. [1872-1874].
2. ქართული მუსიკალური ნაწარმოებების ბიბლიოგრაფია. 1872-1946. შედგენილი თ. კუცია-ღვალამის მიერ. თბილისი, 1947
3. მ. მაჭავარიანი – სამშობლო ხმები. ყმაწვილებისათვის სამღერალი სახალხო სიმღერები. გარდაღებული ნოტზედ ერთ, სამ და ოთხ ხმისათვის. შედგენილი მ. მაჭავარიანისა. გამოცემული გ. ჩარკვიანის მიერ. თბილისი 1878
4. ა. ბენაშვილი – ქართული ხმები. საეკლესიო გალობა წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა. ქართლ-კახეთის კილოზედ. ხალხური სიმღერები შეკრებილი და ნოტებზედ გადაღებული ანდრია ს-ძის ბენაშვილისაგან. ტფილისი [1885]
5. საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ხელნაწერი 840. (ეს თხზულება გამოქვეყნდა წიგნში: ი. თავბერიძე - XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა. – თბ. 2005. გვ. 125 – 193).
6. ქართული გალობა. ლიტურგია იოანე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის. გადაღებული ფილიმონ ქორიძის მიერ. პარტიტურა №1. ტფილისი. მ. შარაძისა და ამხან. გამოცემა და სტ. 1895. 174 გვ. (29X21). 1 მ.
7. ქართული გალობა. ლიტურგია. პირველი ხმა № 1. ტფილისი. მ. შარაძისა და ამხ. გამოცემა და სტ. 1895. II 70 გვ. (28X18). 20 კ.
8. ქართული გალობა. ლიტურგია. მეორე ხმა № 1. ტფილისი. გამოცემა მ. შარაძისა და ამხან. სტ. მ. შარაძისა და ამხ. 1895. 70 გვ. (24X18). 2 აბაზი.
9. ქართული გალობა. ლიტურგია. ბანი № 1. ტფილისი. მ. შარაძისა და ამხან. გამოცემა და სტ. 1895. II 70 გვ. (25X19). 40 კ.
10. შარაბიძე ნ. «ქართულ ეროვნულ სამხმოვან სიმღერათა კრებული ნოტების მოკლე განმარტებით» ნაწ. 1. ჩაწერილი და შედგენილი ქართული შკოლებისათვის ქუთ. ქართული გიმნაზიის

მასწავლებლის ნ. შარაბიძის მიერ. ქუთაისი. «განათლების» ამხანაგობის გამოცემა. ი. კილაძის სტამბა. 1918.

11. ფოცხვერაშვილი კოტე, «დიდება» ქართული ეროვნული ჰიმნი. ქუთაისი. ავტორის გამოცემა. №1. ი. კილაძის სტ. 1918

12. ფოცხვერაშვილი კოტე, «ლამქრული» ქართული საომარი სიმღერა. ქუთაისი. ავტორის გამოცემა. №2. ი. კილაძის სტ. 1918

ინფორმაცია - ИНФОРМАЦИЯ - INFORMATION

ვ ა ნ ო ც ე რ ც ვ ა ძ ე

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტის

<http://www.nplg.gov.ge> საექსპერტო შეფასება

ინტერნეტში სწავლებისა და დაშვების პროგრამა (IATP)

შესაძლოა გამოვეყნოთ ორი უმთავრესი მიზანი, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდმა:

1. ეროვნული ბიბლიოთეკის, როგორც ქვეყნის კულტურული და სამეცნიერო ღირებულებების მქონე ორგანიზაციის, წარმოჩენა და პოპულარიზაცია საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ;

2. საკუთარი მომხმარებლებისათვის მომსახურების მაქსიმალურად მოხერხებული ფორმების შეთავაზება.

აღნიშნული მისიის შესასრულებლად, გათვალისწინებული და გაზიარებული უნდა იყოს ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ვებ-გვერდის შექმნის პროცესში გამოიყენება.

მსოფლიოში ინტერნეტში განთავსებული რესურსების რაოდენობა განუზომელი სისწრაფით იზრდება. 2001 წლის მონაცემების მიხედვით, ინტერნეტში არსებობდა 550 მილიარდი დოკუმენტი¹. 2002 წელს კი ინტერნეტში განთავსებული იყო 2,024 მლრდ ვებ-გვერდი². უახლესი ცნობებით, დღეისათვის ინტერნეტში განთავსებულია 11,5 მლრდ ვებ-გვერდი³ (2005 წლის იანვარი).

ასეთი რაოდენობის ვებ-გვერდების არსებობამ განაპირობა გარკვეული სტანდარტების შექმნა ვებ-დიზაინის სფეროში. ეს სტანდარტები ძირითადად მოცემულია დიდი მსოფლიო ქსელის კონსორციუმის (World Wide Web Consortium – <http://www.w3c.org>) რეკომენდაციებში. ამ მხრივ, ასევე საინტერესო კვლევები აქვს ჯეკობ ნილსენს, რომელიც არის ავტორი მრავალი ნაშრომისა ვებ-დიზაინის სფეროში. ჯ. ნილსენი მიუთითებს მთელ რიგ ელემენტებზე, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული ვებ-გვერდის შექმნის პროცესში. მას საკუთარ ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი საინტერესო სტატია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სტატიაში, „ათი ყველაზე დიდი შეცდომა ვებ-დიზაინში“ (Top Ten Mistakes in Web Design),⁴ იგი აღნიშნავს შემდეგ ხარვეზებს: მოუხერხებელი საძიებო სისტემა, PDF ფაილების ონლაინ წაკითხვის ფორმა, მონახულებული ბმულების ფერის სტატიურობა, ძნელად აღსაქმელი ტექსტი (იგულისხმება ტექსტის დიდი მასივები, რომელთა წაკითხვა დამლელია), შრიფტის ფიქსირებული ზომა (იგულისხმება, რომ კასკადური სტილებით განსაზღვრული შრიფტი ძნელი წასაკითხია ხანში შესული მომხმარებლებისთვის), გვერდის ტეგში <title></title> ჩასმული არაფრისმთქმელი სათაურები, ნებისმიერი რამ, რაც გამოიყურება როგორც რეკლამა; დიზაინის წესების დარღვევა (იგულისხმება, რომ არათანმიმდევრულობა დიზაინში გულს უცრუებს მომხმარებელს და აღარ აღუძრავს მას ასეთი ვებ-გვერდის ხელმეორედ მონახულების სურვილს), კონტენტის ახალ ფანჯარაში გახსნა (ამ დროს უქმდება ღილაკი *Back*, რაც იწვევს მომხმარებლის გაღიზიანებას); მომხმარებლის კითხვებზე პასუხის გაუცემლობა.

ჯეკობ ნილსენი მიუთითებს ასევე სხვა ხარვეზებზეც, რომელიც მან დაადგინა ინტერნეტ-მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად: მაკრომედია ფლემის ტექნოლოგიით შექმნილი გვერდები, ინფორმაციული მასალა, რომელიც არ ერგება ვების შინაარსს, ბრაუზერთან შეუთავსებლობა, ფორმების სიმრავლე, საკონტაქტო ინფორმაციის არარსებობა, ფიქსირებული სიგრძეები (width) ვებში, რის გამოც, დიდ მონიტორებზე შინაარსი საკმაოდ მოკრძალებულად ჩანს.⁵

აქვე უნდა ითქვას კიდევ ერთ პრობლემაზე, რომელიც უკავშირდება ვებ-გვერდზე განთავსებული მასალის სწრაფად გახსნას. ხშირად ვებ-გვერდზე განთავსებული მასალა იმდენად დიდია, რომ მის ჩამოსატვირთად საკმაო ხანი გადის, ამიტომაც ინგლისური აბრევიატურა WWW, ხშირად იმიფრება როგორც *World Wide Wait*⁶. ინტერნეტში ვებ-გვერდის ჩამოტვირთვის დაბალი სიჩქარის თავიდან ასაცილებლად რეკომენდაციები განსაზღვრულია დიდი მსოფლიო ქსელის კონსორციუმის ვებ-გვერდზე, სადაც განხილულია კლიენტსა და სერვერს შორის არსებული მოთხოვნა-მიწოდების ყველა პარამეტრი⁷, თუმცა აქაც ჩვენ დავეყრდნობით ჯეკობ ნილსენის მოსაზრებებს, რომელიც გვთავაზობს მოთხოვნის ჩამოტვირთვის სტანდარტებს⁸:

·0,1 წამი. გვერდის ჩატვირთვის იდეალური დრო. მომხმარებელი ვერ გრძნობს დროში წყვეტას.

·1 წამი. დასაშვები ზედა ზღვარი გვერდის ჩამოტვირთვისთვის, რომლის შემდეგაც მომხმარებელს ეწყება ლოდინი.

·10 წამი. დაუშვებელი დრო გვერდის ჩასატვირთად. მომხმარებელი ალბათ დატოვებს ვებ-გვერდს.

ქართულ რეალობაში ასეთი სიჩქარეების მიღწევა, მიუხედავად იმისა, რა დაბალი მოცულობისაც იყოს ვებ-გვერდი, პრაქტიკულად, შეუძლებელია. უპრიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ ასეთი სიჩქარე მიზანშეწონილი იქნება სერვერების გამტარუნარიანობისთვის.

ჯ. ნილსენს საკუთარ წიგნში “Fundamental Guidelines for Web Usability” ჩამოყალიბებული აქვს 113 რჩევა ვებ-დიზაინის სფეროში, რომელთა ჩამოთვლისგან ჩვენ აქ თავს შევიკავებთ, თუმცა მოვიყვანთ შედარებით განზოგადებულ რეკომენდაციებს:

1. ვებ-გვერდის მიზნისა და დანიშნულების ნათლად წარმოჩენა

გვერდის დაწყება ერთწინადადებიანი მოკლე ქვესათაურით (სლოგანით), რომელიც ასახავს ორგანიზაციის ან ვებ-გვერდის შემქმნელის საქმიანობას,

<title></title> ტეგში ვებ-გვერდის ეფექტური სათაურის ჩაწერა, ვინაიდან სწორედ ეს სათაური ჩანს საძიებო სისტემების შედეგებში ბმულების სახით და მან უნდა მიიზიდოს მომხმარებელი დასაწყისობიდან,

ორგანიზაციის შესახებ არსებული ყველა ინფორმაციის ერთ განსაზღვრულ ადგილას განთავსება. მართალია, მომხმარებლის უპირველესი ამოცანა ნამდვილად არაა ორგანიზაციის შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობა, მაგრამ არცთუ იშვიათად მათ სჭირდებათ ეს ინფორმაცია, რომელიც ადვილად მოძიების მიზნით გაბნეული არ უნდა იყოს,

2. დაეხმარეთ მომხმარებელს იპოვოს ის, რაც მას სურს

ვებ-გვერდზე განთავსებული პრიორიტეტული ინფორმაციის ვიზუალურად გამოყოფა,

ვებ-გვერდში საძიებო მექანიზმის ჩართვა,

3. ვებ-გვერდის ინფორმაციული მასალის წარმოჩენა

საიტზე არსებული უახლესი და საუკეთესო მასალის ჩვენება,

ბმულების სახელები უნდა შეიცავდნენ უმთავრეს საკვანძო სიტყვებს,

საარქივო მასალების იოლი პოვნის საშუალება,

4. ვიზუალური დიზაინის გამოყენება, რათა გაუმჯობესდეს (და არა განისაზღვროს) ინტერაქტივი⁹

სანავიგაციო არიალის გაფორმების დროს ზომიერების გამოჩენა, ვინაიდან მომხმარებელი ხშირად ყურადღებას არ აქცევს გრაფიკას (მიიჩნევს მას რეკლამად),

გააზრებული გრაფიკის გამოყენება.

“ვებ-გვერდის მასალის ნახვის შესაძლებლობების სახელ-მძღვანელოს” (Web Content Accessibility Guidelines - WCAG 2.0) მიხედვით გვერდი შექმნილი უნდა იყოს შემდეგი 4 პრინციპის მიხედვით¹⁰:

1. მასალა უნდა იყოს აღქმადი,

2. ინტერფეისის (გარემოს) კომპონენტები მასალაში უნდა იყოს მოქმედი,

3. კონტენტი (მასალა) და ნავიგაცია უნდა იყოს ადვილად მისახვედრი,

4. მასალა უნდა შეესაბამებოდეს ახლანდელი და მომავალი მომხმარებლების ინტერესებს.

საინტერესოა ასევე ინტერნეტში სწავლებისა და დაშვების პროგრამის (IATP) საქართველოს ვებ-გვერდზე განთავსებული რჩევები ვებ-დიზაინის შესახებ, სადაც მითითებულია, რომ ვებ-გვერდის შექმნის დროს ყურადღება უნდა მიექცეს შესაბამისი სრულფასოვანი ინფორმაციული მასალის არსებობას, სამომხმარებლო წრის სპეციფიური ინტერესების გათვალისწინებას, ინფორმაციის განლაგებას აქტუალობის მიხედვით, მათი კატეგორიების მიხედვით დაყოფას, რათა მომხმარებელი ინტუიციით ხვდებოდეს რომელ კატეგორიაში რა სახის ინფორმაცია ეძებოს, საიტის სტილს (მხატვრული გაფორმება, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: - ფერებად და გრაფიკულ გაფორმებად), საიტის ჩატვირთვის სიჩქარეს, შრიფტსა და კოდირებას, საიტის ნავიგაციას და სხვ.¹¹

ზემოთ მოყვანილ მიმოხილვაზე დაყრდნობით, შეიძლება შეჯამდეს ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც, ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციფიკიდან გამომდინარე,

გაითვალისწინებული უნდა იყოს ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე მუშაობის დროს და რომლებიც მიმართული უნდა იყოს მომხმარებლის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ესენია:

ტექსტი, რომელიც ადვილად იკითხება,
ინფორმაციული მასალა (კონტენტი), რომელიც პასუხობს მომხმარებლის მოთხოვნილებას,
ნავიგაცია და ძიება, რომელიც ეხმარება ადამიანს იპოვოს ის, რაც სურს,
მოკლე და მარტივი ფორმები (რაციონალიზებული რეგისტრაცია და შესრულებადი მოქმედებების თანამიმდევრულობა),
ნაკლები გრაფიკული დატვირთვა,
ვებ-გვერდის ჩატვირთვის სიჩქარე,
არავითარი ბაგები,¹² დამახინჯებული მონაცემები, მკვდარი ბმულები და მოძველებული ინფორმაცია.

ჩამოყალიბებული მსჯელობის საფუძველზე გავანალიზოთ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი. პირველად მიმოვიხილოთ **დიზაინი – მხატვრული გაფორმება**.

ბიბლიოთეკის ვებ-გვერდის დიზაინი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, არ გამოირჩევა მეტისმეტი გადატვირთულობით და ადვილად აღსაქმელია. თუმცა, ზემოთაღწერილი ვებ-დიზაინის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, უპრიანი იქნებოდა გადაჯგუფებულიყო პირველ გვერდზე მოთავსებული სათაურები (ჰედლაინები): გვერდის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული ბმულები – ბიბლიოთეკის მეგზური, ფონდები, მომსახურება – უკვე არსებობს გვერდის მარცხნივ არსებულ მენიუში და მისი არსებობა ცენტრში აუცილებელი არ არის. ეს ის ინფორმაციაა, რომელიც აშუქებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტებს. გვერდის ცენტრალურ ნაწილში საკმარისია კატალოგებისა და ელექტრონული რესურსების ბმულების დატოვებაც, ვინაიდან სწორედ ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად აინტერესებს მომხმარებელს. უმჯობესია, თუ აქვე იქნება მოცემული მოკლე განმარტებები ამ ბმულების კონტენტის შესახებ. მაგალითად, კატალოგების ქვეშ ეწეროს არა მხოლოდ დისერტაციები და უცხოური წიგნები, არამედ “ძიება ბიბლიოთეკის კატალოგებში – დისერტაციები, უცხოური წიგნები, ქართული წიგნები და ა.შ.,”. ამ განმარტებებზე არ უნდა იყოს ბმულები მიცემული, ბმული უნდა ჰქონდეს მხოლოდ “კატალოგებს”, რომელზე დაჭერითაც მომხმარებელი გადავა WebISIS გვერდზე და თავად ამოირჩევს სასურველ ქვეკატალოგს. ასევე, ბმული “ელექტრონული რესურსები” უნდა იყოს მომხმარებლისთვის ადვილად მისახვედრი. სასურველია, თუ მიეცემა ასეთი განმარტება: - “ძიება სრულ ტექსტებში”.

რაც შეეხება საძიებო სისტემის დილაკს, რომელიც განთავსებულია გვერდზე მარცხენა ქვედა მხარეს და იგი შეიძლება მომხმარებელს ყურადღებიდან გამორჩეს, უნდა გადავიდეს ცენტრალურ ნაწილში და მოთავსდეს “კატალოგებისა” “ელექტრონული რესურსების” თავზე, საიდანაც მომხმარებელი შეძლებს თვითონ განახორციელოს ძიება აღნიშნულ კატალოგებში შეუსვლელად.

ძიების ენის ქართულზე გადასვლის შესაძლებლობა მოთავსებული უნდა იყოს საძიებო ფორმის გვერდზე – ანუ მომხმარებელს არ უნდა სჭირდებოდეს სტატუს ბარიდან კლავიატურის გადართვა ქართულ იუნეკოდზე და საძიებო სიტყვების ამ

მეთოდით ჩაწერა. იგივე ეხება ბიბლიოთეკის დანარჩენ ქვეგვერდებზე განთავსებულ სამიზნო მექანიზმებსაც.

სხვა მხრივ, ძიებასთან შენიშვნები არ გვაქვს - იგი ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ეფექტურად მუშაობს. თუმცა, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს სამიზნო ველის განთავსება ბიბლიოთეკის ვებ-საიტის ყველა გვერდზე და არა ისე, როგორც არის ამჟამად – თითქმის ყველა ქვეგვერდს საკუთარი დამოუკიდებელი სამიზნო სისტემა გააჩნია.

ვებ-საიტზე სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ინგლისურ და რუსულენოვანი ძიების მხარდაჭერას. ძიების შედეგად უნდა გამოდიოდეს არა მხოლოდ შესაბამისი ენოვანი მასალა (როგორც ეს მაგალითად მოცემულია ელექტრონული ტექსტების ცენტრის ვებ-გვერდზე http://www.nplg.gov.ge/ic/etc_e.htm, სადაც მხოლოდ ინგლისურენოვანი ტექსტებია წარმოდგენილი), არამედ მასალა ყველა ენაზე. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი, სერთო ჯამში, უნდა გადაიქცეს ჩვეულებრივ სამიზნო პორტალად, რომელშიც თანაბარი ეფექტურობით იმუშავებს როგორც ძიების კატალოგური, ასევე სიტყვის ან ფრაზის მიხედვით ძიების მექანიზმები. ძიების შედეგად გამოტანილ შინაარსს უნდა მიეთითოს წარმოდგენილი ინფორმაციის ენა, რათა მომხმარებელმა თავად გადაწყვიტოს, უღირს თუ არა ამ ენოვანი მასალის ნახვა.

დიზაინის მხრივ სერიოზული ხარვეზი იჩენს თავს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდის სხვადასხვა ბმულებზე გადასვლისას, სადაც ვაწყდებით მნიშვნელოვან განსხვავებებს - <http://www.nplg.gov.ge/ec/changedb.php?lang=ge> იხსნება სამიზნო სისტემა WEBISIS, რომლის არც ფერები და არც გრაფიკა არ შეესაბამება ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითადი ვებ-გვერდების საერთო დიზაინს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ქვესაიტებზე, რომლებსაც ქმნიან ბიბლიოთეკის სხვადასხვა განყოფილებები:

The screenshot shows the website <http://www.nplg.gov.ge/index.html>. The header includes the text "საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა" and "GEO - ENG". The main content area is divided into several sections:

- ბიბლიოთეკა**: A list of links including "სტატუსი", "სტრუქტურა", "ისტორია", "ბიბლიოთეკის მეგზური", "დარბაზები", "ფონდები", "მომსახურება", "ელექტრონ. რესურსები", "საკონტაქტო ინფორმაცია", "დახმარება და რჩევები", and "თანამშრომლობა".
- ბიბლიოთეკის მეგზური**: "მდებარეობა, ჩაწერა, დარბაზები, ..."
- ფონდები**: "საარქივო ფონდი"
- კატალოგები**: "დისერტაციები, უცხოური წიგნები"
- ელექტრონული რესურსები**: "ქართული გაზეთები, ციფრული ბიბლიოთეკა"
- მომსახურება**: "ბიბლიოგრაფიული"

On the right side, there is a section for **ღონისძიებები** (Events) with a scrollable list of events, including "პრეზენტაცია" (20 აგვისტო, 15:00, 2006წ.), "პოეზიის საღამო" (26 ივლისი, 18:00, 2006წ.), and "პოეზიის საღამო" (19 ივლისი, 18:00, 2006წ.). Below this is a section for **ბიბლიოთეკის მისამართი** (Address): "გუდიაშვილის ქ. 7, თბილისი, 0107" and "ადგილმდებარეობა >>". At the bottom right, there is a section for **ბიბლიოთეკა მუშაობს** (Hours): "ყოველდღე 10:00 - 20:00".

-<http://www.nplg.gov.ge> – მთავარი გვერდი

The screenshot shows the 'Author Biographies and books' search page. At the top, there is a search bar for 'ავტორის ძიება' (Author search) with a 'ძიება' (Search) button. Below the search bar are several checkboxes for filtering results: 'სახელი და გვარი' (Name and surname), 'პროფესია/წოდება' (Profession/Title), 'ესევედონიმი' (Pseudonym), 'სამეცნიერო ხარისხი' (Academic degree), 'უმაღლესი სასწავლებელი' (Highest educational institution), and 'სიმაგილე წოდება' (Honorary title). Below these is a section for 'ავტორების ასპასერია სია' (Author list) with a keyboard layout for Georgian letters and a search button.

-<http://www.nplg.gov.ge/authors/> - ქართველი ავტორები

The screenshot shows the 'ქართული გაზეთები' (Georgian Newspapers) search page. It features a large title in Georgian, a search bar, and a keyboard layout for Georgian letters. Below the search bar is a 'მოძებნე' (Search) button and a 'დასაძიებელი' (Searchable) input field. On the right side, there is a logo for the National Library of Georgia.

-<http://www.nplg.gov.ge/paper/start.php> - ქართული გაზეთები

The screenshot shows the 'English-Georgian Computer and Library Terminology' interface. It has a blue header with the title 'English-Georgian Computer and Library Terminology'. Below the header is a search bar for 'ინგლისურ-ქართული' (English-Georgian) with a 'ძიება' (Search) button. Below the search bar is a section for 'ასპასერია სია' (Author list) with a keyboard layout for Georgian letters. On the right side, there is a logo for the National Library of Georgia.

-<http://www.nplg.gov.ge/dictionary/> - კომპიუტერული ლექსიკონი

ბიბლიოთეკის ელექტრონული არქივი
საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

საფორმეო ფონდი

- ჩვენს მუხანებ
- ელექტრონული ბიბლიოთეკა 2006
- იუნესკო პროექტი - ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგია
- პროექტები
- ჩვენი სპონსორები
- ტექლამის განთავსება
- გათხოვთ დაგვეხმარეთ
- მონათესავე ვებსაიტები

English

-<http://www.nplg.gov.ge/ic/> - ციფრული ბიბლიოთეკა, ელექტრონული არქივი და



-<http://www.nplg.gov.ge/civil/> სამოქალაქო განათლება

როგორც დავრწმუნდით, ბიბლიოთეკის სხვადასხვა გვერდები მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ძირითადი გვერდისგან, ასევე ერთმანეთისგანაც, რაც ყოველად დაუშვებელია, ვინაიდან ამით ირღვევა ვებ-გვერდის ერთიანობა. რჩება შთაბეჭდილება, რომ მომხმარებელი გადადის სხვა ვებ-საიტზე. ამიტომ, ეს გვერდები უნდა დაექვემდებარონ ერთიან შემუშავებულ სტანდარტს, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს განსხვავებები ფერთა გამაში, გრაფიკულ ინტერფეისსა და სანავიგაციო ელემენტებში.

სასურველია, თუ მანამდე მოხდებოდა ცვლილებები ძირითად გვერდზე არსებულ ფერთა გამაშიც. მიგვაჩნია, რომ ბიბლიოთეკის საიტის ფერები, როგორც ეს სხვა ანალოგიურ ვებ-გვერდებზეა მიღებული, უნდა შეესაბამებოდეს ნაციონალურ ფერებს – წითელს, თეთრს, შავს, შესაძლოა გამოვიყენოთ ასევე საერთაშორისო ფერი – ლურჯი.

რაც შეეხება ბიბლიოთეკის ვებ-გვერდის ქუდს - ლოგოს, აქ გარდა შენობისა, უნდა განთავსდეს ილია ჭავჭავაძის მხატვრულად დამუშავებული პორტრეტი. ასევე გასათვალისწინებელია ის უმრავლესი შემთხვევა, როდესაც არ მიეთითება, რომ ბიბლიოთეკა არის ილია ჭავჭავაძის სახელობის, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

დიზაინის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს უნდა შეადგენდეს ასევე, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნებისა და ხელნაწერების გამოსახულებები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი გარე სამყაროსთვის საქართველოს სავიზიტო ბარათს წარმოადგენს, ეს მოსაზრებები აუცილებლად უნდა იყოს გაზიარებული.


მომდევნო მთავარი ელემენტი ვებ-გვერდში არის ნავიგაცია.

საიტის ნავიგაცია მომხმარებლისთვის ადვილად აღსაქმელი და ინტუიციურად მისახვედრი უნდა იყოს, რათა თქვენი საიტის მნახველები არ დაიკარგონ საიტზე და ადვილად შეძლონ საჭირო ინფორმაციის მოძიება.

სანავიგაციო მენიუ ძირითად ვებ-გვერდზე კარგად მუშაობს. თუმცა, ზემოთ აღნიშნული ქვესაიტები გარდა იმისა, რომ არ ჯდებათ საერთო დიზაინში, გამოირჩევიან იმიტაც, რომ მათ არ გააჩნიათ ნავიგაციის ის საერთო მენიუ, რომელიც განთავსებულია ბიბლიო-ოთეკის ძირითად ვებ-გვერდზე. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდის სანავიგაციო მენიუს ძირითადი ელემენტებია: - 1. საწყის გვერდზე დაბრუნების შესაძლებლობა, 2. კონტაქტი, 3. საიტის რუკა 4. ძიება. არც ერთი ამ ელემენტთაგანი არ არის გათვალისწინებული ქვეგვერდებზე.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელს საიტის მთავარ გვერდზე გადასვლის საშუალება ყველა შემთხვევაში უნდა ჰქონდეს. მნახველი საიტზე ხვდება საძიებო სისტემებიდან და ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ მაინცდამაინც პირველი – საწყისი გვერდი გაიხსნას. ამასთან, მხოლოდ საწყის გვერდზე გადასვლის ბმულის არსებობა მოუხერხებელია, ვინაიდან მომხმარებელს სხვადასხვა გვერდზე გადასასვლელად უხდება პირველ გვერდზე დაბრუნება. ასეთი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად არსებობს მარტივი ხერხი: საიტის ძირითადი მენიუს დუბლირება და მოთავსება ყველა დანარჩენ გვერდზე ერთსა და იმავე ადგილას. უმჯობესია იმ პოზიციაზე, სადაც იგი მოთავსებულია პირველ გვერდზე.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ელექტრონული ბიბლიოთეკის საი-ტი, სადაც სხვა-დასხვა გვერდებზე გადასვლისას, არ ჩანს არა თუ მენიუს რაიმე ელემენტი, არამედ დიზაინის არავითარი ნიშანი, რაც ძალიან მოუხერხებელს ქმნის ამ შესანიშნავი რესურსების გამოყენებას (იხ. მაგალითად http://www.nplg.gov.ge/ic/DGL/work/David_amire/2.htm). ელექტრონული ტექსტების ცენტრისა და გრინსტოუნის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი მასალა ეროვნული ბიბლიოთეკის საამაყო წამოწყებაა, რომელსაც ანალოგი უცხოურ ბიბლიოთეკებში არ მოეძებნება. აქედან გამომდინარე, ყოვლად დაუშვებელია ამ მასალის თვითნებურად განთავსება ვებ-დიზაინის პრინციპების გაუთვალისწინებლად.



ნავიგაციის პრინციპების უხემ დარღვევას ვაწყდებით ასევე სამოქალაქო განათლების განყოფილების გვერდზე. ერთმანეთისგან განსხვავდება მაგალითად, სანავიგაციო მენიუ განთავსებული <http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/sarCevi.htm> გვერდზე და მენიუ, რომელიც განთავსებულია <http://www.nplg.gov.ge/civil/Tematuri%20katalogi.htm> გვერდზე (შეცდომაა დაშვებული მისამართში არსებული ფაილის სახელის დარქმევისას - %20 მისამართში). თუ პირველ გვერდზე მოთავსებულია მხოლოდ ტექსტური ჰორიზონტალური მენიუ, მეორე მისამართზე მენიუ ვერტიკალური სახისაა. ხარვეზებია დაშვებული ისეთი სტანდარტული სანავიგაციო ღილაკების განთავსებისას, როგორცაა მთავარ გვერდზე გადასვლა, უკან დაბრუნება, და ა.შ.

შრიფტები და კოდირება. ბიბლიოთეკის ძირითადი გვერდის ქვეგვერდებზე, ამ მხრივაც, მნიშვნელოვან დარღვევებს ვაწყდებით. ელექტრონული ტექსტების ცენტრის მასალებში <title> ტეგებში შემორჩენილია ქართული სტანდარტული შრიფტებით დაწერილი სათაურები, რომელთაც ინტერნეტ ექსპლორერი ვერ აღიქვამს და იეროგლიფების სახე აქვს.



შრიფტების მხრივ დარღვევებია სამოქალაქო განათლების განყოფილების მასალებშიც. არ შეიძლება, რომ ერთ გვერდზე მასალა წარმოდგენილი იყოს შრიფტ acadnux-ში, ხოლო სხვა გვერდზე უნიკოდში და HTML სკრიპტში კოდირების შრიფტად მიეთითებოდეს windows-1252. ელემენტარულია, რომ ქართული ტექსტები ვებ-გვერდზე წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ უნიკოდ შრიფტში Sylfaen, ხოლო ტექსტის კორექტულად გამოსაჩენად charset დესკრიპტორში მიეთითოს utf-8. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ სხვადასხვა ბრაუზერები ტექსტს წარმოაჩენენ ოთხკუთხედების ან იეროგლიფების სახით.

მიუხედავად გამოთქმული შენიშვნებისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიულადაა გადაჭრილი ძიების საკითხი ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების განყოფილების ვებ-გვერდზე.


აუცილებელია <title></title> ტეგებში არსებული სათაურების მოდიფიკაცია, ვინაიდან იგი ვებ-გვერდის ერთგვარ მარკეტინგულ ელემენტს წარმოადგენს. როგორც აღნიშნული გვექონდა, მომხმარებელი გვერდზე ხშირად ხვდება რა მთავარი

გვერდიდან, არამედ საძიებო სისტემებიდან, რომელსაც მომხმარებლისთვის შედეგების სახით გამოაქვს სწორედ ამ ტეგებში მითითებული სათაურები. ამიტომ, ნაცვლად “ETC - National Parliamentary Library”, რომელიც მითითებულია ელექტრონული რესურსების ცენტრის სათაურში, უნდა ეწეროს “Electronic Texts - NPLG”. ამ შემთხვევაში მომხმარებლისთვის უკვე საინტერესო იქნება შესაბამისი გვერდის მონახულება.

გარდა ჩვენს მიერ გამოთქმული შენიშვნებისა, საინტერესოა ვებ-გვერდის ხარისხის შეფასების ავტომატური სისტემის შედეგები, რომელიც დაფუძნებულია «სიბერნაინ სისტემის» (Cybernine Systems) მიერ 2001 წელს შემუშავებული ხელოვნური ინტელექტის მუშაობაზე. ინტერნეტში შექმნილია სპეციალური ვებ-გვერდი <http://www.cys.ru/>, რომელიც ამ ტექნოლოგიის გამოყენებით აფასებს ვებ-გვერდს კოდის, ფუნქციონალობის, დიზაინისა და ბრაუზერებთან თავსებადობის, ასევე ემოციური ფაქტორის მიხედვით (შეფასება: ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო).¹³

საინტერესოა ვებ-საიტის ავტომატური სისტემის შეფასების შედეგი, რომელიც მოგვცა კიბერანალიტიკოსმა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტის ანალიზის შემდეგ: <http://www.nplg.gov.ge/ge/>

კიბერანალიტიკოსმა ეს გვერდი შეაფასა 898 ბალით და მიანიჭა მეორე კატეგორია – „ვერცხლი“. რეიტინგის მიხედვით აღნიშნული გვერდი 12162-ე ადგილზე გავიდა. კომენ-ტარებში მითითებულია, რომ ეს არის ნორმალური გვერდი კარგი დიზაინით, რომელიც არაა დამძიმებული სუპერპროფესიული მახასიათებლებით. იდეალურად არის უზრუნველყოფილი ფუნქციურობა. ორიგი-ნალურად, თუმცა საკამათოდაა გადაჭრილი სანავიგაციო მენიუსა და გაფორმების პრობლემა - მართვის ელემენტების განთავსება აქ უკეთ შეიძლებოდა, ასევე შეიმჩნევა ფერების არაჰარმონიული შეხამება. გვერდი თავსებადია მრავალ ცნობილ ბრაუზერთან.



რა თქმა უნდა, არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დავეყრდნოთ კიბერანალიტიკოსის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში მთლიანად იგნორირებულია საიტის შინაარსობრივი, ინფორმაციული მხარის შეფასება და დასკვნები კეთდება მხოლოდ ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით¹⁴. აქედან გამომდინარე, საიტის შეფასებისას უმთავრესია ადამიანური შეფასების კრიტერიუმები, განსაკუთრებით ეს ეხება ბიბლიოთეკის ვებ-გვერდს, სადაც ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილია ტექსტური სახით, ამდენად, მეტი მნიშვნელობა ენიჭება არა საიტის ტექნიკურ პარამეტრებს (დიზაინი, გრაფიკა და ა.შ.), არამედ წარმოდგენილი ინფორმაციის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობას, იოლად მოძებნასა და აღქმას.

ბიბლიოთეკის ვებ-საიტის ანალიზმა დაგვანახა, რომ საერთო დიაზინის დარღვევის მიზეზს წარმოადგენს ერთიანი სტანდარტების არარსებობა.

ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ორი გზით. პირველი, ესაა წინასწარ შექმნილი შაბლონების გამოყენება ბიბლიოთეკის ყველა განყოფილებისა და პროგრამისტის მიერ და მეორე, მათ მიერ შექმნილი მასალის სპეციალური ონლაინ ფორმით გადაგზავნა ვებ-მასტერთან, რომელიც თვითონ მისცემს შესაბამის ფორმას განსათავსებელ მასალას. პირველი მეთოდის ამკარა უპირატესობა მდგომარეობს მის ოპერატიულობაში - დროში სწრაფად განთავსდეს მომზადებული მასალები. სამაგიეროდ, ითხოვს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მაქსიმალურ დახვეწასა და მასალის განთავსებაზე პასუხისმგებელი პერსონალის გულდასმით მომზადებას. რაც შეეხება მეორე მეთოდს, ინფორმაციის დროული განთავსების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად მოიკოჭლებს, რაც მის უმთავრეს ნაკლად უნდა მივიჩნიოთ.

საბოლოოდ, შეიძლება გამოვყოთ ის ძირითადი პრინციპები და ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ბიბლიოთეკის ვებ-გვერდის გასაუმჯობესებლად:

1. ვებ-გვერდის დიზაინი და სანავიგაციო მენიუ ყველა გვერდის-თვის უნდა იყოს ერთიანი.

2. უნდა შეიქმნას ვებ-გვერდის ინგლისური და რუსულენოვანი ვერსია. კატალოგებისა და საძიებო სისტემის ჩათვლით (გარდა ტექსტებისა).

3. აუცილებელია ქართული პერიოდიკის ელექტრონული არქივის გაერთიანება ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების სივრცეში. მოთხოვნა ამ ტიპის რესურსებზე საკმაოდ დიდია სამეცნიერო მკვლევარების მხრიდან და იგი წლების შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება. ეს რესურსი უნდა გაერთიანდეს ბიბლიოთეკის ვებ-საიტის საძიებო სისტემაში, რაც მკვლევარებს მნიშვნელოვნად გაუადვილებს სასურველი ინფორმაციის მოძებნას.

В. ЦЕРЦВАДЗЕ

ВЕБ-САЙТ НАЦИОНАЛЬНОЙ ПАРЛАМЕНТСКОЙ БИБЛИОТЕКИ ГРУЗИИ ИМ И.

ЧАВЧАВАДЗЕ - <http://www.nplg.gov.ge>

Резюме

Веб-сайт Национальной библиотеки Грузии требует некоторых изменений в соответствии со стандартами, принятыми в веб-дизайне. На веб-сайте библиотеки опубликован большой информационный материал, внесенный разными структурными подразделениями, что и вызвало некоторый хаос внутри веб-пространства библиотеки. В статье акцент сделан на исправлении таких ошибок, как разнообразный интерфейс, использование нестандартных шрифтов, нарушение принципов навигации, для чего необходимо разработать единый стандарт, который предоставит удобные условия пользователям в поиске и нахождении нужной информации.

V. TSERTSVADZE

**WEB-SITE OF THE I. CHAVCHAVADZE NATIONAL
PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA – <http://www.nplg.gov.ge>**

Summary

The web-site of National Library of Georgia requires some changes in conformity to the standards accepted in web-design. There is huge information material published by different structural divisions on librarian web-site, which has caused chaos inside the librarian web-space. The main accent is made on the correction of such mistakes, as the use of various interfaces, non-standard fonts, infringement of navigation principles. It is necessary to develop the uniform standard inside the librarian web-site to give convenient conditions to users in searching and retrieving required information.

1 <http://www.brightplanet.com/images/stories/pdf/deepwebwhitepaper.pdf>, MICHAEL K. BERGMAN

2 <http://www.netz-tipp.de/languages.html>

3 http://en.wikipedia.org/wiki/Surface_web

4 <http://www.useit.com/alertbox/9605.html>

5 <http://www.useit.com/alertbox/designmistakes.html>

6 დიდი მსოფლიო ლოდინი, ნაცვლად დიდი მსოფლიო ქსელისა - World Wide Web

7 <http://www.w3.org/Protocols/NL-PerfNote.html>

8 http://en.wikipedia.org/wiki/World_Wide_Web

9 <http://www.useit.com/alertbox/20020512.htm>

10 <http://www.w3.org/TR/WCAG20/complete.html>

11 http://www.iatp.ge/downloads/course&seminar/WebDisighn_handout.pdf

12 ინგლისურიდან – Bugs – პროგრამული გაუმართაობა

13 <http://www.cys.ru/methods.html>

14 თანაც ანალიზი უკეთდება მხოლოდ საიტის მთავარ გვერდს – index.html-ს. მართალია ხდება ყველა პარამეტრის ანალიზი, მათ შორის ბმულების, გრაფიკის, ფლემ-კლიპების და ა.შ., მაგრამ სხვა გვერდებს ანალიტიკოსი არ განიხილავს.

თ ე ი მ უ რ ა ზ ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი

ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის ფონდის მე-20 საიუბილეო ყრილობა: სანკტ-პეტერბურგი 2006

2006 წლის 27-29 სექტემბერს რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის (Conference of European National Librarians - CENL-ის) ფონდის მე-20 საიუბილეო ყრილობა, რომელზეც მოსმენილ იქნა ამ ორგანიზაციის 2005-2008 წწ. სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობა და რამდენიმე მოწვეული სპეციალისტის მოხსენება.

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ბ-ნი ზაზა აბაშიძე, შვეიცარიის განვითარების ფონდის დახმარებით, გახდა CENL-ის (<http://www.cenl.org/>) წევრი, ისევე როგორც სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული ბიბლიოთეკების გენერალური დირექტორები.

ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის - CENL-ის მისია გახლავთ:

1. ნებისმიერი ადამიანის უზრუნველყოფა სწრაფი, ამომწურავი, მრავალენოვანი და გრძელვადიანი წვდომით ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების ფონდებთან და ინფორმაციასთან და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფასოდ;

2. ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის აგება;
3. ევროპული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა და ცოდნის დაცვა;
4. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება ეროვნული ბიბლიოთეკების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;
5. ევროპული კულტურის ძირითადი ღირებულების - კულტურული მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნების ხელშეწყობა;
6. კოოპერაცია კულტურული მემკვიდრეობის სხვა ინსტიტუტებთან როგორც ევროპაში, ასევე დანარჩენ მსოფლიოში.

CENL-ის 2005-2008 წლების სტრატეგიული გეგმა

მიზანი 1

გაციფრებისადმი კოოპერაციული და ფართო მიდგომის აქტიური ხელშეწყობა ევროპის ეროვნულ ბიბლიოთეკებსა და ევროპული ბიბლიოთეკების შესაბამის ეროვნულ ქსელებში.

მოქმედებები

1.1 CENL-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა განიხილოს „ევროპული ბიბლიოთეკის» საორგანიზაციო მოდელის საუკეთესო გამოყენების შესაძლებლობა, რათა წინ წამოსწიოს გაციფრებისა და ციფრული ბიბლიოთეკების მიმართ საერთო ძალისხმევა ეროვნულ-სტრატეგიების განვითარებასა და კოორდინაციაში, მათ შორის ისეთ საკითხებში, როგორცაა: ტექნოლოგიები, შიგთავსის შერჩევა და დაფინანსება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება შიგთავსის შერჩევაზე.

1.2 CENL-მა ხელი უნდა შეუწყოს დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფს ცოდნის გაზიარებასა და ევროპის გაციფრებული შემცველობის კრიტიკული მასის გაზრდის შესაძლებლობების განსაზღვრა-ში. არსებული ციფრული კოლექციების (გაზეთების, ღირშესანიშნავი მოვლენების და ა.შ.) აღრიცხვა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამ კოოპერაციის ათვლის წერტილად და მომავალი კოორდინაციის გეგმის მოდელად.

1.3 წარადგინოს ევროკომისიაში „ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის» შექმნის საპროექტო წინადადება, რომელშიც „ევროპული ბიბლიოთეკა» გამოყენებული იქნება როგორც პლატფორმა და არსებული ქსელი: „ევროპული ციფრული ბიბლიოთეკა» ევროკომისიის «eContent plus» პროგრამის ფარგლებში.

1.4 მონაწილეობა მიიღოს ევროკომისიის მიერ წამოწყებულ ონლაინ კონსულტაციებში თემაზე: „i2010 ციფრული ბიბლიოთეკები».

მიზანი 2

„ევროპული ბიბლიოთეკის», როგორც ევროპული ეროვნული ბიბ-ლიოთეკების კოოპერაციის სამოდელო პლატფორმის და ორგანიზაციული ქსელის, მათ ციფრულ მასალებთან, კოლექციებთან, კატალოგებსა და მომსახურებასთან წვდომის იდეალური წერტილის წინ წამოწევა.

მოქმედებები

2.1 CENL-ის ადმასრულებელმა კომიტეტმა უნდა განიხილოს ყველა შესაძლებლობა, რათა ხელი შეუწყოს და დააჩქაროს CENL-ის წევრი ბიბლიოთეკების სრულ გაწევრიანებას „ევროპულ ბიბლიო-ოთეკაში» და ამით უზრუნველყოს საქმისა და მოვალეობების სრული განაწილება ევროპაში.

2.2 წარადგინოს საპროექტო წინადადება ევროკავშირის წევრი ქვეყნების დარჩენილი ეროვნული ბიბლიოთეკების ინტეგრაციისა და „ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის» შექმნის შესახებ.

2.3 განავრცოს „ევროპული ბიბლიოთეკა» „ევროპულ ციფრულ ბიბლიოთეკამდე».

მიზანი 3

ევროპაში ეროვნული ბიბლიოთეკების როლის წინ წამოწევა და მათი პასუხისმგებლობის ამაღლება ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და ამ სფეროში ცოდნის ხელ-მისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

მოქმედებები

3.1 მოიწვიოს ყოველწლიურ კონფერენციებზე ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და იუნესკოს წარმომადგენლები.

3.2 აქტიურად შეასრულოს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის თანამონაწილისა და შუამავლის ფუნქცია ევროპის საბჭოსთან.

3.3 დაამყაროს უფრო მჭიდრო კოოპერაციული ურთიერთობები არქივების საერთაშორისო საბჭოსთან (ICA) და მის ევროპულ ორგანიზაციასთან (EURICA).

3.4 განიხილოს EBLIDA-ში (საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ასოციაციების ევროპული ბიურო) კოლექტიური გაწევრიანების საკითხი და გამართოს მოლაპარაკებები ამ ორგანიზაციასთან გაწევრიანების თაობაზე.

3.5 განიხილოს და შეისწავლოს გაციფრების და ციფრული შენახვისა და დაცვის სფეროში ECPA-თან, ICA-თან და ICOM-თან თანამშრომლობის საკითხები.

3.6 დაამყაროს თანამშრომლობა CERL-თან (ევროპის სამეცნიერო ბიბლიოთეკების კონსორციუმთან) და მსგავს ორგანიზაციებთან და პროექტებთან ავტორიტეტული ფაილებისა და მეტამონაცემების ხარისხის თაობაზე.

3.7 დაამყაროს ურთიერთობა და კოორდინაცია ყველა შესაბამის საკითხში IFLA-სთან, CDNL-თან და CENL-ის გარეთ არსებულ ეროვნულ ბიბლიოთეკებთან.

3.8 ყოველ საჭირო შემთხვევაში დაამყაროს ურთიერთობა პრესასთან CENL-ის სახელით (მაგ., გამოაქვეყნოს პრესაში პრესრელიზი ყოველწლიური კონფერენციის შემდეგ).

მიზანი 4

კულტურული მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნობის, როგორც ევროპული კულტურის ძირითადი ღირებულებისა და ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების მიერ მომხმარებელთა მომსახურების უმნიშვნელოვანესი თვისების, მხარდაჭერა.

მოქმედებები

4.1 მონაწილეობა მიიღოს ინფორმაციის მრავალენოვანი ძეგლის განვითარების პროექტებში, როგორცაა MACS და MSAC.

4.2 მხარი დაუჭიროს მრავალენოვან საქმიანობასა და სამუშაოებს „ევროპის ბიბლიოთეკაში».

4.3 გაითვალისწინოს და განიხილოს მრავალენოვნობის პრობლემის საკითხები ახალი პროექტების შემუშავებისას.

მიზანი 5

გამომცემლებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

მოქმედებები

5.1 FEP/CENL -ის სამუშაო ჯგუფმა გააგრძელოს აზრთა გაზიარება და პრაქტიკული წინადადებების წამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნულ ბიბლიოთეკებს გამომცემლებთან ინდივიდუალურ მუშაობაში და მთავრობებთან კონტაქტებში, რათა მათი მხარდაჭერით შემუშავდეს გამომცემლებთან შესაბამისი ხელ-შეკრულებები.

5.2 გააგრძელოს თანამშრომლობა საერთაშორისო DOI ფონდთან (იხ. აგრეთვე 7.4).

5.3 შეიმუშაოს გამომცემლებთან ერთად კერძო და სახელმწიფო სექტორების პარტნიორობის პროექტი, რომელიც დაფინანსებული იქნება ევროკავშირის მიერ.

მიზანი 6

კერძო სექტორთან თანამშრომლობის ახალი მოდელების ხელშეწყობა.

მოქმედებები

6.1 CENL-მა უნდა განსაზღვროს, როგორც სასწრაფო და გადაუდებელი საქმე, კერძო სექტორთან მოლაპარაკებათა საერთო, ეროვნული ბიბლიოთეკების მხარდამჭერი, პირობები და უზრუნველყოს ეროვნული ბიბლიოთეკების ფონდების, როგორც სახელ-მწიფო ეროვნული ქონების, მუდმივი დაცვა, როდესაც ეროვნული ბიბლიოთეკები შედიან კერძო სექტორთან პარტნიორულ ურთიერთობებში.

6.2 შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს კერძო სექტორთან მოლაპარაკებების საეთო გზებსა და ეროვნულ ბიბლიოთეკათა მხარდამჭერ პირობებს.

6.3 განიხილოს ელექტრონული გამოცემების ერთი სავალდებულო ეგზემპლარის ან რამდენიმე სავალდებულო ეგზემპლარის სტრატეგიები ევროპის დეპოზიტური სავალდებულო ეგზემპლარების საცავებში.

მიზანი 7

ეროვნული ბიბლიოთეკების, როგორც ეროვნული საბიბლიოთეკო ფონდების და კულტურული მემკვიდრეობის განმკარგველის და დამცველის, როლის წინ წამოწევა ციფრული მასალების გრძელვადიანი დაცვისა და მათთან ხელმისაწვდომობის ყველა ასპექტის მხარდაჭერით.

მოქმედებები

7.1 მუდმივი იდენტიფიკატორების სამუშაო ჯგუფმა უნდა ჩამოაყალიბოს CENL-ის პოზიცია მუდმივი იდენტიფიკატორების მიმართ და უნდა მიისწრაფოდეს ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების მუდმივი იდენტიფიკატორების სტრუქტურის შექმნისაკენ იმ მიზნით, რომ მიაღწიოს გარჩევის სამსახურის ევროპული ქსელის ჩამოყალიბებას.

7.2 მუდმივი იდენტიფიკატორების სამუშაო ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს გარჩევის ბოლო ინსტანციის სისტემის შექმნას.

7.3 განიხილოს, თუ როგორ ითანამშრომლოს დაცვისა და წვდომის ევროპულ კომისიასთან (ECPA – European Commission on Preservation and Access), არქივების საერთაშორისო საბჭოსთან (ICA – International Council on Archives) და მუზეუმების საერთაშორისო საბჭოსთან (ICOM – International Council of Museums) გაციფრებისა და ციფრული დაცვის სფეროში (იხ. აგრეთვე 3.5).

7.4 გააგრძელოს წევრობა საერთაშორისო DOI ფონდთან (იხ. აგრეთვე 5.2).

7.5 წარმოადგინოს ციფრული მემკვიდრეობის გრძელვადიანი დაცვის პროექტის წინადადებები.

7.6 მხარი დაუჭიროს მოქმედებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია მუდმივი წვდომის სპეციალური კომისიის 2006-2010 წლების სტრატეგიული მოქმედების გეგმაში (Strategic Action Plan 2006-2010 of the Task Force Permanent Access).

მიზანი 8

საინფორმაციო საზოგადოების ნებისმიერი მომდევნო ინიციატივის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის როლის შესრულება.

მოქმედებები

8.1 მონაწილეობა მიიღოს ევროკომისიის ონლაინ კონსულ-ტაციებში ციფრული ბიბლიოთეკების შესახებ.

8.2 იყოს ევროკომისიის კონსულტანტი და პარტნიორი ბიბლიო-თეკებთან მიმართებაში.

8.3 მიაწოდოს ევროკომისიას საპროექტო წინადადება „ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის (EDL – European Digital Library) შექმნის დაწყების მიზნით.

8.4 მონაწილეობა მიიღოს საინფორმაციო საზოგადოების მსოფ-ლიო სამიტში.

მიზანი 9

ეროვნული ბიბლიოთეკების მომსახურება ონლაინ ფორუმით გამოცდილების გაზიარების და გაცნობის, საუკეთესო პრაქტიკის და მაღალი ხარისხის მოდელების წახალისებისა და გავრცელების და მართვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით.

მოქმედებები

9.1 გააქტიუროს საბიბლიოთეკო პროცესების შესრულების შეფასების სამუშაო ჯგუფი.

9.2 სამუშაო ჯგუფმა განსაზღვროს საბიბლიოთეკო პროცესების შესრულების ინდიკატორები, შეაგროვოს CENL-ის წევრების ანგარიშები და 2006 წლის ყოველწლიურ კონფერენციაზე წარმო-ადგინოს მიმოხილვა.

9.3 მოამზადოს CENL-ის წევრების მიერ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმოხილვა და ამ მიზნით შეადგინოს TEL-ME-MOR-ის კითხვარი.

მიზანი 10

CENL-ის წევრებს შორის კოოპერაციისა და მათ მიერ სტანდარ-ტების გამოყენების მხარდაჭერა.

მოქმედებები

10.1 აქტიურად განაახლოს CENL-ის ვებ-საიტი.

10.2 მხარი დაუჭიროს CENL-ის სადისკუსიო ჯგუფის გამოყენებას, სადაც ეს საჭიროა.

მიღებულია CENL-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 2005 წლის 5 დეკემბერს. მიღებულია CENL-ის მმართველი საბჭოს მიერ 2006 წლის იანვარში.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (R&D) ევროპის ეროვნულ ბიბლიოთეკებში

პროექტ TEL-ME-MOR-ის ანგარიში (The European Library: Modular Extensions for Mediating Online Resources - ევროპული ბიბლიოთეკა: მოდულური გაფართოებები ონლაინ რესურსების შუამდგომლო-ბისთვის)

R&D (Research and Development) - სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის დაწესებულების პოტენციალის განხილვისას, მისი შესაძლებლობის შეფასებისას შექმნას ინოვაციური კულტურული მემკვიდრეობა ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით და გახდეს კონკურენტუნარიანი ევროპის არენაზე - ეს არის ერთ-ერთი დებულება გამოთქმული TEL-ME-MOR-ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში (http://telmemor.net/docs/D1.3_research_activities_report.pdf).

ხსენებული ანგარიში შედგენილია ევროკავშირში შემავალი ყველა ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობის ანკეტირებისა და ანალიზის საფუძველზე და წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანებული ათი ახალი ქვეყნის ეროვნულ ბიბლიოთეკაში თავდაპირველად ჩატარებული გამოკვლევის გაგრძელებას. მასში გამოკვლეულია ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის (Conference of European National Librarians - CENL <http://www.cenl.org/>) წევრ ბიბლიოთეკებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში ინფორმა-ციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების არსებული მდგომარეობა (*სანამ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა გახდებოდა მისი წევრი-მთარგმნელის შენიშვნა*).

ანგარიშში მოცემულ რეკომენდაციებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- ბიბლიოთეკები და მეხსიერების სხვა ინსტიტუტები უნდა აღიარებულ იქნან, როგორც სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შემსრულებლები ევროპულ დონეზე.

- უნდა დადგინდეს და გავრცელდეს ევროგაერთიანების ყველა წევრ ქვეყანაში ეროვნული ბიბლიოთეკების (და მეხსიერების სხვა ინსტიტუტების) სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობისა და სხვა მიღწევების ხარისხის მონიტორინგის გამჭვირვალე და სრული მეთოდოლოგია.

- სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო კომპეტენტური ორგანიზაციების არსებულმა ქსელმა უნდა განიხილოს და გამოიყენოს ევროკავშირის ახლადგაწევრიანებული ქვეყნების ეროვნული ბიბლიოთეკების ცოდნა და გამოცდილება.

- აუცილებელია, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკებში განვითარდეს მომხმარებლებთან თანამშრომლობის კულტურა; საჭიროა მომხმარებლის აქტიური

მონაწილეობის წახალისება ციფრული ბიბლიოთეკებით მომსახურების განვითარების ყველა ეტაპზე.

- მომხმარებელზე კონცენტრირებული გადაწყვეტილებები უნდა გახდეს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შეფასებისა და დაფინანსების ძირითადი კრიტერიუმი.

- სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, საქმიანმა წრეებმა და ბიბლიოთეკებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შეავსონ ევროპაში ეროვნული გაციფრებული კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკული მასის დანაკლისი.

ეს ანგარიში სახელწოდებით „ევროპული ეროვნული ბიბლიო-თეკების კვლევითი საქმიანობა კულტურული მემკვიდრეობისა და ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში» გამოქვეყნებულია TEL-ME-MOR-ის საიტზე: <http://telmemor.net/results.php>

TEL-ME-MOR-ს შეაქვს თავისი წვლილი “ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის” მიზნის მიღწევაში, ასევე ხელს უწყობს ევროკავშირის ათი ახლად გაწევრიანებული ქვეყნის ეროვნული ბიბლიოთეკის (რომლებიც აგრეთვე არიან TEL-ME-MOR-ის პროექტის პარტნიორები) «ევროპულ ბიბლიოთეკაში» (The European Library - <http://www.theeuropeanlibrary.org/portal/index.html>) სრულ გაწევრიანებას. ევროპული ბიბლიოთეკის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციას (CENL-ს), რომლის ეგიდით დაარსებული „ევროპული ბიბლიოთეკა» უზრუნველ-ყოფს ევროპის მთავარი ეროვნული ბიბლიოთეკების ელექტრონულ და სხვა საბიბლიოთეკო რესურსებთან უნიფიცირებულ წვდომას. TEL-ME-MOR-ის პროექტის მიზანი აგრეთვე არის ევროკავშირის ათი ახლად გაწევრიანებული ქვეყნის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

ანგარიშის მეთოდოლოგიისა და სხვა ინფორმაციისთვის მიმართეთ ანგარიშის ავტორებს: Zinaida Manhuch zinaida.manzuch@mb.vu.lt ან Adolf Knoll adolf.knoll@nkp.cz

ინფორმაციისთვის TEL-ME-MOR-ის პროექტის შესახებ მიმართეთ Toomas Schvak-ს (toomas.schvak@nlib.ee), ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ცენტრის პროექტის ხელმძღვანელს

გაციფრების ტემპები ევროპის ეროვნულ ბიბლიოთეკებში

THE EUROPEAN LIBRARY: MODULAR EXTENSIONS FOR MEDIATING ONLINE RESOURCES
Research Activities of the European National Libraries in the Domain of Cultural
heritage and ICT. April 2006. Zinaida Manhuch & Adolf Knoll

62

ANNEX F. NUMBER OF PAGES (INDIVIDUAL FILES) IN THOUSANDS OF UNITS
DIGITIZED IN NLS BY FEBRUARY 2006

Country

Spain 40609

France 24106

United Kingdom 3223

Austria 3190

Czech Republic 2671
Russia - Moscow 1665
Iceland 1413
Finland 949
Norway 842
Italy - Florence 573
Denmark 564
Serbia 481
Netherlands 416
Portugal 391
Latvia 351
Poland 279
Russia - St. Petersburg 258
Estonia 220
Germany 219
Hungary 170
Switzerland 162
Sweden 38
Slovenia 28
Slovakia 26
Bosnia and Herzegovina 25

Only the NLS with more than 25,000 pages are mentioned here.

ამ მონაცემების გარდა ყრილობის მონაწილეთა გამოსვლებიდან გამოვლინდა შემდეგი სურათი: ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკა Microsoft-ის დახმარებით ერთ წელიწადში გააციფრებს 100,000 წიგნს; საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა ერთ წელიწადში IBM-ის დახმარებით გააციფრებს 200,000 წიგნს; ჰოლანდიის ეროვნულ ბიბლიოთეკას გაციფრებული აქვს წინა ოთხი საუკუნის გაზეთების 4 მლნ. გვერდი. ევროპაში გაციფრებული მასალის მხოლოდ 25%-ია ტექსტურ ფორმატში.

შედარებისთვის, ჩვენ ბიბლიოთეკაში დღეისათვის გაციფრებულია 40,000 გვერდი და ყველა ტექსტურ ფორმატშია ხელმისაწვდომი.

ევროპულ ეროვნულ ბიბლიოთეკებს შემოაქვთ ეროვნული ბიბლიო-ოთეკების მუშაობის შეფასების ისეთი ახალი ინდიკატორები როგორცაა:

გაციფრებული შენახვის ერთეულების დასახელებების რაოდენობა და მისი პროცენტული სიდიდე მთელ ფონდში არსებული დასახე-ლებებთან მიმართებაში საანგარიშო წელს,

ბიბლიოთეკის საიტიდან ჩამოტვირთული გაციფრებული მასალის რაოდენობა საანგარიშო წელს,

ციფრული დაცვისთვის გადაცემული გაციფრებული მასალის რაოდენობა საანგარიშო წელს,

ელექტრონული მომსახურების პროცენტული რაოდენობა ბიბლიოთეკაში და სხვ.

ყველა ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკა ვალდებულია შეიტანოს ცვლილებები სავალდებულო ეგზემპლარის კანონში, სადაც გათვალისწინებული იქნება ელექტრონული, არა ფიზიკური (ანუ ონლაინ) დოკუმენტები. ასეთი კანონი

შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ საავტორო უფლებების დარღვევა საქართველოში გამოქვეყნებული **ონლაინ დოკუმენტების შეგროვებისა და დაცვისას**.

გერმანიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ჩაატარა ამ საკითხის გამოკვლევა ევროპულ ეროვნულ ბიბლიოთეკებში, საიდანაც ჩანს რომ ეროვნული ბიბლიოთეკების უმეტესობა ჯერ კიდევ მუშაობს სავალდებულო ეგზემპლარის ახალი კანონის მიღებაზე. ევროპის ეროვნულმა ბიბლიოთეკებმა უკვე დაიწყეს ეროვნული **ონლაინ დოკუმენტების**, ვებ-საიტებისა და ვებ-გვერდების შერჩევა, შეგროვება და დაცვა. ამ მხრივ პიონერი გახლავთ შვედეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც წელიწადში ორჯერ, შერჩევის გარეშე, მთელ შვედურ ინტერნეტს აგროვებს და იცავს. დანიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ რამდენიმე თვეში შეაგროვა 5,3 ტერაბაიტი მოცულობის დანიური **ონლაინ დოკუმენტები**, საფრანგეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ერთ წელიწადში შეაგროვა ფრანგული ინტერნეტის 3 ტერაბაიტი. ასევე დიდი მიღწევები აქვთ ამ მიმართულებით ავსტრიისა და ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკებს. ისინი ქმნიან ინტერნეტში ეროვნულ დაცულ ადგილებს (Safe Places) და ელექტრონულ დეპოზიტარიუმებს (e-Depot). ჰოლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკა წავიდა უფრო შორის და მის ელექტრონულ საცავში დაცულია საერთაშორისო სამეცნიერო 2800 **ონლაინ ჟურნალში** გამოქვეყნებული 9 მილიონი სტატია. ელექტრონული გამოცემების მოცულობა სწრაფი ტემპებით იზრდება და ეროვნულ ბიბლიოთეკებს დააწვა მათი აღწერის, დაცვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრობლემები. ეს მონაცემები აღებულია ჰოლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული დაცვის წამყვანი სპეციალისტის - ბარბარა სირმენის (Barbara Sierman) მოხსენებიდან. ევროპაში მთელი გაციფრებული და ციფრულად შობილი მასალა უნდა იყოს საიმედოდ დაცული და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ახლაც და მომავალშიც.

ციფრული მასალის დაცვა და ხელმისაწვდომობა მომავალში წარმოადგენს პრობლემას ყოველი ადამიანისთვის, რომელიც დიდ ხნის განმავლობაში იყენებს კომპიუტერს: 10 წლის წინ შენახული ფაილები დღეს შეიძლება ვეღარ წაიკითხოთ - იცვლება ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ფორმატები და სხვ.

აზრი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ციფრული არქივი, სულ რამდენიმე წელია რაც ჩამოაყალიბეს დასავლეთ ევროპის ეროვნულმა ბიბლიოთეკებმა, ხოლო ჰოლანდია, გერმანია და ესტონეთი იყენებენ ციფრული არქივისთვის «ციფრული ობიექტების მართვის სისტემებს». ციფრული საცავებისთვის უკვე არსებობს და ვითარდება საერთაშორისო სტანდარტები. ამ სტანდარტებზე დაყრდნობით ყალიბდება მოთხოვნები ციფრული ობიექტების მართვის სისტემებისა და ციფრული საცავების სრტიფიკაციის მიმართ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ჯერ არ შეუქმნია ციფრული საცავი (ან ელექტრონული არქივი). ევროპული ბიბლიოთეკები მხოლოდ ახლა იწყებენ ამ საქმიანობას. ამიტომ ჩვენ გვაქვს შანსი მათ დონეზე ვაწარმოოთ ეს მნიშვნელოვანი მიმართულება, თუ დროზე მოვიწვევთ ჩვენთან მათ სპეციალისტებს ცოდნის გასაზიარებლად.

მანამდე, სანამ 2004 წელს არ დავნერგეთ ციფრული ბიბლიოთეკის გრინსტოუნის პროგრამული უზრუნველყოფა, გაციფრებულ მასალას მეტამონაცემებს არ ვაწერდით. გრინსტოუნში გამოყენებულია მარტივი დაბლინკორი (15 ელემენტი),

«ევროპულ ბიბლიოთეკაში» გამოყენებული დაბლინ კორის მნიშვნელოვნად გაფართოებული საბიბლიოთეკო პროფილი. მეტამონაცემები უნდა შეიცავდეს როგორც ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას, ასევე დაცვისა და სტრუქტურულ ინფორმაციას. დაცვის მეტამონაცემები აღწერენ დაცვისა და შენახვის პირობებს, ხოლო სტრუქტურული მეტა-მონაცემები საშუალებას იძლევა მომავალში, ნებისმიერი ტექნოლოგიური ცვლილებების მიუხედავად, აღდგენილ იქნეს ციფრული მასალა გამოყენების მიზნით ახალ ტექნოლოგიურ გარემოცვაში. გრძელვადიანი ციფრული დაცვის მიმართ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს შეუფერხებელი წვდომა დაცულ ციფრულ მასალასთან საავტორო უფლებების გათვალისწინებით. წვდომის პრობლემა ტექნოლოგიურად წყდება ორი გზით: ციფრული მასალის გადატანით ახალ პროგრამაში ან ძველი პროგრამის იმიტაციით ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაში. ჯერ-ჯერობით ორივე მიდგომა გამოყენებული, ორივეს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ორივე მიმართულებით მიმდინარეობს საერთაშორისო, კოოპერაციული კვლევები.

ევროპაში დაწყებულია ციფრული დაცვის რამდენიმე პროექტი. მათი განხორციელების პროცესში გამოიყენება სახელმძღვანელოები, სასწავლო ვებ-საიტები და ჩატარდება ტრენინგები. ბუნებრივია, ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა ამ სახელმძღვანელოების მიღება და ჩვენი წარმომადგენლების გაგზავნა ასეთ ტრენინგებზე.

«ევროპულ ბიბლიოთეკაში» <http://www.theeuropeanlibrary.org/portal/index.html> დღეისათვის ინტერფეისის ენის გამოცვლა და ძებნა შე-საძლებელია 16 ევროპულ ენაზე, როგორც ელექტრონულ კატალოგებში ასევე, ციფრულ კოლექციებში. ამ თექვსმეტიდან რომელ ენაზეც არ უნდა აკრიფოდ შეკითხვა, ძებნა ტარდება ყველა დანარჩენ 15 ენაზეც და შედეგებიც გამოდის ყველა თექვსმეტივე ენაზე. საკლასიფიკაციო სისტემად «ევროპულ ბიბლიოთეკაში» გამოყენებულია დიუის ათობითი კლასიფიკაცია. ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების უმეტესობა იყენებს დიუის ათობით კლასიფიკაციას და MARC21-ს. გერმანიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, მიუხედავად იმისა რომ იგი უკვე წარმოდგენილია „ევროპულ ბიბლიოთეკაში«, თარგმა დიუის ათობითი კლასიფიკაცია გერმანულად და დასახა გეგმა MARC21-ზე გადასასვლელად. ამდენად ჩვენც უნდა მივზადოთ გერმანიის ეროვნულ ბიბლიოთეკას „ევროპულ ბიბლიოთეკაში« ჩვენი ელექტრონული კატალოგებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის წარმატებით შესასვლელად.

„ევროპულ ბიბლიოთეკის“ პორტალი არის CENL-ის მთავარი პროდუქტი, რომელსაც იგი ინახავს თავისი ფულით და ცდილობს, რომ იგი გახდეს მოდელი ევროპის ყველა ეროვნული ბიბლიო-თეკისთვის. „ევროპულ ბიბლიოთეკის“ ანგარიშში CENL-ის მიმართ დასახულია «ევროპულ ბიბლიოთეკის» უახლოესი ამოცანები:

გაციფრებული მასალის გატექსტება;

OAI PMH სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა ევროპულ ეროვნულ ბიბლიოთეკებში;

პორტალის გამოყენებადობის გაუმჯობესება;

ავტომატური გადასახვების დანერგვა მრავალენოვან საგნობრივ თეზაურუსში;

ვებ-მომსახურების გაფართოება;

მომსახურების პერსონალიზაციისა და ანოტირების სამსახურის დამატება.

ყველა მონაწილემ აღიარა, რომ «ევროპულ ბიბლიოთეკა» იქნება «ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის» (რომელსაც აფინანსებს ევროკომისა) მთავარი კოორდინატორი და შემსრულებელი.

გერმანიის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ქ-ნა ელიზაბეთ ნიგემანმა (Elisabeth Niggemann) წარმოადგინა ანგარიში მრავალენოვანი საგნობრივი წვდომის (MACS – Multilingual Access to Subjects) პროექტის შესახებ. ამ პროექტში მონაწილეობენ ბრიტანეთის ბიბლიოთეკა (რომელიც იყენებს კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივ რუბრიკატორს), საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, გერმანიისა და შვიცარიის ეროვნული ბიბლიოთეკები. დამყარდა ურთიერთგადასახვა გადასვლები ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ რუბრიკატორებს შორის, რუბრიკატორებსა და საკლასიფიკაციო სისტემებს UDC-სა და DDC-ს შორის. შვეიცარიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ასევე თარგმა გერმანული რუბრიკატორი ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა სხვა მრავალენოვან პროექტებზე: MSAC – Multilingual Subject Access to Catalogues of National Libraries; Interoperability between subject headings and classification systems; Interoperability between different thesauri and subject indexing tools და სხვ. ალბათ ჩვენთვის ზედმიწევნით სასრგებლო იქნებოდა შვეიცარული სამეცნიერო რუბრიკატორის თარგმნა ქართულად (და შესაძლოა, რუსულად) ისევე როგორც კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორის (მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რუბრიკატორის) თარგმნა. ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ ქართული დოკუმენტები ძებნებადი და ხელმისაწვდომი გახდებოდა მსოფლიოს არაქართულენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის.

კონგრესის ბიბლიოთეკის უფროსი მრჩეველის ჯონ ვან ოუდენარენის (John van Oudenaren) მოხსენებაში განხილული იყო კონგრესის ბიბლიოთეკის ინიციატივა **მსოფლიო ციფრული ბიბ-ლიოთეკის** შექმნის შესახებ. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნას გააჩნია რამდენიმე წინაპირობა: 1. მსოფლიოში გაციფრებული მასალა არ არის საკმარისი რაოდენობის. ამ მხრივ ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის შექმნა მნიშვნელოვნად შეავსებს დანაკლისს, მაგრამ განვითარებადი ქვეყნების მასალების გაციფრება ისევ დარჩება პრობლემური; 2. დიდი სამეცნიერო და კულტურული ღირებულების მასალები, რომლებსაც დიდი ხნით შეუძლიათ შეაჩერონ მომხმარებლების ყურადღება საიტზე, საერთო გაციფრებულ მასალასთან მიმართებაში, კიდევ უფრო ნაკლებია; 3. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა უნდა იყოს საკმარისად დიდი მოცულობის, ისე რომ მომხმარებლის ნებისმიერ შეკითხვაზე გასცეს რამდენიმე ავტორიტეტული გაციფრებული მასალა; 4. ელექტრონული დოკუმენტების კატალოგიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და შესაძლოა მათ დასჭირდეთ მეტი მეტამონაცემების მიწერა, ვიდრე დღეს არის პრაქტიკულად გავრცელებული. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა რამდენიმე ზოგადი გადაწყვეტილება: 1. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა განთავსებული იქნება ერთ ინტეგრირებულ საიტზე, რომელსაც ექნება სარკეები სხვადასხვა ქვეყნებში; 2. იგი იუნდა გახდეს ფართოდ მიმოვანტული საინფორმაციო წყაროების „ყოველმხრივ სანდო ციფრული საცავი“; 3. მასალების ციფრული გამოსახულებები შეიძლება განთავსებული იყოს არა მხოლოდ მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკასა და მის სარკეებში, არამედ ნებისმიერი დონის სანდო ვებ-საიტებზე; 4. მრავალენოვანი ძებნა და მოძიებული მრავალენოვანი მასალების

დისპლეიზე გამოტანა იქნება პროექტის ძირითადი ელემენტი, რომელიც პროექტში თავიდანვე არის ჩადებული და ნაბიჯ-ნაბიჯ იქნება განხორციელებული; 5. უნდა განისაზღვროს მეცნიერებისა და სპეციალისტების ნუსხა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მასალის შერჩევაზე მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკისთვის. გარდა ამისა უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს ცალკეულ მეცნიერებს, ქვეყნებს, ბიბლიოთეკებს და სხვებს მნიშვნელოვანი შინაარსის მასალა ან დაუმატოს ან დაუკავშიროს მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკას.

კონგრესის ბიბლიოთეკა მიესალმება ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის შექმნას და მზად არის მასთან თანამშრომლობისთვის. კონგრესის ბიბლიოთეკას კარგად ესმის ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის შექმნის სიძნელე და ამიტომ იგი რეალისტურად აფასებს ევროპული ბიბლიოთეკების მონაწილეობის შესაძლებლობას მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის პროექტში.

ყოველშემთხვევაში დასაწყისში, მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის მთავარი მიმართულება იქნება განვითარებადი ქვეყნები, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და მათი ნაწილები.

ამ ზოგადი მოსაზრებების გარდა კონგრესის ბიბლიოთეკა მზადაა გაუზიაროს იდეები, ტექნოლოგიები და მასალები ევროპულ ციფრულ ბიბლიოთეკას. **რადგან მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის გეგმის შედგენის პროცესი ზუსტად ამჟამად მიმდინარეობს, წინადადებები კოოპერაციის შესახებ შეძლება განხილულ და ჩართულ იქნას გეგმაში ამ ადრეულ ეტაპზე.**

ამგვარად, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას თანამედროვეობის ერთი-ერთი უმთავრესი ამოცანაა აქვს გადასაჭრელი: ქართული დოკუმენტური კულტურული მემკვიდრეობა იქნას ჩართული “ევროპულ ბიბლიოთეკაში”, “ევროპულ ციფრულ ბიბლიოთეკაში” და “მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკაში”. ამ უძნელეს ამოცანებს ჩვენ ვერ მოვერევით სახელმწიფო სტრუქტურების, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელების, ქართული საზოგადოების და დასავლეთის სპეციალისტებისა და დონორების მხარდაჭერის გარეშე.

Т. ЧХЕНКЕЛИ

20-ОЕ ЮБИЛЕЙНОЕ ЗАСЕДАНИЕ КОНФЕРЕНЦИИ ДИРЕКТОРОВ ЕВРОПЕЙСКИХ НАЦИОНАЛЬНЫХ БИБЛИОТЕК – CENL: Г. САНКТ-ПЕТЕРБУРГ, 2006.

Резюме

На 20-ом заседании Конференции директоров европейских национальных библиотек – CENL в г. Санкт-Петербурге было рассмотрено состояние выполнения стратегического плана CENL на 2005-2008. Были заслушаны доклады руководителей рабочих групп, а также приглашенных специалистов. В данном обзоре рассмотрен стратегический план CENL на 2005-2008 годы и проект TEL-ME-MOR, а также выделены доклады Элизаветы Нигеманн о многоязыковом доступе к предметным рубрикаторм и об «Европейской цифровой библиотеке», Джил Казинс об «Европейской библиотеке», Адольфа Кнола о научных исследованиях в области использования ИТ при сохранении культурного наследия, Варвары Сирмен о деятельности национальных библиотек в области долгосрочного хранения цифрового наследия и Джона Ван Оуденарена об инициативе Библиотеки конгресса по созданию «Всемирной цифровой библиотеки».

В заключении обзора говорится о возможности включения Грузинского документального культурного наследия в «Европейскую библиотеку», «Европейскую цифровую библиотеку» и во «Всемирную цифровую библиотеку», для чего необходима поддержка государственных структур, руководства Национальной Парламентской библиотеки, грузинской общественности, а также зарубежных экспертов и доноров.

T. CHKHENKELI

**20TH ANNUAL MEETING OF THE BOARD OF DIRECTORS OF THE FOUNDATION
CONFERENCE OF EUROPEAN NATIONAL LIBRARIANS (CENL): ST. PETERSBURG, 2006**

Summary

At the 20th Annual Meeting of the Board of Directors of the Foundation Conference of European National Librarians (CENL) in St. Petersburg there were considered CENL activities and state of fulfilment of the CENL Strategic Plan 2005-2008. There were made the reports of leaders of working groups and presentations of invited experts. In the present review is considered the CENL Strategic Plan 2005-2008 and TEL-ME-MOR project, as well as emphasized the following reports and presentations: Multilingual access to subject and “European Digital Library” by Elisabeth Nigemann, “The European Library” by Jill Cousins, Research activities of the European National Libraries in the Domain of Cultural Heritage and ICT by Adolf Knoll, Long-term preservation activities in European national libraries by Barbara Sierman and Library of Congress Initiative on “World Digital Library” by John van Oudenaren.

In conclusion, they mention the opportunity to include Georgian documentary cultural heritage into “The European Library”, “European Digital Library” and “World Digital Library” if the National Parliamentary Library of Georgia (NPLG) will be encouraged by state governance structures, managerial board of NPLG, Georgian society and foreign experts and donors.

კორექტორები: მ. დოლიძე, მ. კუკულაძე, ნ. კაციტაძე, ნ. ნადირაძე, დ. სუმბაძე-ჩაგელიშვილი, ე. შუბითიძე.

რუსული ტექსტის რედაქტირება და კორექტირება: ნ. ციბიზოვა

კომპიუტერული უზრუნველყოფა: რ. ნინუა